


ჩვენი ქართველობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

1 ოქტომბერი 2010 №20(124)



ბორხესი პოეზიაზე
წიგნი ქართულ ბაროკოზე
აუტოდაფე „ლაშარელასი“
ირაკლი კაკაბაძის ლექსები
გოგი ჩაგელიშვილის ნოველა
ფრიდეშ კარინტის ნოველები
ლია სტურუას სამი რეჩიტატივი
ინგა მილორავა ლანა ედიბერიძეზე
მაია ჯალიაშვილი დალილა ბედიანიძეზე
გივი ალხაზიშვილი ნუციკო დეკანოზიშვილზე

შირვარსი

ნიგეო და გიოთხველი	2	თამაზ ნატროშვილი ჩვენებური აუტოძაფე (გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“)
ეპსერას-ინდენტოვი	8	ლევან ლორია „გათვედეა? ეს უკვე კარგია...“ (მოამზადა ნატა ვარადამ)
რომორ ვეითხებოთ ქლასიკას	9	გია არგანაშვილი ხევისძერი გორია აიძულეს საკუთარი შვილი მოეკლა
აროზა	13	გოგი ჩაგელიშვილი ბოთი
აროზია	18	ირაკლი კაკაბაძე ჩამავალი სიმღერა და სხვა ლექსები
არაგის ერთი ლავაში	20	ლია სტურუა სამი რეზიტაციი, ერთი უფრო ავტოპორტრეტული
ლიტერატურული სხვოვრება	21	გვანცა შუბითიძე მოწოდებაზე დაუცილებარ ღვანელზე
ვერსიკა	22	ხორხე ლუის ბორხესი შვილი საღამო (მეშვიდე საღამო, პოეზია)
მომოვანათა სეივრი	28	ჯუმბერ ხანთაძე ლეპალევის ნინეალმდებარება
ისტორიის თათრი ლავაში	30	გიორგი ციცელიშვილი ტოტალიტარიზმი „ნაცოლის“ ტაძრიკის ნინეალმდებარება
ფეიები და ლევანი	35	როსტომ ჩხეიძე ალსარეგა გურამ დოჩანაშვილისა
მეორალი მეორალზე	44	გივი ალხაზიშვილი „...რომ ჩამს თავს გავცდი...“ (წუციკო დეკანოზიშვილის ლექსები)
ჩემი ააზარა ქალაქი	47	ნინო სადლობელაშვილი ცხალისა და გამონაგონის შესახებ (სტეფანწმინდური საღამო)
კრიტიკა	49	იოსებ ჭუმბურიძე ხელი გავიკიცია ფასი ანუ ნაცოდები ხერხების გამოყენება საფეხურის პროცესში
გამოხაურება	51	შოთა ბოსტანაშვილი ორი რეპლიკა/ცია
52	მერაბ გველესიანი უროტიკის დრო როდის არ არის! (სოფიკო კვანტალიანის ლექსებისა და თენგიზ საბიაშვილის ეპისტოლების თაობაზე)	
კრიტიკა	53	მაია ჯალიაშვილი ლექსის ფასისება (დალილა ბედიანიძე)
54	ინგა მილორავა სუნთქვა — ლექსი (ლანა ედიბერიძის პოეტური დებიუტი)	
ასალი თარგმანები	57	ფრიდეშ კარინტი როი ნოველა
ვაისოლებე	59	კობა მოწყობილი ხავალ ხევსურეთში (გოგი ოჩიაურის „ანატორლები“)
ასალი წიგნები	60	ივანე ამირხანაშვილი კიდევ ერთი ნაპიჯი (მაია ნაჭყებიას „ქართული ბაროკოს საკითხები“)
ნაკვეთი	61	მახვილისტყვაობის ნიმუშები
მოხალის	63	გარემონა შე დაგენერალ

ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩრდინაშვილის №41
 რედაქცია – (995 32) 96_20_62
 რეკლამა – (995 93) 65_93_68
 გაფრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
 სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანონიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
 ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
 გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე
 გარეკანზე: ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში
 ლადო ჩაჩუას ფოტოორეტიუდი

„ჩვენი მნერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 15 ოქტომბერს



თამაზ ნატროშვილი

ჩვენებური აუტოდაზე

ამ ცოტა ხნის წინათ უურნალ „ჩვენი მნერლობის“ ფურცელზე (2007, №№21) რუბრიკით „მნერალი და ისტორია“, გამოქვეყნდა გრიგოლ აბაშიძის „რას ღალადებენ წყაროები“, რომელიც თურმე დაუწერია 1959 წლის დამდეგს და ნარმოადგენს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე წარმოსათქმელ სიტყვას, სადაც აუტორი დასაბუთებულ პასუხს სცემდა მისი რომანის („ლამაზელა“) საჯარო განხილვასას, 1958 წლის მაისში, გამოთქმულ უსაფუძვლით და უსამართლო კრიტიკას.

მოგვიანების საზოგადოების გასაგრძნობა გამიზნულმა სიტყვამ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ნახევარი საუკუნის შემდეგია ისილა დღის სინათლე. თავის დროზე, მწერლის სიცოცხლეში, არც წარმოთქმა ეღირსა და არც დაბეჭდვა. ხელნაწერი დარჩა მწერლის არქივში და, ოპტიმისტური აფიორიზმის თანახმად, არ დამწვარა, ფერფლად არა ქცეულა, ვაგლახ, რათ გინდა, იმდროინდელ მაძაგარელთა თუ მაქებართაგან, ალბათ, ალარავინ დაირება ამქვეყნად და უტყვი მონებიც თითზე ჩამოსათვლელი იქნებიან.

მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმოუთქმელი სიტყვა დროის რომელიდაც მონაკვეთს როდი ეკუთვნის, ისევე როგორც ყოველი ლირსესანიშნავი მოვლენა. მისი მნიშვნელობა გასცდება ერთი პიროვნებსა და ერთი ნაწარმოების ბედილბალს, ვინაიდნა ანტურაჟი, ჩვენდა სავალალოდ, ახალთა ქართა ქროლვასა არ ემორჩილება, შეუვალი და მიუდგომელი დარჩენილა, ვითარცა ციხე-სიმაგრე ვეებერთელა მთის თავზე.

თავის წარმოუთქმელ სიტყვაში გრიგოლ აბაშიძემ, როგორც სამართლიანად ბრძანებს ემზარ კვიტაიშვილი, „ჯეროვანი პასუხი“ გასცა ვაი-ლიტერატორებს, პროფესიონალები იქნებოდნენ თუ მოყვარული.

კითხულობა ამ დაუყველებელ ტექსტს და ფიქრობ, შენ რაღაუნდა თქვა შენი სამრეკლოდან (ანუ „მწერალი და ისტორია“), თუკი თავად მწერალმა ამომწურავად გააშუქა თავისი პირველი რომანის წერისას გამოყენებული საისტორიო წყაროების ავანჩავანი და სულისკვეთება, წარსულთან თავისი დამოკიდებულებაც და გამოჩინილ მეცნიერთა მოსაზრებანიც.

ერთი სიტყვით, გრიგოლ აბაშიძემ ყველაფერი თქვა ამ წარმოუთქმელ სიტყვას, რისი თქმაც არ აცალეს საჯარო განხილვისას (ჩვენებურა რომ ვთქვა, ცალ კარში იყო თამაში).

გულდასმით და საფუძვლიანად ამტკიცებდა თავის სიმართლეს და ზურგს უმაგრებდა ისტორიული პარალელები — ქართველი ხალხის სახელოვან შეილთა პოზიცია და შეუპოვარი ერთგულება მისაბაძი მრჩამსისა.

თუ მაზარი დარტოდ დარჩენილ?

ალბათ გემახსიოვრებათ, კარგა ხნის წინათ, საბავშვი უურნალებმი, დიდისა თუ პატარას, ასეთ ინტელექტუალურ გასართობის გვთავაზობდნენ ხოლმე: ერთიმეორის გვერდით მოთავსებულ ორ ნახატს შორის (სადაც ან ადამიანი, ან ცხოველი, ან პეიზაჟი იყო გამოსახული) ამდენი და ამდენი უმნიშვნელო სხვაობა იპოვეთო.

თუკი მხატვრის თვალი გქონდათ, იოლად იპოვიდით. მაგრამ უამისოდაც არ წარმოადგენდა გადაულახავ დაბრკოლებას, დრო და მუყაითი გარჯა მიზანს მიგადანევინებდათ. ეს თავსატეხი ვუნდერკინდებისთვის როდი იყო გამიზნული. ჩვეულებრივ, რიგით მკითხველს უმასპინძლდებოდნენ, თვალი და ტვინი რომ გაევარჯიშებინა.

ერთი რომანის სხვადასხვა დროს გამოცემული ორი ტექსტი რომ შემოგთავაზოთ და მათ შორის სხვაობის პევნა დაგვალოთ, გამოცდილი მკითხველი, რომელსაც მეხსიერება არ ღალატობს, იოლად ამოხსნის ამ ამოცანას და მოგვახსენებს თვალშისაცემ სხვაობას, ერთი იქნება თუ ორი. მაგრამ ერთი უმცირესი სხვაობა, სულ პანაწენტელა და ლამის უჩინარი, ოღონდ თავისი ფასით თავის წონას ასჯერ რომ აღმატება, შეიძლება გამორჩეს. ინტელექტუალი და გამჭრიაბობას როდი უკუნუნებ ვონიშეს, ლერთმა დამიტაროს! მაგრამ საქმე ისაა, რომ საამისოდ ზეპირად უნდა იცოდე მთელი რომანის ტექსტი და ბეჯითად წაიკითხო მომდევნო გამოცემებიც. ზეპირად, რასაკვირველია, არავის ეცოდინება. მაშასადამე, ერთი ტექსტი უნდა აიღო ხელში და ფურცელ-ფურცელ, აბზაცა-აბზაცაც, სტრიქონ-სტრიქონ შეუდარი მეორეს. მარტოკაცი ამას, ცხადია, ვერ გასწვდება. ამიტომ, როგორც რედაქციებში სჩვევიათ კორექტურა, ერთმა ხმამაღლა უნდა იკითხოს პარველი გამოცემის ტექსტი, ხოლო მეორემ ფხიზლად დადევნილ თვალი მეორე გამოცემის ტექსტს.

რაგებელა მომინება და უაზრო შრომის (სიზიფეს შრომას რომ ეძახიან) წყურვილი ან სტიმული უნდა გქონდეთ, რომ ამგვარ სამუშაოს მოვალეობით ხელი ანუ თივაში წემის ძებნას შეუდეგეთ და მიაღწიოთ სანადელს. ხუმრობა საქმეა, იცთაბაზარი რომანის ასე ჩაკირკიტებით კითხვა?!

მე კი ბედმა გამილიმა, არავითარი წემსის პოვნას არა ვლამობდი და სრულიად შემთხვევით წავაწყდი ამ პაზარკინტელა, შეიძლება ითქვას, მიკროსკოპულ „ამერიკას“. ჩემდაუნებურად მომხვდა თვალში. მომქალით და აღარ მახსოვს, რამ მაიძულა, რომ ერთიმეორისათვის შემედარებინა ორი ტექსტი. რამ მომქრა თვალი თუ ყური, რომელი იყო ანაზდად გაჩენილი დაეჭვების მიზეზი: თავდაპირველი „ტლანქი“ ტექსტი თუ მისი შესწორებულ-შელამაზებული ვარიანტი?

მსგავსად რომელიმე პროზელიტისა (ლეგიონია მათი სახელი!), ლეთის ნებას ხომ არ გადავაბრალო? ღმერთმა მიკარანას-მეტექი, განვაცხადო ულრმესი მოკრძალებითა და მოწინებით. მაგრამ შენს შემოქმედებით ლაბორატორიაში ზეცა-განგების მოხმობა მეტებით გამონია და მეტი არაფერი.

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა... როგორც იტყვიან, ხარს ხელი მოვავლოთ რექში.

„ლაშარელას“ 21-ე თავში გრიგოლ აბაშიძე მოგვითხრობს ლაშა-გიორგისა და საქართველოში სტუმრად ჩამოსული ტრაპიზონის კეისრის ნადირობას ჰერეთში. გზად შუამთის მონასტერში შეჩერდებიან. ლაშამ თვალი დაადგა მონაზონთა გუნდში მგალობელ ულამაზეს მხევალს, სახელად ირინეს. მწერალი დასხენს: იმ დღესვე ირინე და ასევე ლამაზი თევლე სადღაც გაქრინენ.

ამას მოსდევს შემდეგი: „სამ დღე-დაბამეს ჰყავდათ მეფე-სა და იმპერატორის თავიანთ კარვებში „ქრისტეს სძლები“... მეფის მიერ ძალით ნამუსახდილი ირინე პირველ დამეს ტიროდა“ (ხოლო მესამე ღამე დადგება, ნამუსახდილი ირინეს უკვე შეუყვარდება საქართველოს მეფე და, თავის-

დაუნებურად, დედოფლობაზე ოცნება შეიძყობს). ეს გახლავთ „ლაშარელას“ პირველი გამოცემა (1957, გვ. 267).

ახლა გადავშალოთ 1984 წლის გამოცემა და 330-ე გვერდზე წავიკითხავთ: „მეფის კარავში მარტოდ დარჩენილი ირინე პირველ ლამეს ტიროდა“.

ამჩნევთ სხვაობას? რა ძნელი შესამჩნევი ესაა!

ლაშას მიერ „ნამუსახდილი ირინე“ გადაიქცა ლაშასთან „მარტოდ დარჩენილ ირინედ“. ამ ტექსტის წამყითხველი უცემელარც კი მიხვდება, რამ აატირა ირინე? ლაშასთან მარტოდ დარჩენა რატომ აატირებდა? ვხუმრობ. რა თქმა უნდა, დიდი ტვინის ჭყლეტა არა სჭირდება იმის მიხვდრას, რომ კარავში ლაშასთან მარტოდ დარჩენილი ირინე საქართველოს მეფეს დიონისე არეოპაგელზე არ გაესაუბრებოდა და, ცხადია, იქვე ფრჩხილიც იხსნება: მეფებმა უინ დაიცხესო.

მაგრამ კიდევ უფრო მეტად დაბარალებულა შუალედური გამოცემა, სახლდობრ — 1969 წლისა. ისევ 330-ე გვერდზე უცნაური რამ წერია (კარგად დააკერძით!): „მეფის მიერ კარავში ლაშასთან მარტოდ დარჩენილი ირინე პირველ ლამეს ტიროდა“. მეფებმეტყველი კარდივირამა გეგონება.

ეს ერთი სიტყვა („მიერ“) 1969 წლის გამოცემაში რელიეტი-ვით შემორჩენილა 1957 წლიდან და შესწორებული ტექსტი ოდნავ შეულახავს. მეფის მიერ ნამუსახდილი ირინე და მეფის კარავში ლაშასთან მარტოდ დარჩენილი ირინე გულითად სიმბიოზად შერწყმულან. მოგეწევენება, რომ მწერალს თითქოს ხელი აუკანეალდა და იმ თავდაპირველ ტექსტთან განშორება გაუქირდაო.

ეს ისე, სხვათა შორის... მთავარი კი ისაა, რომ გავარკვით მიზეზი ამ უმცირესი და უწყინარი სხვაობისა, რასაც საგანგებოდ რომ ეძებდე ლუპითა თუ მიკროსკოპით, ვერასდიდებით ვერ მიაგნებდი. მისი აღმოჩენა მხოლოდ და მხოლოდ ბრმა შემთხვევის ბრალია.

მაინც რამ გამოიწვია ტექსტის ამგვარი „შელამაზება“?

ვგონებ, ეს არ უნდა იყოს რედაქტიულ-სტილისტური შესწორება. ისინი ალაგ-ალაგ მოიპოვებიან კიდევ შემდგომ გამოცემებში. ასე მაგალითად, თავდაპირველ ტექსტში ენერა: „დარბაზში მორჩილებისგან განძგომის შედეგად...“ და შემდგომში სიტყვა „მორჩილებისგან“ სავსებით სამართლანად ამოვარდა. თურმან თორელის ბიძები — შალვა და ივანე ახალციხელები გადაიქცნენ „პიძაშვილებად“ (მათ ურთიერთობას თანატოლობა უფრო მიესადაგება). მეკუბოვის ცოლი შეცვალა დიდვაჭრის ცოლმა (საქართველოს მეფეს, რასაცირველია, ეს უფრო ეკადრება — პარალელი „ვეფხისტყოსნის“ ავთანდილთან).

მაგრამ ის შესალამაზებელი შესწორება სტილისტურს არა ჰგავს, მისი გაყვანა იძულებითი კუპიურების რანგში უფრო უპრიანი იქნებოდა.

ზოგჯერ უმცირესი დეტალი უკეთესად გადმოგვცემს ამა თუ იმ მოვლენის საერთო ატმოსფეროს, ვიდრე მისი დაწვრილებითი აღნერა, წიაღსვლებითა და ლრმა ანალიზის თანხლებით.

მოარული გამოთქმა წყლის ერთი წვეთისა და უზარმაზარი ოკეანის შინარსობლივი იდენტურობის თაობაზე, ალბათ, მტკნარი ჭეშმარიტება.

სწორედ ამ ერთ წვეთად მესახება „ნამუსახდილის“ გადასხვაფერება „მარტოდ დარჩენილად“.

ვიმეორებ, ძნელია დაუშვა, რომ ავტორმა სტილისტურად დახვენა ტექსტი ან მკაცრმა რედაქტორმა რატომლაც შესასწორებინა ანდა დაუნდობელმა ცენზურამ (მთავლიტს რომ ეძახდნენ საპტოეტში, რათა რევოლუციამდელი ცენზურისგან განესხვავებინათ) წაშალა და გააქრი ის ულაზათო, ჩვენი სათუთი სმენისათვის შეურაცხმყოფელი სიტყვა. არა და არა, ჩემი აზრით, არც ავტორია დამნაშავე, არც რედაქტორი და არც ცენზორი. მთავარი დამაშავე უნდა ვეძიოთ იმსანად რუსთაველის პროსექტზე მდებარე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის („იმელი“) შენობაში, სადაც 1958 წელს მოეწყო „ლაშარელას“ საჯარო განხილვა. პოდა, ეძიებდე და პერვებდეო...



გრიგოლ აბაშიძე

ნამუსახდილი ზემოარიტება

არასოდეს დამავიწყდება მაისის ის ერთი, ჩვეულებრივი დღე (ვახტანგ მერქევისა არ იყოს, რა სჯობს მაისში ტფილისა...) და ყოფილი „იმელის“ მზით გაჩახჩახებული და ხალხით გადაჭედილი სხდომათა დარბაზი. განხილვის ადგილამყოფელი თითქოს საგანგებოდ შეერჩიათ, პირქუში ატმოსფერო წინასწარვე იქმნებოდა. ამფითეატრი ცირკს გაგასხენებდა და სხდომის პრეზიდიუმი — გლადიატორთა ასპარეზს.

სხდომის თავმჯდომარემ თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა: „ჩვენთვის და ავტორისათვის, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ მისაღებია საზოგადოებრივი აზრი, არც შეიძლება რომ საზოგადოებასა და ხალხს მოწყვეტილი იყოს ქართული მწერლობა. ავტორმა გაითვალისწინა ყოველივე ეს, მაგრამ სამწუხარო მოვლენასა, რომ გამოქვეყნებულია რომანი და ამ ფაქტის წინაშე დავდექით“ (სხდომის სტენოგრამა გვაუწყებს, რომ ზემოთქმულის შემდეგ „დარბაზში გამოცოხებაა, ალშფოთების გამომხატველი ხმაური“).

არ გეწვენებათ, რომ სხდომა დაიწყო აბდაუბდურად? თუკი ავტორმა გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი, სამწუხარო ფაქტის წინაშე როგორდა დააყენებდა იმავე საზოგადოებას?!

სხდომის თავმჯდომარემ მშვენივრად იცოდა, რაც უნდა ეთქვა. პანია რევერანსი — კოლეგას (გაითვალისწინაო. აბა ხალხის მტრად ხომ არ გამოაცხადებდა?) და გაცილე-

ბით დიდი — საზოგადოებას. ჯერ პრესაში არაფერი დაბეჭდილი, ჯერ განხილვაც არ დაწყებულა და უკვე მწვანე შუქი აუზო „აღშეფოთების გამომხატველ ხმაურს“. საჯარო განხილვამდეა გამოტანილი ულმობელი ვერდიქტი: რომანის გამოქვეყნება სამწუხარო მოვლენა არის!

„იმელში“ ჩატარებულ სპექტაკლს ოფიციალურად ერქვა საქართველოს საჭროთა მწერლების კავშირის პროზიკოსთა სექციის სხდომა, რომელიც მიზნად ისახავდა გრიგოლ აბაშიძის რომანის, „ლაშარელას“ განხილვას. ხოლო სხდომა იმიტომ გაიმართა „იმელის“ ვეებერთელა დარბაზში, რომ წინასწარ განტვრიტეს, მწერლათა კავშირის სხდომათა დარბაზი ჩვენებური აუტოდაფეს ტრიფილო ვერ დაიტევს.

მომხსენებელი გახლდათ იუმორის მოყვარული კრიტიკოსი, რომელსაც მითქმა-მოთქმა ეპოქალურ ფრაზას მიაწერდა: ჩემს სახლში მანაც მათექვინეთ სიმართლეო (გულისხმობდა პირუთონელ მსჯავრს ერთი ვაი-ავტორის შესახებ და ამ უკანასკნელის უმწვავეს რეაქციას — გაზრდი რომ მაქეო?!).

იუმორის მოყვარულმა კრიტიკოსმა აღნიშნა „ლაშარელას“ გმირიქალის, ლილის, მაგალითზე: „რომანში ყოველი ქართველი ქალის სახე ასე ზნედაცემულად არის მოცემული მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ხალხის ბედი ქართველი ქალის მორალმა, ვაჟუაცობამ და სინდისმა შეინახა“.

ძალზე მოკლე რეპლიკა XXI საუკუნიდან: ბრალება ზნე-დაცემულობის თაობაზე, ჰა და ჰა, მარტომდენ რუსუდან დედოფალს შეიძლება ნავუყენოთ, ღონიდ ავტორი აქ არაფერ შეაშია, ამას ღალადებენ ქართველი და უცხოური წყალი.

კაი, ბატონო, მორალი და სინდისმა გასავებია, მაგრამ ქართველი ქალის ვაჟუაცობა ნეტავი რას უნდა ნიმუშდეს? ქალი, აღბათ, კაიქალობა და დედობა უფრო შეეფერება, ვიდრე ვაჟუაცობა, თუკი მაია წყნეთელს (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან) და უსპექტაკლოდ მთენილ თამარ ვაშლოვნელს გულისხმობდა, უნდა ითქვას, რომ ყოველ წეს თავისი გამონაკლისი მოეპოვება და ყოველი გამონაკლისი მხოლოდ ადასტურებს წესს.

იუმორის მოყვარული კრიტიკოსი უიუმოროდ როგორ გასძლებდა და თავისი სერიოზული ტირადა მარილით შეზიავა: „ერთადერთი ქალი, რომელიც ქართველი ქალის სახეს წარმოგვიდგენს, არის ქეთვენი, პატიოსანი მოხუცი ქალი“ (სტენგრამის მიხედვით: „დარბაზში სიცილი“. სიმართლეს რომ შეესაბამებოდეს, უარგონზე ვეტყოფით: ჩაგეთვალა, მაგრამ სად იყო სიმართლე?!).

კამათში გამოსულმა პროფესორ-ისტორიკოსმა ხაზგასმით აღნიშნა: „ამხ. გრიგოლ აბაშიძე ჩვენ ძალიან გვიყვარს. იგი ძლიერ ენერგიული მომუშავეა“ (ცხადია, იყო დადებითი შეფასებანიც, რომელთაც აქ არ ვეხები).

ცოდვა გამხელილი სჯობსა და ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ყველაზე ავტორიტეტული ავტორის გამოსვლა — ეგებ იმიტომაც, რომ, ესთეტიკური თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტური იყო. საქმის ვითარებას რომ არ იცნობდე, მქუჩარე ტანით დააჯილდობდი. თავიდანვე გვაუწყა, გრიგოლს დაპირდი, მოყვარული მამასავით სასტიკი უნდა ვიყოოდა... დაბირება პირნათლად იქნა შესრულებული. მისი გამოსვლა უაღრესად სასტიკი გამოდგა, ღონიდ სიყვარულისა რა მოგახსენოთ.

აი, „მოყვარული მამის!“ რჩეულ-რჩეული მარგალიტები: — ისტორია ერის პასპორტია. ყველაზე უფრო მტკივა გული ქართველი ქალის, ჩვენი მანდილოსნის გაბიაბრუების გამო. — მოითხოვს თუ არა ჩვენი დღევანდელობა, ჩვენი სი-

ნამდვილე ამ ნანარმოების, შეურაცხმყოფელი ნანარმოების გამოშვებას? არ მოითხოვს (მქუჩარე ტაში).

— საბჭოთა წყობილების დროს ვლაპარაკობთ ერთა თავისუფლებაზე, ერთა მეგობრულ დამოკიდებულებაზე და ჩვენს მეგობარ ერებს ჩვენსავე თავის მომჭრელ საბუთებს ჩვენივე ხელით რატომ ვაძლევთ? (მქუჩარე ტაში).

ჩვენი მეოთხელი მხარდამჭერია ყველა მონინავისა და ახლისა... როგორ შეიძლება თამარის შეილების ასე განუკითხავად გამოყვანა, იმ თამარისა, რომელსაც ორმა დიდმა პოეტმა უმდერა და რომლის სახელიც საქართველოში ყოველ ციხეს და ყვავილს ჰქინია, ეს თქვენ არ ვევაძრებათ! (არადა, გრიგოლ აბაშიძეს თავის ერთ ლექსში უკვე დაუწერია თამარ მეფეზე: „ჩვენ ყველა ციხე მისი გვვონია, მზის სხივიც მისი ნანამწამრი“).

ჩემთან რომ გამოევლონ და ჩემთვის ეკითხა, ბევრ საინტერესო ამბავს ვეტყოფიო, და ნიმუშად ასახელებს თამარ მეფის შეილიშვილის თავგადასავალს, რუმის სასულტნოში რომ გაათხოვეს („გურჯაი-ხათუნი“). მაგრამ „ლაშარელა“ გაცილებით ადრინდელ ამბებს მოგვითხოვს, როცა თამარის შევლიშვილი დაბადებულიც ეს არ იქნებოდა. ანდა რა უნდა ეთქა ისეთი, რასაც „ლაშარელას“ ავტორი წიგნებში ვერ წააწყდებოდა?

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ 1958 წელს იმოწმებდა ორი წლით ადრე შერისხულსა და საშვილიშვილოდ დაგმობილ სტალინს — ისტორია არც უნდა გააუმჯობესო და არც უნდა გააუარესოთ. ოღონდ თავადაც და თოთქმის მთელი დარბაზშიც ინონებდა ამ დებულების მარტოდენ მეორე ნანილს და, არსებითად, ინუნებდა პირველს.

კიდევ უფრო გაუგებარი იყო ამგვარი შენიშვნა: „თქვენი რომანის ერთ-ერთი ყალბი კონცეპცია ის არის, რომ ღამა ითხოვს მისივე ყმის ცოლს. ეს არის გადმოღება ილია ჭავჭავაძის „გლაბის ნაამბობისა“.

მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ XIV საუკუნის ქართველ უამთააღმენერელს, რომელსაც ეყრდნობა „ლაშარელას“ ავტორი, რაღაც მანქანებით, წაკითხული ჰქინდა „გლაბის ნაამბობი“ და მისი გავლენით შეთხა ლაშა-გიორგისა და ველისციხე-ლი ქალის უიდბლო რომანი, ოღონდ ვერ მიამსგავსა, ვინაიდან ლაშას უმწიევლო ტრფობას არაფერი აქვს საერთო პირველი ლამის უფლებასთან და „გლაბის ნაამბობის“ დათიკო ცოლად როდი თხოულობს ნამუსახდილ ქალს. ღმერთო შეგცოდე და ცოტა გადაეკრული ხომ არ იყო ყველაზე ავტორიტეტული ავტორი? ან ბავშვობაში წაკითხული „გლაბის ნაამბობი“ ალარ ახსოვდა ანდა მხოლოდ ცალი თვალი გადაავლო „ლაშარელას“.

ერთი სიტყვით, დიდოსტატი ტუქსავდა შეგირდს და მისთვის ოსტატის ტიტულს ვერ იმეტებდა. ამასთან ერთად, მხარი აუბა დარბაზის მტრულ განწყობილებას.

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს — ბრძულად განსაჯა რომანის ავტორობა და თავისი ხანმოკლე გამოსვლა წარმართა ისე, როგორც ჯერ არს.

განაცხადა: „რა თქმა უნდა, ეს დისკუსია ცოტა არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ ჩემთვის ძალიან სასარგებლობა აქ გამოთქმული უამრავი სწორი და მართალი შეხედულებანი. ბევრ მათგანს გავითვალისწინება... მე, რა თქმა უნდა, გადავამუშავებ ამ წიგნს და წარმოვადგენ იმ სახით, რომელიც დააკმაყოფილებს მკითხველ საზოგადოებას, რადგან მე სხვა მიზანი არა მაქვს გარდა იმისა, რომ ჩემი წიგნი იყოს პატრიოტული და თქვენთვის

ყველასთვის, საყვარელი (ტაში).

მასალამ მძლია და რუსუდანი წარმოვადგინე იმ სახით, რომელიც მკითხველთა უმრავლესობამ არ მიიღო. ეს მე სრულიადაც არ მჭირდებოდა ჩემს წიგნში. ზომიერების გრძნობამ მიღლატა. ამ ნაკლის გასწორება სრულიად ადვილია. უმტკივნეულო ქირურგიული ოპერაციით სულ ადვილია აბანოსა და დევის ხეროები მომხდარი სცენების ამოღება.

თქვენ რომ ძალიან დალდილი არ იყოთ, მე გაგაცნობდით იმ საბუთებს, რომელზედაც დამყარებული ვიყავი. ნება მომეცით, მაღლობა გადავუხადო აქ გამოსულ ამხანაგებს, რანაირი კრიტიკულიც არ უნდა იყოს მათი გამოსვლა. მე სიტყვას ვაძლევ საზოგადოებას, რომ ამ წიგნის შემდეგი გამოცემა ნახოს ისეთი, როგორიც უნდა იყოს ყველა კარგი წიგნი და ყველა კარგი წანარმოები (მქუსარეტაში)“.

ერთი სიტყვით, კედელს მიყენებულმა ჩვენი დროის გალილეო გალილეიმ ისა თქვა, რაც ჰუბლიკას სწყუროდა, მაგრამ, ალბათ, მეორე დღესვე იფეთქა სულში პროტესტმდა და მომდევნო წლის დამდეგს წარმოსათქმელ სიტყვაში ამაყად შემოვადას: მაინც ბრუნავსო.

მწერალთა ყრილობაზე განზრახული გამოსვლის ტექსტიდან დავიმოწმებ მხოლოდ ერთ პასაუს: „როცა შავრაზმელ გრენს მადარებენ და ერის შეურაცხმყოფელს მინოდებენ, ეს კრიტიკა კი არა, ხულიგნობაა. ცოტა არ აკლდათ, კინალამ იმისკენ მოუწოდეს, რომ ლინ- ჩის წესით გამსწორებოდნენ“.

მწერალმა მკითხველი საზოგადოებისათვის მოცემული დაპირება შეასრულა. რომანის ტექსტს ჩატურდა სათანადო ქირურგიული ოპერაცია ანუ გაკეთდა ორი თუ სამი ძირითადი კუპიურა. მაგრამ განა „წამუსახდილის“ ადგილზე „მარტოდ დარჩენილის“ გმიჩნა ერთ რამედ არა ღირს? ფაფუაზე პირდამწვარი წყალს უბერავდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

კეთილი და პატიოსანი. წიგნი ხომ არ დაუწევთ, ავტორი ხომ არ დაუჭერიათ, წერა ხომ არ აუკრძალავთ — ამას ჰქვია აუტოდაფე? ჰქვია, მორალური აუტოდაფე ჰქვია. რომანი, საკა თუ ისე, დასახიჩრდა, ფერი ეცვალა.

სასკოლო თემებისა არ იყოს, თემი და პიროვნება დაუპირისპირდა ერთმანეთს. მაგრამ, ღოთის წყალობით, არც ალუდა-სავით გაუძევებათ თემიდან, არც ჯოყოლასავით აუწიოვებიათ, არც მინდასავით დაუკარგავს თავისი ნიჭი. მაგრამ რა განსხვავებაა, ნემსებს გიჩხელეტენ თუ უროს დაგარტყამენ თავში? ტკივილი ტკივილია, ვერც გაიზომება და ვერც აინონება.

თავისი წარმოუთქმელი სიტყვის დასასრულს გრიგოლ

აბაშიძე ამბობს: „ამხანაგებო, მაპატიეთ ჩემს სიტყვაში, თუ რამ გადავაჭარბე და რაიმე ნორმებს გადავცდი, მაგრამ მე ისეთი წყენა და ტკივილი მომაყნენს, რომლის მსგავსი ხშირად სიკვდილს უდრის“.

დეანას ხილვა აკვსო

(ლირიკული გადახვევა)

სხდომის თავმჯდომარეს, როგორც წესი და რიგია, ისე მიჰყავდა სხდომა. სიტყვას არავის აწყვეტინებდა, აჩირჩქოლებულ დარბაზს, დროდადრო, ხელის აწევით აწყნარებდა, ყველა გამომსვლელს ყურადღებით უსმენდა და ვერაფრით ვერ გაიგებდი, საჯარო განხილვის მსვლელობით კმაყოფილი იყო თუ უკმაყოფილო.

ერთი შესედვით, მოსუქებულ მელიას წააგავდა, საქათმეში რომ შეიძარება და ფრთხილად მიიპარება, ვითომდა სასეირნოდ გამოვსულვარ და აქაურთა ასავალ-დასავალი რაში მეკითხებაო.

თანამოკალმის შერისსვა, ალბათ, გარკვეულ სიამოვნებას ანიჭებდა, რაც საგულდაგულოდ იყო მიჩქმალული ოთხიბიანი, წელზე გადმოფენილი ხალათის ქვეშ განაბულ გულში.

თვალს გულგრილად შეავლებდა ხოლმე უმცროს კოლეგას და თითქოს ნიშნისმოგებით უქმნებოდა: აბა რა გეგონა, ძამია, რომანის წერა ეგრე იოლი რომ იყოს, როგორც შენა გონია, ყველა დაწერდაო; ლექსი სხვაა და პროზა სხვაა, შეუა უზის დიდი მზღვარიო.

სხდომის თავმჯდომარემ, ორჯერ თუ სამჯერ, გრიგოლ აბაშიძის ნაცვლად, წარმოთქვა „გრიგოლ რობაქიძე“ და გაოცებული გამოცოცხლება გამოიწვია დარბაზში. მოგეხსენებათ, რომ საქართველოდან უცხოეთში გადახვენილი ქართველი მწერლის სახელი აკრძალული იყო ჩვენში და მისი ხსენება, რასაკვირველია, კრიმინალს უდრიდა.

რით უნდა იისნას სხდომის თავმჯდომარის ასეთი თავგანწირვა?

ეგებ იმით, რომ მას ვალი ედო რობაქიძისა, რომელიც აქამდე ვერ გადახესადა და, ბუნებრივია, სინდისი ქერწინიდა?

დაახლოებით ოცდაათი წელიწადი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ეს ვალი დაედო. ოცდაათი წლის წინათ, ვიდრე გერმანიაში გადაიხვეწებოდა, ქართული მწერლობის ოქროპირმა, მისთვის ჩვეული პათოსით, საკრამენტული ფრიზი ისროლა: „დემნას ხილვა აქება!“

ბატონო გრიგოლ, ასეთი რა იხილაო? — მოწინებით ეკითხებოდნენ ოქროპირს, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

ქების მეტი რა მოუსმენია სხდომის თავმჯდომარეს,



ალექსანდრე ბანძელაძე
ილუსტრაცია „ლაშარელას“ პირველი გამოცემიდან

მაგრამ რობაქიძის ნათქვამს სხვა მადლი პქონდა, სულ სხვა ეშხი დაპკრავდა, ზეციდან მოვლენილი დიაგნოზივით უდერდა, ყოველგვარ ამქვენიურ ჯილდოს აღემატებოდა. ხილვა აქვს, ხილვაო. მოდი და აღტაცებით ნუ აენთები!

ქართველ მწერალთაგან არავის ლირსებია ესოდენ უნიკალური პანეგირიები.

მას შემდეგ სხდომის თავმჯდომარეს რობაქიძის გვარი დღენიადაგ უტრიალებდა თავში. სახელი „გრიგოლი“ მარტონდენ რობაქიძის ასოციაციას იწვევდა. „იმელის“ დარბაზში, ვთქვათ, გრიგოლ რობაქიძის რომ გამოჩენილიყო, იმასაც, ალბათ, რობაქიძე მოიხსენიებდა.

ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლაფსუს ლინგვა“, მისდაუნებურად ანტისაბჭოთა ეპატაჟივით რომ გაისმა „ლაშარელას“ საჯარო განხილვის დროს.

აი, ასე გადაუხადა ვალი უცხოეთში გადახენილსა და სამშობლოში აკრძალულ მწერალს; ექვე მისი ხმისა მთელ საქართველოს მოედონ და შიშნარევი ჩურჩულით იმეორებდნენ: გრიგოლ რობაქიძე ახსენა, გრიგოლ რობაქიძეო!

ისე, კაცა რომ თქვას, უკვე გამართლებული პქონდა მოძღვართმოძღვრის დიაგნოზი. ხილვა აქვსო და თავისი მგზნებარე წარმოსახვით ისეთი რამ იხილა, რაც სხვას არავის დასიზმრებია. ხილვა პქონია და მერე როგორი!

1944 წელს გამოაქვეყნა მშვენიერი, გულის ამაჩუცებელი მოთხოვობა „მერხეული“, სადაც დაწვრილებით გადმოგვცა, თუ როგორ იხსენებდა თავის უმანკო ბავშვობას მშობლიურ სოფელში მცირე ხნით ჩასული „ქართველი ხალხის საამაყო შვილი“. ვაგლახ, ეს რობაქიძეს რომ წაეკითხა, ვინიცის, ეგებ უკან წაელო თავისი საკრამენტული ფრაზა.

მუსიკის და ფრონტი

დღევანდელმა მკითხველმა შესაძლოა იფიქროს, რომ „იმელის“ შენობაში გამართული სუსხიანი განხილვა გრიგოლ აბაშიძის რომანისა იყო ხელისუფლების მიერ ინსპირირებული აქცია და, საერთოდ, ისტორიულ თემატიკას მტრულად უყურებდნენ საბჭოეთში, განსაკუთრებით კი საქართველოს გმირული ისტორია არ ეხატებოდათ გულზე.

ამგვარი შეხედულება გარკვეულ სიმართლეს შეიცავს. ვთქვათ, რედაციაში რომ მიიტანდი ლექსსა თუ მოთხობას, უმაღვე გეეკითხებოდნენ, თანამედროვე თემაზეა თუ ისტორიულზეო. როცა პირველს იტყოდი, სახე გაებადრებოდათ, მეორეს კი უკმეხად ხედებოდნენ. თანამედროვეობის ამსახველი, თუნდაც უხეირო, მასალა ერჩივნათ თუნდაც მასალი დონის ისტორიულ მასალას. მაგრამ ისტორიული თემატიკა, რასაკვირველია, აკრძალული არ ყოფილა.

იოსებ გრიშაშვილის ცნობილ ლექსს („მეისტრორიევ, წიგნი დახურე, გეყო წარსულზე თქმა ამაყური...“), ერთგვარად, პროგრამულიც შეიძლება ვუწოდოთ, თუმცა გადამჭრელ სიტყვას ამბობდა დრო-უმი. წყეული წარსულის (ახლოსა თუ შორეულისა) გმიბა უფრო ოცან-ოცდაათიან წლებში იყო გაჩაღებული, მაგრამ დიდი მოის სუნი რომ იყნოსეს, ხელისუფლების პოზიციაში ფერი იცვალა (ინტერნაციონალიზმიდან — პატრიოტიზმისაკენ). იქმნებოდა ისტორიული რომანები, იღებდნენ ფილმებს პეტრე პირველსა და ივანე მრისახანზე. ბუნებრივია, რომ მათი წყალი საქართველოსაც გადმოესხა (გაგანია მოში ჭიაურელის „გიორგი

სააკაძე“ მოგვევლინა ორ სერიად). დაწესდა ორდენები — სუვოროვის, კუტუზოვის, ბოგდან ხმელინიცვისა. ამბობდნენ, რომ რიგში დავით ალმაშენებელიც იდგა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში რატომლაც გადაიფიქრესო.

ახლა საგამომცემლო სტატიისტიკასც გადავავლოთ თვალი.

1945 წელს მოსკოვში (ცხადა, რუსულ ენაზე) გამოქვენდა კონსტანტინე გამასახურდისას „დავით ალმაშენებლის“ პირველი ტომი, ხოლო „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოქვენდა იმავე მოსკოვში ხუთჯერ (1944, 1956, 1961, 1963, 1991 წლებში).

არც გრიგოლ აბაშიძეს დაპკლებია სათანადო პატივი. ისტორიული რომანები „ლაშარელა“ და „დიდი დამე“ გამოქვენდა მოსკოვში სამოცდაათაზო წლების დამდეგს, მისივე თხზულებათა კრებული (ისტორიული ტრილოგიითურთ) სამ ტომად — სამოცდაათაზო წლებში და ისტორიული ტრილოგია ცალკე — 1982 წელს.

მოდი და ამის შემდეგ ვამტკიცოთ, საქართველოს ისტორია გულზე არ ეხატებოდათო.

რაც შეეხება „ლაშარელას“, რომანის სულისკვეთება, თავისდაუნებურად, თითქოს ემთხვეოდა საბჭოთა იდეოლოგიის პოზიციას ისტორიის მიმართ, მაგრამ ხელისუფლებისათვის, ალბათ, მანც გაურკვეველი იქნებოდა, მხარი დაეჭირათ თუ გაჩუმებულიყვნენ. ეტყობა განსაჯეს, ჩიტი ბდელვნად არა ლირსონ და საზოგადოებას დაუთმეს ვერდიქტის უფლება. ვგონეც, ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა იდეოლოგიურ ფრონტზე, როცა ხელისუფლება მდუმარე მოწმის როლს ირჩევდა (ე.წ. „დათბობის“ კეთილსიმყოფელი სიო უნდა იყოს).

საზოგადოებამ კი აიღო და თავისი ბრჭყალები გამოაჩინა. გამოირკვა, რომ მწარე სიმართლე მხოლოდ ხელისუფლებას როდი სქულდა, საზოგადოებაც იმავე პლატფორმაზე იდგა. სხვათა შორის, „იმელის“ ტრიბუნიდან „ლაშარელას“ გმობდნენ არა ხელისუფლების ნაფიცი ტრუბადურები, არა-მედ ისინი, ვინც, ასე თუ ისე, ცდილობდა გამიჯვინდა აფიციალურ იდეოლოგიას (ფრიად მჭევრმეტყველი ფაქტია, რომ ცამეტი წლის შემდეგ „ლაშარელა“ სასტიკად გააკრიტიკა და პირველი განქიძების ატმოსფერო გააცოცხლა ჩვენში უპირველეს დისიდენტად და პატრიოტად შერაცხულმა კრიტიკოსმა, რომელიც პარტიის კარნახით კი არ წერდა, არამედ — თავისი კრიალა გულის კარნახით).

ერთი სიტყვით, საზოგადოებამ ჩინებულად მოირგო რეჟიმის მანტია და წარმატებით განახორციელა მისი ფუნქცია. რეჟიმმა კი, პილატეს დარად, ხელები გადაიბანა, მე არაფერ შეუაში ვარო.

ოფიციოზი და ფრონტიდა, ამ შემთხვევაში, ერთნაირად აზროვნებდა. ტკბილი სიცრუის აპოლოგია ბოლშევიკებს არ მოუგონიათ.

„იმელის“ დარბაზს, ორი დღის განმავლობაში, განაგებდა მისი უდიდებულესობა მკითხველის წერილიც პარტიის კარნახით კი არ წერდა, არამედ — თავისი კრიალა გულის კარნახით.

საკუთარ ტყავზე იცველია

(კიდევ ერთი გადახვევა, ამკერად ტრაგიკომიკური)

ისტორია მეორდება და მეორდება.

* ამ ჩანართის გაჩენა როსტოკის ჩეიქიძეს უნდა უმადლოდეს და მადლობას ვუხდი მეგობრული თანადგომისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდო-
მაა. განიხილავენ იაკობ გოგებაშვილის საისტორიო ნარკ-
ვევს (საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ (იგულისხმება ულუ-დავითი, ძე ლაშა-გიორგისა).

მთავარი გამგეობა გადაწყვეტს: მიენდოს შიო არაგვის-
პირელს მოლაპარაკება იაკობთან, რათა უხერხული ადგი-
ლები თავისი ნარკვევში თავისივე ხელით ამოშალოს.

მთელი გამგეობა ერთსულოვნად გამოიტქვამდა კრიტი-
კულ შენიშვნებს დასახელებული ნარკვევის მისამართით.

როსტომ ჩეხიძე ასკვნის: „თუ უხერხულად მოეჩვენებო-
დათ რამე გამგეობის ჩეგრებს, ეტყობა, სწორედაც ეს — დე-
დოფლის პორტრეტი არ ეჭაშნიებოდათ“ (ე.ი. რუსუდან თა-
მარის ასულის მიერ თავისი ძმისნულის, ზემოხსენებული და-
ვით ლაპას ძის მოკვდინების მცდელობა) და დასძენს: „იაკო-
ბი რომ ისტორიულ მატიანეს ეყრდნობა და ის ჯოვანეთური
ცილისნამება თვითონ არ მიუწერია დედოფლისათვის?“

რიტორიკული შეკითხვაა, თითქოსდა ბუნდოვანი იყოს საქ-
მის არსი, მაგრამ იქვე განმარტავს: „იაკობს ედავებინ იმას, რა-
საც თვითონ ნაედავებოდა ივანე ჯავახაშვილს, მოცულა რომ
ჰქონდა და პოლემიკის გაგრძელების საშუალება მისცემოდა“.

მოუცდელობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ პოლემი-
კის გაგრძელება ნეტავი ვინ აუკრძალა?

კარგი კი იქნებოდა, ყველა გადაუდებელი საქმე გაზი გადა-
ედო და შთამომავლობას ხომ დარჩებოდა გაგრძელება მეგო-
რულ ორთაბრძოლისა დედაქონისა და ქართველი ერის ისტორი-
ის ავტორთა შორის. ღმერთმა უწყის, რომელი აჯობებდა...

აი, მართლაც რომ ბედის ირონი! იაკობ გოგებაშვილმა, ე.წ. „ადვიკატური ისტორიის“ ბაირახტარმა, საკუთარ ტყავ-
ზე იწვნა მისთვის ესოდენ ძვირფასი დოექტორინის მასზე არა-
ნაკლებ თავგამოდებულ ქომაგთა ბასრი ბრჭყალები. სად გა-
გონილა, შეინ გალესილი დანით შენვე გამოგრძელ ყელა?!“

რალა უნდა ექნა? აიღებდა და შეთხზავდა სიკვდილის პი-
რას მისული რუსუდან დედოფლის მიერ თავის გაუგონარ
ცოდვათა მონანიებას. და ვერავინ დაუმტკიცებდა, ამგვარი
რომ გამორიცხული არისო. მაგრამ როცა ტკბილი სიცრუის
ადეპტები სანდო საისტორიო წყაროებში შემონახულ მასალას
უარყოფენ და მწერლის მიერ იძულებით შეთხზულს გულში
ისუტებენ — მართლაც სასაცილოა, სატორალი რომ არ იყოს!

დიახაც, ათასი უამთააღმნერელი და ათი ათასი იბნ ალ-
ასირი (სწორედ ეს ორი ვაუბატონი გვაუწყებს რუსუდან
დედოფლის აუგს) რომ მოეწიათ „იმელის“ დარბაზში „ლა-
შარელას“ ავტორის შესანერნად, ისინიც ამაოდ დაშვრე-
ბოდნენ და ბედნიერი მკითხველი ხელების ფშვნეტით
იტყოდა: საწუს არს ესეო.

...გარდა სადღეგრძოლოსი

ხშირად მსმენია, საქართველოს ისტორია კონსტანტინე
გამსახურდის რომანებმა შეეგაყვარათ. სხვისა რა მოგახ-
სენოთ, მაგრამ ჩემთვის, ვიდრე „ქართლის ცხოვრებას“ და
ივანე ჯავახაშვილს მივადგებოდი, გამსახურდისა გარდა,
გრიგოლ აბაშიძე იყო მეგზური ჩეგენს წარსულში სამოგ-
ზაუროდ. დალმდე ზეპირად მასხვეს, სტროფები მისი პოემიდან „გიორგი
მეექვე“. ასე მაგალითად: „ქარვის კარებთან მიწყდა ჩურ-
ჩული, დუმილი დადგა წინანდებური, ჩაფიქრებული და მო-

ღუშული ტახტზე მდუმარედ იჯდა თემური“.

ერთი კალმის მოსმით ცოცხლდება ოდინდელი სურათი
და ლამის იმ კარავთან წარმოიდგინო თავი, სადაც „კოჭლ
ვეფხვად“ წოდებული მპრძანებელი ზის, წარპი შეუკრავს
და საქართველოს მეფის ელჩად მოსულს მკვახედ ეკითხე-
ბა: „ეგებ არ იცი, აქ რა ეწერა? — თავად დაწერა ჩემმა მარ-
ჯვნია“ (ასე დამამახსოვრდა).

პატრიოტული პირბადით აღჭურვილი წინაპართა უპა-
ტივმცემლობას უკიუწნებდნენ დადებულ ქართველ პოეტს,
რომელიც წერდა: „თემურ, შენ იყავ შეშლილი ხარი, შენს
ნაძოვარზე ბალახი გახმა, შენ მაინც გძლია ვენახის მხა-
რემ, შენ მაინც გძლია ქართველმა ხალხმა!“

ანდა: „თავგმიძელებულს თათრის ბეგარით, გაალმასე-
ბულს სპარსთა ულელით, ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთა-
რი, სუფრაზეც იჯდა ჯავავგაუხდელი“.

ან კიდევ: „როცა სამშობლო იყო მთლიანი, როცა ცხოვ-
რება ჰქონდა სვიანი, ჩევენს დროშას ერქვა გორგასლიანი“ (შემთხვევითი როდია,
რომ საპჭოთა საქართველოს ჰიმნის ტექსტის თანაავტორი
გრიგოლ აბაშიძე გახლდათ).

წარსულისადმი უდიერ დამოკიდებულებას საყვედუ-
რობდნენ იმ კაცს, ვისაც სატრიფისთან პაემაზეც კი არ
შორდებოდა „ქართლის ცხოვრების“ მოლანდებანი და ასე
მიმართავდა თავის მომავალ მეუღლეს: „ვეფხზე უწყალოვ,
ჯიქზე უწყალოვ, შენა ხარ ჩემი ჯიგდა-ხათუნი“.

„ვეფხისტყაოსნის“ ალუზიებთან ერთად („ვეფხი პირგა-
მეხებული“ და „უწყალო, ვითა ჯიქა“) გამოკრთება ჯიგდა-
ხათუნი — ეს ხომ სახელია ულუ-დავითის პირველი ცოლისა,
წარმოშობით მონლოლი რომ იყო და, ალბათ, ისეთივე თვა-
ლის ჭრილი ამშვენებდა, როგორიც — ქალბატონ ლამარას.

„...იმელის“ შაშინდელი სპექტაკლიდან თვალნათლივ
მაგნდება კულუარებში აბობორებული ფრიად დარბაი-
სელი კაცი (რას დახატავდა ჩოხა-ხანჯალი!), დაბეჯითე-
ბით რომ ამბობდა: ეს წიგნი ცეცხლშია ჩასაგდებიო. მოკრ-
ძალებით გავუბედე: მაშინ „ჯაყოს ხიზნებიც“ მიაყოლეთ-
მეთქი. პასუხად უაპელაციო განაჩენი მივიღე: დიახაც, ყვე-
ლაზე ადრე სწორედ ეგ არის დასაწვავიო.

მიხეილ ჯავახისგილი ახალი რეაბილიტირებული იყო.

გაივლის ოცდახუთი წელინადი და რეჟისორი თემურ
ჩეხიძე, რომელმაც „ჯაყოს ხიზნების“ სატელევიზიო დადგ-
მა განახორციელა, ქართული გაზეთის ფურცლებიდან
გვამცნობას: „იმდენი აგრესია, რაც „ჯაყოს ხიზნებიც“ მომი-
ტანა, ცხოვრებაში არ მიწვნევია. ტელევიზიაში რვა ათა-
სამდე წერილი მივიდა. ხალხი საქართველოდან ჩემს გასახ-
ლებას, ხოლო ჯავახისგილის წიგნების საჯაროდ, ლენინის
მოედანზე, დაწვას ითხოვდა“.

მორალური აუტოდაფე აღარ აკმაყოფილებდათ.

უამთააღმნერელი თუ არა, „ბედნინერი ერის“ ავტორი ხომ
მაინც სმენათ, მაგრამ ჩევენში, არცთუ იშვიათად, იღიასგან
მხოლოდ ის ნებავთ, რაც მათ გულსა და გონიერებას ესალბუნე-
ბა. უფრო კომფორტულია, რომ მარტოოდენ სახელი იქმა-
რონ — სადღეგრძლებისათვის. და საერთოდ, სადღეგრძლები
მავანთა და მავანთა საყვარელი უანრია. პოეზიასაც ურჩევ-
ნიათ და პროზასაც. სწამთ, რომ ყველა უანრი მოსახუენია,
გარდა სადღეგრძლებისი. ღმერთმა შეარგოთ!

P.S. საკმაოდ ვრცელ გამოხმაურებაში გრიგოლ აბაში-
ძის წარმოუთქმელ სიტყვაზე კრინტი არ დამიძრავს თავად

„ლაშარელას“ ავ-კარგის შესახებ, ვინაიდან ეს რომანი უჩე-
მოდაც არაერთხელ გაურჩევ-გამოურჩევიათ, ქებაც უთქ-
ვამთ და ძაგებაც არ დაკლებია. რას ლალადებენ წყაროე-
ბიო — „ლაშარელას“ ავტორმა დაწვრილებით აუხსნა მისი
რომანის მაძაგებელთა გუნდს და აბა მე რაღა დამრჩენია?
მაგრამ, ორიოდე სიტყვით მანც, ხაზი მინდა გავუსვა გრი-
გოლ აპაშიძის პირველი რომანის უპირველეს ლირსებას.
ჩემი აზრით, XX საუკუნის ქართველმა მწერალმა ილია ჭავ-

ჭავაძის მიერ „მეფეთა ცხოვრებად“ მონათლული „ქართ-
ლის ცხოვრება“ ახალი ფერბით გაამდიდრა, ლაშარელას
დრამატულ სიყვარულთან ერთად მისი ქვეშევრდომის
დათრგუნულ სიყვარულსაც მიაპყრო მზერა და დაგვიხატა
მიზიდველი პორტრეტი ალალმართალი ქართველი ვაჟკა-
ცისა, სოციალური ჩაგვრის მსხვერპლი რომ გამხდარა ბიბ-
ლიური ურია ხეთელივით. ოღონდ, მისგან განსხვავებით,
ბრძოლას უცხადებს ამქვეყნიურ უსამართლობას. მწერა-

ექსპრეს-ინტერვიუ

ლევან ლორია

„გათენდა? ეს უკვე პარგია...“

- თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვება?
- როცა საყვარელი ადამიანი, ურომლისოდაც სი-
ცოცხლე ვერ წარმოგედგნა და ვისაც გუშინ შეხაროდი,
დღეს შენს გვერდითაა და ვერ ცნობის...
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ზღვის ნაპირას, ლამაზ ბარში და იქვე ცას აწვდილ
მთასთან, ანუ საქართველოში...
- რა არის უმაღლესი ბეჭნიერება?
- სამშობლო და ახლობელი ადამიანები კარგად რომ
გყავს, დილით სამსახურში რომ გიხარია წასვლა და საღა-
მოს სახლში დაბრუნება და დამე, დაძინების წინ რომ დარ-
დობ, რა წუთები უნდა გადავყარო ახლა ძილში, ნეტა მალე
გათენდეს...
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- დაჩი — ოტიას „დაჩის ზღაპრებიდან“, დათა თუთაშ-
ხია — ჭაბუასი, ალექსანდრო — გურამ დოჩანაშვილის „სა-
მოსელი პირველიდან“, ქან ვაღანი — პიუგოს „საბარალო-
ნიდან“, ლევინი — ლევ ტოლსტიოს „ანა კარენინადან“...
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი...
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ფალიაშვილი, ლალიძე, გერშვინი...
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამა-
კაცში?
- სიმამცეს, სიკეთეს და ერთგულებას...
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულებას და მომხიბლველობას
- რომელი ადამიანური სათონებაა თქვენთვის უფ-
რო მომხიბლველი?
- თავმდაბლობა და სიკეთე
- თქვენის საყვარელი საქმიანობა?
- ფიქრი.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ
ყოფილიყავით?
- ისევ მე-დ დავრჩები...
- თქვენი ხასიათის მთავარ თვისება...

- მჯერა ადამიანების.
- რას აფასებთ ყველა-
ზე მეტად მეგობრებში?
- მეგობრობას.
- თქვენი ხასიათის
მთავარი ნაკლი?
- მჯერა ადამიანების.
- თქვენი ნარმოდგე-
ნა ბეჭნიერებაზე?
- ეს კითხვა აშკარად
მეორდება... (იხ. ზემოთ)...
- პასუხიც მეორდება...
- რა იქნებოდა თქვენ-
თვის ყველაზე დიდი უბედურება?
- იმედის დაკარგვა...
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- იღლიანი.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ცისარტყელას შვიდი მთავარი ფერი ისე უხდება ერ-
თმანეთს, ვერცერთს ვერ გამოვყოფ, ერთფეროვნება მო-
სახყინია — ყველა ფერი მიყვარს.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?
- მინდვრის ყვავილები.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- შეშვი და საერთოდ მგალობელი ფრინველები.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ფუმბაძე, დოჩანაშვილი, იოსელიანი, ამირეჯიბი,
ჩხეიძე, მარკესი, პიუგო, რეზარკი...
- თქვენი საყვარელი პოეტება?
- რუსთაველი, გალაკტიონი, ტიციანი...
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ანა-მარია — დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი-
დან“, ხატია — ფუმბაძის „მე ვხედავ მზედან“, რემედიოსი
მარკესის „მარტოობის ასი წლიდან“...
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- დედაჩემი და მამაჩემი...
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- თამარ მეფე, მაია წერეთელი...
- საყვარელი სახელები?
- თალიკო, ვაჟა, ასმათი, ნუგზარი (ჩემი მშობლები და
და-ძმა)...
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ლალატს და უზრდელობას.
- ისტორიული პირვენება, რომელმაც თქვენი ზიზ-
ლი დაიმსახურა?



— ყორდანაშვილი.
 — საომარი მოქმედება თქვენი აზრით, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
 — დიდგორის ამი
 — რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
 — დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყანდიდელის მიერ განხორციელებული რეფორმები საერო და სასულიერო ცხოვრებაში.
 — ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
 — ნინასნარმეტყველების ნიჭი, მაგალითად ამოვიცნო ლოტოს ხუთი ციფრი მაინც.
 — როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
 — არ ვიტყვი... მიქელ-გაბრიელს მაგის სწავლადა აკლია, თითქოს და ისე არ მოვა... ერთი ანერთობის არ იყოს, „გაუნათე, ხო, გაუნათე!“ ხოდა მცც არ გავუნათებ და საერთოდ: „სიკედილის ყველა კარი ჩარაზეთ!“
 — თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ვფიქრობ და ვწერ, ანუ კარგად ვარ!
 — ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
 — როცა გგონია კარგს აკეთებ, არადა ცუდი გამოდის, ოლონდ მთლად იმ დათვივით არ უნდა მოგივიდეს, ბუზს რომ კალვადა და პატრიონიც მიაყოლა ზედ!
 — თქვენი დევიზი?
 — „გათენდა? ეს უკვე კარგია...“ — „ჰოპლა, ჩვენ ცცოცხლობთ!“
 — თუკი ოდესმე შეხვდებით ლმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის ეთქვა?
 — როცა ამ კითხვამ დამაფიქრა, უფრო ის პასუხი ამოტივ-ტივდა, რას არ ვისურვებდი, რომ ეთქვა. ლექტორი მახსენდება ერთი, თუ ცუდად ვაბარებდით გამოცდას, გვეჩებებოდა: არ დაფიქრებულხართ, იქნებ და სხვის ადგილს იქტერთო, ხიდა ვისურვებდი ეს არ ეთქვა — ორანით არ გავესტუმრებინე ანუ. მე კი მადლობას ვეტყვოდი რომ მნახა და კიდევ ვეტყვოდი მადლობას, რომ ის სასნაული მანახა, რასაც სიცოცხლე ქვია.

როგორ ვკითხულობთ კლასიკას

გია არგანაშვილი

ხევისპერი გოჩას ამპავი ავტორისთვის სიტყვა-სიტყვით უმბრია მოხუც მოხევეს ლინჯა ხულელს.

ამის შესახებ თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი წერდა. აქ, რა თქმა უნდა, გადამეტებულია მინიშნება „სიტყვა-სიტყვით“, ისე კი არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ ნათქვამის სიმართლეში ეჭვი შეიტანოთ, რადგან ამ ისტორიის ხალხური ვერსიებიც არსებობდა და ღინჯა ხულელიც რეალური პიროვნება იყო. მის პორტრეტს ავტორი „ელ-გუჯაში“ გვიხატავს: „... ეს იყო მთაში განთქმული მეფეანდურე და ჭუამახვილი, გრძნობით სავსე მოლექსე, მაშა-სადამე, ყველასგან პატივცემული და საყვარელი სტუმარი. ტყბილი მოსაუბრე, ამაღლებული გრძნობით ალსავსე, მოაზრებული ლინჯა ყოველი სიმის ჩაკვრაზედ ფანდურს ისეთ სხისა აღებინებდა, რომელიც კაცს გულს უწურავდა, ურუანტელს აღუძრავდა და ოფლს დაასხამდა“.

ასეთ კარგ შთხრობელს მართლაც შეეძლო დრამატული ამბის შესაბამისი განცდა ეგრძნობინებინა მკითხველისათვის.

მაინც რა უამბო ლინჯა ხულელმა ალექსანდრე ყაზბეგს?

ამის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. ჩვენი მსჯელობა იმ ფოლკლორულ ჩანაწერებს ეყრდნობა, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის კრებულშია (1965 წ. „საპჭოთა საქართველო“) შეტანილი.

აქ სამი ვარიანტია წარმოდგენილი. მესამე ვარიანტის (მთქმელი აბრამ ოდიშვილი) ხალხურობა ნაკლებად დამა-

ჯერებელია, რადგან ის თითქმის მთლიანად იმეორებს ლიტერატურულ ვერსიას (მხოლოდ პერსონაჟთა სახელებია ფოლკლორული მასალიდან აღებული). გარდა ამისა, აბრამ ოდიშვილ თავს ყაზბეგის მწყვმსობის ამხანაგად აცხადებდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი მონათხრობის თავდაპირველი საფუძველი სწორედ ლიტერატურული ტექსტი იყო.

დანარჩენი ორი ჩანაწერის მიხედვით, ონისეს (განისეს) გუგუა (გაგაი), ძიძიას (მათიკოს) ქმარი, ჰელავს.

გამოდის, რომ ხევისპერი გოჩას მიერ საუთარი შეილის მკვლელობის ვერსიას არცერთი ფოლკლორული ვარიანტი არ იცნობს და ეს ძნელადსაალსარებო ცოდვა მთლიანად ავტორის ნებაზეა.

საერთოდ, თავის მოთხოვნებში ალექსანდრე ყაზბეგი თითქმის ყოველთვის ამძიმებს სიტუაციას. ამას პერსონაჟთა „თვითნებური მოქმედებაც“ ეძატება, რასაც ავტორი, მკითხველთან ერთად, შორიდან ადევნებს თვალს და აღტაცებას ვერ მალავს, თუ როგორი ისტატობით, საყოველთაო წესისა და რიგის დაურღვევლად, სძლევენ ისინი ავტორის მიერ შეენილ ხელოვნურ წინაღმდევობებს.

ალექსანდრე ყაზბეგი თითქმის არ ჰქმნის ლიტერატურულ ტიპებს. მისი პერსონაჟები საკუთარ გარემოს მოწყვეტილი ბიბლიური, უფრო ხშირად კი ლიტერატურული გმირები არიან, რომელიც დროისა და სიტუაციის შესაბამისად იცვლიან სახეს ისე, რომ ხანდახან მათი ცნობაც კი გვიჭირს.

როგორ ვკითხულობთ პლასიკას

ამ მხრივ არც „ხევისბერი გოჩაა“ გამონაკლისი. თუმცა, ვიდრე მოთხოვობის პერსონაჟებს გავეცნობით, ხევის სამართლზე უნდა ვისაუბროთ.

თემის მართლმსაჯულებას ხალხის მიერ არჩეული კაცები (მსაჯულები, ხევისბერი) ახორციელებენ, ხოლო ხალხი, როგორც ღვთის უზენაესი ნების (ხმა ღვთისა და ხმა ერისა) გამომხატველი, იმავდრულად განაჩენის აღმსრულებელიცაა. რადგან თემს არა ჰყავს სასამართლოს გადაწყვეტილების აღმსრულებელი (ჯალათი), სასჯელის ფორმაც (ჩაქოლვა, მოკვეთა) მისი აღსრულების შესაძლებლობას (კოლექტიური ქმედება) ითვალისწინებს.

მსაჯულთა საბჭო (ხევისბერთან ერთად) ისმენს მოწმეთა ჩვენებას, მსჯელობს დანაშაულის გარემოებებზე და უფლებას აძლევს დამაშავეს თავი იმართლოს.

უმაღლესი მსაჯული, ხევისბერი საბოლოო განაჩენს აცხადებს და თემისაგან მისი აღსრულების თახმობას ითხოვს.

თუ თემი არ ეთანხმება მსაჯულთა გადაწყვეტილებას, მაშინ ხალხის ნება იმარჯვებს და არ არსებობს მართლმსაჯულების უფრო მაღალი ინსტანცია, სადაც დამაშავე განაჩენის გასაჩივრებას შეძლება.

ამ წესის მიხედვით ასამართლებენ „ხევისბერ გოჩაში“ ორ ოსასა და გუგუსას, ოსების დანაშაული აშკარაა. ისინი ხევის წინაშე დალატს აღიარებენ და მზად არიან ახალი დანაშაულიც (ხევისბერზე თავდასხმა) ჩაიდინონ, თუ ამის საშუალება მიეცემათ.

გუგუსა არ უმტკიცდება დანაშაული (პროცესზე ის დუმილის უფლებას იყენებს). თუმცა ეს ხელს არ უშლის საბჭოს, ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს და მოხევე თემიდან მოიკვეთოს.

გუგუსა მიმართ განაჩენის გამოცადებამ მაპროცეცირებელი გარემო შექმნა ნამდვილი დამაშავის გამოსავლენად. საბჭოს წინაშე აღიარებითი ჩვენებით უმაღლესი მსაჯულის შვილი გამოვიდა. თუმცა ონისეზე ჯერ არაფრი გვითქვამს...

ვინ არის ონისე და რა ბრალი მიუძღვის მას ხევისა და თემის წინაშე?

ონისე გავლენიანი, შესაბამისად მდიდარი ოჯახის შეილია. თანატოლებისგან ის ჩაცმულიბითაც გამოირჩევა, რადგან მისი ტანსაცმელი მთლიანად ოქრო-ვერცხლითაა შეჭედილი.

გამორჩეულობა ძნელად სატარებელი ტვირთია მთაში (იქ დღესაც საწყევარ სიტყვად ითვლება — გამორჩეული). გარეგნული ბრწყვიალება კი ერთადერთი როდია, რაც მას, მამისა და ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით, უპირატესობას აგრძნობინებდა სხვების წინაშე. დაუმსახურებელი უპირატესობის განცდას კი შეუძლებელია ონისეს ხასიათისთვის თავისი კვალი არ დაეჩინა.

გავიხსენოთ მისი მდგომარეობა ძინიასთან შეხვედრის წინ:

„...ონისეს კი რომ ქორებრივი თვალი გაეყარა ვისთვისმე განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის მის თვალებსაც ელგარება პქონოდა, ტუჩებს მიმზიდველობა, ლოყებს სიყმანვილის ელფერი და გულს სისხლის ამაჩუხეჩუხებელი ძალა“.

ონისეს გული თავისუფალია. ამ ახალგაზრდა კაცს ხევში თავისი სწორი და ფერი ვერ უნახვს და, სიყვა-

რულს მოწყურებული, ახლა მხოლოდ შესაფერის ობიექტს დაეძებს...

და სულერთია, თუ ვინ იქნება ის?!

მკითხველისთვის ამგვარ საორგოფო მდგომარებაში ჩავარდნილი ონისე, ბუნებრივია, პირველივე შესაძლებლობას იყენებს და რანამს ძინიასთან მარტო რჩება მარხილში.... აღარ გვიკვირს, ასე იოლად რომ დაიწყო მათი ურთიერთობა.

ონისეს სიტყვა-პასუხში (ხაზუასთან) იგრძნობა ერთგვარი ქედმაღლობა და თავმომწონება თავისი ვაჟაცობის (თუ მდგომარეობის) გამო: „ვინც მაგას ანყენიებს, იმას ჩემთან ექნება საქმე და ღვთის მადლმა ჩემთან მასარაობას კი არცვის ვურჩევ“.

მიუხედავად ასეთი ქადილისა, მან ვერ შეძლო ძინიას დაცვა. ქალმა ტრაგიკულად დასარულა ცხოვრება. ონისე გახდა მიზეზი მისი უბედურებისა...

თუმცა ხასიათის ეს თვისება ნაწილობრივაც ვერ ავსებს ონისეს პორტრეტს, მაგრამ სრულიად შეიცვლება სურათი, თუ ვიტყვით, რომ ბედისწერის ჩაკეტილ წრეში კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გრძნობადი პერსონაჟი ტრიალებას...

მკითხველს შევახსენებ, რომ რუსთაველის შემდეგ ქართული ლიტერატურა არ იცნობს ონისესავით გახელებულ მიჯნურს.

თუმცა მარტო შეხსენება არ კმარა. მკითხველიც თუ გაიზარდებს ამ მოსაზრებას, იმის ახსნაც მოგვიწევს, თუ რას მატებს ონისეს სახეს რუსთაველის პერსონაჟთან მსგავსება.

იცვლება ხედვის წერტილი. განუზომლად იზრდება მოქმედების მასშტაბი. საკაცობრიო სიმაღლემდე ადის ხეობაში ვერდატეული ადამიანური ვნება და შვიდსაუკუნვანი წყვეტის ფონზეც აშკარად იგრძნობა დაკარგული პარმონის ძიების სურვილი.

„ონისე ოხრავდა, ქმნავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომსავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად“.

ასეთია ტარიელივით ველად (ფშავში) გაჭრილი, შინაგანი წინააღმდეგობით სავსე ონისეს სულიერი მდგომარეობა.

სამუხაროდ, ონისეს არ გამოუჩდა კაცი, რომ ხელი ჩაეჭიდა და სამშვიდობოს გაეყვანა. ორი სხვადასხვა ეპოქის შედარებითი ანალიზი უსამართლო საზოგადოებრივ გარემოში ადამიანის უპერსპექტივო ყოფასაც აჩენს. ეს ინვეს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებისთვის დამასასიათებელ ტრაგიზმს როგორც ტექსტის შიგნით, ისე მის გარეთ, ავტორთან დამოკიდებულებაში.

თუმცა ეს უფრო ვრცელი თემაა...

ონისეს დანაშაულებათა ნუსხა ასე გამოიყურება — ხელისმომკიდეობის იმსტიტუტის შეურაცხყოფა, სხვა კაცის ცოლთან სამიჯნურო ურთიერთობის გაბმა და საკუთარი მოვალეობისადმი ღალატი, რამაც ქვეყნისთვის საგანგებო სიტუაციაში (მიმი) ადამიანების მსხვერპლი გამოიწვია.

ონისე თავგანირვით ცდილობდა დანაშაულის გამოსყიდვას (პრძოლის ეპიზოდი). სასამართლოზე კი, სადაც გუგუსა მკაცრი განაჩენი გამოუცხადეს, სინდისის მხილებას ველარ გაუძლო და თავის ბრალზე აღაპარაკდა:

— „...რაიღა დავმალო?.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კი-
სერზედა. ჩემი ბრალია მათი განყვეტა...“

არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები,
საბჭოს გუგუასთვის მკაცრი განაჩენი რომ არ გამოეტანა.

თუმცა ყველაფერი საათივით აეწყო და ქართული ლი-
ტერატურის ისტორიას მართლაც საინტერესო ფრაზა შე-
ემატა, რომელიც ყველა დროში უსამართლობის მიმართ
პროტესტად ხმიანდება:

„— შესდეგ! ხევისბერო! გუგუა მართალია!“

ონისემ აღიარა დანაშა-

ული. საძიებო და გასარკ-
ვევიც აღარაფერი დარჩა.
სასამართლოს შეუძლია
განაჩენის გამოსატანად
გავიდეს. თუმცა მანამდე
მამის სახე უნდა დავინა-
ხოთ, რომელიც ჯერ გონიე
არ მოსულა და ერთიანად
აცახცახებული ყველებით
მიმართავს შვილს:

„— მაშ ეგრე გაიგონე
ჩემი დარიგება? წყეულიმც
იყავ, ყველასგან მოძულე-
ბულო, დედ-მამის საფლა-
ვიდან ამომგდებო!.. რა
სასჯელი არის, რომ შენ გა-
დაგინყვითოთ!..“

მანც რომელ დარიგე-
ბას ახსენებს მამა შვილს?
რომელს ანიჭებს ამ შემთხ-
ვევისთვის უპირატესობას?
გოჩას დიდაქტიკური მო-
რალი, რომლითაც ის თავი-
სი შვილის აღზრდაში ხელ-
მძღვანელობდა, ხომ ერთ
ფრაზაში ეტევა:

„— ვინძლო, ქვეყანა არ
გააცინო!“

ვინძლო, სალექსოდ არ
გაეხადა ონისეს საქმე...

ონისემ კი ქვეყანა გააცინა. სალექსოდ გაიხადა საქმე,
არა თავისი გაუფრთხილებელი საქციელით, არამედ თა-
ვისი უუნარობით, შებრძოლებოდა იმ გრძნობას, რომელ-
საც ერთნაირად უშლიდა როგორც საღვთო, ისე საზოგა-
დოებრივი მორალი.

სწორედ ეს აშინებდა გოჩას.

ხევისბერმა კარგად იცოდა, რომ ეს ბრძენი ხალხი,
თავგანწირული მხედრობა, ხეალ მოყავანე, მოლიზღარ
ბრბოდ გადაქცეოდა და ხევისბრის ოჯახს თვალიდან
დირეს ამოაცლიდა.

ხალხს უფლება ჰქონდა დაეცინა გოჩასთვის, რომელ-
მაც საკუთარ ოჯახში ვერ შეძლო თავისი მორალის გან-
ხორციელება, რასაც მთელ თემს ასწავლიდა და მოძღვ-
რავდა.

ონისემ კაცობა შეირცხვინა. ჩვენ ვიტყვით, რომ მან
ვერ გაუძლო სიყვარულის ყოვლისმომცველ ძალას, ხალხი

კი უფრო უბრალოდ განმარტავს, — ონისე საკუთარ სურ-
ვილს დაემორჩილა, ონისემ საკუთარ „ქეიფზე“ იარა...“

მამა შვილს აყვედრის ყველაფერს, რაც კი ოდესმე
მისთვის გაუკეთებია. თუმცა, კი კითხვა: „რა არის სასჯე-
ლი, რომ შენ გადაგიწყვიტოთ“, — მაინც რიტორიკულად
უდერს, კონკრეტულად არავის მიემართება და პასუხსაც
არავისგან ელის...“

თუმცა ხევისბერის კითხვა მთლად უმისამართოც არ
არის. ის მიმართავს უზენაესს, რათა შთაგონოს საკუთარი
ნება. ის, რასაც ხევის მშვი-
დობანობა მოითხოვს. მო-
ხუცი პასუხს იღებს და მსა-
ჯულებს უფლის ნებას უფ-
ლისვე სიტყვებით ამცნობს:

„მოძმეთა სისხლი ცაში
ღმერთს შესჩუხუებს და
სამართალს ითხოვს.“

მკითხველს „დაბადები-
დან“ გაახსენდება ღმერთის
სიტყვა კაენისადმი:

„აბელის სისხლი ცაში
შემომჩუხუებს და სამარ-
თალს ითხოვს...“

ალექსანდრე ყაზბეგის
შემოქმედებაში ძალუმად იგ-
რძნობა ბიბლიურ ტექსტებ-
თან სიახლოვე. თუმცა ეს
გავლენა იმდენად ორგანუ-
ლია, რომ მკითხველს უჭირს
გამყოფი ხაზის მოძებნა,
სად მთავრდება ბიბლიის
ციტირება და სად იწყება
მწერლის შემოქმედება.

ხევისბერი ონისეს დანა-
შაულს კაენის ცოდვას ადა-
რებს, ღვთის სიტყვებს იმოწ-
მებს და მსაჯულებს მკაცრი
განაჩენის მიღებისაკენ მოუ-
წოდებს:

„გადასწყვიტე, თემო!“ — მიმართავს საბჭოს.
ხევისბერი დარწმუნებულია, რომ საბჭო გაუძლებს მისი
ავტორიტეტის სიმძიმეს და მოძმეთა დალვრილი სისხლის
წილ სამართლიან მსჯავრს დადებს სასწორის მეორე მხარეს.

ონისეს აღსარებიდან ყველაზე მეტი გოჩა (და გუგუამ) მეტყო.
ის დარწმუნდა, რომ ონისეს დანაშაულის მიზეზი
სწორედ მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება
გახდა, რის შესახებაც ყოველთვის აფრთხილებდა შვილს:

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი ტანჯვისათვის
არის გაჩენილი“.

მართალია, ონისეს თემი არ გაუყიდია, — ეს გოჩამაც
იცის, მაგრამ ნამუსი დაივინყა, — ეს კი მხოლოდ გოჩამ
და გუგუამ იციან.

რა იცის თემის მისი შვილის დანაშაულის შესახებ? მხო-
ლოდ ის, რაც ონისემ თვითონვე აღიარა: „რაღა დავმალო?
მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზე, ჩემი ბრალია მათი განყ-
ვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა.“

როგორ ვკითხულობთ პლასიკას

ამის ცოდნა კი სრულიად საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ მსაჯულებმა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოიტანონ.

„კარგა მღელგარებისა და ჩიჩქოლის შემდეგი“ — ამბობს ავტორი და იგულისხმება, რომ ამ ნის მანძილზე ხევისძერი მორჩილად ელოდა გადაწყვეტილებას, ხოლო მსაჯულთა საბჭო მსჯელობდა და საბოლოო სიტყვის სათქმელად ემზადებოდა.

და აი, თემის თაგნი მიუხსლოვდნენ გოჩას:

„გოჩა! შენს შევის ხევი არ გაუყიდინა... მხოლოდ ყმან-ვილკაციას გაუტაცნა და თავდავიწყებაში ჩაუყდია...“

ახლა ყველაზე საინტერესო გოჩას პასუხია, მაგრამ ერთი წუთით გავაჩეროთ კადრი და იქვე, სამსხვერპლოზე, დასაკლავი ცხვარივით მორჩილად მდგარ ონისეს შევ-ხედოთ.

თუ მკითხველს შეუძლია მისი სახის წარმოდგენა, მას არც იმისი მიხვედრა გაუჭირდება, რას ჩაიდგნა ინისე იმ შემთხვევაში, თუ ხევისძერი მსაჯულთა გადაწყვეტილებას დაეთანხმება.

პირდაპირ ვიკითხოთ, ეყოფოდა ვაჟკაცობა ონისეს, რომ თავისი შერცხვენილი სახელი, გუგუას მსგავსად, სისხლით გამოეყიდა?

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ვიდრე გოჩა სიტყვებს დაეძებდა თავისი მრისხანების გამოსათქმე-ლად, სიუჟეტის ამგვარად გაგრძელების ალბათობა მა-ინც არსებობდა, რადგან ახლა ონისეს სულიერი მდგომა-რეობას ყველაზე ზუსტად ეს სიტყვები ამჟღავნება:

„...უფალი დიდი ყოფილა!... დღენი მომენამდა, სიცოცხლე გამიშავდა, გულში მეტი შხამი ჩაესხა... დავდიოდი, ვჭამდი, გსვამდი, მეძინა, თუ მეღვიძა — ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მნარედ მეჩვენებოდის... წყალ-ტიალას რაღამ შეუცვალა გემო? მზისთვის ვერ შემიცე-რია, მთვარესთვის ვერ მიმზედნია, მრცხვენის... მრცხვე-ნოდის... ჩემი ჩრდილის დანახვაც კი მარცხვენდის...“

თუმცა, ეს მონოლოგი „სხვა“ ონისეს („მოძღვარი“) ეკუთვნის, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებისთვის შემთხვევითი არც სახელების დამთხვევა და არც და-ნაშაულის სიმძიმის ქვეშ გასრუსილი ადამიანის ხევწნა-მუ-დარა, ხსნის ერთადერთ გზად სიკვდილი რომ დაუსახავს:

— „მომკალ, მომკალ! — დაიძახა იმან გახარებულმა და მკერდი უფრო მეტად გადაინია“.

თუ ეს სურათი ბუნებრივად არ ჯდება ამ მოთხოვნის ფინალში, იმის თქმა ხომ თამამად შეგვიძლია, რომ სასა-მართლოს მოედანზე, სადაც ორი სიმართლე (თემის და ხევიბერის) დაუპირისპირდა ერთმანეთს (როსტომ ჩხეი-ძე, „ყაზბეგიანა“), ინისე მამის მხარეს იდგა.

მაშ ეს მსაჯულები რას მიედებ-მოედებიან? რა ყმან-ვილკაცობა, რის თავდავიწყება, ინისეს საქციელმა ამდე-ნი თანამოძმის სიცოცხლე შეინირა და საბჭოს წევრები მის გამართლებას აპირებენ?

განა ამას ელოდა ხევისძერი, როცა თვითონ განზე გადგა (რადგან ინტერესთა კონფლიქტი არ აძლევდა უფლებას სასამართლო პროცესი მონაწილეობა მიეღო) და დამნაშავის გასამართლება მსაჯულებს მიანდო?

იქნებ მართლაც ასე ფიქრობს თემი? იქნებ ყმანვილ-კაცური გატაცება და ამის გამო თავდავიწყება (თავის და-

კარგვა) მართლაც შემამსუბუქებელი გარემოება კაცის-თვის, ისეთი მძიმე შედეგის შემთხვევაშიც, როგორიც ადამიანთა მსხვერპლია?

ნაკლებად სავარაუდოა. ონისე რომ ხევისძერის შვილი არ ყოფილიყო, საბჭო ალბათ უფრო მკაცრ განაჩენს გა-მოიტანდა დამნაშავის მიმართ. სამართლიან მსჯავრს კი იქნებ დაემშვიდებინა კიდეც მოხუცის სინდისი.

ონისეს დანამაჟულის ყმანვილაციობით გამართლება, რაც ხევის მშვიდობიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზ-ნად, მდგომარეობის განმუხტვის ყველაზე უსუსური მცდელობა იყო მსაჯულთა მხრიდან. სწორედ მათმა გა-დაწყვეტილებამ აიძულა ხევისძერი თავად გამოეტანა მსჯავრი და თავადვე განეხორციელებინა.

როდესაც დავით ნინასნარმეტყველის შვილმა აბესა-ლომმა მამას და ქვეყანას უღალატა, ჯარის უფროსმა იოაბამმა, მამის თხოვნის მიუხედავად, აბესალომი მოკლა.

ხევის მსაჯულებმა კი ვერ გაბედეს იოაბამის საქციე-ლის გამეორება. თუმცა ამას მამა, ხევისძერი, ითხოვდა:

„მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუვა... ინისე ეხლავე მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა!“

აპა, მამისა და უმალესი მსაჯულის საბოლოო სიტყ-ვა. იქნებ ახლა მაინც მიხვდნენ მსაჯული, რომ ვერც ხე-ვის სამართალს გამრუდებენ და ვერც ხევისძრის სახელს შეურაცხყოფენ ასე ადვილად...

მაგრამ მსაჯულები მხოლოდ გოჩას დამშვიდებას ცდილობენ.

მსაჯულები თავს არიდებენ მძიმე პასუხისმგებლობას და უკვე აშეარად ღალატობენ თავიანთ მოვალეობას.

უმრავლესობის მხრიდან მოვალეობისადმი თავის არიდება ცალკეული ადამიანებისგან თავის განირვას ითხოვს.

ახლა გოჩამ უნდა განიროს თავი, რათა თემის უპასუხის-მგებლო საქციელი საკუთარი თავგანწირვით გადაფაროს.

— გოჩაუ, — სცადეს მოხუცის შეყენება...

გოჩა გაცეცხლებულია, კიდევ უფრო მეტად მსაჯულ-თა საქციელით...

— უნდა მოკვდეს, შეუბრალებლად...

დრო აღარ ითმენს, კიდევ მცირედი დაყოვნება და ტრაგედია შეიძლება ფარსად იქცეს.

„და თუ თქვენ ვერ გაგიძებით სამართლიანად მოიქ-ცეთ... მე მიყურეთ...“

მსაჯულებმაც ნახეს, რომ გოჩამ ის გაბედა, რაც მათ ვერ გაბედეს. თემმა თავისი გაუბედაბით ხევისძერი დაღუპული თანამოძმების, შერცხვენილი გვარის და ოჯახის, შეურაცხყოფილი მამის შერისმანიებლად აქცია.

მოხუცის შეჩერება ვერავინ შექლო.

აქვე შევნიშნავთ, რომ არც ინისეს უცდია მახვილის არიდება.

იღუპება ონისე, გოჩა, ძიძია, გუგუა...

რჩება თემი და მისი რჩეული ნარმომადგენლობა (ბო-მონდი), რომელიც მანამდე ამჟღავნებს ბელადისადმი პა-ტივისცემას, ვიდრე ის საბედისნერო ზღვარს გადალა-სავს, ვიდრე ის ქვეყნის სასაცილო გახდება, რათა შემდეგ ისეთივე ნარმატებით დააყაროს თავზე ნაცარი, როგორც მანამდე გუნდორუქს უკმევდა.

გოგი ჩაგელიშვილი

პოთი

ხვად ლომს, რომელიც ზოოპარკში დაიბადა, სიყვარულით ბოთე დაარქევს. ბითე ზორბა და ლამაზი ლომი იყო. ოთხ კედელში გამომწყვდებული ბოთე სულ არ გრძნობდა თავს ტყვედ, თავისუფლება არც არასოდეს ენახა, ფიქრობდა: „ასეც არის სამყარო შექმნილი“. არც მნახველები უძლიდნენ ბალანს, თუ არ ჩაგროვებით ერთი-ორ ონავარ ბიჭს, ზედამხედველებისგან მაღლადად კენჭებს რომ ესროდნენ. ბოთეს ორი თახი ეკავა: ზამთრისა და ზაფხულის. მაისი რომ დგებოდა, ბოთეს საზაფხულო თახ-გალიაში გისოსებთან მინილის უყვარდა თვლემა, განსაკუთრებით, თუ ასალი ნავახში გახლდათ; მარჯვენა თათს გისოსებს გარეთ გამოჰყოფდა. ასაქს მიტანებული მომვლელი ქალი ელიკო, მუდამდღე რომ მწვანე ხალათი ეცვა და ხელში ცოცხი და აქნდაზი ეჭირა, ბოთეს გალის წინ ხშირად ჩერდებოდა, გისოსებიდან გამომვერილ თათზე სიყვარულით ეფურებოდა; ხანდახან ბრჭყალებს შორისაც ჩაფხანდა, რაც მეტაც სიმოვნებით ბოთეს. ამის შემყურე ერთი-ორგანულ სცადა მომვლელისთვის მიებაძა, განსაკუთრებით — ნასვამმა მამაკაცებმა, ლვინის სუნით რომ ყარდნენ. გაბრაზებულმა ბოთემ თავხედებს კუნალამ ხელი მოაჭამა. ამის შემდეგ ბოთეს გალის თავზე ფირნიშანი ჩამოჰყიდეს: „ახლოს მისვლა სასტიკად აკრძალულია!“

ბოთე თავისი სიდიდითა და სილამაზით ბევრ მნახველს იზიდავდა. სიამოვნებით კოტრიალობდა ფოტოობიექტივის წინ, სამაგიეროდ, მისი მეზობელი, მოუსვენარი მელაკუდა, ფოტოაპარატის ნათებასა და წაკუნუშე გალიაში სირბილს ინყებდა. ბოთეს უყვარდა მთენარება, რასაც ხშირად ყურადღებისთვის ღრიალსაც მიაყოლებდა. ზოოპარკის ნალინ-ფრინველი გაყუჩდებოდა, გაინაბებოდა. ეს სიამოვნებდა ბოთეს: ამით ამტკიცებდა თავის მეფურ ძალაუფლებას. არ უყვარდა უძვლო აქოთებული ხორცი. ბეჭის ძვალს თათებში მოიცევდა, კმაყოფილი, კბილებით აგლეჯდა რბილ ნაჭრებს. ამ დროს კუდის ბოლოს ფუნჯივით შეკრულ ბალანს ბუზების მოსაგერიებლად იქნევდა. ბევრი იყო ზამთრის ულიმლამო დღეები. გალიიდან, მთასავით მოძრავ სპილოს თავის გარდა, ვერაფერს ხედავდა, ზაფხულობით კი ფართო სივრცე და ბევრი გალია მოჩანდა, მათ უკან — მრავალსართულინი სახლები და ლურჯი ცა. მერე იქით რა იყო, არც არასდროს დაფიქრებულა ამაზე ბოთე, სამყარო მისთვის სწორედ იქ მთავრდებოდა, სადამდისაც მისი თვალი სწვდებოდა.


ერთ მშვენიერ დღეს წვეროსანი ახალგაზრდა კაცი დიდხანს შეყვონდა ბოთეს გალიასთან. მას თან ახალგაზრდა ქალბატონი ახლდა.

— საცოდაობაა ასეთი ლამაზი ლომის გისოსებში გამომწყვდევა, — თქვა კაცმა შეწუხებულმა და თავის ქნევას მოჰყვა.

ქალი ბოთეს უყურებდა და ისიც სინანულს გამოთქვამდა. ბოთემ ყურები ცეკვიტა, კიდევ უფრო გაინია მათვენ, გისოსებს ლამის აეკრა.

— ნახე, რა ზორბაა, რა ლამაზი ფაფარი აქეს, ის ტყეში თავისუფლად უნდა დანაგარდობდეს! დასავლეთის ქვეყნებში სხვანაირი ზოოპარკებია. ადამიანებს გისოსებიან მანქა-

ნებში სვამენ და ისე ათვალიერებენ ბუნებაში თავისუფლად მოკუნტრუშე ცხოველებს. ასეთი ლამაზი ლომი გამოუკეტიათ მტკაველის ოდენა ფართობში. ამას ხომ ლომობა დაკარგული აქვს. იქ ლომებს სხვანაირად უბრწყინავთ ბეზვი, ყოველდღე ახალ ხორცის მიირთმევენ; სიმწვანეში დანაგარდობენ, სძინავთ ყვავილებში; ჩვენსავით ქმნიან ოჯახებს; ეს უბრდური კი გამოუკეტიათ ასანთის ხელა ყუთში, ალბათ მეგობარი ლომი არცა ჰყოლია. ეს დანაშაულია! სქესუალური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებობა აპოროტებს, ადრე კლავს ცხოველებს.



დიდხანს იდგნენ წვეროსანი კაცი და ახალგაზრდა ქალბატონი ბოთეს გალიის წინ.

— საცოდაობაა, საცოდაობა, როგორ ულმერთოდ ტანჯავენ ცხოველებს! ადამიანებს ჰყონიათ, რომ მათ არ ესმით ჩვენ. ისინი ყველაფერს გრძნობენ, შესაძლოა — ჩვენზე მეტადაც.

ცოტა არ იყოს, მათმა საუბარმა ბოთე გააბრაზა: „ქალიც მყავს და შვილებიც!“ თუმცა, თავისი შვილი ბოთეს თვალითაც არ უნახავს. ბოთეს გვერდით გალიაში მცხოვრები ძულომი პუნა გაახსნდა. გარკვეულ დროს პუნას მის გალიაში შეუშევდნენ. ბოთეს სიამოვნებით გააურჯოლა, თუმც წვეროსანის საუბარმა ჩააფირა.

იმ დღიდან ბოთემ ყველაფერზე ცხვირი აიბზუა: არც საჭმელი მოსწონდა, არც ელიკოს თათზე მოფერება; სიზმრები მოეძალა. მამა და დედა თვალით რომ არ უნახავს, ახლა სიზმრებში ეცხადებოდნენ. სიმწვანე... ფერადი ყვავილებით მოჩითულ მინდორს ლამაზი პეპლები თავს ევლებიან... ნაირ-ნაირი ჩიტები ურიამულით ხებს იცვლიან... ბალახის სასიამოვნო სუნი, ანკარა, მოჩუხებუჟე ნაკადულები... სუფთა წყალს ენაფება — სვამს და სვამს... ო, რა ბედნიერება! ბოთეს დილა შეჯავრდა. თითქოს თვალები აეხილა: ერთფეროვნება, მოსაწყენი გარემო ახლო შეამჩნია. არაფერი ახალი...

ბოთე მოელი დღე იღრინება.

— რა დაემართა? — ეკითხებიან ელიკოს. გაკვირვებული ქალი მხრებს იჩეჩს.

წვეროსან კაცი ერთხელ კიდევ გამოჩნდა ქალთან ერთად — ეს მასალები უცხოეთში უნდა გავაგზავნოთ; აქა-იქ პლაკატები გააკრა, „თავისუფლება!“ — ყვიროდა. მერე ბოთემ ისიც დაინახა, რკინის ჩაფხუტიანებმა როგორ ჩასცხეს თავში რკინის ნიჩაბი წვეროსანს, მისი ქალც გაკოჭეს. მერე თითქოს ყველაფერი ჩაკვდა. რამდენჯერმე წვეროსანი კაცები გამოჩნდნენ, თოფებით დარბოლდნენ, მერე მათმა სტუმრობამ იკლ.

სადღაც შორს ჭექა-ქუხილი ისმოდა. ადამიანების ყვირილის ხმა ზოოპარკამდეც აღწევდა. მერამდენე დღეა უპატრონოდ მიტოვებული ნადირ-ფრინველი შემშილობდა.

წვეროსან კაცებს ქალები ეხმარებოდნენ. „თავისუფლება! დემოკრატია! — გაპყვიროდნენ, — გისოსები დავხ-

სნათ, ცხოველებმა მაინც უშველონ თავს! მწვანეთა პარტიას გაუმარჯოს“. ჭექა-ქუხილს წვიმა მოჰყვა, მერე, თითქოს მინა იძრო, საგნები ძიგიგებდა იმ დღეს.

ბოთეს გაუკვირდა, თავის გვერდით მელაკუდა რომ დაინახა — აქ საიდან გაჩნდიო.

— კარები ლიაა, ბა, ჩქარა, თავს ვუშველოთ! გზა მე ვიცი, იქ ბევრი ნაცნობი მყავს. შენ რომ აქ თვლეტმდ, მე იმათ-თან დავრბოდი!

— ეგ როგორ? — გაუკვირდა ბოთეს.

— მე შენ გჭირდები, შენ — მე, გზას ერთად ადვილად გადავიტანთ; ჭუა, ემმაკობა და ძალა — აი, ჩვენი იარაღი. იქ არაფერი გაგვიფირდება ანტილოპებისა და ირმების ჯოგები დადიან, ჩიტები ჩვენს ენაზე მღერიან... თავისუფლება! იკუნტრუშე შენს ნებაზე, არავინ ზედამხედველი არ გვეყოლება. ჩვენი სამშობლო იქ არის!

ბოთებმ პირველად დადო გისოსებს მიღმა თათი იმ მინაზე, სადაც პირველად გაახილა თვალი და ქვეყნიერება აისახა მის თვალებში. ადრე ნარმოუდგენელი იყო იმ ადგილას თათის დადგმა. თითქმ მუხლო მოეკვეთა, ხრტილებმა ღრტიალი ინყეს, ტანშიც შეაძიგიგა, მერე კუნთები დააბა, შეტორტ-მანდა, ტანი შეარხია, თითქმ გისოსებში ნამყოფ წლებს ჩამოიფერთხავსო. ბუჩქს გადაევლო, სივრცე იგრძნო...

— საზღვარი უნდა გადავჭრათ, იქით არ, მარჯვნივ, სადაც თოფანი კაცები არ ჩანან... — ბოთეს ყურთან ხვენ-შით ჩურჩულებდა მელაკუდა.

თოფანი კაცებს გვერდი მაინც ვერ აუარეს, თუმც ისინი, გამწარებულება, თოფს ერთმანეთს ესროლენენ. არავის ეცალა ბოთესა და მელაკუდასთვის. სიარული ლამით სჯობდა. ტყე-ტყე მალულად ჰეკვადებნ კილომეტრებს. მელაკუდამ საიდნენაც ორი დედალი მოათრა. გაუცუტავად, ბუმბულიანად მიირთმევდა. პირველად ბოთებმ მელაკუდას პატიუზე ცხვირი აიპზუა. მერე შიმშილმა შეახსენა თავი. გზად რასაც მელაკუდა ჭამდა, ბოთეც მიირთმევდა. კვირაზე მეტი გავიდა გაქცევიდან, ბევრ დიდ ქალაქს გვერდი აუარეს. შემაღლებულ ბორცვზე ნამომჯდარ ბოთეს აინტერესებდა ხმაურიანი დიდი ქალაქების ჭვრეტა, თუმც, დიდახანს ვინ აცლიდა — აცქმუტებული, მოუს-ვენარი მელაკუდა ადგილიდან ნამოაგდებდა: აქ ვინმე კაცი თავს არ ნამოგვადგესო. ყველაზე მძიმე უდაბნოს გადაკვეთა იყო. ხახაგამშრალი ბოთე ძლივს მილასლასებდა. დღისით ჩრდილი ვერსად ნახეს, რომ მოესვენათ. ლამით მიდიოდნენ. მელაკუდა ვარსკვლავებს აკვირდებოდა და იმის მიხედვით იკვლევდა გზას. ტყეწვრილი რომ დაინყო, მოწუხჩუებ ნაკადულთან დალიეს წყალი, სულო მოითქვეს. ლამე მაინც ფხიზობდენენ: „აქ ყველაზე შხამიანი გველები იცის! — ბოთეს აფრთხილებდა მელაკუდა და მისინ კეკლუცად იქნევდა კუდს. — ალბათ ხვალ, გამთენისას, ჩვენ სამშობლოში ვაქენებით!“

იმ ღამეს ბოთეს არც დაუძინია: „ნუთუ ხვალ ვიქნებით იქ, იმ ადგილას, სადაც ჩემი ნინაპრები ცხოვრობდნენ, ჩემი მოდგმა თავისუფლად დასეირნობს?“

შუალამე იყო, სანატრელ ადგილს რომ მიაღწიეს. „ნუთუ იმ ადგილას ვარ, იქ ყოფნას რომ მსოფლიოს ყველა ნადირ-ფრინველი ნატრობს? იმ მინაზე მძინავს, სადაც ყველას შეუძლია თავის წარმოჩენა, ყველა საკუთარი თავის, საკუთარი ბედის პატრონია, სადაც გეძლევა ძალის დემონსტრირების საშუალება... დედამინაზე ყველაზე მდიდარი ადგილია, ტურისტები გისოსებიანი ავტომანქანებით დაჰყავთ, შემინებულები, უცქერენ ცხოველთა კუნტრუშს. კანონი

იცავს ყოველ ნადირ-ფრინველს, აკრძალულია მათ მიმართ რაიმე იარაღის გამოყენება“.

ტკილო ოცნებებში მყოფ ბოთეს ჩაეძინა...

სიზმარი ნახა: ირმები, ანტილოპები, ჟირაფები, ვეფხ-ვები, ლომები, მაიმუნები, კამეჩები, ბეჟემოოთები, ნაირ-ნაირი ფერისა და ფორმის ფრინველები... ჩიტების გალობას ბანს ლომები აძლევდნენ. დიდი მწვანე ველი იმ ხალიჩას ჰყავდა, რომელსაც შორს, მრავალსართულიანი სახლის აიგანზე, ზაფხულობით გამოპფენებინ და მას გალიის გისოსებს შორის მაცქერალი ბოთე ხედავდა...

ბოთეს ადრიანად გამოელვიძა, ჯერ იძღვ ბნელოდა. ერთი სული ჰქონდა, მალე გათენებულიყო და არემარესთვის თვალი შეევლო. და აი, ნელა იწყო ნათება. მზემ სხივი ცას სტყორცნა, მერე შორს აზიდულ მთებს უწია. იხვები, ნეროები სერავდნენ ნინ ჰორიზონტს, სამკუთხედი შეეკრათ და სადლაც მიიჩქაროდნენ; ბუნებამ ნელ-ნელა მეფერადება დაიწყო. „რა სინცარეა“, — გაიფიქრა ბოთემ. უყურებდა უზარმაზარ ფერად პანოს და უკვირდა, დამის სიზმარი ცხადში როგორ აუხდა. მელაკუდა გვერდით მოსჯდომიდა, კამაყოფილი, ფუმტულა კუდს აქეთ-იქით ფერდებზე ირტყამდა: „აი, ხომ გეუბნებოდი! ასრულდა ჩვენი ნატერა: იმ ადგილას ვართ, სადაც მოხვედრას ყოველი ცხოველი ოცნებობს! თავისუფლება! თავისუფლება!“

მელაკუდა ნესტორებით ხარბად ისუნთქავდა დილის სუფათა ჰაერს; მისი საქციელი ბოთესაც გადაედო — გაუმძლობად ყლაპავდა ნადირ-ფრინველისგან ნაჯეგი, ნასკ-ლინტარი მინიდან ვარდნილ ოხშივარს.

მელაკუდა ყურები ცეკვიტა. ბოთეს ანშნა, მინაზე განერთხვეო. ანტილოპების ჯოგი ისე ახლოს მოსულიყო, რომ ბალახის ძოვის ხმა ბოთესა და მელაკუდას სმენაზე გამაღიზიანებდა მოქმედებდა.

ბოთეში რაღაც აეხოთ. ერთი მოზრდილი ანტილოპა ლამის თავს წაადგა, გრძნობდა მის სუნთქვას. უცნაური სუნიც იყონა. ასეთი სუნი ზომპარები შორიდან ნიავს მოჰეონდა. ახლა აქვე, თითქმის მის ცხვირ-პირთან, ანტილოპა გაშტერებული იდგა. მინაზე გართხმულმა ბოთემ ცოცვით გაინია ანტილოპებური. აი, საცა კბილებით სწვდება... მთელი კუნთები დაეხაბა, თითქოს დენი გაუტარეს სხეულშიო, შეიკუმშა, მერე ზამბარა-სავით გაიძალა, ანტილოპისენ გადახტა, მაგრამ ცხოველი ძალიან მკვირცხლი გამოდგა, განზე გახტომა მოასწრო. ბოთემ მეორე ნახტომის შესრულება ველარ შეძლო. თითქოს ნანილებისგან ანყობილი სათამაშო ლომი ყოფილიყო, ისე დაიშალა. შერცხვენილმა, ნელი მინიდან ძლივს ნამოსწინა.

იქვე ახლოს კუნძზე ნამოსკუპებული მელაკუდა თავს უკმაყოფილოდ აქნევდა:

— იჩქარე, იჩქარე! ახლა ის ჯოგი თვალსანიერზეც არ გაგიკარებს. სუფათა ჰაერი ატყუებს მონადირეს: რომ გვირნია, ახლა, ის შორს არის, ნისლში — პირიქით... თანაც შენ კუნთები გაუვარვებელია. სიცოცხლეს ადგილად არავინ თმობს.

მელაკუდას დარიგებები არ ესიამოვნა ბოთეს, თუმც ჩააფიქრო. პირველი ნადირობა ნარუმატებელი გამოდგა. ორივენი ფრთხილად დაუყვნებნ ჯაგიან დალმართს. მელაკუდა გზადა გზადა გზა ნადირობა დალმართს. ორი მოზრდილი თაგვი მიირთვა, ერთი თაგვი ბოთესაც შესთავაზა, მაგრამ მის გაბრაზებულ თვალებს რომ წაანდება, ნობათი უკინ დაიბრუნა.

— თუ გინდა, აქ გაძლო, დროებით ძველი სიდიადე უნდა დაივინყო, თავმოყვარებისაც უნდა გადაახტე.

ბოთე ცალყბად უსმენდა მელაკუდას დარიგებას.

გზად ლორს გადაეყარნენ. ისე ახლოს იყო, ბოთემ თათი მოუქნია. ლორი გვერდზე გახტა. კარგა ხანს უვლიდნენ წრეს ეკლიან ბუჩქს, ვერა და ვერ მისწვდა. ლორმა იქაურობა ჭყივილით აიკლი; კარგა მანძილით რომ დაშორდა, ქშენით შედგა და თავის მტერს გაკვირვებულმა დაუწყო ყურება. ბოთეს მოეჩვენა — დამცინისო, თუმცა გაკიდების თავი აღარ ჰქონდა, ისე იყო დალილი.

საღამოს მელაკუდამ ერთი კაკაბი მიირთვა. იმ დღეს ბოთე მშეირი დარჩა. შიმშილი და წარუმატებელი ნადირობა აღიზიანებდა, თან გრძნობდა: მელაკუდა აგდებულად უყურებდა.

მეორე დილა ისეთივე მშეიდი და ლამაზი გათენდა, როგორიც პირველი, თუმცა ბოთე მუცლის ბუყბუყმა გააღვიძა. შიმშილმა შეახსენა თავი.

მელაკუდა დამით გაბარულიყო. ბოთემ თავი უპატრონოდ იგრძნო. მელაკუდა ნერვებს კი უშლიდა, მაგრამ იმედი იყო. ახლა მიხვდა: ამ თვალუწვდენელ სამყაროში ნაცნობი რას ნიშნავდა.

ბოთე დილაადრიან ქვემოთ მიმავალ ბილიკს დაადგა, იქ ნადირი ნაკლებად იქნება, თავისუფლად მაინც ვიგრძნობ თავსო. ბილიკზე ნავის ჩონჩხივით ცისკენ აზიდულ კამერის ნეკნებს ორბი მისჯდომოდა და ხარბად ძიგნიდა ძვალს შერჩენილ მყრალ ხორცს. ბოთე ჯერ ფრთხილად მიუახლოვდა ნასუფრალს, მერე დაიღრიალა — ორბს დავაფრთხობო — და შეტევაზე გადავიდა. ორბი განზე გახტა, არც ისე შორს წასულა. მერე ისევ თავის ნაჯივები ხორცს დაუბრუნდა. ბოთეს აღარ უცდია მისი გაგდება. ორივენი ხედავდნენ, რომ საჭმელი ბლომად იყო.

თავიდან ხორცის სიმყრალემ ბოთეს კინალამ გული აურია, მაგრამ პირველი ლუკმის შემდეგ, მშეირს, კამერის ხორცი გემრიელიც ეჩვენა. სული რომ მოთქვა, ახლა შეხედა ფხიზელი თვალით თანამესუფრეს. „ეს ხომ ჩვენი მძრიდამია მაძლარა კოსტა ჩვენი ზოოპარკიდან!“ ორბმაც იცნო, თითქოს ჩაიხითხითაო.

— ბოთე, ისე გაგიჭირდა, რომ მძორს მიირთმევ?

ბოთეს შერცხვა:

— ხანდახან... — მერე ულვაში გაილოკა, მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი. ორბის მეუღლე კედელა გაახსენდა. კოსტასა და კედელას სიყვარულზე ზოოპარკში ხომ ლე-გენდები დადიოდა.

— შენი მეგობარი კედელა როგორ არის?

კოსტამ, თითქოს შეიცხადაო, ცრემლი წამოპყარა:

— ორი თვის წინათ აფთარმა შემიჭამა.

— ეგ როგორ? — გაოცდა ბოთე.

— გამოუცდელები ვიყავით, ახალი მოსულები. მშივრები, კამერის ლეშს წავაწყდით. ჭამა ცოტა მეტი მოგვივიდა. აბა, რა ვიცოდით ჯუნგლის კანონი. უკნიდან აფთარი წამოგვეპარა; მე გაფრენა მოვასნარი, კედელა ისე იყო გამძლარი, ფრენა ვერ შეძლო... ეჱ, აფთარმა კედელას გლეჯა რომ დაიწყო, რამდენჯერმე მივიტანე იერიშა, იქნებ პირიდან გავაგდებინო-მეთქ. სხვა აფთარებმა კინალამ მეც წამავლეს პირი. ძნელი ყოფილა ყურება, შენს მეგობარს როგორ ჰგლეჯენ, არადა, როგორ ჩსაოდა, საწყალი. ჩვენ ვის რას ვუშავებდით? არავის ვკლავდით, მხოლოდ ნასუფრალს, მიტოვებულს ვჯერდებოდით. მეგონა, ჩვენ მტრები არ გვეყოლებოდა. ძნელი ყოფილა უმეგობრიდ ყოფნა...

კოსტა ბოთეს დაპირდა, მძორს გაპოვნინებო. ბოთეს არც „პო“ უთქვამს და არც „არა“, დამცირებულად კი გრძნობდა თავს.

ფრთხილად დაეშვა ბილიზე.

„როგორ უნდა ვემალებოდე ან ვის ვემალები? ლომი ვარ!“ — საკუთარ თავს ტუქსავდა ბოთე.

უცებ ადგილზე შეხტა. ხმა, რომელმაც მის ყურამდე მოაღწია, შორიდან ნასროლ თოფის ჯერს ჰგავდა. ბახ-ბახ-ბახ! — ისევ დააყარა. კარგად მიაყურადა. თავს ზემოთ ხეზე შემოსკუპებული კოდალა შეამჩნია. გულდასმით დააკვირდა, იცნო მეზობელი კოდალა, ზოოპარკში კაკუნას რომ ეძახდნენ.

— ჰეი, — ჩაიხითხითა ბოთემ, — აქ რამ მოგიყვანა, კაკუნ?

— თავისუფლებამ, ჩემო ბოთე, თავისუფლებამ. ზოოპარკიდან ყველა დაითესა, მეც იმათ გამოვყევი. შენც ეგრეა არ მოხვდი აქ?

— საჭმელი ხომ ბლომად გაქვს? — შეეკითხა ბოთე.

— ეჱ, რა ვიცოდი, რომ აქ ყველა ხეს თავის კოდალა ჰყოლია. საჭმელი კი არის, მაგრამ სხვისთვის ვმუშაობ.

— მაშ, რითი ირჩენ თავს?


— აქაურ კოდალებთან ხელშეკრულება მაქვს დადებული: ხეთი ნაპოვნი ჭიდავ ერთი ჩემია, ოთხი — მაგათი.

— შენც ითხო შეჭამე, ერთი მიართვი.

— ეჱ, ჩემო ბოთე, ერთხელ ვცადე და მშეირი დავრჩი. აქ ხომ ყველაფერს აკონტროლებენ. შენ რითი ირჩენ თავს?

— ლორებსა და ანტილოპებზე ხადირობით, — აქ კი იცრუა ბოთემ; სინამდვილეში თხუნელებითა და თაგვებით გაპქონდა თავი.

ბოთეს სამი დიდი პრობლემა შეექმნა: ღამის მოსასვენებელი ადგილი, საკვების მოპოვება და აქაური ენის შესწავლა. ვერც წარმოიდგენდა, თუ დედამინის სხვადასხვა ადგილის ცხოველები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.



ნახატი ავტორისა

ერთ მშვენიერ დღეს კურდლის ხორცით დანაყრებული ბოთე ჯაგნარში ნებივრობდა. იმ დღეს ლომად იგრძნო თავი. ძალზე ახლოს ლომების ოჯახმა ჩაუარა, დედა ლომებს წინ ხვადი ლომი მიუძღვებოდათ, უკან ბოკვერები ერთმანეთთან ღლაბუცით მოსდევდნენ. რა ამაყად, ნებიერად მიდიოდა ოჯახი! ბოთე უკან ჩამორჩენილ ახალგაზრდა ძუ ლომს წინ გადაუდგა, გათამაშება სცად. ძუკნამ შეულრინა, მერე რაღაც ბეგერები გამოსცრა. ბოთეს მეხსიერებაში დარჩა წამით ყურებდაცქვეტილი ლომების ოჯახი. მერე ოჯახის უფროსები დაედევნენ... ალარაფერი ახსოვს, როგორ გადაცურა ნიანგებით სავსე მდინარე. კარგა მანძილი უკან მოუხედავად ირბინა. სამშვიდობოს თავი რომ დაალწია, მიწაზე კი არ წამოხვა, გაგორდა, სულს ძლივს ითქვამდა. მდინარის გადაცურვის დროს ერთ ნიანგს კბილი მაიც გაეკრა ბარძაყზე; სისხლის დენის შეჩერებას ლოკვით ცდილობდა.

თავზე სკვინჩა ჩიტება გადაუფრინა. ჩიტი მის წინ ხის ტოტზე ჩამოჯდა, დაბრული, თავს აქეთ-იქით აქნევდა. ბოთე კარგად დააკვირდა: „ეს ხომ ჩვენი წრიპაა!“ ზოოპარკში მას ასე ეძახდნენ.

— წრიპა! — დაუძახა, თან ეჭვით უყურებდა, ხომ არ ვცდებიო.

სკვინჩა ჩიტი ამ დაახებაზე შეხტა, მერე ბოთეს გადმოხდა. ორივე დიდად გახარებული იყო ამ შეხვედრით.

— აქ როგორ, საიდან? — უკვირდა ბოთეს.

— ზოოპარკის გალია მე ბოლომ დავტოვე. ჭორიკანა თუთიყუშმა მანანამ ჩემზე დადრე დატოვა გალია, მას თუთიყუში ბელა მიჰყვა; მერე — ორბები, არწივები, ყველამ დააღწია ტყვეობას თავი. ანაკონდა უშო ადიდებულ მდინარეში დაიხრიო; ტახი ნურის მწვადს რევოლუციონერები ორი დღე მიირთმევდნენ; ირემ დედოფალას ყელი გამოსჭრეს... ადამიანებს საკვების შოვნა ისე გაუჭირდათ, ყველა ცხოველ-ფრინველს ხოცავდნენ.

ბოთე ჩააფიქრა წაამბობა.

— წრიპა, აქ როგორ ირჩებ თავს?

— ეჱ, ჩემი ბოთე, რა ვიცოდი, თუ ასეთ დღეში ჩავვარდებოდი. ნიანგებს ვემსახურები — კბილებს უზრინებ, სარჩისაც იქიდან ვიღებ. უძილობისგან ლამის ტოტიდან ჩამოვარდე. ნუხელ ჩხრიალა გველს ძლივს დავუძვერი, კუდზე პირი წამატანა...

წრიპას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ადგილიდან მოწყდა; გამომშვიდობებაც ვერ მოასწრო — მდინარეში ახალნასადილე ნიანგებს პირები დაელოთ.

— ეჱ-ეჱ-ეჱ!.. — ჩაილაპარაკა ბოთემ. ცოტა ხნით მოგონებებში გადავარდა. თუთიყუში ჭორიკანა მანანაც აქ ყოფილა. ზოოპარკში რომ მიიყვანეს, ცხვირანეული იყო, ყველას დასცინოდა. გალიაში მთელი ფრინველობა თავის ჭეუაზე წაიყვანა; თავისუფალი სამყაროს ქებაში იყო: ედემის ბალია, ნადირ-ფრინველი თავისუფლად დანაგარდობენო, ადამიანები ხელიდან გაჭმევენ საჭმელს.

თუთიყუში ჭორიკანა მანანა ჭრელი, ფერადი ბუმბულით იყო შემოსილი, ხშირად ჩხუბობდა თუთიყუშ ბელასთან, რომელიც ერთიანად თეთრი იყო, აქა-იქ შავი წინწელებით.

თუთიყუში ჭორიკანა მანანა ბელას დასცინოდა — თეთრი და შავი ფერი არ არისო, რასაც ხშირად ერთმანეთის კორტნა მოჰყვებოდა. ზოოპარკში მათ საქციელზე მნაცველები — განსაკუთრებით, ბავშვები — სიცილით იგუდებოდნენ.

— ეჱ-ეჱ-ეჱ!.. — მერე ლრიალიც მიაყოლა ბოთემ. ცოტა შეშინდა, ვინმეს ყურადღება არ მივიქციოო, თუმც საკუთარი თავისა შერცხვა: „მე ხომ ლომი ვარ? წრიპა ჩიტმა ალბათ აქაური ენა აითვისა, ჩიტები ხომ მუსიკალურები არა-ან, მათ უცხო ენის ათვისება არ გაუჭირდებოდათ... ეჱ-ეჱ-ეჱ!.. სამყარო ლრმა ყოფილა და უფრო ლრმა, ვიდრე გისოსებში გამოკეტილი ვიფიქრებდი.“

ცოტა არ იყოს, ბოთე შეიფერთხა, ფაფარიც დაუთხელდა, ყველდღიური სარჩის შოვნამ დაღალა. ყველაფერს გაუძლებდა, მაგრამ აი, მარტოობა... მარტოობა ყოფილა ყველაზე ძნელი.

იმ დღეს ვიწრო ბილიკზე მგელს გადაეყარა; ბოთე დააკვირდა: „ეს ხომ წარბაა!“ — მგელს მარჯვენა თვალთან წარბი თეთრი ჰქონდა. ზოოპარკში ყოფნისას წარბას ბოთე ვერ იტანდა, უერც მის სუსნა. რამდენჯერ თავისი გალიდან მის მაცერალს უფიქრია: „ერთი ჩამაგდებინა შენი თავი თაოებში, წანილ-წანილ დაგბრდღვიდიონ“.

წარბა არც სხვა ცხოველებს მოსწონდათ მისი ამპარტავ-ნობის გამო, ყველას ზემოდან უყურებდა, ბევრის მომთხოვნი იყო. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, გალიას რომ უცვლიდნენ, გაპარვა მოახერხა, თან კუდრაჭა ტურაც გაიყოლია. მაშინ დიდი ამბავი ატყდა: გზები გადაეტეს, გაზეთები და ტელევიზია ახალ ამბებში ახსენებდნენ; ხალხს, განსაკუთრებით, ბავშვებს, სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ... ამბობდნენ, ჯუნგლებში ნათესავები გამოუჩნდა და თავს კარგად გრძნობს. აი, ახლა შემთხვევით გადანებდა მგელ წარბას, რომელმაც პირველ გვითომ ვერ იცნო, თუმც ინფორმაცია ჰქონდა, რომ ლრმი ბოთე აქ იმყოფებოდა.

წარბამ ისე ჩაუარა გვერდი ბოთეს, თითქო ვერ ამჩნევს.

— წარბა! — შესაბა ბოთემ, წინ გადაუდგა.

თითქოს ახლა შეამჩნია წარბამ ბოთე, გაიკვირდა:

— აქ საიდან გაჩნდი?

— იქიდან, საიდანაც ყველა გამორბის. შენ ხომ პირველი გამოიპარე.

სიტყვა „გამოიპარე“ არ მოეწონა წარბას.

— ჩემზე კიდევ ლაპარაკობდნენ?

— კი, სანაც გაიხსნებოდა კარები... ახლა ალბათ აღარავის ახსოვხარ.

წარბას ეწყინა, თუმც არ შეიმჩნია. ბოთეს წერილად გამოჰკითხა, რას აკეთებდა, მერე თავის ამბებს მოუყვა, რაც ზოოპარკიდან გამოიპარა, რა სინელებები გადახდა... გააფრთხილა:

— აქ ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს, ნურავისგან ელი დახმარებას. ადგილი გამოიცვალე, კიდევ ქვემოთ ჩაინიე; იქ საკვებით მდიდარი ადგილი არ არის, თუმც მეტი შანსია, კარგად იკვებო: ამ ადგილას მილიონზე მეტი ნადირ-ფრინველი მანც იქნება. კონკურენცია დიდია. უფრთხოლიდი ახალმოსულებს, თუმც მეგობარი, შეიძლება, მათვან უფრო იშლოვ. აქ დიდად ფასობს, თუ რაიმე გმირბას ჩაიდენ. ახლა მეჩქარება, ბიჭები სანადიროდ მივდივართ.

წარბა სწრაფად გასცილდა, ჩქარობდა, თითქოს შეეშინდა, ბოთეს არ ეთქვა, მეც თევენთან ერთად ვინადირებო.

მარტოდ დარჩენილმა ბოთემ მერამდენედ დამპირებულად იგრძნო თავი... თითქოს გულში უჩევლიტებმაც უმატეს. მიწაზე განვა, გაიტრუნა და პირველად იგრძნო თავით ყველა ავადმყოფობის შიში. თავზევით ყორნები

ჩხავილით დასტრიალებდნენ. სადღაც ბურქებში აფთორების სახეებმაც გაიღლეს... „უნდა წამოვდგე, ნაქცეულებს თავს ესხმიან... უნდა წამოვდგე!“ ძლიერს აითორია ტანი, შეიფერთხა და ეცადა, მძლავრად ელრიალა; ამჯერად გამოიუკიდა. „მე ხომ ლომი ვარ, არც ისე ბებერი!“ კიდევ დაილრიალა. „ძალის დემონსტრირება, აი, მთავარი!“ დამფურთხალი კურდელი ბურქიდან გამოვარდა, აღმა სერზე გაუტია; უკან არნივი და-ედევნა. „გაქცეულებსაც ერჩიან!“ — გაიფიქრა ბოთეტ.

მის წინ ჭანჭველების ჯგუფი რაღაც ლეშს შესეოდა. ბოთემ თათით გაფანტა წვრილი ნაწილაკები. სულ არ ანუ- ხებდა ლეშის სიძეველე. გაბრაზებულმა, ძვლიანად დატკევი- რა. მერე ხველა აუვარდა. სპილოს ნაფეხურიდან წყალი მოსვა. თვალზე რულიკ მორეოდა, იქვე მიიძინა.

ახალი ჩაძინებული იყო, მათმცნების ქოთქოთმა რომ გა-
მოაღვიძა — ერთმანეთში ჩხუბობდნენ, ვილაც უხილავ
მტერს გაურბოდნენ. ტანადაგრეხილი ხდან ავაზა ჩამოდიო-
და, პირში სიკვდილთან მებრძოლი ჭატარა მათმცნი ეჭირა;
მის ირგვლივ მათმცნები ყვირილით, ქოთქოთით აქეთ-იქით
აწყდებოდნენ, ავაზას ირგვლივ ტრიალებდნენ, თუმც ახლოს
მისვლას ვერცერთი ბედავდა. ავაზა ბოთეს თავს წაადგა, არ
ელოდა ამხელა ლომის დახვედრას. ბოთეს ღრიალმა შეძრა
ტყე. ავაზამ ნადავლს პირი გაუშვა და უკან დაიხია...

ბოთე კინაყოფილი იყო საკუთარი საქციელით. ცოტა სიმხნევე მოემატა. პირველად თამაბად, მეფეური სიდიადით დაადგა ხრიოკ, ქვან ბილექს, თათის დადებაზე რომ იფშვენებოდა. დიდი ტყივოლი არ უგრძევნა, როცა რაღაც ციხს, სლიპინაშვებო — თათით — თითქოს უჩქმიტესო. კლდის ნაპრალში ჭრელი გველი სისინით მიძვრებოდა. ბოთემ დიდი ყურადღება არც მიაქცია. თათზე სისხლი ძუნნად მოსდომდა. მთელი საღამო ილოკაცია. მერე ის ადგილი გაუსივდა. წამოდგომა სცადა, ნაბარბაცდა. პატარა გუბურამდე ხოხვით მიაღწია. გუბე ამოაშრო. ინვა, მძიმედ სუნთქავდა. თავი უბრუოდა, ირგვლივ გარე-მოს ბუნდოვნად ხედავდა. გაახსენდა მელაკუდას გაფრთხილება: „ავადმყოფობას ერიდე, არავინ გიშველის, არც არვინ გაპატიტებს“. რამდენიმე დღე ბორგავდა; სიზმარში დედა გამოეცხადა, რაღაცას ანიშნებდა; მერე — ზოოპარკის დამლაგებელი ელიკო... საიდანლაც ლომების ღრიალი ისმოდა...

შვიდი დღე არაფერი ეჭამა. ნელ-ნელა თვალი გახილა. ირგვლივ აფთრები ჭირისუფლებივით შემომსხდარიყვნენ. ერთი-ორმა სცადა ბოთესთან ახლოს მისვლა შესამოწმებლად, მოძარავდა ლომს წამოდგომა თუ შეეძლო. ბოთეს ბერთო იძვი ხანძარი უაწერა. კასტომა აოთოიში თავაორობო

და ისე ვათანგო მარტინ და კულტურული ცენტრის მიერ დაგენერირდა. ცენტრისა და კულტურული ცენტრის მიერ დაგენერირდა. სიარული რომ შექლი, ანტილოპას ლეშს გადამარტინდა. ორი დღე იმით გამოიკვება. უფრო ფრთხოლი გახდა, მისუს-ტებული; იმ ადგილს ამონწებდა, თათს სადაც დავამდა. ღა-მე უძილობა დასჩემდა, პატარა ჩქამზე კლიკიდებოდა.

ერთ უძილო დამესაც გადაწყვიტა, უკან, ზორპარკში დაბრუნება — ნორმალურად მანც ვიძინებო, თან სიბერეც ეპარებოდა. თავმოყვარეობის ბარიერი გადალახა, დამარტებული ბრუნვდებოდა ტყვეობაში. დაბრუნების გადაწყვეტილება რომ მიიღო, თითქოს უარო ჟანიერსად. მოხეტიალა

ძუენა ლომს გადაეყარა. „ნეტავ ადრე სად ჯანდაპაში იყო?“ თუმცა იმას თავისი ძველი მეგობარი მალე გამოიუჩნდა.

სულ სხვა იყო პოლონ დღე პოთესტვის, ჯუნგლებს რომ ტოვებდა — სევდაც იყო და სიხარულიც.

პირველად წვრილებება ნადირს გამოჰყვა, ისინიც ბო-
თეს გზას დასდგომიდნენ; მერე მარტო მოუწია იმ ქვეყნის-
კენ სვლა, სადაც დაიბადა.

ბოთე ვერც იხსენებდა, როგორ წამოეპარჩენ პოლიციელები, როგორ მოხვდა გალიაში...

ტკივილი...

თვალი რომ გაახილა, გალიაში იყო გამომწყვდეული. გალიას ბევრი ადამიანი შემოსეოდა, ყველა ცდილობდა ბოთეს დანახვას. ზორპარკის მომსახურე პერსონალი სკოლის მოსწავლე გოგო-ბიჭები იყვნენ, თაგვისფერი სკოლის ფორმა ეცვათ და წითელი ჰალსტუხები ეკეთათ. მათში გამორჩეულები ბრძანებებს აძლევდნენ ხელვეითებს. მოცვიდნენ ფოტოაპარატებით უურნალისტები, ისინიც სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ბოთეს სურათებს უღებდნენ და შეკითხვებს აძლევდნენ, როგორც ადამიანს.

„մարտլա տապուսութ դաքրնենդա?“ — Սպայրճատ շահնա-
լուստքեծ, Եցանցպեծի մալումալ րաձագրեծ օնիթնազծնեց.
Կցըլածից կալուան Ծղլացնամբցանեծի օքթոյրութծնեց: «Տագ
ոչո՞ւ ծոտց? Ոյ րաս նարմռածցնենդա? Ռութ օկցեցեծութա? Աո,
Չեռցելլացի ցըօդրնենդէնան, օյաշրո մագեռութլեծից
դացցութնենդէնան!..»

თუთიყუშ ბელას შესახებ ხმები დაირჩა: ვიღაც მოხუც ავადმყოფ ქალს შეუძენია, საძინებელში გალიაში უზის და ართობსო.

ლომი ბოთე ყველამ მიიღინყა. ზოოპარკს ახალგაზრდა ნაფირ-ფრინველით ავსებდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს დოკუმენტორმა და კიდევ ორმა გო-
გონამ ბოთეს გალიის წინ ასეთი საუბარი გააბეს.

— ამ ლომს ლომიბისა აღარაფერი სცხია: ბებერია, კბილები დასცვენია, ხორცის ჭამაც უჭირს... შესანახად ძვირი ჯდება.

— იქნებ სამუდამოდ დასაძინებლად ნემსი გაგვიკეთებინა?

ბოთეს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თვითონ არ შეეძლო ლაპარაკი — ეჭ-ეჭ-ეჭ!..

იმ ქალაქში მშენებლობის ბუმი გახდათ. ქალაქის ცენტრში ულამაზესი, ძვირადღირებული ნადირ-ფრინველთა ფიტულების ხეთსართულიანი შენობა წამოჭიმეს. ქვეყანას თავი მოჰკონდა თავისი ფლორითა და ფაუნით. მუზეუმის ცენტრალურ დიდ დარბაზში უზარმაზარი ლომის ფიტული დგას, წარნერით „ავრიკული ლომი“.

ეს ფიტული, თავისი სიდიდის გამო, გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშია შეტანილი.



ირაკლი კაკაბაძე

გესლანის პავმვეგი

შვილებს

დღეს პირველი სექტემბერია და
ისეთი ბუნებრივი,
როგორც მზის ჩასვლა და ამოსვლა,
ყვავილების გაშლა და ჭკნობა,
გახსნილი ჭრილობების შეხორცება
და როგორც სიკვდილი.
ეს სკოლის ზარი არ არის,
ეკლესიის ზარებია,
დედებმა გაგვალვიძეს ზაფხულის თამაშებიდან,
ხელი კი მამებმა ჩაგვჭიდეს ისე მკაცრად და
ისე ამაყად როგორც არასდროს.
სამსახურიდან ბაზარში გავლილმა მამებმა,
დამძიმებული ჩანთებითა და
თავში ათასგარი ფიქრით და ხარახურით.
დავტოვეთ საწოლებზე ღიმილმიმჭვნარი სათამაშოები,
ფანჯრებში პატარა დები და ქმები,
ბებიები, რომელებმაც თმები დაგგვარცხნეს და
შინიდან გამოსვლისას პირველი გადაგვსახეს,
ღმერთთან ან ჩვენს პირველ მასწავლებელთან შესახვედრად.
აი, ჩვენი ცარიელი და მდუმარე რვეულები,
აი, ჩვენი გადაუშლელი წიგნები და
გაუცოცხლებელი ილუსტრაციები,
ნითელი კალმები სიმკაცრეს რომ ინარჩუნებენ და
ვერ გამოხატავენ,
უურნალიდან ამოკითხული სია პასუხების გარეშე,
უფუნქციონ მერხები და
შავად გადალებილი დაფები,
რომლებზეც ჩვენი პირველი და მოკლე ისტორია დაიწერა.
აი, ჩვენი ყვავილები თქვენთვის ვისაც
ცხოვრების სიბრძნის კარი უნდა გაგელოთ ჩვენთვის,
ყვავილებმა ხომ უკეთ მოირგეს ბედისწერა.
ჯერ კიდევ მსუბუქი ჩანთები
ჯვრებად მოკიდებული ჩვენს სუსტ მხრებზე და
თეთრი პერანგები —
როგორც ზვარაკები უკანასკნელი გაკვეთილის გზაზე.
ასე ხშირად ნუ გასცემრით გზას,
ჩვენ იქიდან არ ვბრუნდებით,
ზაფხულის თამაშები გავაგრძელეთ და
პირველი სექტემბრის უკან ვიმალებით.

სან მიკელე – მავდრების კუნძული

სანამ გამოხვალ რომელიმე ერთი სიბრძნიდან,
მღვდელო,

ჩაალაგე ჩემოდანი.

ჩაალაგე რაც ჯიბეში არ ჩაგეტია,

რისი სიმძიმეც ამ ქვეყნისას არ უტოლდება.

სანთელ-საკამეველი გზას მანდაც გაიგნებს.

გაგნება თუ ქვია ამ ქვეყნის სამართალს.

საამო არის ეს ცხოვრება თავისი სიმღერებით,

გაძლომის შემდეგ მუცლიდან რომ ამომღერდება.

ჩადე სიწითლეების ჩამონათვალი,

გზად რა არ შეგხვდება.

მორალის მოღალატე ტკბილი სურვილები,

რომელთა ასრულება ხმელეთზე ვერ შეძელი.

განასხვავე მხილება ძაგებისაგან,

დოგმატები და კანონები არ ჩაგეტევა.

ეს კუნძული პატარაა,

მაგრამ ყველასი.

მოქალაქეები ზეციდანაც დავიწყებული,

ღამის ქომაგები და ცხადის უარმყოფელები.

ყველასთვის უცხონი და ყველასთვის ახლობელი,

სიყვარულისთვის მოწოდებულნი.

აღსდგნენ ისინიც, ლოდინისთვის გალამაზებულები,

სარკოფაგების კარი ვისაც არ დაულუქეს.

გელოდებან დამყოლი მკვდრები და ჯიუტი ცოცხლები,

წესი ყველას თავისი აქეს ასაგები.

ერთი ჭიქა ღვინო და პურის ნატეხი,

გარდაცვლილთა საღმრთო ტრაპეზი

მღვდელო,

ჩაალაგე ჩემოდანი,

გააღე კარი და ყველა დარაბა.

მოემზადე მასთან შესახვედრად,

ვინც წყლის აზრი განგვიმარტა.

ჩადე თომას თითი,

შენი თავისთვისაც დატოვე ადგილი.

სან მიკელე — მკვდრების კუნძული,

კუნძული ყველაზე ახლო.

ჩვენი ღარიბი მეგობრები

ღმერთო... სიკვდილო...

სიცოცხლის ანგელოზო...

ჩემს მეგობრებს ისეთი პატარა სახლები აქვთ,

კარებიდან კუბო ვერ ეტევა...

გორგი ლობჟანიძე

ყველა მცენარე,

ყველა ყვავილი,

გულზე მიმჭვნარი ყვავილებიც,

სეებიც ცამდე ატოტილი

და მდუმარე ხეები,

როგორც სარკები ჩახედულები

და საკუთარ თვალებში მომზირალნი,

მდინარები აირევლება.

საით მიიჩქარის მდინარე ასე,

როცა გაზაფხულს კვირტები ინაწილებენ და
წვიმის წვეთები მის სხეულზე მრგვალ სარკმლებს ჭრიან,
ისე როგორც ფანჯრები ღამეში და იღუმალში.
ჩვენ დავთმეთ და დავმალეთ
ღარიბი მეგობრები,
დავტოვეთ მარტონი ნისლოვან ნაპირებთან
და ხელის ცეცებით მოსაქებნ გზებთან.
ახლა ყველასაგან მალულად, ღამით,
საფეხურებს ვითვლით და მანძილს
ჩვენიდან — მათ ხვედრამდე,
ჩვენიდან — ბურუსამდე,
მდინარესთან შერთვამდე და
შეერთებამდე.
საით მიიჩქარის მდინარე ასე,
ნუთუ იქით,
სადაც ჩვენი ღარიბი მეგობრები დავთმეთ
და დავმარხეთ.

ჟანრის განახლება

შემობრუნებისთანავე
მარილის სვეტად იქცა...

სიტყვები უკან დასაბრუნებლად,
სიტყვები უკან მისახედად,
სიტყვები ხელის ჩასაჭიდად,
სიტყვებში სამოთხე და სიტყვებში პარასკევი.
პარასკევი —
სადაც დავეცი და ტირილი შევძელი.
მოვნიშვ ალაგი ალდგომის და კვლავ დაცემის.
მზე აქაც ის არის, რაც ყველა სევდიან ლექსში თუ სიმღერაში.
ვინ იტყვის სად არის თამაში და სად ტრაგედია.
საათსაც თუ მომართავ და მზერას გაიმკაცრებ,
ორმოც ჯალათსაც მოძებნი და ორმოც ათასსაც,
რომლებიც დაედევნებიან ქალებს, ბავშვებს და კაცებს,
რომელთაც პოლიტიკა სანოლზე მეტად ხიბლავთ.
ბავშვები ისევ ელიან ნათლის ანგელოზებს,
ნათელი რომელიც ისე გაქრა, რომ ელვაც არ დატოვა,
ანგელოზებიც წავიდნენ უმიზნო გზებით და
უსულო მიზნებით.

აქ ერთი კასრია და ყველა ვიხრჩობით,
მასში ვიხარშებით,
სადაც ცხოვრება მთავრდება ყოველდღე
და იწყება ხანდახან.
გამოირია სიბერემაც ეს დღეები და ქალაქები.
სად არის პოეზია,
მწყემსი ბიჭის სიამაყესა და მზერაში,
თუ გვალვისაგან დახეთქილ მინაში.
რითი იწყებენ,
როცა ყველაფერი დამთავრებულია?
რა შეგვიძლია გადამდერების, გადასხვაფერებისა და
რა არ თქმულა, რომ ჩვენი სათქმელი არ ყოფილიყო,
რად სჭარბობს ასე სიტყვებში პარასკევი?
სიტყვები უკან მისახედად
თუ სიტყვები თავისთვის...

ვერის სასაფლაო, დედაჩემის რვასის მისამართი

შემოდგომისგან ისნავლეს გლოვის მაგალითი
ჭირისუფლებმა.

მოლოდინმა სხვა დღე,
სხვა ნათელი,
სხვა სხივი მოუტანათ.
სხვა კარი გაეღოთ,
იმედის კარისაგან განსხვავებული.
ყველას ერთი და
პატარა მისამართი აქვს,
კვიპარისების კენეროების ჩიტების ქვევით,
რომელთა ტოტებქვეშ სულები ისვენებენ —
ამ ქვეყნისგანაც და
იმ ქვეყნიდანაც.
და რომლებიც მარტოსული ადამიანებივით
იკვებებიან

ლოცვით და ოცნებით.
მათ ყველას ერთი და
კვიპარისებთან საერთო
პატარა მისამართი აქვთ.

დატოვებულ კარებში ღიად,
მიცვალებულებს საგარდლებში ჩასძინებიათ.

ჩამავალი სიმღერა

გადადი რუბიკონს,
გადალახე მდინარე ყველა,
ემოციების მდინარეები მკაცრად მოედინებიან
და ვიხრჩობით ტალღათა ბრძოლებში,
ხოლო გვიანია მლაშე მშვიდობის
ნაპირზე გამორიყვა
და მერე ქვიშიანი სანაპიროდან
წყვილების ცქერა —
ჩამავალი მზის სიმღერის,
ჩამავალი სიცოცხლის განწყობის
და შეგრძნების კვრის დღეების
განსხვავებული ფერებისა და სურნელებების...
გადალახე მდინარე ყველა
და ნუ სველდები,
ემოციების მდინარეები ხომ მკაცრად მოედინებიან
და საჭიროა მეტი სიმკაცრე,
სიმკაცრე, მეტი...
გადადი რუბიკონს,
გადალახე მდინარე ყველა
და ნუ იხრჩობი,
ემოციების მდინარეები მკაცრად მოედინებიან
და ნუ სველდები.
ნუ სველდები —
ნაპირზე ხომ ქვიშად მშვიდობაა
და ჩამავალი სიცოცხლის სევდა.



არცთუ მოულოდნელი ზერეალისტური მონოსპექტაკლი ლია სტურუასაგან და მოსალოდნელი კითხვა: „როგორ გავიგოთ?“

თუმცა სინამდვილეში პასუხს მოითხოვს არა შეკითხვა „როგორ“, არამედ „რა“.

რა არის ეს „რა“? — უპირველეს ყოვლისა, სამაგი შერე: პიროვნული, სოციალური, ესთეტიკური — და დუალისტური მოტივები: მინა და ზეცა, უმწეობა და დაუნდობლობა, მარჯვენა და მარცხენა.

აქვე, რაღა თქმა უნდა, აბსტრაქციის ელემენტარული ნაწილაკები — საგნები და აზრები, ფორმები და მნიშვნელობები, სიტყვები და ხმები, რაც საბოლოო ჯამში წარმოგვიდგენს „დაპრე-სილი სივრციდან“ გამოყონილ პოეტურ ჰანგს, რომელსაც შეგვიძლია სიურრეალისტური რეპიცვუნდომ.

ლია სტურუა

სამი რეჩიტატივი,
ერთი უფრო ავტორულები

I

მორიგი ტყუილი, მაცივრიდან ამოღებული,
ქლიავისფერი, სიმწიფისგან დალლილი,
კენწეროში სიცივით მთებისკენ წასული...
გაინაფა ხელი მაკეტების კეთებით
ანთოლები — საწუწნი კამფეტი,
ამ ტკბილი ნერწყვით გაკეთებული შვილები
(არა ფურთხით)

სატყუარათი გაზრდილები
შენი ყელი რომ ჩააცვა?
ნახმარი,
ძონძებში ნაყიდი პერანგივით
(გედობის პერსპექტივა — ნული)

ნორმალურობაზე —
აუნთებელ გლანდებზე, მოუწეველ სიგარეტზე,
გულაჩუყების გორგლებზე შეაყენო
და გაუშვა შეუსაბამო ტექსტებისკენ,
მუსიკისკენ, ყრუების წინააღმდეგ?

ტყუის გენეტიკა!
რომელი შეილი ილაპარაკებს
შენი გახეული ყელით,
ცოფი თუ არ აუცერი,
ანუ შერბილებულად არ დამართე?

როდის გამოგეკიდნენ ეს მთები,
ცივი თავების ქნევით,
უხეებო ქლიავით?

ღმერთო მომეცი ერთი ადგილი
ციურ საგიუვთში!

თორემ ტანების აბიბინებული პლანტაციები!
პაინეკენის ქოლგები,
ლაგაცა-ლატე-კაბუჩინოს
აღმგზნები მუსიკა!

აქაც ასეა?
შეიძლება ფანჯრიდან გასვლა?
ყურის მოქრა, თვალზე აქცენტი?
თავის გამართლება
იმ პატარა საგიუვეთით,
მუცლიდან რომ ხეები ამოსდის,

თავიდან ბავშვები?

ანთოლოგიები მაცივრიდან,
თავისი გადამწიფებული სილურჯით
უკულმართობაზე მისხმული ტვინით,
მოუნელებელი იზმებით?

ღმერთო, ანგელოზები გამომიგზავნე!
ყელი მტკივა,
შვილები არ მიშვებენ...

II

ალისფერს რომ იქრობდი თავში,
ქალალდი შეაშველე?
სითეთრე ყველაფერს აიტანს:
ფიქრის დავიწროებას,
ხელნაწერის საბუთამდე მიყვანას,
დერეფნებში სასიარულოდ...

მუყაოს ყუთებში დაპრესილი სივრცე,
მზის რაოდენობა, მკაცრად განსაზღვრული,
კოფეინის ჭამა აკრძალული,
თუნდაც, გახეთქილი თავისთვის.

მკაცრი დიეტა, ვინრო დერეფანი!
ფერს რომ იქრობდი თავში,

კიბე, ჯერ კიდევ, იყო,
ცის შესაძლებლობაც,
მთელი მისი სამკაულები:

მთვარე, ვარსკვლავები, წვიმა —
მეორე ეტაპი,

თმიდან გაღწევის მერე,
ქალალდის საშიში სითეთრისგან

ერთ მტკაველზე მფრინავი ჩიტები,
წერაზე ადრე არ ისწავლე?

აბა, რატომ, დერეფნის ტკეპნა,

მთის გასწორება?

ნომრიანი საწოლი,

მაგიდაზე დიეტის ნომერი,

საბუთი ამის მისალწევად,

საბუთზე ფოტო,

სარკეში ჩახედვასავით

(მორბილებული ნაკვთები, ნაჯახი ფრჩხილებში)

ცა გამორთე? ნახშირით წაშალე?

ზეპირად არ იცოდი ყველაფერი,

სანამ დაწერდი,

ქალალდზე ტყუილს გააბრტყელებდი?

პოეტის ერთი ლექსი

სარკეში — უფრო ხარისხიანად,
მოცულობიანად, სულ ბოლომდე,
ამალგამამდე?
მინაზე კი, რაც უფრო შეუხედავზე,
მით უფრო მართალზე,
გადამწვარ ნათურა კუზიან კაბაში
შემაშფოთებლად გავს ვიღაცას...

III

ჩემი ბრალია, სახლში გამოვიყეტე,
ვზივარ და ვწერ.
მზე წიკიკებს საათივით,
ე.ი. ზაფხულია,
ღრუბელი შუბლით მომანვება,
უფრო ვიყეტები,
ჰერმეტულობა არ დამირღვიოს,
ვემალები მრავლობით რიცხვს,
განსაკუთრებით, უადგილოდ აღგზნებულების:
არც ცეცხლი სიახლოვეს,
არც ღვინის მდინარე,
არც წითელი მელიების აცმა
მონადირის მკერდზე,

რა აგიუშებთ?

ჩემზე ნადირობა, ჯერჯერობით, დაშვებულია,
ქვების სროლა ქუჩიდან,
ტექსტებიდან, ტელევიზორის ეკრანიდან —
გახეთილ თავში ჰემატომების თაიგული.
კი არ მოდის,
შემოდგომის ბალი მოირხევა...
ცოტა სხვა კინო ურჩევნიათ:
ტირაჟში გასული მოკრივები
ნაცემი ადგილებით
ლურჯად რომ ანათებენ
რა საერთო აქვთ
ტკივილს და ლაჟვარდს?
უსასრულობა?
ამიტომ შეკრწენ?
ამიტომ არ უკვირთ
მუშტებში რკინა,
თოვლის გუნდამი — ქვა?
მარჯვენა და მარცხენა
ლოყების უმწეობა,
თმენის ხარისხები, ქვევიდან ზევით?
მაქსიმუმზე მაქვს დაყენებული სახე,
ნაკვთები გავარჯიშებული,
გამომეტყველება, მაინც, მტკივა...

ლიტერატურული ცხოვრება

მონოგრაფია დაუციცყარ ლვანდზე

14 სექტემბერს, ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ლაშა ბაქრაძის წიგნის „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“ პრეზენტაცია, რომელიც მთლიანად დაეთმო ავტორის მოხსენებას. წიგნში აღნიშვნილია ქართული დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წლებში და იგი ეძღვნება მამის, აკაკი ბაქრაძის ხსოვნას. ამ კომიტეტს გამორჩეული ლვანდი მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო ბრიობის აღდგენაში 1918 წლის 26 მაისს.

ეს თემა ქართულ მწერლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დამუშავებულია რუსულან დაუშვილის, როსტომ ჩხეიძის, კახა და აბელ სურგულაძების და სხვათა ნაშრომებში. ლაშა ბაქრაძის წიგნის სიახლეა ის უამრავი დოკუმენტური და აუდიო-ვიზუალური მასალა, რომელიც უხვადა ნარმოდგენილი ავსტრიის, გერმანიის და რუსული არქივებიდან, სადაც ავტორმა წლობით იმუშავა.

წიგნის წინაყდაზე გატანილია ფოტო, რომელიც მოპოვებულია ავსტრიის არქივში და პირველად ქვეყნდება ქართულ სინამდვილეში. სურათის სახელმწიფებაა „ქართული ლეგიონი“.

წიგნში ჩართულია ასევე აქამდე უცნობი ფოტოები, რომელზეც ასახულია ქართული დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები (მიხაკო წევრეთელი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, პეტრე სურგულაძე, ნესტორ მალაშვილი და ა.შ.) და ქართული ლეგიონის ხელმძღვანელები.

2002 წელს აღნიშნულ თემაზე ლაშა ბაქრაძემ დაიცვა დისერტაცია, რის შემდეგ მან გადაწყვიტა მისი წიგნად გამოცემა.

გუშინდელ პრეზენტაციაზე სწორედ ეს დისერტაცია იქნა წარმოდგენილი წიგნის სახით, ყოველგვარ ცვლილებათა გარეშე.

პრეზენტაციის გვირგვინი იყო ცნობილი მოღვაწის, გიორგი მაჩიბლის აუდიო-ვიზუალური 3 წუთიანი გამოსვლა, რომელშიც ის აშშ-ში რეკლამას უკეთებს თავის სუნამოს „პრინცი მაჩაბელი“. ცნობილია რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგ მაჩაბელი აშშ-ში წავიდა და იქ სუნამოს ბიზნესს ჩაუყარა საფუძველი, საქმაო წარმატებებსაც მიაღწია, თუმცა მოულოდნელად ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა (არსებობს ეჭვი, რომ იგი კონკურენტმა სომხებმა მონამდეს). პრეზენტაციაზე ავტორი შეეხო მრავალ საინტერესო საკითხს, მათ შორის პიკანტურ დეტალებსაც. მაგ: ეროვნული კომიტეტის წევრმა ნესტორ მალალაშვილმა, იმისათვის რომ გადაერჩინა გენოციდისგან თავისი სომეხი სატრიფო თურქეთში, მაპარადინობა მიიღო და იგი ცოლად შეირთო. საუბარი ასევე შეეხო ეროვნული კომიტეტის მიერ დაწესებულ თამარ მეფის ორდენს, ქართული კომიტეტის მიერ მოჭრილ საქუთარ ფულის ერთეულს, რომელზედაც გერმანიის გერბი იყო გამოსახული — იმდროინდელი საქართველოსა და გერმანიის მსგავსებას, ქართული ლეგიონის საქმიანობას თურქეთში, იმდროინდელ გერმანულ მოღვაწეებს საქართველოში და ა.შ.

დამსწრე საზოგადოებამ მკვლევარს დაუსვა საინტერესო შეკითხვები, რაზედაც კომპეტენტური პასუხები მიიღო. თხრობა გარკვეული და შეავსო იქ დამსწრე ისტორიკოსთა და პროფესორთა გამოსვლებმაც, რამაც ასევე ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ასეთი ნაშრომები და პრეზენტაციები განსაკუთრებით სასარგებლოა ახალგაზრდა თაობისათვის, რომელიც მრავლად იყო წარმოდგენილი დარბაზში.

გვანცა შუპითიძე

ხორხე ლუის ბორხესი

შვიდი საღამო

■

ევაზიდე საღამო პოეზია

ქალბატონებო!

ირლანდიელი ჰანთეისტი იოანე სკოტ ერიგუენა ამბობდა, წმინდა წერილი უთვალავი მნიშვნელობის აზრს შეიცავსო, და მას ფარშევანგის გაშლილ ბოლოს ადარებდა. საუკუნეთა შემდეგ ერთმა ესპანელმა კაბალისტმა თქვა, უფალმა წმინდა წერილი ისრაელის თითოეული მკვიდრისთვის შექმნა და ამიტომ იმდენი ბიბლია არსებობს, რამდენი მკითხველიცაა. ამას სავსებით შეიძლება დავთანხმოთ, თუ გავიხსენებთ, ვინ არის შემოქმედი ბიბლიისა და მისი თითოეული მკითხველის ბედისა. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს ორივე მოსაზრება — ერიგუენასი ფარშევანგის ფერადოვან ბოლოზე და ესპანელი კაბალისტისა უამრავ ბიბლიაზე — კელტური ფანტაზიისა და აღმოსავლური გამონაგონის ნიმუშია. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ისინი მართებულია არამარტო წმინდა წერილთან, არამედ წებისმიერ წიგნთან დაკავშირებით, რომლის გადაკითხვაც ლირს.

ემერსონი ბიბლიოთეკას ეძახდა მაგიურ კაბინეტს, სადაც უამრავი მოჯადოებული სულია. გამოვიდახებთ თუ არა, ცოცხლდებიან; ვიდრე წიგნს გადავშლიდეთ, ისინი პირდაპირ ფიზიკურად წარმოადგენერ ტომს — ერთერთს მრავალთაგან. როცა წიგნს გადავშლით, როცა წიგნი თავის მკითხველს ხვდება, ხორციელდება ესთეტური მოვლენა. წიგნი ერთი და იმავე მკითხველისთვისაც იცვლება; უნდა დავძინოთ: ჩვენც ვიცვლებით იმდენად, რამდენადაც (ციტირებულ გამონათქვამს თუ დავუბრუნდებით) თვითონ ვგავართ ჰერაკლიტეს მდინარეს. ჰერაკლიტემ თქვა, ადამიანი გუშინ განსხვავებული იყო დღევანდელისგან, დღეს კი ხვალინდელისგან განსხვავდება. ჩვენ გამუშდებით ვიცვლებით, და შეიძლება ვამტკიცოთ, რომ წიგნის ყოველი წაკითხვა, ყოველი გადაკითხვა, ყოველი განსხვავება გადაკითხულისა ახალ ტექსტს ქმნის. თვით ტექსტი კი ჰერაკლიტეს ცვალებადი მდინარეა.

ასე შეიძლება მივადგეთ კროჩეს ალბათ არც ისე ღრმა, მაგრამ ნაკლებად მავნე თეორიას, მოსაზრებას, რომ ლიტერატურა არის გამომსახველობა. ამას კი მის სხვა თეორიასთან მივყავართ, რომელიც

არავის არ ახსოებს: თუ ლიტერატურა გამომსახველობაა, და ლიტერატურა სიტყვებს იყენებს იარაღად, მაშინ ენა ესთეტური მოვლენაა. ეს ხაზგასმით უნდა აღვინონოთ — ენის, როგორც ესთეტური მოვლენის კონცეფცია. კროჩეს თეორიას თითქმის არავინ არ აღიარებს, მაგრამ ყველა გამუდმებით იყენებს.

როცა ვამბობთ, რომ ესპანური უდერადი ენაა, რომ ინგლისურში მეტად მრავალფეროვანი ბეგრებია, რომ ლათინურის განუმეორებელ ლირსებას ესწრაფის ყველა მოგვიანებით წარმოშობილი ენა, მაშინ ენების მიმართ ვიყენებთ ესთეტურ კატეგორიებს. ცდება ის, ვისაც მიაჩნია, რომ ენა შეესაბამება იმ იდუმალ სინამდვილეს, მისი სახელი რომ ჰქვია. რეალურად ენა სულ სხვა რამაა.

წარმოვიდგინთ ყვითელი, კაშაშა საგანი, რომელიც ფორმას იცვლის; მას ხან მწგვალს ვხედავთ ზეცაში, ხან ნამგალს ჰვავს, ხან დიდდება და ხანაც პატარავდება. მავანმა — ვის სახელსაც ვერასოდეს გავიგებთ, — ჩვენმა წინაპარმა, ჩვენმა საერთო წინაპარმა მას “მთვარე” დაარქვა, სხვადასხვა ენებში სხვადასხვანაირად, ყველგან თავისებურად სხარტად. მე ვიტყოდი, რომ ბერძნული სიტყვა “სელენა” მეტისმეტად რთულია მთვარისთვის, ინგლისურ სიტყვაში “moon” არის რაღაც, რაც ამ სიტყვას მთვარისთვის შესაფერის აუჩქარებლიბას ანიჭებს, მთვარეს გვაგონებს, რადგან სიტყვა თითქმის ერთი და იმავე ასოთი იწყება და მთავრდება. ამასობაში ესპანური “luna” (მშვენიერი სიტყვა, ლათინთაგან წომ ერთეული მეტკვიდრეობით, მშვენიერი სიტყვა, საერთო რომ გვაქვს ჩვენ და იტალიელებს) შედგება ორი მარცვლის, ორი ნაწილისგან; შეიძლება, ეს ძალიან ბევრია. პორტუგალიული “luna” ისეთი მარჯვე ვერ არის; ფრანგულ სიტყვაში “lune” რაღაც იდუმალი იმაღება.

რაცი კასტილურ კილოზე ვლაპარაკობთ, წარმოვიდგინთ, რომ ერთხელ ვიღაცამ მოიფიქრა ეს სიტყვა. იქნებ დავფიქრდეთ იმ ადამიანზე, ვინც წარმოთქვა სხვადასხვარად ჰუდერბული სიტყვა “მთვარე”.

არის ერთი მეტაფორა, რომელიც არაერთხელ მომიშველიებია (მომიტევეთ განმეორებანი, სამოცდაათს გადბიჯებული ბერიკაცის მეხსიერებას მეტი არც მოეთხოვება); სპარსული მეტაფორა, სადაც მთვარეს დროის სარკე ჰქვია. გამოთქმაში “დროის სარკე” იგრძნობა მთვარის სიმყიფეც და მარადიულიბაც. მასში ასახულია მთვარის თითქმის გამჭვირვალე, თითქმის არარსებული ნინაალმდეგობრიობა, რომლის საზომიც მარადიულობა.

გერმანულად სიტყვა “მთვარე” მამრობითი სქესისა. ამიტომ შეძლო ნიცშემ ეთქვა, მთვარე ბერია, შურით რომ ათვალიერებს დედამინა ან კატა, ვარსკვლავებიან ხალიჩზე რომ დაბიჯებსაც. სიტყვის გრამატიკული სქესიც შეიძლება ემსახურებოდეს პოეზიას.

“მთვარე” ან “დროის სარკე” ორი ესთეტური მოვლენაა, მაგრამ “დროის სარკე” არის “ორსაფეხურიანი” მოვლენა, რადგან სიტყვათშეთანხმებაა, სიტყვა “მთვარე” კი

სამშაბათს, 5 ოქტომბერს
შურნალ „ჩენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება

როსტომ ჩენიძეს
პიესისა

„ლეგენდა ისპანდერისა“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

შესაძლოა უფრო სრულად ასახავდეს მნათობის იდეას. ყოველი სიტყვა პოეტური ნაწარმოებია.

მიიჩნევთ, რომ პროზა უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე პოეზია. ჩემი აზრით, ეს შეცდომაა. ნოველისტ ორა-სიო კიროგას მიაწერენ გამონათქვამს, რომლის მიხედვით, თუკი გამოინისას ნიავი უბერავს, სწორედ ასე უნდა დაი-წეროს: „ნიავი გამოთხისას უტერავს“. აღმართ კიროგას და-ავინტერა, რომ ასე აგებული ფრაზა ისევე შორსაა სინამდვი-ლისგან, როგორც გამოინისას მობერილი ნიავი. რას ვგრძნობთ? რას და ჰერის მოძრაობას, რომელსაც ქარი ჰქვია; ვიცით, რომ ეს ქარი განსაზღვრულ დროს იწყებს დაბერვას. და აქედან ვაგებთ რაღაცას, რაც სირთულით ვონგო-რას ლექსს ან ჯოისის ფრაზას არ ჩა-მოუვარდება. მოვძებნოთ ქვემდება-რე — ნიავი; შემასმენები — უბე-რავს; დროის გარემოება — გამოთხი-სიას. ყოველივე ეს შორსაა სინამდვი-ლისგან; სინამდვილე უფრო მარტი-ვია. ეს, როგორც ჩანს, პროზაული ფრაზა, კიროგას მიერ შერჩეული განზრას პროზაული და ჩვეულებრი-ვი ფრაზა, რთულ კონსტრუქციას ნაწარმოადგენს.

გავიხსენოთ კარდუჩის ცნობილი სტრიქონი: „მწვანე მდუმარება მინდ-ვრებისა“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ კარდუჩის შეეძლა და ეპითეტი უადგილოდ დასვა, იმის ნაცვლად, რომ ასე დაეწერა: „მდუმარება მწვა-ნე მინდვრებისა“. პოეტმა იქმაკა ან რიტორიკის წესების მიხედვით სიტყ-ვები გადაადგილა და მინდვრების მწვანე მდუმარებაზე დაწერა. მივ-მათოთ რეალობით აღძრულ შთა-ბეჭდილებებს. როგორია ისინი? უამრავ საგანს უეცრად ვგრძნობთ (სიტყვა „საგანი“ ცოტა არ იყოს მძიმეა). ვგრძნობთ მინდორს, უზარმაზარ სივრცეს, ვგრძნობთ სიმწვანესა და სიჩრუმეს. და ის, რომ არსებობს სიტყვა მდუ-მარების აღსანიშნავად — ესთეტური მოვლენაა. რამდენა-დაც მდუმარება მოქმედ ობიექტებს ეხება, დუმს ადამიანი ან დუმს მინდორი. როცა „მდუმარებას“ არქმევ მინდორში ხმაურის არყოფნას — ეს ესთეტური კონსტრუქციაა, და თავისი დროზე უცილობლად გაბეჭდულება იყო. კარდუჩის ფრაზა — „მწვანე მდუმარება მინდვრებისა“ — იმდენადვე შორსაა სინამდვილისგან ან ახლოა მასთან, რამდენადაც „მდუმარება მწვანე მინდვრებისა“.

ავიღოთ სიტყვათა რიგის დარღვევის ცნობილი მაგა-ლითი — ვერგილიუსის შეუდარებელი ლექსი „ibant oscuri sub nocte per umbram“ — „ვიდოდნენ უხილავად ჩრდილთა შორის მარტოსულ ღამით“.

თავი დაცნებოთ სიტყვათშეთანხმებას *per umbram*, რომ-ლითაც მთავრდება სტრიქონი, და ყურადღება გავამახვილოთ ფრაზაზე „ვიდოდნენ უხილავად (ენეოსი და სიბილა) მარტო-სულ ღამით“ („მარტოსული“ ლათინურში უფრო ძლიერია,

რადგან მოსდევს *sub*). შეიძლება, ვიფიქროთ, რომ სიტყვები არეულია, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: „ვიდოდნენ მარ-ტო ბნელი ღამით“. თუმცა გინდ სახეების გაცოცხლება ვცა-დოთ, დავისახავო, რომ ჩვენს ნარმოსახვაში ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება „ვიდოდნენ უხილავად მარტოსულ ღამით“ და „ვიდოდნენ მარტო ბნელი ღამით“.

ენა ესთეტური მოვლენაა. არა მგონია, აქ რამე საეჭვო იყოს, ერთ-ერთი დასტური ისაა, რომ ენის შესნავლისას, როცა სიტყვებს ახლოდან ვაკვირდებით, ვხედავთ, ისინი

ლამაზია თუ არა. თითქოს გამადი-დებელი შუშით ახლოს მოგვაქვს სიტყვა, ვიფიქრობთ, ლამაზიი იგი, უშნო თუ მძიმე. მშობლიურ ენაში მსგავსი არაფერი ხდება, აქ მეტყვე-ლებიდან ცალკეულ სიტყვებს არ გა-მოვყოფთ.

პოეზია, — ამბობს კროჩე, — გა-მომსახველობაა, თუკი ლექსი გა-მომსახველია, თუკი სიტყვებისგან შემდგარი ყოველი ნაწილი ლექსისა თავისთავად გამომსახველია.

შეიძლება მითხრათ, ეს გავრცე-ლებული აზრია და ყველამ იცისო. ვერ გეტყვით, ყველამ იცის თუ არა; მე მგონი, მიგვაჩნია, რომ ვიცით, რადგან მართებულია. საქმე ისაა, რომ პოეზია არის წიგნი ბიბლიოთე-კიდან ან ემერსონის მაგიური კაბი-ნეტიდან.

პოეზია არის მკითხველის შეხ-ვედრა წიგნთან. არსებობს მეორე ეს-თეტური მომენტიც — როცა პოეტი ჩაიფიქრებს ნაწარმოებს, როცა მიაგ-ნებს, მოფიქრებს ნაწარმოებს. რამ-დენადაც მახსოვრების ლათინურში სიტყ-ვები „მოფიქრება“ და „მიგნება“ სი-

ნონიმებია. ეს შეესაბამება პლატონის თეორიას, რომლის მიხედვითაც, მიგნება, მოფიქრება ნიშნავს მოგონებას. ფრენისის ბეკონი დასძენს, რომ თუკი სანავლა მოგონებას ნიშნავს, მაშინ არცოდნა არის დავინცებების უნარი; ყველა-ფერი არსებობს, უბრალოდ, ჩვენ არ ვიცით დანახვა.

როცა რამეს ვწერ, ვგრძნობ, რომ ეს ადრეც არსებობ-და. ზოგადი ჩანაფიქრიდან ამოვდივარ, ჩემთვის მეტ-ნაკ-ლებად ნათელია დასაწყისი და დასასრული, მერე კი შუა ნაწილს ვწერ, მაგრამ არა მგონა, რომ ეს ჩემი გამონაგო-ნი იყოს, ვგრძნობ, რომ ყველაფერი მართლა ასეა. სწო-რედ ასე, მაგრამ იგი დაფარულია, და ჩემი — პოეტის — ვალია მისი გაცხადება.

ბრედლი ამბობდა, პოეზია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რაღაც ახალი კი არ ცხადდება, არამედ დავიწყებული ჩნდება ხსოვნაში. მშვენიერი ლექსის კითხვისას ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს თვითონაც შეგვეძლო ამის და-ნერა, რომ ეს ლექსი ჩვენში ადრეც არსებობდა. ეს მქსისი-რებიდან ამოგვიტივტივებს პოეზიის პლატონისეულ გან-საზღვრებას: მსუბუქი, ფრთიანი, წმინდა. მსუბუქი, ფრთი-ანი, წმინდა შეიძლებოდა ყოფილიყო მუსიკა (თუ არ მივიჩ-



ბორე ლუის ბორესი

ნევთ, რომ პოეზია მუსიკის სახეობაა). პლატონმა პოეზიის განსაზღვრაზე მეტი გააკეთა: მან პოეზიის ნიმუში მოგვცა. შეგვიძლია მივიდეთ იმ აზრამდე, რომ პოეზია ესთეტური ცდაა; ეს სრულიად ახალია პოეზიის სწავლებაში.

ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სიტყვიერების ფაკულტეტზე ვასნავლიდი და ვცდილობდი შეძლებისადაგვარად გვერდი ამექცია ლიტერატურის ისტორიისათვის. როცა სტუდენტები ბიბლიოგრაფიას მთხოვდნენ, გვასუხობდი, ბიბლიოგრაფიას რა მნიშვნელობა აქვს, ბოლოს და ბოლოს, შექსპირს აზრადაც არ მოსდომდა შექსპირული ბიბლიოგრაფიის არსებობა-მეტე. ჯონსონს წარმოდგენა არ ჰქონდა იმ წიგნებზე, რომლებიც მასზე დაინერებოდა. “ხომ არ სჯობს, პირდაპირ ტექსტებს მივმართოთ? თუ ეს ტექსტები სიხარულს განიჭებთ, მშვენიერია; თუ არ მოგზონთ, დაანებეთ თავი; სავალდებულო კითხვის იდეა აბსურდულია, ასეთივე წარმატებით შეიძლება ლაპარაკი იძულებით ბედნიერებაზე. ჩემი აზრით, პოეზია გრძნობებითაა აღსაქმელი, და თუ არ გრძნობთ პოეზიას, თუ არ ალიქვამთ სილამაზეს, თუ მოთხოვთ არ განდომებთ, გაიგოთ, მერე რა მოხდა, მაშინ ამ მწერალს თქვენთვის არ უწერია. მისი წიგნები განზე გადადეთ, ლიტერატურა ისეთი მდიდარია, რომ აუცილებლად მოიძებნება თქვენი ყურადღების ღირსი მწერალი, ან ისეთი მწერალი, ვინც დღეს ვერ დაგაინტერესათ, მაგრამ ხვალ აუცილებლად წაიკითხავთ მის წიგნებს.”

ასე ვასნავლიდი, იმ ესთეტურ მოვლენაზე დაყრდნობით, რომელიც ჯერ განსაზღვრულა. ესთეტური მოვლენა ისეთივე აშკარა, ისეთივე უშუალო, ისეთივე განუსაზღვრელი რამაა, როგორც სიყვარული, ხილის გემო, წყალი. პოეზიას ვერდნობთ, როგორც ქალის სიახლოეს, ალიქვამთ, როგორც დილას და ყურეს. თუ პოეზიას უშუალოდ ვერდნობთ, რა საჭიროა მისი გაზავება სიტყვებით, რომლებიც უცილობლად, ჩეგნს გრძნობებზე სუსტია?

ის ადამიანები, ვინც პოეზიას მძაფრად ვერ ალიქვამენ, როგორც წესი, მის სწავლებას ცდილობენ. მე მგონია, რომ ვერდნობ პოეზიას და მგონია, რომ ის არ მისწავლებია; არ მისწავლებია ამა თუ იმ ტექსტის სიყვარული; ჩემს სტუდენტებს ვასნავლიდი ლიტერატურის სიყვარულს, ლიტერატურაში ბედნიერების დანახვას. თითქმის არ გამარია უნარი განყენებული მსჯელობისა, უკვე შეამჩნევდით, რომ გამუდმებით ციტატებსა და მოგონებებს ვეყრდნობი. შეიძლებოდა განზოგადებულად გვემსჯელა პოეზიაზე სიზარმაცია ან მოწყენილობის გამო. ამაზე თუ უარს ვიტყვით, შეგვიძლია ავილოთ ტექსტები ესპანურ ენაზე და განვიხილოთ ისინი.

ავირჩიე ორა ძალზე ცნობილი ტექსტი, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, მეხსიერება მძალატობს და თქვენს გონებაში შემონახული ტექსტი მირჩევნია. განვიხილოთ კევედოს ცნობილი სონეტი, რომელიც ოსუნას ჰერცოგის, დონ პედრო ტელიეს ხილონის ხსოვნას მიეძღვნა. ძალიან წელა წავიკითხავ და მერე სტრიქონების მიხედვით განვიხილოთ.

სამშობლოს მოაკლდება დიდი ოსუნა,
მაგრამ ის ვერ დაიცვა დიდმა გამარჯვებებმა,
ესპანეთმა, ვისაც დაუმონა ფორტუნა,
მისცა მას ციხეც და სიკვდილიც.

მას დასტირიან

თავისი ხალხიც და სხვანიც,
მისი საფლავი ფლანდრიის მინდვრებია,
მისი ეპიტაფია სისხლიანი ნახევარმთვარე.
მის დაკრძალვაზე ვეზუვიმ აანთო
პართენოპეა, და ტრინაკრია — მონჯიბელომ;
მხედრული მოთქმა წარლვნად ქცეულა,
საუკეთესო ადგილი მიაკუთვნა მარსმა ზეცაზე.
მასის, რეინი, ტახო და დუნაი
უნუგეშოდ დასტირიან თავიანთ დარდს.*

უწინარეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ლექსი არის სიტყვა ბრალდებულის დასაცავად. პოეტი იცავს ჰერცოგ ოსუნას, რომელზეც სხვა ლექსში წერს: “მოკვდა ციხეში და მკვდარიც პატიშარი იყო”.

პოეტი ამბობს, რომ ჰერცოგმა ესპანეთის სადიდებლად ბრძოლებში საგმირო საქმები ჩაიდინა, იმან კი სატუსაღო-თი გადაუხადა. ეს არგუმენტები არასრულია, რამდენადაც არ არსებობს არავითარი ახსნა იმისა, რომ გმირი ყოველთვის უდანაშაულოა და არ შეიძლება დაისაჯოს. თუმცა

სამშობლოს მოაკლდება დიდი ოსუნა,
მაგრამ ის ვერ დაიცვა დიდმა გამარჯვებებმა,
ესპანეთმა, ვისაც დაუმონა ფორტუნა,
მისცა მას ციხეც და სიკვდილიც

დემაგოგიური გამონათქვამია. მინდა ვთქვა, რომ სონეტს არც ვაქებ და არც ვაძაგებ, უბრალოდ, მის განაღლი-ზებას ვცდილობ.

მას დასტირიან
თავისი ხალხიც და სხვანიც.

ეს ორი სტრიქონი არც ისე პოეტურია, ისინი განპირობებულია სონეტის ფორმით და კიდევ რითმის აუცილებლობით. კევედო იყნებდა იტალიური სონეტის როულ ფორმას ოთხი რითმით. შექსპირს უფრო მსუბუქი ელისაბედისეული სონეტი ერჩია ორი რითმით. კევედო განაგრძობს:

მისი საფლავი ფლანდრიის მინდვრებია,
მისი ეპიტაფია სისხლიანი ნახევარმთვარე.

ესაა ყველაზე მთავარი. ამ სტრიქონების დიდებულებას არაერთმინიშვნელოვნება განაპირობებს. მაგრნდება, ბევრს დავიბდებ ამ სტრიქონების გაგებაზე. რას ნიშნავს “მისი საფლავი ფლანდრიის მინდვრებია”? შეიძლება წარმოვიდგინოთ ფლანდრიის მინდვრები, ჰერცოგის სამხედრო ლაშქრობანი. “მისი ეპიტაფია სისხლიანი ნახევარმთვარე” — ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ესპანური სტრიქონია. რას ნიშნავს იგი? წარმოვიდგინოთ აპოკალიფსის სისხლიან მთვარეს, მოწითალო მთვარეს, ბრძოლის ველს რომ დაპყურებს, მაგრამ არსებობს ჰერცოგი თავუნასადმი მიძღვნილი კევედოს კიდევ ერთი სონეტი, რომელშიც ნათქვამია: “A las lunas de Trasla con san-

* ლექსებისა ყველგან პრკარედული თარგმანია მოტანილი.

griente // eclipse ya rubrica tu jornada” (დროშაზე “მთვარეს სისხლიან დაბნელებად ეფინება შენი ლაშქრობები”) კევედო გულისხმობდა, პირველყოვლისა, ოსმალურ დროშას. სისხლიანი დროშა წითელი ნახევარმთვარეა. ჩემი აზრით, შევთანხმდებით, რომ არ უარვყოთ არც ერთი გამარტება; არ მოვყენებით მტკიცებას, რომ კევედო გვიამბობს სამხედრო ლაშქრობებსა ან ჰერცოგის დამსახურებათა ჩამონათვალზე, ან სისხლიან მთვარეზე, ბრძოლის ველს რომ გადმოჰყურებს, ან თურქულ დროშაზე. კევედო არ გამორიცხავს სხვადასხვაგვარ წაკითხვას. ლექსი სწორედ არაერთმნიშვნელობითაა კარგი.

მის დაკრძალვაზე ვეზუვიმ აანთო...

შემდეგ

...პართენოპეა, და ტრინაკრია — მონჯიბელომ;

სხვაგვარად ვეზუვი ნეაპოლს აანთებდა და ეტნა — სიცილიას. რა იშვიათად გვხვდება ეს ძველებური სახელწოდებანი, რომლებიც თითქოს ზედნადებთაგან წმენდენ წარსულის ცნობილ სახელებს. და

მხედრული მოთქმა გადაზრდილა წარლვნაში.

აი, კიდევ ერთი დასტური, რომ პოეზია სრულიად განსხვავდება რაციონალური მიდგომისგან; დაუჯერებელი ჩანს ჯარისკაცები, ვისი ცრემლებიც წარღვნად მოვარდება. მაგრამ არა ლექსში, სადაც თავისი კანონებია. “მხედრული მოთქმა”, სწორედ მხედრული, გამაოგნებელია. მხედრული — უცნაური განსაზღვრება სიტყვასთან — “მოთქმა”.

შემდეგ:

საუკეთესო ადგილი მიაკუთვნა მარსება ზეცაზე.

და ამ სტრიქონების გაგება ლოგიკით შეუძლებელია; არ არსებობს მიზეზი იფიქრო, რომ მარსი ჰერცოგი ასუნას ცეზარის გვერდით მოათავსებს. ფრაზას ინვერსია აძლიერებს. ესაა პოეზიის საჯილდაო ქვა: ლექსი აზრის მიღმა არსებობს.

**მაასი, რეინი, ტახო და დუნაი
უნუგეშოდ დასტირიან თავიანთ დარდს.**

ამ სტრიქონებს, რომლებიც ამდენი წელია მხიბლავს, მატყუარას დავარქევდი. კევედო ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ გმირს დასტირიან აძლიერები, სადაც იგი იბრძოდა, და სახელგანთქმული მდინარეები. ჩვენ ვგრძნობთ ტყუილს, უკეთ რომ ვთქვთ, სიმართლეს, როგორც უორდსუორთი, რომელიც სონეტის ბოლოს კიცხავს დუგლასს. ტყე დააზიანაო. ამბობს, რომ დუგლასის საქციელი ტყის მიმართ საშინელია, რომ მან გაანადგურა კეთილშობილი მეომრობა, “დარბაისელი სექბის ძმია”, დასძენს, რომ ჩვენ გვამწურებს ბოროტება, თვითონ ბუნებისთვის კი სულერთია, მდინარე ტვიდი, და მწვანე ველები, და გორაკები აგრძელებენ არსებობას. იგი გრძნობს, რომ მეტ ეფექტს მიაღწევს სიმარ-

თლის თქმით. სინამდვილეში ჩვენ გვამწუხრებს მშვენიერი ხეების დაღუპვა, თვით ბუნებისთვის კი ეს სულერთია. ბუნებამ იცის (თუკი არის არსება, სახელად ბუნება), რომ გაზრდის ახალ ხეებს, რომ მდინარე განაგრძობს დინებას.

კევედოსთვის მნიშვნელოვანია, რომ მდინარეები ცნობილი იყოს. შეიძლება კიდევ უფრო პოეტური გამოიდგეს აზრი, რომ მდინარეებს, რომლებზეც იბრძოდა ოსუნა, სულ არ ენაღვლებოდეთ მისი დაღუპვა. მაგრამ კევედოს სურს დაწეროს ელევია, ლექსი ადამიანის სიკვდილზე. რა არის ადამიანის სიკვდილი? მასთან ერთად, როგორც პლინიუსმა შენიშნა, კვდება განუმეორებელი სახე. განუმეორებელია ყოველი ადამიანის სახე, მასთან ერთად კვდება ათასობით ამბავი, ათასობით მოგონება. ბავშვობის მოგონებანი და ადამიანური, ძალზე ადამიანური თვისებები. მე მგონი, კევედო მსგავსს ვერაფერსა გრძნობს. ციხეში კვდება მისი მეგობარი, ჰერცოგი ოსუნა, და კევედო წერს ამ, ცოტა არ იყოს, ცივ სონეტს; ვგრძნობთ პოეტის გულგრილობას. სონეტი დაწერილია, როგორც გამოსვლა ბრალდებულის დასაცავად სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეტყობა, ჰერცოგი მისთვის არც ისე ძვირფასია; ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ძვირფასი არ ხდება. და მაინც, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ესპანური სონეტია.

გადავიდეთ მეორე სონეტზე, რომლის ავტორია ენრიკე ბანჩესი. უაზრობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ბანჩესი კევედოზე უკეთესი პოეტია. ან რა აზრი აქვს ასეთ შედარებებს?

განვიხილოთ ბანჩესის სონეტი, რომელშიც კარგად ჩანს მისი კეთილგანწყობა:

სუმართმოყვარე და მართალი ანარეკლით,
სადაც ჩვეულებრივი ხდება მოჩვენებითი,
ცოცხალი მასალა — სარკე — მსგავსია
ნათელი მთვარისა ბინდუნდში.

ლამეს ბრწყინვალებას ანიჭებს
აპაურის მოცურავე შუქი, სევდას კი
ვარდი, ლარნაკში მომაკვდავი და
თავდახრილი.

იგი აორმაგებს ნაღველს და ირეკლავს
იმას, რაც ჰყვავის ჩემს სულში,
და, შესაძლოა, ელოდება, რომ ოდესმე
გამოჩნდება მოლურჯო, გარინდებულ სიჩუმეში
სტუმარი, რომელსაც აირეკლავს
გვერდივერდ სახეებითა და გადაჭდობილი ხელებით.

ეს ძალზე საინტერესო სონეტია, რადგან მისი გმირი სულაც არ არის სარკე: აქ არის ფარული გმირი, რომელიც ბოლოს გაცხადდება. დავიწყოთ სონეტის ესოდენ პოეტური თემით: სარკე, რომელიც აორმაგებს ყველაფერ ხილულს:

სადაც ჩვეულებრივი ხდება მოჩვენებითი,
ცოცხალი მასალა...

გავისენოთ პლოტინი. მისი პორტრეტის დახატვა სურდათ, მან კი უარი განაცხადა: “მე თვითონა ვარ ზეცაში არსებული არქეტიპის ჩრდილი. რა საჭიროა, შევქმნათ ჩრდილის ჩრდილი?” ხელოვნება, პლოტინის აზრით, მეო-

რადი მოჩვენებითობაა. თუ ადამიანი ესოდენ უსუსურია, წარმავალი, როგორ შეიძლება, მისმა გამოსახულებამ ვინმე მოხიბლოს? ამასვე გრძნობდა ბანჩესი: იგი გრძნობდა, რომ სარკე აჩრდილივითაა.

სინამდვილეში სარკეს არსებობაში არის რაღაც საშინელი: სარკეები ყოველთვის მზარავდნენ. ალბათ რაღაც ასეთს გრძნობდა პო. არსებობს მისი ნაკლებ ცნობილი ნაწარმოები ოთახების განკუობაზე. მწერალს აუცილებლად მიაჩინა სარკეების იმგარად განთავსება, რომ მჯდომარე ადამიანს არ აირევლავდნენ. ეს აცხადებს მის შიშს საკუთარი თავის დანახვისა სარკეში. ეს მუდავნდება მის მოთხოვნისაში ანარკელზე (“უილიამ უილსონი”) და მოთხოვნისაში არტურ გორდონ პიმზე. ანტარქტიდის ახლოს ცხოვრობს ერთი ტომი; ადამიანი ამ ტომიდან, პირველად რომ დაინახავს საკუთარ თავს სარკეში, შიშისაგან თავზარდაცემული დაეცემა.

ჩვენ სარკეებს მივეჩვით, მაგრამ ამ ხილულ გაორმა-გებაში არის რაღაც შიშისმომგვრელი. დავუბრუნდეთ ბანჩესის სონეტს. განსაზღვრა “სტუმართმოყვარე” ადა-მიანის მიმართ გაცვეთილი იქნებოდა. მაგრამ აზრად არ მოგვსვლია, რომ სტუმართმოყვარენი შეიძლებოდა სარკეები ყოფილიყვნენ. სარკე გულლიად და მორჩილად ის-რუტავს სიჩუმეს:

**სტუმართმოყვარე და სწორი ანარეკლით,
სადაც ჩვეულებრივი ხდება მოჩვენებითი,
ცოცხალი მასალა — სარკე — მსგავსია
ნათელი მთვარისა ბინდბუნდში.**

ვხედავთ სარკეს, ისიც ელვარეა, თანაც პოეტი მიუწვდომელ მთვარეს ადარებს. იგი სარკეში გრძნობს რაღაცას, ჯადოსნურსა და უცნაურს, როგორიც მსგავსია “ნა-თელი მთვარისა ბინდბუნდში.”

შემდეგ:

**დამეს ბრწყინვალებას ანიჭებს
აპაუზურის მოცურავე შუქი...**

“მოცურავე შუქი” ნივთებს ბუნდოვანსა ხდის, ყველა-ჟერი გადღაბნილია, როგორც სარკეში შებინდებისას. ჩანს, მოქმედების დროა საღამო ან ღამე.

ასე რომ,

**...ბრწყინვალებას ანიჭებს
აპაუზურის მოცურავე შუქი, სევდას კი
ვარდი, ლარნაკში მომაკვდავი და
თავდახრილი.**

ახლა ჩვენს წინაშეა ბუნდოვან ფონზე მკვეთრად მო-ხაზული ვარდი.

**იგი აორმაგებს ნალველს და ირეკლავს
იმას, რაც ჰყვავის ჩემს სულში,
და, შესაძლოა, ელოდება, რომ ოდესმე
გამოჩნდება მოლურჯო, გარინდებულ სიჩუმეში
სტუმარი, რომელსაც აირეკლავს
გვერდიგვერდ სახეებითა და გადაჭდობილი ხელებით.**

აქ ვაწყდებით სონეტის თემას, რომელიც აღმოჩნდება არა სარკე, არამედ სიყვარული, გაუბედვი, მორცხვი სიყვა-რული. სარკე კი არ იცდის, რათა დაინახოს ერთმანეთთან მიახლოებული სახეები და გადაჭდობილი ხელები, არამედ პოეტი. მაგრამ მორიცდება მოიარებით ალაპარაკებს, და ეს საუცხოოდაა აგებული, რადგან თავიდანვე ჩნდება “სტუ-მართმოყვარე და მართალი”, თავიდანვე სარკე არ არის მო-ნისა და ლითონისა. სარკე ადამიანური არსებაა, სტუმართ-მოყვარე და მართალი, და მივეჩვით, რომ ჩვენს წინაშეა იღუზორული სამყარო, რომელიც ბოლოს პოეტთან იგივ-დება. ამ პოეტს სურს, დაინახოს სტუმარი, სიყვარული.

ეს სონეტი თავისი არისთ განსხვავდება კევედოს სო-ნეტისაგან, პოეზიის ცოცხალ არსებობას ვგრძნობთ ამ უკანასკნელის სხვა სტრიქონებში.

**მისი საფლავი ფლანდრიის მინდვრებია,
მისი ეპიტაფია სისხლიანი ნახევარმთვარე.**

უკვე ვილაპარაკე ენებსა და იმაზე, რომ უსამართლო-ბაა ერთი ერთი მეორესთან შედარება; მე მგონი, მტკიცე-ბულებანი საკმაოდაა, და თუ აზრად მოგვივა ლექსი, ერ-თი სტროფი ესპანურად, და თუ გავიხსენებთ

**ვინ არის კიდევ ასე ბედნიერი
ზღვის ტალლებზე,
როგორც გრაფი არნალდოსი
წმინდა ხუანის დღეს,**

მაშინ მივხვდებით, რომ მთვარი არც ისაა, თუ რო-გორ გაუმართლა გემს, და არც გრაფი ალმადოსი, ვიგრძ-ნობთ, რომ ეს ლექსი მხოლოდ ესპანურად შეიძლებოდა თქმულიყო. ფრანგულის ულერადობა არ მახარებს, ჩემი აზრით, მას აკლია სხვა რომანული ენების სავსე ულერა-დობა, მაგრამ განა შეიძლება, ცუდად იფიქრო ენაზე, რო-მელზეც შექმნილია ისეთი შესანიშნავი სტრიქონები, რო-გორიცაა ჰიუგოს “L'hydro-Univers tordant son corps écaille d'astres?” (“სამყარო-ჰიდრა რეოლებად რკალავს სხეულს, დაფარულს ვარსკვლავთა ქერცლით.”) როგორ გააკრი-ტიკებ ენას, ურომლისოდაც არ იქნებოდა ასეთი სტრიქო-ნები?

ინგლისური ენის ნაკლოვანებად მესახება ის, რომ მან დაკარგა ძეველი ინგლისურის ლია ხმოვნები. ამის მიუხე-დავად, მან საშუალება მისცა შექსპირს, დაენერა:

**And shake the yoke of inauspicious stars
From this worldweary flesh,**

რაც თარგმანში მაინცდამაინც ვერ გამოდის: “და ჩამო-გბერტყოთ უდელი აგბედოთ ვარსკვლავთა სამყაროთი მოყირჭებული ხორციდან.” ესპანურად ეს არაფერია, ინგ-ლისურად — ყველაფერი. ჩემთვის ენის არჩევა რომ გამხ-დარიყო საჭირო (თუმცა არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ ყველა ერთად არ აირჩიო), ეს იქნებოდა გერმანული მისი უნარით, ინგლისურზე მეტად ენარმობებინა რთული სიტყვები ლია ხმოვნებითა და სუცხომ მუსიკით. რაც შეე-ხება იტალიურს, აქ “კომედიის” ხსენებაც საკმარისია.

არავის არ აკვირვებს სხვადასხვა ენებში გაბნეული სილამაზე. ჩემმა მასწავლებელმა, მშვენიერმა ეპრაელ-ესპანელმა პოეტმა რაფაელ კანსინოს-ასენსმა მითხრა ასეთი ლოცვა: “ჰე ღმერთო, ნუ იქნება ეგზომ ლამაზი”, ბრაუნინგთან კი გვხვდება: “როცა სავსებით თავდაჯერებულნი ვართ, რადაც ხდება — მზის ჩასვლა, ევრიპიდეს ქორის ფინალი, და კვლავ ვიბრევით.”

სილამაზე გვისაფრდება. თუ შეგრძნების უნარი გვაქვს, ვიგრძნობთ მას პოეზიაში ნებისმიერ ენაზე.

კარგი იქნებოდა, მეტად მომეკიდა ხელი აღმოსავლური ლიტერატურებისთვის, რომელზეც წარმოდგენა მხოლოდ თავგმანებით მაქვს. მაგრამ მანიც ვიგრძენი მათი სილამაზის ზემოქმედება. მაგალითად, სპარსელი პოეტის, პაფეზის სტრიქონები: “მივფრინავ, ჩემს ნეშტს ჩავენაცვლები.” აქ ჩადებული მთელი მოძღვრება სულთა გადასახლებს შესახებ — “მივფრინავ, ჩემს ნეშტს ჩავენაცვლები”, — მე კიდევ ერთხელ გაგრძები ამკვეყნად, სხვა საუკუნეში, ვიქნები ჰავეზი, პოეტი. ყოველივე ეს გამოხატულია რამდენიმე სიტყვით, რომელიც ინგლისურად ნავიკოთხე, მაგრამ ალბათ დიდად არ განსხვავდება სპარსულისგან. “მივფრინავ, ჩემს ნეშტს ჩავენაცვლები” — ძალზე უბრალოდაა ნათქვამი საიმისოდ, რომ ცვლილებები განიცადოს.

ჩემი აზრით, მცდარია ლიტერატურის შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით, თუმცა ალბათ ჩვენთვის, და მათ შორის, ჩემთვისაც, სხვა გზა შეუძლებელია. არის ერთი, ჩემი აზრით, მშვენიერი პოეტისა და ცუდი კრიტიკოსის, მარსელინო მენენდეს-ი-პელაიოს წიგნი სახელწოდებით “ასი საუკეთესო ესპანური ლექსი”. აქ ვკითხულობთ: “*Ande yo caliente y riase la gente*” (“თუ გაბრაზებული დავდივარ, გარშემო ყველა ხარხარებს”). თუ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია, უარესი რადა იქნება. მაგრამ ამ წიგნში არის კევედოს ის ლექსი, რომელიც წელან გავიხსენე, სევილიელი ანონიმის “ბარათი”, და ბევრი სხვა შესანიშნავი ლექსი. სამუხარიდ, არ არის მენენდეს-ი-პელაიოს არც ერთი ლექსი — თავის ანთოლოგიაში საკუთარი არაფერი შეიტანა.

სილამაზე ყველგანაა და, შესაძლოა, ყოველთვისაა. ჩემმა მეგობარმა როი ბართოლომიუმ, რომელმაც სპარსეთში რამდენიმე წელი გაატარა და ხაიამს პირდაპირ სპარსულიდან თარგმნის, მითხრა ის, რასაც ვვარაუდობდი: რომ აღმოსავლეთში მთლიანად არ სწავლობდებ არც ლიტერატურას, არც ფილოსოფიას ისტორიული თვალსაზრისით. სწორედ ეს აოცებდათ დეისენსა და მაქს მიულერს, რომელთაც ვერ შეძლეს ავტორთა ქრონოლოგიური სიის შედეგი. ფილოსოფიის ისტორია ისე შეისწავლება, თითქოს, ვთქვათ, არისტოტელეს ბერგსონთან ჰქონდეს გამართული კამათი, პლატონს — იუმთან. ყველაფერი ერთდროულად.

ბოლოს მინდა გავხსენო ფინიკიელ მეზღვაურთა სამი ლოცვა. როცა გემი წყალში იძირება, — ეს ამბავი ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში ხდება, — ისინი სამიდან ერთ-ერთ ლოცვას კითხულობდენ. პირველი ასე ჟღერს: “კართაგენის დედაო, გიბრუნებ ნიჩაბს.” კართაგენის დედა არის ქალაქი ტვირისა, საიდანაცა დიდონა. მერე — “გიბრუნებ ნიჩაბს”. ეს უჩვეულოა. ფინიკიელი ცხოვრებას ხედავს, როგორც ნიჩაბსანი. მისი ცხოვრება დასრულებულია, და ნიჩაბს აბრუნებს, რათა სხვებმა გა-

ნაგრძონ მოსმა.

მეორე ლოცვა კიდევ უფრო ამაღლვებელია: “ვიძინებ, მერე ისევ შევუდგები ნიჩებები მოსმას.” ადამიანი ვერ წარმოიდგენს ბედისჩერას და უახლოვდება მოსაზრებას ციკლურ დროზე.

დაბოლოს, უკანასკნელი, უაღრესად გულისამაჩუყებელი ლოცვა. იგი დანარჩენთაგან განსხვავდება, რადგან აქ არ არის ბედთან შერიგება; ესაა თავგანწირული ნაბიჯი ადამიანისა, რომელიც უნდა მოკვდეს და ღმერთების საშინელი სამსჯავროს წინაშე წარსდგეს. იგი ამბობს: “ღმერთო, განმსაჯე არა როგორც ღმერთმა, არამედ როგორც ადამიანმა, რომელიც ზღვამ ჩაყლაპა”.

ამ სამ ლოცვაში უშუალოდ ვგრძნობ — ან მე ვგრძნობ — პოეზიას. სწორედ აქაა ესთეტური მოვლენა და არა ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოგრაფიებში თუ უამრავი ხელნაწერისა და ურთულესი ტომების შესწავლაში.

ფინიკიელ მეზღვაურთა სამი ლოცვა წავიკითხე კიპლინგის მოთხოვნაში წმინდა პავლეზე “The Manner of Men” (“ადამიანთა მოდგმა”). არცთუ ისე მარჯვედ რომ ვთქვათ, ლოცვები წარმოვილია თუ დიდმა პოეტმა, კიპლინგმა დაწერა? დავსვი ეს კითხვა და უხერხულობა ვიგრძენი: რა აზრია აქვს გარჩევას? განვიხილოთ ორივე შესაძლებლობა, დილემის ორივე ნაწილი.

პირველ შემთხვევაში ლაპარაკია ფინიკიელ მეზღვაურთა, ზღვის ადამიანების ლოცვებზე, მათ ცხოვრება მხოლოდ ზღვის წარმოვდინათ. ლოცვები ფინიკური ენიდან გადავიდა, ვთქვათ, ბერძნულში, იქიდან — ლათინურში, ლათინურიდან — ინგლისურში. კიპლინგმა თავიდან დაწერა.

მეორე შემთხვევაში კიპლინგი წარმოიდგენს ფინიკიელ მეზღვაურებს, როგორლაც უახლოვდებათ, თვითონაც ფინიკიელ მეზღვაურად იქცევა. ცხოვრებას ზღვის ცხოვრებად წარმოიდგენს და მეზღვაურთა პირით გვანვდის ამ ლოცვებს. ყველაფერი წარსულში გადავიდა: უსახელო მეზღვაურები დასხორცენ. კიპლინგი მოკვდა. რა მნიშვნელობა აქვს, რომელმა აჩრდილმა მოიფირა და დაწერა ეს ლექსი?

ინდუსი პოეტის საინტერესო მეტაფორა — არ ვიცი, სრულად შევძლო თუ არ მისი შეფასება — ამბობს: “ჰიმალაი, ჰიმალაის მაღალი მთები (რომელთა მწვერვალები, კიპლინგის სიტყვით, სხვა მთების მუხლებია), ჰიმალაი — შივას ლიმილი.” მაღალი მთები — ღმერთის, მრისხანე ღმერთის ლიმილი. მეტაფორა, სულ მცირე, გამაოგნებელია.

სილამაზეს ფიზიკურად ვგრძნობ, როგორც რაღაც ხელშესახებს, მთები სხვეულით რომ აღიქვამდა. ეს არ არის განსჯის შედეგი, სილამაზეს არ ვვედებით კანონების მიხედვით, მას ან ვგრძნობა ან არა.

მინდა დავასრულო სიტყვებით XVI საუკუნის პოეტისა, რომელმაც ამოირჩია არაჩევულებრივად პოეტური სახელი — ანგელუს სილეზიუსი. ეს სტრიქონი იქნება შედეგი ყველაფრისა, რაც ამ საღამოს ვთქვი, თუ არ ჩავთვლით ჩემს მსჯელობას ან ვითომ მსჯელობას; წარმოვთქვამ ჯერ მის თარგმანს, შემდეგ კი გერმანულად, რომ გაიგონოთ:

ვარდი არ კითხულობს, „რატომ“,
იგი ჰყვავის, იმიტომ, რომ ჰყვავის.

თარგმა

ჯუმბერ ხანთაძე

ლეპედევი ლეპედევის ცინააღმდეგ

ადრე ჩვენში ამბობდნენ გამოსაჩენი კაციაო, და გულისხმობნენ სულითა და ხორცია გამორჩეულ პიროვნებას. სწორედ ასეთი გამოსაჩენი კაცი იყო ილია ბარათაშვილი, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ღოქტორი, პროფესორი, გიორგი ნიკოლაძის, პეტრე მელიქიშვილის სახელმწიფისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადო შეფასდა იმ ნეკროლოგებში, რომლებიც მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მრავლად გამოქვეყნდა. მაგრამ ნეკროლოგს მიღმა დარჩა ბატონ ილიას პიროვნული ხილი, რითაც ის განსაკუთრებით გამოიჩინდა. ქვემოთ მოყვანილი მოგონება ამ გამოსაჩენი კაცის ცხოვრების ერთი პატარა შტრიხია.

ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა ჩემი ძეველთაძველი მეგობარი – ილია ბარათაშვილი, ჩემთვის უბრალოდ ილო. ილოსთან ჩემი ურთიერთობა 70 წელს ითვლის. იგი დაწყობა ბავშვობისას, ვაკეში, სადაც ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით, გავრდელდა ყმანვილკაცობაში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ერთად ვსწავლობდით, და დამთავრდა მეტალურგიის ინსტიტუტში, სადაც მე რიგით თანამშრომლად ვმუშაობდი, ხოლო ილო 1990-2006 წლებში ინსტიტუტის დირექტორი გახდლდათ. ეს ყოველივე იყო და ალარ არის. ასეთი ხანგრძლივი ურთიერთობის გაწყვეტა მეტად მტკიცნეულია, იგი პიროვნებაში იწვევს მოგონებათა მოზღვავებას, გახსენდება მრავალი მიზერფლილი დეტალი და მეტად ნანობ და განიცდი, რომ დრო ულმობლად წასულა. ალბათ, არც მე ვარ გამოინაკლისი. ილოს წასვლამ გონიერაში ჩარჩენილი უამრავი ერთობი გამახსენა და სურვილიც აღმიძრა ეს წერილი დამენერა, რასაკირველია უპირველესად ყოვლისა ეგრისტური მოსაზრებით, რადგან როცა ამას ვწერ, გულზე მეშვება, და მეორეც, მინდა რომ ეს ამბავი მისმა, ჯერ კიდევ ცოცხალმა ახლობლებმაც იცოდნენ.

* * *

მოსკოვში, აკადემიკოს ბაიკოვის სახელმწიფის მეტალურგიის ინსტიტუტში ერთი კაცი მუშაობდა – ალექსანდრე ვერტმანი, ჩვენზე ასე, 7-8 წლით უფროსი. მე და ილოს მასთან პროფესიული ურთიერთობა გვაკეშირებდა, მოსკოვში სამეცნიერო მივლინებების დროს მასაც მოვინახულებდით ხოლმე. თუ არ ვცდები, 1964 წლის დამლევს ვერტმანმა წერილი მომწერა და, როგორც თხილამურების მოტრფიალეს, მთხოვა, როგორმე მისთვის საგზური გამეხერხებინა ბაკურიანში, ახალაშენებულ კომკავშირულ ბანაკში “სპუტნიკი”, რომელიც იმ დროისათ-

ვის არამარტო ბაკურიანის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის საუკეთესო, კომფორტულ ნაგებობად იყო მიჩნეული და იმთავითვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხალხი ჩამოდიოდა ყოველი მხრიდან, სოციალისტური ქვეყნებიდანაც, წემს ვერ ჩაგდებდი, ისე იყო ამოგსებული დამსვენებელ-მოთხილამურებით მთელი ეს ბანაკი. საგზურებს კომკავშირის საკავშირო კომიტეტი ანანილებდა. ჩვენთვის, ქართველებისთვის, ძნელი იყო იქ მოხვედრა. ილომ დამაიმედა, ვინაიდან იქ იმხანად ჩვენი თაობის ცნობილი მთამსვლელი, თბილისელი ომარ ბერაძე იყო „სპუტნიკის“ დირექტორი.

ცოტა ხნის შემდეგ ვერტმანმა ისევ მომწერა წერილი და მახარა: - მარტო არ ჩამოვდივარ, ორი მეგობარი მომყავს და სამი საგზური მჭირდებაო. ილო ამ ამბავსაც წყნარად შეხვდა და დამამშვიდა-ყველაფერს მოვაგარებო. კიდევ რამდენიმე დღე და ამჯერად დეპეშა მომივიდა – ვერტმანი ჩამოსვლის თარიღის იტყობინებოდა და მთხოვდა, სამი თხილამური და სათხილამურო “ბატინკები” მიშვევო. „ბატინკების“ ზომებიც შემიყვეთა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ყველაფერი ვიშოვე ნაცნობ-მეგობრებში. იანვრის ბოლოს, დათქმულ დღეს სტუმრებს აეროპორტში დავხვდით მე და ილო. სალამოს ერთად ვივახშემეთ, გავიცანით ერთმანეთი. ვერტმანის მეგობრებიდან ერთი ექიმი იყო, ქირურგი, ნარმოსადეგი, დარბაისელი კაცი, მეორე — კინორეჟისორი გაბაძა.

მეორე დღეს დილაადრიანად გავწიეთ ბაკურიანისაკენ. ილომ 20-ლიტრიანი კანისტრით სუფთა სპირტი წამოილო ინსტიტუტიდან, სადაც ის ბლომად გვქონდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცედურებისათვის. მაშინ, სხვათაშორის, სპირტს არავინ სვამდა, თავშიც არვის მოსდომიდა სპირტის დალევა, ეს ჩვენში ცუდ ტონად ითვლებოდა.

ომარ ბერაძე გულთბილად შეგვხვდა და მთელი ჩვენი გუნდი მშვენიერ, თბილ და მყუდრო კოტეჯში განათავსა. მე სალამოს თბილისში დავბრუნდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ილომ ხმა მომანვდინა – საჩქაროდ ჩამოდი და სპირტი წამოიძლოლიერ. ვეახელი თხოვნისამებრ ნაშუადლევს კოტეჯში. ესენი ჯერაც არ ამდგარან, სანოლებრი ნებივრობდნენ. მათი თხილამურები, როგორც მე ჩავსვი პირამიდაში, ისევ ისე დამხვდა.

— ძალიან ბევრი მუშაობა გვიხდებაო, — მითხრა ვერტმანმა. — მთელი ლამე ბარიდან ვერ გამოვდივართო — დაუკრეს კვერი სხვებმაც. ეს ის დროა, როცა მთელ ბაკურიანში “მშრალი კანონი” მძინვარებს, ვერსად – არამც თუ დახლზე, “ლევადაც” კი ვერ იშოვი ერთ ბოლო სპირტიან სასმელს. აქ კი, კომკავშირელთა ბანაკში, ლამის ბარია ახალი გახსნილი და 200 დამსვენებელი უსასმელოდ, მშრალად იყრის თავს, ფხიზლად ატარებს დროს.

ნავახშმეგს ჩვენი ოთხეული ლამაზად გამოეწყო, სპირტით გასესტული ჭრელა-ჭრულა ბოთლები და ფლაკონები დაიიღლიავა და ბარისაკენ ნავიდა. მეც გავყევი. საქმაოდ კარგად გაფორმებული, მკრთალად განათებული ბარი ხალხს ვერ იტევდა. ჩვენი შესვლა და ურიამული ერთი იყო, ყველა ადგა, ტაბით შეგვეგება და ამალებული ესტრადისაკენ მიმავალი გზა გაგვიხსნა. მე ხალხში დავრჩი. ილო პირველი ავიდა “პრეზიდიუმში” და ცენტრში მოკალათდა, სხვებმა მის გვერდით დაიკავეს ადგილე-

ბი. ეს თურმე ჟიურნია. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. პრეზიდენტმა რაღაც მოითათბირა და მერე ილომ მჭექა- რე ხმით დაიწყო:

— როგორც გუშინ შევთანხმდით, ამდამინდელი რეგ- ლამენტი ასე გამოიყერება: რასაკვირველია, ჩვენ გავაგ- რძელებთ კონკურსს ცეკვაში, გამარჯვებულს მოელის ეს პრიზი, — ილომ ლამაზი ბოთლი ჰაერში შეათამაშა და მა- გიდაზე დადო. — შემდეგ პრიზს, — ისევ ბოთლი დააძრო, — მიიღებს საუკეთესო დეკლამატორი, ვინც ჩვენთვის საყ- ვარელ ლექსს წაიკითხას, შეიძლება ქართულიდან თარგ- მნილიც იყოს. დაახლოებით ლამის 2 საათისათვის ჩვენ განვითარდეთ „საუკეთესო ნოველის“ ნომინაციის ფინალ- ში გასულ მოსკოველებისა და ლენინგრადელების მიერ წამოდგენილ მასალას. შემდეგ, როგორც ყოველთ- ვის, სცენაზე მოვიწვევთ კლასიკური და პოპულარუ- ლი მუსიკის შემსრულებ- ლებს, — ილომ კიდევ ორი ბოთლი დააძრო და იქვე მდგარ საკონცერტო როი- ალზე მიუთითა. — ხოლო დილის ექვსი საათისათვის, ჩვენი განმორების უამს, ერ- თად მოვიფიქრებთ შემდე- გი ლამის სცენარს.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, „ხელჩართული“ ცეკვა, თავბრუდამხვევად დატრიალდა დარბაზი ერთი ბოთლი სპირტის მოლო- დინში. მას მოყვა ლექსები, მერე ისე ცეკვა, ვიღაცამ მხატვრულად დაუსტვინა, გოგო-ბიჭმ იუმორინა გაითა- მაშა, მერე ორმა ახალგაზრდამ ფოკუსები გააკეთა, ჩვენი მოტანილი სპირტი დარბაზში გადანაწილდა და ყველას უკლებლივ ბედნიერება მოჰვარა. მსგავსი დღესასწაუ- ლი არც მანამდე მინახას და არც მას შემდეგ.

დილით მართლაც დაღლილები დაგბრუნდით კოტეჯ- ში. ხუმრობა საქმეა?!?, 200 რუსის ხტუნაობას უყურო მთელი ლამე, მერე დაასაჩუქრო ლირსეული და სხვათა წყრომა არ გამოიწვიო, და რაც მთავარია, შეინარჩუნო ამალებული განწყობილება, თავიდან აირიდო ექსცეს- ბი, რაც ასეთ არეულობაში ყოველთვის მოსალოდნელია.

ილომ მითხრა: ეგ გამორიცხულიაო. რატომ-მეთქი? — შევევამათე. — იმიტომ, ჩემი ქმაო, რომ მათთვის ჩვენ ღმერთკაცები ვართ, ღვთისაგან მოვლენილები, პირვე- ლივე უკმერ სიტყვაზე წარბს მაღლა აზევე და ჩვენს და- საწყისშივე დადებულ სიტყვიერ, ჯენტლმენურ ხელშეკ- რულებაზე უარს ვიტყვი. ესე იგი, წაგალ სახლში ჩემი ბოთლებიანად. ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ ესენი, ყველა- ნი ერთად, იმ კაცს, ვინც მათი ეს ბედნიერება დაარღვია, თვითონვე მოუგრეხენ კისერს, თვითონვე ჩაქოლავენ. ამის კი ყველას ეშინა და ამიტომ ყველა თავშეკავებუ- ლია, არავინ უკადრის საქციელს არ ჩაიდენსო.

მართლაც, კიდევ ორი-სამი დღე გაგრძელდა ილოს კარ- ნავალი, ვიდრე იმ სპირტიან კანისტრას დავცლიდით. ჩვენი სტუმრები ძალიან ბედნიერად გრძნობდნენ თავს, ეს იყო მხოლოდ, რეჟისორი გაბაი სულ რაღაცაზე წუხდა, რაღაცას ბურდუნებდა, როგორც მოვხვდი, ეს მის პროფესიულ ინტე- რესებს ეხებოდა. ბაკურიანიდან რომ ვბრუნდებოდით, გზაში სულ იმსა დარდობდა, ფილმი თითქმის დამთავრებული მაქეს, და ახლა მიეხვდი, რომ ის არ გამომივა, რაც ჩაფიქრე- ბული მქონდა, მომინებს მოსფილმის ხელმძღვანელობასთან დავა, რათა მთავარი ეპიზოდები გადავაკეთოო, იქ ილო უნ- და იყოს მთავარი გმირი და არა ვიღაც „ხახოლიო“.

მისი სევდიანი საუბრისთვის, სიმართლე გითხრათ, არავის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია და არც მე მომიკლავს თავი.

* * *

დაახლოებით 6 თვის შემ- დეგ მოსკოვში მოვხვდი. კვი- რა დღე იყო, უპერსპექტივო — არსად წასასვლელი არ ვი- ყავი, მითუმეტეს უნივერ- მალ-მაღაზიებში, სადაც ყან- ყალი არ მიყვარდა. ვიფიქრე, ჩემს ბაკურანელ მეგობ- რებს შევხმიანები-მეთქი. ისე, სასხვათაშორისოდ და- ვურეეა ვერტმანს — შინ არ დახხვდა. დავურეე ექიმს — ჯუმბერი ვარ-მეთქი, ვუთხა- რო. ყურმილში კივილი მეს- მის, შეიცხადა ექიმა, ჩვენში რომ სტუმარს შეხვდებიან ალბათ, ისე. ჯერ მკითხა, სად ხარო, მერე მიპრძანა, ფეხი არ მოიცვალო, წახევარ სა- ათში მოვალ და მზად დამხვდიო. მართლაც, მოვიდა გაპრი- ალებული ვოლგით. გადამეხვია ძმურად, წრფელი სიყვა- რულით მომიკითხა. მერე ეცა ტელეფონს, რეკა და რეკა, ვიდრე რეჟისორ გაბაის იპოვიდა. — ჩვენთან ჯუმბერია ჩა- მოსული, მე ჩემი გოგოები უკვე გავაგზავნე „დაჩაზე“, ერთ საათში ყველაფერი გამზადებული დაგვხვდება, აკრიფე შენი გუდა-ნაბადი, წავიდეთ „დაჩაზე“ და შენი ფილმი გან- ვიხილოთო, — თითქმის უბრძანა გაბაის.

მართლაც, ერთი-ორი საათის შემდეგ ყველანი ექიმის აგარაკზე ვიყავით, მოსკოვის მახლობლად მშვენიერ, შუა რუსეთისათვის დამახასიათებელ ტყეში. დაგვხვდნენ ძა- ლიან ლამაზი გოგოები, ექიმის მედცერსონალი. პურმარი- ლი უკვე გაემზადებინათ და სუფრაც გაწყობილი იყო. გა- ბაიმ გაშალა აპარატურა, შეაერთა კაბელები, გაბართა ეკრანი და მოსალამოებულზე გაუშვა თავისი ფილმი: „ლე- ბედევი ლებედევის წინააღმდეგ“. შიგადაშიგ ჩვენებას შეწყვეტდა ხოლო და კომენტარებს ჩაურთავდა.

კინო-კრიტიკა აღფრთოვანებით არ შესვედრია ამ კი- ნოფილმს, ეკრანებიდანაც მაღევე მოხსნეს — ვერ იყო მთლად სოციალისტური რეალიზმით გამსჭვალული. მე კი მომენტია.



ილო ბარათაშვილი

* * *

ფილმის მთავარი გმირი – ახალგაზრდა ფიზიკოსი ლე-ბედევი – ჩეხოვის ტიპს მოგვაგონებს, – ზედმეტად მო-რიდებული, გულჩათხრობილი და გაუბედავია, უჭირს გა-დაწყვეტილების მიღება, ერთი სიტყვით, თავის ნაჭუჭშია მოქცეული, ვერ ახერხებს პრობლემების მოგვარებას, რომლებიც ბლომად აქვს. საოცრად შევიწროებულია მე-ზობელი ხანშისესული ცოლ-ქმარისაგან, რომლებთან ერთადაც კომუნალურ ბინაში ცხოვრობს. ფეხის წვერებ-ზე დადის, რომ მათი მყუდროება არ დაარღვიოს, ერიდება სამზარეულოში ონგანით სარგებლობას, ვერ რეკავს საერთო ტელეფონზე... სამსახურშიც ბევრი პრობლემები აქვს. სულ იმაზე ფიქრობს, როგორი უსამართლოა მისი უფროსი, ოცნებაში სურს პირში მიახალოს სიმართლე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ენა პირში უვარდება. ეს კი არადა, ავტობუსის გაჩერებაზე სისტემატურად ხვდება ერთ მშვენიერ გოგონას, ყვაილებსაც უყიდის, მაგრამ ვერაფრით ვერ ბედას თაიგულის მირთმევას.

ერთ მშვენიერ დღეს, დილაადრიანად ლებედევთან ჩა-მოდიან მისი ქართველი მეგობრები, ასევე ფიზიკოსები, რა-ლაც დიდ ფორუმში მონანილეობისათვის (როლებს ასრუ-ლებებს კანი კავსაძე და გოგი ქავთარაძე), შემოდის “ბაჩინ-კებით”, ტიკჭორებით, ხურჯინებით, ხმაურით, ხალისია-ნად. ლებედევი მათ აფრთხილებს მკაცრი მეზობლების შე-სახებ და სულ ეშინია, არ დატყუქსონ ხმაურისათვის. კავსა-ძე ჩამოტანილი ძღვენიდას ნაცურმორტივით მორთავს ლა-მაზ ლანგარს და სამზარეულოში მიართმევს ჭირვეულ მე-ზობლის ქალს, თან გაეარშიყება და პრობლემაც უმაღ მოგ-ვარებულია. ქალი მთლიანად უთმობს სტუმრებს ტელე-ფონს, აპაზანას, სამზარეულოს, აძლევს გასამლელ ლო-გინს და მზად არის ფიანდაზად დაეგონ. ამის შემდეგ სტუ-მრები და ლებედევიც თავს გრძნობენ კომფორტულად. ხმა-ურში ატარებენ რამდენიმე დღეს, მუშაობენ, კამათობენ, ჭამენ, სვამენ, მღერიან. აქ მოხდა ლებედევის მეტამორფო-ზა. უცებ იგა სხვა კაცი გახდა, ქართველების ლაღმა ცხოვ-რების წესმა იგა გაათავისუფლა ბორკილებისაგან. ლებე-დევი ინყებს ჩვეულებრივ ცხოვრებას, იმ გოგოს გაჩერება-ზე ყვაილებს მიართმევს და გოგოსგანაც ლებულობს თა-ნაგრძობას. მეზობლებთან უადვილებება ურთიერთობა, ინსტიტუტში უფროსებს თამამად უუბნება სიმართლეს და ყველანი მორცხვად ხრიან თავს ლებედევის წინაშე...

გაბამი ფილმი კიდევ ერთხელ შეაჩერა და ასეთი კო-მენტარი გააკეთა: სცენარის მიხედვით, ქართველების ნაცვლად უკრაინელები ჩამოდიან ზაპოროჟიედან. ამ ეპიზოდებს ნანილი გადაღებული მქონდა, მაგრამ შედე-გით უკამაყოფილ ვიყავი – ზაპაროჟიედ ჩემში ვერ აღძრა ლებედევის გარდაქმნის განცდა. როცა ბაკურიანში იღო გავიცანი, ვიგრძენი მისი მაგიური ზემოქმედების ძალა, მაშინ გადავწყვიტე, რომ ზაპოროჟიე თბილისით შემეც-ვალა და, ვფიქრობ, სწორედაც მოვიქეციო.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ გაბამი ისრაელში წავიდა, მერე ექიმი გადასახლდა, ვერტმანის კვალიც დავკარგე. ახლა-ხან კი ამ ჩემი მოგონების მთავარი გმირიც გამომეცალა.

გიორგი ციციშვილი

ტოტალიტარიზმი „ნაცოლის“ ტაქტიკის ნინაღვადევები

უნივერსიტეტის პლოიტიკური ცხოვრების ამსახველი, ჩემი შრომები, გამოქვეყნებული დოკუმენტები და დღესათ-ვის გამოუქვეყნებელი, ჩემ მიერ გამოვლენილი, უამრავი უც-ნობი საარქეო მასალა, აგრეთვე ქართული ინტელიგენციი-სა და უნივერსიტეტის ისტორიის მკვლევართა პუბლიკაციე-ბი, კონკრეტული მაგალითებით გვისაბუთებენ, რომ კომუ-ნისტური პარტია, მთავრობა, მათი ხელმძღვანელები სახელ-მწიფო უშიშროების ორგანოები და კომპარტიის პლოიტიკის ერთგული პროლეტარული კულტურის წარმომადგენლები თუ მათი დამქაში სტუდენტები, სისტემატურად და დაუნ-დობლად ებრძოდნენ ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ დაუმორჩილებელ უნივერსიტეტელ პატრიოტებს.

სათანადო წყაროები მონმობენ, რომ დაუმორჩილებელი, ე.წ. „მემარჯვენე პროფესიურისა“ და მათი მიმდევარი სტუ-დენტობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულება-თა გამომუშავება ხდებოდა ერთი მხრივ საბჭოთა უმაღლესი სკოლის მიერ დასახული პარტიის საერთო მეთოდოლოგიუ-რი პრინციპებიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე ამოცა-ნებით, მეორე მხრივ კი პატრიოტ პროფესიურ-მასზავლებელ-თა და სტუდენტთა რიგებში ჩეკას მუშაკების, მისი აგენტ-ინ-ფორმატორების, ჩამშვებ-დამსმენების, საბოტაქნიკებისა და აშკარა პროვოკატორების შეგზავნის თუ უნივერსიტეტის ზოგ თანამშრომელთა ძალმომრეობითი ზემოქმედებითი გა-დაბირების ბინძური მეთოდებით.

უნივერსიტეტის პატრიოტი პროფესიურისა და სტუდენ-ტების დამორჩილების მთავარი ღონისძიებების გამომუშა-ვება-დასახვა ხდებოდა საკაშირო და საქართველოს პარ-ტიულ ცენტრებში. კონკრეტული ბრძოლა წარმოებდა: უნი-ვერსიტეტში ხელისუფლების პოლიტიკის გატარების მიზ-ნით დანიშნული პროზელიტი და ძველი კომუნისტი, ე.წ. „წი-თელი პროფესიური“ რექტორების, ჩეკისტი კათედრის გამ-გების დანიშნულით, პარტიული ორგანიზაციების, ხელმძღ-ვანელ მუშაკთა, აქტივისტების, აგრეთვე პრესის, უნივე-რსიტეტში სახელმწიფო უშიშროების მიერ შეგზავნილი აგენ-ტებისა და გადაბირებული ინფორმატორების მეშვეობით. მათი გამოყენებით პარტია და მთავრობა ბრძოლას წარმარ-თავდა უნივერსიტეტის ძველი იორგანიზაციული სტრუქტუ-რის, საკადრო პოლიტიკის, მეცნიერული და სასწავლო-აღმ-ზრდელობითი მუშაობის აღმოფხვრის და საუნივერსიტეტო ცხოვრების ახალი, საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების ტიპური ყალიბის მიხედვით მოწყობის, ანუ თბილისის ეროვ-ნული უნივერსიტეტის ე.წ. „გასაბჭოებისათვის“.

უნივერსიტეტის გასაბჭოება მიმდინარეობდა სისტემა-ტურად: ანუ საუნივერსიტეტო ავტონომიის, მისი ტრადიციე-

ისტორიის თათრი ჯავახი

ბისა და ცხოვრების წესის მოშლით; უნივერსიტეტში საბჭო-თა ხელისუფლების შეუვალობის დაძლევით, მისი ძველი შე-მადგენლობის მერყევი ნანილის ხელისუფლებისადმი და-მორჩილებით; უნივერსიტეტში მარქსისტული იდეოლოგის დანერგვით, მემარჯვენე პროფესურის დამოუკიდებელი ეროვნული და აღმზრდელობითი პოლიტიკის აღმოვხვრით.

აღნიშნული მიზნით ხელისუფლება იყენებდა: უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფესურისა“ და სტუდენტების არაპროლეტარული სოციალური შემადგენლობის და სულისკვე-თების მიმართ, პარტიის პოლიტიკით წაქეზებულთა უნ-დობლობას; მათ სოლიდარობას რეფიმისადმი, არა-ლეგალურად მებრძოლ და საპროტესტო მო-რაობის მონაცილებთან; ბრძოლის დროს სა-ხელისუფლებო ასაკი ეყრდნობოდნენ სა-კავშირი მასტებით ორგანიზებულ პო-ლიტიკურ აქციებსა და პოლიტიკურ რეპრესიებს. ეს, პარტიულ-სახელმწი-ფოებრივი სისტემა რელიეფურ გამო-ხატულებას პოულის საერთოდ უნი-ვერსიტეტის, მისი ლეგალური პატ-რიოტული შემადგენლობისა და კონ-კრეტულად, მათთვის ცალკეული წარ-მომადგენლების მხილებებში.

უნივერსიტეტის დამაარსებელ-მოძღვართა წინააღმდეგ მებრძოლ-თა მიერ სხვადასხვა დონეზე გამოი-ქმული შეფასებები: ძირითადად იყო ანტისაბჭოთა სოციალური შემადგენ-ლობის; უმთავრესად თავადაზნაურუ-ლი, ყოფილი ანტისაბჭოთა პარტიების წევრების, უპარტიო შოვინისტურ-ანტი-საბჭოურად განწყობილი „მემარჯვენე პრო-ფესურისა“ და მნიშვნელოვან წილად მათი მიმდევარი სტუდენტების დაწესებულება“. მა-თი განცხადებებით აქ „მემარჯვენე პროფესურა“ ივანე ჯავახიშვილი



სამდვერელოების მსახურით; მენშევიური დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წევრებით; ეკლესიური და ბურუა-ზიული მორალის მატარებელი, კომუნისტ კადრებს გაუკარებელი, აშკარა „კონტრრევოლუციური“ განწყობის გამომსატ-ველებით, რომელთა ნაშრომები გამსჭვალულია ანტიმარქ-სისტული მეთოდოლოგითა და ფაქტოლოგით. სტუდენტო-ბის მნიშვნელოვანი ნანილი სოციალურად და მსოფლმხედვე-ლობრივად ანტისაბჭოურია, ავლენს უნდობლობას საბჭოთა ხელმძღვანელობისა და უნივერსიტეტის კომუნისტი რექტო-რების მიმართ და აღმერთებს ივანე ჯავახიშვილს.

პოლიტიკიუროს 1927 წლის სხდომას, რომელსაც პოლიტი-კური რეპრესიების ცნობილი თანააღმრთი, ლ. კაგანოვიჩი ხელმძღვანელობდა, მ. კახანანმა განუცხადა: „საქართველოში იყო თავადაზნაურული ინტელიგენციის სიჭრობა, მთელი ინ-ტელიგენცია, ზოგიერთა გამოკლებით ჩვენი მონინააღმდე-გე იყო და ცდილობდა განვეღენეთ. ჩვენ მათ პლებეური დარ-ბევა მოუუწვეთ. ახლა კი საყოველთაოდ ცნობილი „უერაინე-ლი ნაციონალისტის, გრუშევსკის“ და „რუსი კონტრრევოლუ-ციონერის კონდრატიევის მსგავსი“ ივანე ჯავახიშვილის ხელ-მძღვანელობით, ხანდახან ჩვენს წინააღმდეგ გამოდის შოვი-ნისტური ინტელიგენციის დაუმორჩილებელი ჯგუფი, რო-

მელსაც ვდევნითო. ივ. ჯავახიშვილი რექტორის თანამდებო-ბიდან გადავაყენეთ რიგით ლექტორად, „არსებობს დადგენი-ლება მისი იქიდანაც განთავისუფლების შესახებაც“ („საქარ-თველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ალ. 4.2.4, ფურც. 3-4).

საქართველოს კომპარტიის ცკ-ს აცნობა: „8 ათასიდან სტუდენტთა კარგა ნახევარი ჩვენი არ არის... სტუდენტო-ბაში უპირატესი გავლენით სარგებლობს შოვინისტურ-ან-ტისაბჭოურად განწყობილი პროფესურა, ხოლო „პროფე-სორ ჯავახიშვილს აღმერთებენი“ „ასეთ სტუდენტო-ბასთან კიდევ ბერი ხლაფორთი მოგვიწვეს, ვინ იცის რა არის მოსალოდნელი ქვეყანაში რაიმე სერიოზული გართულების შემთხვევაში“, ადრეც არაერთხელ გაფრთხილებდითო.

საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 1930 წლის 11 იანვრის პლენუმზე გამოაცხა-და (19 იანვარს კი გაზეთ „კომუნისტ-შიც“ გამოაქვეყნა), რომ უნივერსი-ტეტის მემარჯვენე პროფესურა, „იბრძვის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ“. ინდივიდუალური შეფასებების მიხედვით: ივანე ჯავახიშვილი რეაქ-ციონერი და „ჯავახვაძის მიმდევართა ჯგუფის“ მეთაურია — „რექტორად ყოფნის დროს ენერგიულად იბრძოდა, რომ უნივერსიტეტში მარქსიზმი არ შე-მოჭრილიყო. ამ დროს უნივერსიტეტში არ წაკითხულა არც ერთი მარქსისტი... წინააღმდეგი ლექცია და პროფესორთა შორის არ იყო არც ერთი მარქსისტი... წინააღმდეგი იყო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის (ასევე კონსერვატივიზმით ხდებოდა იგი ხელისუფლე-ბის სხვა ღონისძიებებსაც); ივანე ჯავახიშვილის

უახლოესი თანამოაზრე-მეგობარი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერ-პაპიროლოგი, რუსეთის საიმპერიო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის სახელმძღვანი პროფესორი და მისი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ლირსეული დირექტორი გრიგოლ წერეთელი, კომუნისტგმა სტუდენტგმა ხომერიკმა, რომელსაც თავი მოპქონდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულებითა და რუსულის ცოდნით, დაახასიათა, როგორც „ეკლესიური“, „არაფერი სხამს სოცია-ლისტური მშენებლობისა და კომუნისტიულების, სტუდენტებს აშკარა განუცხადა: „არ შემიძლია გაეხდე თანამედროვე კაცი“, „მარქსი მეცნიერი არ არის“, „მე თქვენი არაფერი მნამს, არც თქვენი პრინციპი მინდა... ვონ ატსიუდაონ“. ხომერიკმა, მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი მეცნიერისა და რუსეთის აკადემიის წევრ-კო-რესპონდენტის შესახებ საჯაროდ განაცხადა: „აუცილებ-ლად უნდა იქნეს გაძევებული პროფესორობადან“.

ამავე სტუდენტმა ვახტანგ კოტეტიშვილს ურჩია ბეჭედი, რომელსაც იგი ატარებდა ინდუსტრიალიზაციისთვის შეეწი-რა, დაეგმო მისი წიგნი, რომლითაც დიდი ხანია იკვებება ჩვე-ნი ახალგაზრდობა. მან რუსულად გაუკრიტიკა პროფესიონი პოლევეტოვი. პროფესორ შალვა ნუცუბიძეს თავისულებულ ურჩია, „ძირიფესურიანად აღმოფხვრას ნაკლი, რომელიც მას აქვს, თორემ იმ ასწლოვან მუხას რომ დაეტაკება, ეს აზლვე-

ვებული ხალხი დაარღვევს და მისი ნასახიც არ დარჩება” (იხ.: ივ. ჯავახიშვილი ტირანის სამსჯავროს წინაშე დღეუ-მენტები და მასალები... გამოსაცემად მოამზადეს... პროფ. მ. ვაჩინაძემ და პროფ. ვ. გურულმა. თბ. 2004, გვ. 74). კომუნისტი ასპირანტის, ყალიჩავას განცხადებით: როდესაც ლენინი გარდაიცვალა, „ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი მოგროვდნენ, ამბობდნენ გავკეთდით ხალხი ლენინი მოკვდაო“ (იქვე, გვ. 94); ფილიპე გოგიჩაშვილის შესახებ ითქვა: „საქმით ყველაფერს ამასხარავებს“, „დასცინის სოცფეჯიბრებას და დამკვრელობას“, აგრეთვე კოლექტივიზაციის; ვ. თევზიანა და შ. ნუცუბიძე ამხილეს. თურმე ამბობდნენ „საქართველოში ქართული კულტურა უნდა განვითარდეს“, „საქართველოს პირობებში კონდრატიევგმიჩნას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რომელი ქართველი იქნება ისეთი, რომ თავისი სამშობლოს წინააღმდეგ წავა“ (იქვე, გვ. 67). ივანე ვაშავაძის განცხადებით იდეალისტი შ. ნუცუბიძე წერს: „ლენინი მეცნიერი არ არისო“. მან „რეაქციონერად პოლიტიკურ პიროვნებლად“ შეაფასა ივანეს ძმა, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი; პროფ. მიხეილ პოლივეკტოვი დაახასიათეს „მონარქისტად“. იგი ასპირანტმა ყალიჩავამ ამხილა: პირველი კურსის სტუდენტებთან წამოგვიყენა დებულება — „დღევანდელი ლენინგრადი ეს არის ბოროტება ისტორიის წინაშეო, ლენინგრადი ლენინმა კი არ შექმნა, არამედ პეტრემა და ამისათვის კამათობდა“ (იქვე, გვ. 92). სხვადასხვა დროს, ძელი, უპარტიო პატრიოტი პროფესიონალი პროფესიონალი თითქმის არავინ დარჩა მტრული იდეურ-პოლიტიკური შეფასების გარეშე. ისტორიას შემორჩენილი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამდაზრე-თანამებრძოლი პროფესიონალის გაუხამსბული კრიტიკა იმასაც კარგად მოწმობს, რომ ასეთი დვარძლის გადმონთხევისათვის კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგებს გარკვეული საფუძველი უთუოდ გააჩხდათ.

საბჭოთა კავშირში ე.ნ. „კონტრრევოლუციონერების“, „კონდრატიეველების“, „მავნებლების“, „ტროცკისტ-ზინოვიელების“ და „ფაშისტების“ გამოვლენის კამპანიების დროს, ივანე ჯავახიშვილისა და საერთოდ „მემარჯვენე პროფესიონალის“ პრაქტიკული მხილებით განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს კომპარტიის, ჩეკას და უნივერსიტეტის ხელმძღვანელები. ეს იმიტომ ხდება, რომ უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფესიურა და მათი მიმდევარი სტუდენტობა კომუნისტურ და საბჭოთა ხელმძღვანელობას სამართლიანად მიაჩნდა სისტემისათვის რეალური საფრთხის მასაზრდობლად“.

გერმანიის ფაშიზმთან ურთიერთობის სახითათო პერსპექტივის განვითარებისა და კიროვის მკვლელობის (I.XII.1934) საბაბით გაშლილი ე.ნ. კონტრრევოლუციურ ძალთა გამოვლენის დროიდნ ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩეკას საუნივერსიტეტო აგენტურის და გადაბირებული ინფორმატორების („ნერონის“, „მოსკვას“, „ზახარევიჩის“, ჩაკვერტის და სხვათა) მუშაობა.

ჩეკას მიერ იძულებით გადაბირებული ინფორმატორის, ცნობილი უნივერსიტეტები გერმანისტი ლექტორის, რეინგოლდ ჩაკვერტისაგან მიღებული 12 ტომანი დაკითხვის ცნობებით, „პროფაშისტული განსყობილების, ჩამოყალიბებულ ქართველ ფაშისტებად“ დახასიათებული არიან: შალვა ნუცუბიძე, ერეკლე ტატიშვილი, დიმიტრი მგელაძე, იმნაშვილი; „ფაშისტური ორიენტაციის ქართველ ნაციონალისტებად“ კი: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე,

კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ზანდუკელი, გიორგი ახელედიანი და სხვა (იხ. „სუკის არქივი“, 21949, ტ. I, გვ. 244, 246-251). 1938 წელს შეთითხნილ, „უნივერსიტეტის გარშემო დაჯგუფებული ფაშისტურ-კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“ წევრთა დასმენებში გვხვდება დასახელებული ინფორმატორების ცნობები, ხოლო ჩეკისტურ სა-აში ივანე ჯავახიშვილის და მის თანამოაზრეთა დამსახელებლების შორის მითითებულა ჩაკვერტიც.

1937 წელს, რექტორ კ. ორაგველიძის მიერ ცკ-ის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილებისადმი წარდგენილ, უნივერსიტეტის პროფესიურის დახასიათება-დახარისხების მიზნით წარდგენილი 140 თანამშრომლის სია შედგენილია ყოფილი პარტიულობის, სოციალური წარმოშობის, უმაღლესი განათლების ადგილის, ხოლო ზოგის, აგრეთვე, ანტისაბჭოური დახასიათებით და მათი აპოლიტიკური გამოთქმების მითითებით. აქედან ისიც ჩანს, რომ ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრია 75, საზღვარგარეთ უმაღლეს დამთავრებულია — 12, მათ შორის არიან „ანტისაბჭოურად“ და „კონტრრევოლუციურად“ განცყობილებიც. როგორც ჩანს, ემზადებოდნენ დიდი ტერორი უნივერსიტეტში განეხორციელებინათ.

საქართველოს პარტიული ირგანიზაციის მდივანმა ბერიამ, რომელიც ფაქტიურ ხელმძღვანელობას ჩეკასაც უნევდა და განსაკუთრებულ სიულვიოს ავლენდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით გერმანიაში განსაზღვრული უნივერსიტეტებით პროფესიურის მიმართ, კათედრის გამგის ნომენკლატურულ თანამდებობაზე ნ. ქოიავას დამტკიცების დროს წამოახახა: „Вы все, получившие образование в Германии, завербованы в Гестапо“.

ჩემი პუბლიკციები იმასაც მოწმობენ, რომ მსგავსი შეფასებებისა და მხილებების გამო, 1921-1924 წლებში ჩეკას საპატიმროში აღმოჩენდნენ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ჩიტააია, პეტრე ქავთარაძე. 1921 წელს დააპატიმრეს უნივერსიტეტის შეუვალობისათვის მებრძოლი სტუდენტები. 1922 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მე-4 წლისთავის აღსანიშნავ დემონსტრაციაში მონაწილეობის, უნივერსიტეტშის შენობაზე შავი და ეროვნული დროშების გამოფენის დროს კი, მასობრივად დააპატიმრეს სტუდენტები. 1923 წელს გარიცხეს სოციალ-პოლიტიკურად არასამიერდ შეფასებული 1500 სტუდენტი. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვერტილი 858 პიროვნებიდან 20-ზე მეტი სტუდენტი იყო. 1925-26 წლებში აღრიცხულ 2738 პატიმარს შორისაც იყვნენ უნივერსიტეტები. ამ დროს უნივერსიტეტში ხელისუფლების მიმართ კვლავ დაუმორჩილებელი რჩებოდა. ამიტომ 1926 წელს უნივერსიტეტის უმრავლესობის ნების სანინალ-დედოფლ რექტორის თანამდებობიდან გადააყენეს, ეროვნული უნივერსიტეტის დამარსებელი ივანე ჯავახიშვილი. 1930 წელს მავნებლობის მოტივით დააპატიმრეს პროფესიონერი: ი. ჯანდირია, ლ. ლეონიძე, შ. ცინკაძე, შ. ჩხეიძე, შ. ცქიტიშვილი, რომლებიც 1937 წელს, ამ დროისათვის შეთითხნილი „მემარჯვენეობის“ ჩეკისტური ბრალდებით დახვერტილი გრ. წერეთელი, გ. ჩუბინაშვილი, გ. გებტმანი, მ. პოლივეკტოვი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. გამყრელიძე და სხვები. რვა თვით ჩეკას საპყრობილები ამყოფეს გრ. წერე-

ისტორიის თათრი ლაპარა

თელი. 1937 წელს შეურაცხყოფილი ივანე ჯავახიშვილი იძულებული გახადეს თავად მიეტოვებინა მისი პირმშო უნივერსიტეტი. 1937-1938 წლების დიდი ტერორის დროს შეთითხნილ ბრალეულობათა საფუძველზე დაპატიმრეს პროფესორები ალექსანდრე და ვრიგოლ წერეთლები, ვუკოლ ბერიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი. გრ. წერეთელმა ძევლი პროფესურისათვის დამახასიათებელი გულწრფელობით აღიარა, ფაშისტურ პროპაგანდას არა, მაგრამ ნაციონალისტურ პროპაგანდას ვერწოდიო. მას 1940 წელს ჩეკას ტყვეობაში მოუსწრაფეს სიცოცხლე. განწირულთა შორის იყვნენ უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფესურის“ თანამოაზრე-მიმდევრი უპარტიო სტუდენტებიც.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ივანე ჯავახიშვილი და მისი მიმდევარი სტუდენტები ეპრძოდნენ ანტიეროვნულ რეჟიმს, მაგრამ მათ მიმართ განხირცილებული რეპრესიები იყო არა მხოლოდ მათი სულისკვეთების, ქმედებისა და ადამიანური უფლებების ჩამონიშვილი, არამედ თვით საბჭოთა კონსტიტუციით და ხელისუფლების ოფიციალური კანონმდებლობით აღიარებული ნორმების არადევევატური.

1938 წლის 2 სექტემბრისათვის ჩეკას ორგანოებმა რეპრესიებით მოპოვებული მართალი და ყალბი ინფორმაციების კომპილაციის საფუძველზე, შეთითხნეს ჯერ დაუპატიმრებელი, ვითომ უნივერსიტეტთან დაჯგუფებული ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-ფაშისტური ორგანიზაციის 121 წევრის საა. ამ ორგანიზაციის ერთპიროვნულ სულისჩამდგმელად და იდეურ მეთაურად დაასახელეს ივანე ჯავახიშვილი და ჩეკას საკავშირო ხელმძღვანელობას (ეფოვს და ამ დროს მის მოადგილედ დაწინაურებულ ბერიას) თხოვნით მიმართეს, სანქცია მოგვეცით ამათი დაპატიმრებებისა და დამუშავების ესკალაციისათვისო. ეს თუ არ განხორციელდა, 1938 წლის სექტემბრის ბოლოს ფაშისტურ გერმანიასთან დადებული მიუნხენის ხელშეკრულებით, გერმანიასთან პარტიის ურთიერთობის აგების, ქვეყნის ახალი საერთაშორისო ვითარების გავლენითა და ფაშიზმის საფრთხის საბაბით ჩასატარებელი „პროფაშისტური“ ელემენტების რეპრესიების დღის ნესრიგიდან მოხსნის მიზანშენონილობით მოხდა.

* * *

სწორედ ზემოთ, ჩემ მიერ ფრაგმენტულად აღნერილი ბრძოლისა და მამულიშვილური თავდადების გამოც წერდა მიხაკ წერეთელი: ივანე ჯავახიშვილის ლვანლი საქართველოსათვის „მხოლოდ წმინდა მეცნიერული არ ყოფილა“. მას ივანე ჯავახიშვილი გაიგივებული ჰყავდა გრიგოლ ხანძთელთან და ქართული ეროვნულ-სახელმწიფო ებრივი ინტერესების დამცველ სხვა „წმინდა მამებთან“. გრიგოლ რობაქიძის შეფასებით „ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა დიდი ილასაგან იდუმალი გზით მიღებული“. როგორც ზემოთ ითქვა, ახალ, კომუნისტურ საქართველოში ილა ჭავჭავაძის ეროვნული ღვანილს ყველაზე გაბედულმა დამცველმა, მიხეილ ჯავახიშვილმა ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის სულიერი მამის გამეორებად რომ გამოაცხადა, აქ უთუოდ მისი პოლიტიკურ-იდეური პოზიცია და საქმიანობაც იგულისხმა. ცხობილი ანტისაბჭოთა ემიგრანტის, მიხეილ ქავთარაძის შეფასებით „ივანე ჯავახიშვილი ასე დიდი არ იქნებოდა, რომ ყველაფერზე უნინარეს დიდი პატრიოტი არ ყოფილიყო“.

შალვა ამირეჯიბის აზრით, საქართველოში „ეროვნულმა იდეამ თავი შემოინახა იმიტომ, რომ საქართველო, მთელი ქართველი ერი, სულიერ კონტაქტში იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილთან“. ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი სევერიან ჭირაქაძე ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და ივანე ჯავახიშვილის შესახებ წერდა: „ჩვენი ახალგაზრდა ნაციონალისტების ეროვნული შემეცნების სათავეები იწყება მათგან. ეს სამი ქართველია ჩვენ შთამაგონებელი მაგისტრალები ეროვნული იდეისა და საქმიანობისა“.

საქართველოში მოღვაწეთა უამრავ საყურადღებო დახასიათებებს შორის განსაკუთრებულ ყურადღების პყრობის ივანე ჯავახიშვილის მიმართ გიორგი ლეონიძის მიერ ლექსად ნათქვამი: „თქვენს ბრძყინავ აზრში, ვით განთიადი, ვაჟაცადებოდა ხალხის მესა. ის ამომზევდა თქვენს წიაღიდან“... ჩვენ მიერ უაღრესად მოკლედ წარმოჩენილი აზრისადმი სხვა ავტორთა სოლიდარობის მაგალითად გვესახება ცნობილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, თამაზ გამყრელიძის ნააზრევი: „ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო იმავდროულად ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კულტურულ-მეცნიერულ უზრუნველყოფა, მისი ერთ-ერთი ძირითად გარანტი. ამიტომა სწორედ, რომ ეროვნული უმაღლესი განათლებისა და ასალი ქართული მეცნიერების დამფუძნებელი — დდი ივანე ჯავახიშვილი, რომლის სახელსაც დღეს თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს, — ამავე დროს ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ მედროშედ უნდა ჩაითვალოს“... მაშასადამდე ივანე ჯავახიშვილის თეორიულ-მეცნიერული და პრაქტიკულ-პოლიტიკური საქმიანობა ერთობლიობში ქმნის მისი ეროვნული დაარსებას. ეს დარსება კი უთუოდ გულისხმობს მისი შემოქმედის იმ პოლიტიკურ საქმიანობასაც, რომელიც ილიას და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების დააწლის მსგავსად „მშვიდობიანი“, უსისხლო, ანუ კომპრომისული ტაქტიკით ხორციელდებოდა.

აღნიშვნული შეფასებები შეიძლება მეტ-ნაკლებად, მაგრამ დაპეჯითებით გავავრცელოთ ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრე — თანამებრძოლ, თვალსაჩინო მამულიშვილების გუნდზე. თავად ივანე ჯავახიშვილის ბრძნულ გამონათქვამში ეზობებდა: „განმარტოებული მუშაობით მარტო ერთ ადამიანს არაფრის კეთება არ შეუძლია... და თუ ჩემს მოღვაწეობას, უკვე საქართველოში, მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აისხება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, არამედ იმითაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გვერდს მიმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკვეთებით გამსჭვალული, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები“. დას, ივანე ჯავახიშვილის ბრძნულ გამონათქვამში ეზობესებულად, მაგრამ მკაფიოდ გამოსჭვივის მისი მიმდევარი, უსისხლოდ მებრძოლი დასის ნევრების ეროვნულ-პატრიოტულ, პოლიტიკური სულისკვეთებით განეული დაარსების შეფასებაც. სწორედ ამ პატრიოტულ-პოლიტიკური და იმავდროულად ანტისაბჭოების გამონათქვამის გამოსჭვივის მისი მიმდევარი, საუნივერსიტეტო შემოქმედების და მის თანამოაზრე-თანამებრძოლების საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფოებრივი, საუნივერსიტეტო შემოქმედების და ჩეკისტი ჩინოვანები.

უაღრესად საყურადღებო მაგალითის მომცემია ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა დამოკიდებულება 1924 წლის აჯანყების მთავარ ორგანიზატორთა, ნოე რამიშ-

ვილისა და კომპანიის ყოვლად გაუმართლებელი ავანტიურის მიმართ. საზღვარგარეთული სამეცნიერო მივლინებიდან 1924 წლის აჯანყების შემდეგ დაბრუნებულ გრიგოლ ნერე-თელს მისი უახლოესი მეგობარი ივანე ჯავახიშვილი აღმფო-თებით ესაუბრა „ნ. რამიშვილის აჩქარების“ და „შეარაღებუ-ლი აჯანყების უდროოდ წმონებით“, „ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის მოსპობის შესახებ“ (სუკის არქივი 31221, ტ. 4, ფ. 148). შალვა ნუცუპძემ აჯანყების წინ თანად-გომის მოპივებისათვის მისული ცნობილი ხელმძღვანელები უარით გაისტუმრა. გიორგი ჩიტაამ უარით გაისტუმრა და-მარცხებისათვის წინასწარ განნირული აჯანყების ორგანი-ზატორთა ნარმომადგენლები, რომლებმაც შესთავაზეს აჯანყების მიზნით აფხაზების მოსახლეობის ხელმძღვანე-ლობა. უნივერსიტეტელთა პოზიციას ზედმინებით ემთხვევა ყველაზე თავდადებულ ქართველ პატრიოტ ემიგრანტთა: „თერგი გიორგის“ ორგანიზაციის დამფუძნებლების ლეო კე-რესელიძის და მიხაკო წერეთლისა და მათი დეკარაციის გარშემო გაერთიანებული საქართველოს 1922 და 1924 წლის აჯანყებათა ხელმძღვანელების, ქაქუცა ჩილოყაბელის, და-ვით ვაჩჩაძის, ალექსანდრე სულხანშვილის, სოლომონ ზალ-დასტანიშვილის, შალვა ამირჯიბის, მიხეილ ლაშექარაშვი-ლის; ინტელექტუალი ემიგრანტების: კალისტრატე სალიას, სვიმონ ციციშვილის, სპირიდონ ეკფაიას, ალექსანდრ ასათი-ანის, სიმონიკა ბერეჟიანის, ალექსანდრ მანველაშვილის, ვიქტორ ნოზაძის, ზურაბ ავალიშვილის, რეზო გაბაშვილის, შალვა ქარუმიძის, გენერლების ფრიდონ წულუკიძის, შექრი ბაქრაძის, შალვა მაღლაკელიძის, და სხვათა შეხედულებანი.

„თეთრი გიორგის“ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ 1924 წლის აჯანყება არის „ქართველი ერის მიერ აღებული ბრძოლის სხირი ხაზის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მო-მენტი და საქართველოს იდეის ულრჩესი გამარჯვება“, მაგრამ ამასთანავე მითითებულია, რომ „ეს უკანასკნელი აჯანყება“ „უმომენტობის გამო პოლიტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს (გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, გვ. 392-394, 408).

მიხაკო წერეთელი გაზეთ „თეთრი გიორგის“ სპეცია-ლურ წერილში — „აგვისტო 1924 წ.“ (1930 წ.), — აღნიშ-ნავს, რომ „აჯანყების მომწყობა (საქართველოში „დამ-კომს“, ხოლო საზღვარგარეთ „შეხიზულ მთავრობას“) არასდროს ჩაუდენიათ ქართველი ერის წინაშე უდიდესი დანაშაული, ვიდრე ეს აჯანყება... რომელსაც მსხვერპლად შეენირა საუკეთესო ქართველობა... და ვინ იცის, რამდენმა დრომ უნდა განვლოს, რომ ქართველმა ერმა ეს საშინელი დანაკლისი შევსოს. ლ. კერესელიძემ აჯანყებას უწიდა „Меншевитская глуность“. სპ. კედიას აზრიც ანალოგიურია (იხ. გ. ციციშვილის დასახელებული მონოგრაფია, გვ. 312). მსგავსი აზრების ურნმუნოებს კი არ უნდათ დაიჯერონ, რომ თუნდაც უაღრესად ეროვნული მიზანდასახულობით ორგანიზებული ყველა დიდი უბედურება ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმის გამოვლინება-შედეგი და ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

სათანადო ისტორიის წყაროები და ავტორთა გამოკვ-ლევები მონმობენ, რომ უნივერსიტეტელ პატრიოტთა მსგავსი სულისკეთებით და ტაქტიკით იბრძოდნენ საქარ-თველოს ინტელიგენციის სხვადასხვა სფეროს პატრიოტი ნარმომადგენლებიც, მათ შორის განსაკუთრებით მწერლე-ბი, მათი თვალსაჩინო ნარმომადგენლები. ამასთან დაკავ-

შირებით საყურადღებოა უახლესი ქართული ლიტერატუ-რის ცნობილი მკვლევარის, პროფ. დ. თევზაბის აზრი. იგი წერს: ოკუპაციის შემდეგ „ქართული მწერლობა თანამშ-რომლობის გზას დაადგა, მაგრამ ეს არ იყო შერიგება 1921 წლის 25 თებერვლისადმი. ეს იყო ტაქტიკური სვლა (იხ. დ. თევზაბი, სუუკუნის თვალით, გვ. 234). ამიტომ შერაცხეს ანტისაჭირობითა კონტრრევოლუციონერ ფაშისტებად და უცხოეთის იმპერიალისტური ქეყენების ჯაშუშებად. ამი-ტომ მოუსწრავეს სიცოცხლე ერის ინტერესებსათვის ლეგალურად, კომპრომისული, ე.წ. „ნაწოლის“ კომპრომი-სული ტაქტიკით მებრძოლ მამულიშვილებს: ნიკოლო მა-ნიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ალექსანდრე ახმეტელს, დიმიტრი შევარდნაძეს, შალვა მიქელაძეს და მრავალ სხვას.

მაშასადამე, „ნაწოლის“ კომპრომისული პილიტიკით მოღვაწეობა საბჭოთა 20-30-იან წლებში იყო: ეროვნული ინ-ტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლის თავისებური გა-მოვლინება — ტაქტიკა, ფორმა, მეთოდი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში „კონფორმიზმი“, ან ისტორიის ამ კონკრეტუ-ლი და სხვა გამოვლინების მკვლევარ-ავტორის მასხრად ასაგდები სათანადო ისტორიის მაგალითები დამაჯერებ-ლად მონმობენ, რომ ლეგალურ-კომპრომისული ბრძოლის მიმდინარეობა ყოველთვის არ იყო „ორმხრივი პროცესი“. იგი ბშირ შემთხვევაში იყო ცალმხრივი, იძულებითი, გამოუ-ვალი ჩეკისტურ-სახელმწიფოებრივი სიტუაციის ნასაზრ-დოები, მაგრამ ერნემულდა, ავსებდა და ამდიდრებდა საერთო ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას. ისტორიის მსგალითე-ბიდან ჩანს, რომ ამ ტრადიციას ცალკეული გამგრძელებლე-ბი შემდგომშიც ჰყოლია, და ბოლოს იგი მძლავრი ეროვნუ-ლი მოძრაობის ერთ-ერთ შენაკადად ჩამოყალბდა. ისტო-რიის ეს გამოცდილებაც თავის შევლევარს მოელის. ამიტომ საჭიროა დვარძლიან შეფასებებს მოეშვან და კარგად გაი-გონ, რომ „ნაწოლის“ კომპრომისული პოლიტიკით ბრძოლა გამოხატავდა არა „კონფორმიზმს“, არამედ ქართული ანტი-საბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და ტოტალიტარიზმის წი-ნააღმდეგ ინტელიგენტური ბრძოლის ტენდენციისა და პროცესის გამოვლინებას, ანუ საერთო ეროვნული ბრძო-ლის მნიშვნელოვან ნაკადს. ეს არის „ნაწოლის პოლიტიკის“ ძირითადი არსი და ჩემი სათანადო კვლევის შედეგად მოპო-ვებული მიგნება, რომლის გამო გონიერმა მკითხველმა შე-საბამის მაღალი შეფასება არ დაიშურა, მტრად მოკიდე-ბულმა კი უსაფუძვლო სიყალით თავი შეირცხვინა.

სხვა 800 მკვლევარის მსგავსად, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან პენსიაზე გაგდებულ მკვლევარს, საკუ-თარი თავის ქება მიღირს კიტრად, მაგრამ მავანთა გასაგ-ბად მაინც უნდა ითქვას: ჩემს ამ მეცნიერულ მიგნებებს უნივერსიტეტის ისტორიის, ივანე ჯავახიშვილის ცხოვრე-ბისა და ლევანლის უებრო მკვლევარმა, აკადემიკოსმა სერ-გო ჯორბენაძემ, რომ მაღალ შეფასება მისცა ეს ბევრის მთქმელია და მოითხოვს ანგარიშის განვითარების შედეგი და ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

როსტომ ჩხეიძე

აღსარეპა გურამ დოჩანაშვილისა

II.
გვათათვა

„გამსვლელი პაიკი“ სადღაც იჩქმალება გურამ დოჩანაშვილის შემდგომდროინდელი მხატვრული მილნევების ფონზე, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარდა ეს ნოველა თუნდაც თემის გამო და მოვისაკლისე, ოთხტომეულში რომ ვერ ვიპოვნე. ასე გასაწირიც არ არის, ბოლოსდაბოლოს, განარამდენი საჭადრაკო ნოველა მოგვებოვება ქართველებს, ავტორმა დაუნანებლად რომ გამიტოს ეს არცთუ ურიგო თხზულება — ყოველ შემთხვევაში, ყმანვილები სიამოვნებით გაეცნობიან, „კოტე მასავლებლისა“ არ იყოს.

ორივე ნოველის გმირი, კოტე მასავლებლიც და ალექსიც, დიდი იცნების ადამიანია, ხელმოცარული, უნუგეშმ ყოფილობაში ჩაქარგული, შეგუებული რიგითი, პატარა კაცის ხედრს, თუმც მათ არსებაში ძალუმად ტრიალებს იმ იცნების ნარჩენები და მცირე ბიძგია საჭირო ამოსაფრენევებად.

ერთი თუ ფანტაზიის ლალი გაშლით იყლავს დიდებისაკენ სწრაფვის წყურვილს, მეორე... ერთბაშად ზემოდან გადმოხედავს ნაცნობ-მეგობრებს: ყველას უუგებ გონებრივ თამაშიო, — და ეს იმიტომ, რომ მისი გახარების მიზნით ისინი ერთიმეორის მიყოლებით შეგნებულად უთმობენ პარტიებს. რას წარმოიდგენენ, რომ ამ უწყინარ, სახუმარო საქციელს მეტად დამაფიქრებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს — გაამპარტავნებული კაცი ძნელი ასატანი გახდეს ოჯახისათვის, გარჯაზე ხელი აიღოს, სმასაც უმატოს...

საგულისხმო ხასიათი იხატება, გროტესკულ ელფერგა-დაკრული, თუმც ეს ჯერ ის ხელოვნება არ გახლდა, პერსონაჟს მკითხველის ცნობიერებიდან რომ აღარ ამოშლი-და.

თუმც რა — თემატიკა ასე უმნიშვნელო მოვლენაა?

და თუნდ ავტორმა ტომებში შეტანის ღირსადაც არა სცნოს, მე მაინც არ მივატოვებ უთვისტომონ.

განარამდენი საჭადრაკო ნოველა მოგვებოვებაო...

და საერთოდაც, მწერალთა საჭადრაკო გატაცებანი ვრცელ ციკლად რომ გაიშლება, „გამსვლელი პაიკი“ უსა-თუოდ დაიმკვიდრებს თავის ადგილს ამ ციკლში, მიუხედავად იმისა, რომ გურამი არასოდეს ყოფილა ჭადრაკის ტრიულთა ძორის და მისი ინტერესი სვლების ცოდნის იქით არ წასულა.

თუმც დაფასებით აფასებდა იმ მნერლებს, ჭადრაკს მეტ-ნაკლები სიძლიერით რომ თამაშობდნენ, და მათი ორთაბრძოლების შედეგების მიმართაც იჩენდა ხოლმე ერთგვარ ცნობისწადილს.

* * *

მოყვარულის კვალიბაზე, ვთქვათ, ტარიელ ჭანტურია საკმაოდ კარგად თამაშობდა, დიდი აღმაფრენითაც, შიგა-

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მნერლობა“, №20

დაშიგ მახვილგონივრული სვლების გამოქებნითაც, მაგრამ ეს არა კმაროდა, რომ ჩვენი ორთაბრძოლები თავის სასარგებლოდ წარემართა. სამ ხელზე მეტს არასოდეს ვთამაშობდით ერთ დაჯდომაზე, და მესამე პარტიის შემდეგ ფიგურებს რომ აურევდა, აუცილებლად მეოთხავდა:

— ვინ არის შენი საყვარელი მნერალი?

და გადამინათდებოდა სახე:

— გურამ დოჩანაშვილი!

ისევ ჩავაკითხავდი მერვე სართულიდან მეორეზე, ისევ გაიშლებოდა ჭადრაკი... ისევ აურევდა ფიგურებს, და:

— ვინ არის შენი ყველაზე საყვარელი მნერალი?

და კვლავ გადაიგიბადრებოდი:

— გურამ დოჩანაშვილი!

იმდევანდელი შერკინებაც მოთავებულია, ფიგურები ისევ არეულია, და ისევ:

— ვინ არის შენი ყველაზე საყვარელი მნერალი?

„რითი ვერ დაიმახსოვრა?“ — მიკვირდა გუნებაში, თუმც რა მენაღვლებოდა, მომბეზრდებოდა თუ რა გამეორება:

— გურამ დოჩანაშვილი!

შინ კი ერთხანს ავიზირებდი და ნატოც ამყვებიდა: ფული თუ გვინდოდა გვეთხოვა ანდა ნებართვა სადმე წასასვლელად, ყოველთვის ასე ვიწყებდით:

— მამი, მარჩენალო, მამი!

აი, ნორჩი ჯანჯაკომო როგორც მიმართავს ხოლმე არტუროს. ნუ იტყვით, ეგ პასაჟი რაღაც არ გვახსოვსო. განაშეიძლება „სამოსელი პირველიდან“ რომელიმე ადგილი ერთბაშად არ წამოგიტივტივდეთ მეხსიერებაში? თუკი პირველად წაკითხვის ბედნიერება წინ არ გელოდებათ.

მამა იცინდა: გაგაგიუებთ თქვენ ეგ გურამ დოჩანაშვილი!..

ამასობაში გურამი მართლაც მალევე დამირეკავდა: რასაც გბირდებოდა, მოვათავე და ხვალვე შეგიძლია მესტუმროვ.

დედა მირჩევდა: ასე ნუ მიადგები, კარგი იქნება, თუ ნათელას ყვავილებს მიართმევო.

სასაცილოდ არა მყოფინდა ხოლმე, ყვავილების მირთმევას რომ მისესნებდა და არც მანამდე და არც შემდგომ არავისითან თაგივულით არ მივსულვარ, თუნდაც ერთ ცალს რა დამაჭერინებდა ხელში, მაგრამ მაშინ კიდევ დავიაცურდებოდი, არც არავისი მომერიდებოდა და ყვავილთა ისეთ კონას მოვიმარჯვებდა, კინოფილმ „ქორნილში“ რომ უჭირავს გიორგი ქავთარაძის გმირს და გამვლელ-გამომვლელი გაოცებული შეჰყურებს მის თავაგამოდებულ სვლას, გროტესკული ელფერი რომ გადასდევს. რეჟისორული ჩანაფიქრით, პერსონაჟი პირდაპირ ხალხში მოაბიჯებს, ისინი გაფრთხილებული არ არიან, ფილმის გადაღებაო, და მათი გავირვება თუ შეფარული ირონია ამიტომაცა ასე-თი ბუნებრივი.

მეც, ვინ იცის, რამდენი გაოცებული თუ ირონიული მზერა მიმაცილებდა.

ნუთაგი და ცლეპი

ძალიან არ დაგიდევდი!..

და ყელყელა ვარდების თაიგულს ისეთი ძალდაუტანებლობით მივწინდიდი ჩემი უსაყვარლესი მწერლის მეუღლეს, თითქოს მანამდე ყვავილების მირთმევის მეტი არაფერი მეკეთეშინოს.

შინ ნინასნარვე გამაფრთხილებდნენ: ძალიან არ შეაწუხო, გურამთან ლაპარაკი შეეს არ მოგბეზრდება და ახლა იმასაც ჰქითხე, თუ ენდომება შუალამემდე უჯდეო. მეც თან მერიდებოდა, თან გამომშვიდობება არ გინდა?!.

მაშინაა, რომ ვეტყვი: დომენიკოს საყვარელი თამაში „სადღაციდან დაბრუნება“ მთელი თავისი სიუჟეტით ჩემთვისაც ახლობელი იყო, რაც სულიერი თვალი გამოივახილე, და ეს პერსონაჟი ჩემს ძმად ამიტომაც დავიგულე-მეთქი.

ცხადია, ისიც ვიგრძენი, რომ „სადღაციდან დაბრუნება“ მწერალს ფანტაზიით კი არ შეეთხა, არამედ საკუთარი ბავშვობიდან შეუფერადებლად გადმოეტანა ეს სიუჟეტად გამთლიანებული ფიქრი და სულაც პერსონაჟის მხატვრული სახის ერთ-ერთ საყრდენად ექცია.

დამიდასტურებდა.

და ამასაც დასძნდა:

— აბა, მაში შენთვისაც ჩემული უნდა ყოფილიყო ავადმყოფობისას ფანჯრიდან რომ უყურებდი წეიმას და წარმოსახვით კი მის ჩერალში დარბოდი და გუბეებში დატოპაობდი.

თქვენითაც მიხვდებით, მართლა ასე რომ იქნებოდა, მე კი იმ წუთას ძალდაუტანებლად წამომაგონდებოდა „სამოსელი პირველის“ ის პასაჟი, დომენიკო უკვე ლამაზ-ქალაქში რომ იმყოფება და:

— ესეც ბავშვობისდროინდელი თამაში იყო — წეიმიან დღეს, როცა კოჭლი ყმა ეზოში სათამაშოდ არ უშვებდა, ფანჯრის რაფაზე მიკალათდებოდა და ატალახებულ ეზოს შეშის მიღმა გასცეროდა. და როცა ერთხელ ძალიან დაწყდა გული, იყურა, იყურა, ცრემლები მოიწმინდა და გამოსავალი იპოვნა — თითქოს ეზოში დაბიჯვებდა, გუბეებში ფეხებს აბათქუნებდა, და, რაფაზე წამოსკუპებული, აღტაცებული შესცეროდა წანატრ ორეულს, ვის ფეხექვეშაც ტალახი ჭყაბურობდა.

და ზეპირად რომ დავიმოწმებდი ამ ფრაგმენტს, მასპინძელს ეს გაუკვირდებოდა, მე კი მისი გაკვირვება გამაოცებდა და გულში ამაყად გავივლებდი: სხვა ადგილებიც მკითხე, და უფრო ვრცელიც, თუ გინდა!..

იმსანად ჯერ კიდევ არ წამეკითხა კონრად ეკიინის ნოველა „მდუმარი თოვლი, იდუმალი თოვლი“, რომლის სიუჟეტური ქარგაც მთლიანად ამ განწყობილებაზეა აგებული, თუ როგორ მიელტვის პატარა ბიჭი თოვლში გავლას, მაგრამ მისი დაუმცხრალი წყურვილი იმით იპოვნის გამოსავალს, რომ დაისიზმრებს, თუ როგორ მიაბიჯებს ფიფქების ცვენაში.

ეს ის განცდაა, რომელიც ამა თუ იმ ყმანვილს თვითონ-ვე უჩნდება და სულაც არ არის აუკილებელი, მწერალი მანიცდმაინც სხვა მწერალს დაესესხოს — თავისივე ბიოგრაფიიდან, ღრმადინზემური შეგრძნებებიდან ამოაქვს ეს და ამისთანა დაუკინებარი წყრილმანები.

წვრილმანები კითომ?!

ისე „სადღაციდან დაბრუნებასთან“ შედარებით ეს ფიქრი წატურალიზიც კი გახლდათ ჩემთვის, თუმც ის წარმოსახვითი მოგზაურობაც არ გამომერჩეოდა რეალობისაგან,

მითუმეტეს, მიხეილ სანაძისა არ იყოს („მიხეილი და ალექსანდრე“), ჩემთვისაც ერთნაირად აღტაცი გახლდათ, ცხადში გამეხარდებოდა რაიმე თუ იცნებაში.

მერე მოინდომებდა გურამ დოჩნაშვილი, რომ ეს მოთხობაც კეურაძეთა ციკლისათვის დაეხატესავებინა და მიხეილს მათ დეიდაშვილად გამოაცხადებდა „ერთი რამის სიყვარულში“ — გროტესკული იერით, ახირებულობითა და უცნაურობით მართლაც მათი სისხლი და ხორცია, სულაც მათი თავისებური არქეტიპი... თუმც ამ ციკლში მისი ამბის ჩართვა მაინც ხელოვნური ცდაა, ისეთი დასრულებულია ეს ტრიატიქი, დეიდაშვილის შემომატება, თუნდა ასეთი კოლორიტულის, ბევრს არაფერს სძენს ძმების სახე-ებსა თუ ზოგად ფონს. ის კი არა, მათი გაგრძელება აღარც უნდა ეცადა და სამივე ძმის ერთდროულად გამოყვანა ერთ სიუჟეტურ ქარგაში — „ცალ-ცალკე და ერთად“.

ეს რაღაც ისე გამოდიოდა, რაიმე კინოფილმი ან სერიალი პოპულარობას რომ მოიპოვებდა და რეჟისორი და სცენარისტი გადაწყვეტდნენ მისი გაგრძელების შექმნას — გაგიმიართლა და ამისთანა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან როგორ გაეუშვათო. მასობრივ მაყურებელს მოსწონდა, რატომაც არა, ნაცნობი და საყვარელი გმირისა და მისი გარემოცვის კვლავ და კვლავ ხილვა, მაგრამ ხელვნება შესაფერისად ველარ ასდევდა ავტორთა სურვილს და გაგრძელებად ჩაფიქრებული ფილმი თუ სერიალი მკრთალ ანარეკლად რჩებოდა მანამდელი მიღწევისა.

ცხადია, მკითხველისა თუ მაყურებლის აჟიოტაჟი და მათი შუაგულიდან დაბრული დაკვეთა ყოველთვის არ ულისხმებობას გარდუვალ მარცხს ან შედარებით წარუმატებლობას. გამონაკლისი ყველგან და ყოველთვისაა მოსალონდნელი და ამიტომაც ყური არ უნდა მოუყრუო ხალხის ამგარ განხოყობილებას...

აგრე ალექსანდრე ყაზბეგს კი არ გაუმართლა მარტო, მთელ ჩემს მწერლობას გაუმართლა, მკითხველის თხოვნა ძირს რომ არ დაუშვა და უკვე მოთავებული „ელგუჯა“ კვლავ გააგრძელა, და იქნებ არცთუ ურიგო ნოველა ჩინებულ რომანად აქცია და ჰეროიული სული ისეთი ძალით შემოიტანა საზოგადოებრივ ყოფაში, გარდამტეხიც შეიქნა წვრილი ცნობიერებისათვის.

კეურაძეთა ციკლის პოპულარობამ შეაგულიანა მწერლი და მონდომებით ჩაუჯდა მათ ერთობლივ თავგადასავალს, თანამედროვე ზღაპარიც შეარქევა, არც გამომგონებლობა და მახვილებრივი დაუშვერებია, არც სტილური არტისტიზმი და დახვენილობა, და დარწმუნებულიც გახლდათ, ისე დავაგირგვინე მათი მხატვრული ბიოგრაფია, თავიდან რომ ვერც ვინატრებდიო. და ნეტარება გადასილოდა სახეზე, როდესაც ლევან ბრეგაძე უშურველად უქებდა ამ მოთხოვნას: ასეთი შთაბეჭდილება ცოტა რამეს თუ მოუხდენია ჩემზე.

განსაკუთრებით იმას აღეფრთოვანებინა: ეს საცირკო ხელოვნება რამ მოგაფიქრაო.

თუმც აქამდე შეჩერებული ვიყავით ცალ-ცალკე წანალს, ახლა კეთილი უნდა ვინებოთ და შევერთოდეთო, — ძმების დარწმუნებას ცდილობდა შალვა, — მე რომ ისეთი რამის გაღვივებასა და დანთებას უცდილობ, დაფარვა რომ სჭირდება, მოდი ჩავჭიდოთ ერთმანეთს და მოთხოვნას: ასეთი შთაბეჭდილება ცოტა რამეს თუ მოუხდენია ჩემზე.

ოლონდ — შეუნილბავად კი არა, არამედ ხელოვნების

ერთ-ერთი კუთხით, ერთ-ერთი სახეობით უნდა აღჭურვილიყვნენ.

მაინც რომლით?

შალვას ბევრი ეფიქრა და ხელოვნებათაგან ამოერჩია უმწიკვლოესი.

თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა გურამ დოჩანაშვილი ამ „უმწიკვლოესი“ სახეობის გამჯღვნებას, მკაფიოდ ცნაურდება, თუ როგორ აჭიანურებს დასახელებას — ძაბაგს და ძაბაგს მკითხველის ცნობისწადილს. ჯერ ვრცლად ლაპარაკობს, თუ რა უშუალო მიზანი აქვს სოფლად სტუმრობას, მერე უცდრად რუსის ქალი უნდა მოევლინოთ დიდ განსჯაში ჩაფლულ ძმებს (მისი რუსობა იმ მახვილგონივრული და გამჭვირვალე მინიშნებითაა მისახვედრი: არაბერძულად იკითხაო),

მერე სახელდახელო სუფრა უნდა გაიძალოს იქვე, ფუნიკულიორის ბუჩქნარში, მერე ორი მილიციილი (რაკილა ზღაპარიცაა — დევებად მონათლული) უნდა წაადგეთ თავზე და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის განყოფილებაში მიაბრძანონ სამივე, მერე გახსენებად ქეიფის დიალოგი უნდა ჩაერთოს და, როდესაც მკითხველს, გრიშასი არ იყოს, მოთმინება გამოელევა, შალვამ როდის-როდის ამოთქვას, თანაც როგორი შინაგანი ზეიმურობით: არ



როსტომ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი, მაკა ჯოხაძე

გადანცვიფრდეთ, ნელ-ნელა გეტყვითო, — და ზეზეც უნდა წამოიმართოს, — ეერთი... ორი დაა... რა და საცირკო ხელოვნება!

ეს თვითონ მწერლის შინაგანი ზეიმურობაა, მიდევნებული პერსონაჟის განცდებს, რაკილა ერთად ემტვრიათ თავი, ადამიანის სულის შესაძლებად ხელოვნების რომელი სახეობა სჯობდა, და არჩევანის ძიებით გაწვალებულს — რაკილა მუსიკა, პოეზია და ამისთანანი, დალოცვილები, საშიში გახლდათ, რაიმეთი ცუდად რომ არ დაგვირგვინებულიყო — საცირკო ხელოვნება რომ მოაფიქრდებოდა, ამ მიგნებით ალტაცების გამოთქმას პერსონაჟს გადაულოცავდა, და ახლა, შუა გამზირზე მდგარი, გადაიბადრებოდა, აბა, რა იქნებოდა, უკვე აღიარებული კრიტიკოსი ამ მიგნების შთამბეჭდაობას რომ უდასტურებდა.

და მალიმალ გადმომხედავდა ცოტა არ იყოს შეფიქრიანებული: რას გაყუჩებულაო.

ანურული ვიდექ.

მერე კი ლევანი რომ ჩამეკითხებოდა: ნუთუ სიუჟეტში საცირკო ხელოვნების შემოტანა ეფექტური არ მოგეჩვენაო? — ეფექტური როგორ არ მომეჩვენა-მეთქი, — მივუგებდი, ამის თანახმა კი ვიყავი, — მაგრამ თვითონ მოთხოვობა... — შენი მიკვირს, რა არ მოგეწონაო, — იმან, — ნუ-

თუ აღარ არის გურამი შენი უსაყვარლესი მწერალიო? — რომ არის, სწორედ მაგიტომ-მეთქი, — თავს ვიმართლებ-დი, — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ იმის შემდეგ, „საქმის“, „განმსდგომი შუაკაცის“ შემდეგ, რა ვიცი...

ამ მოთხოვობას მწვავე კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვებოდა „კომუნისტის“ ფურცლებიდან. გურამ გვერდინოთელი ითავებდა ამ დავალების შესრულებას, მიზეზი კი სამთავრობო განაწყენებისა, ერთი მხრივ, მწერლის ლამის ყოველდღიურად მზარდი პოპულარობა გახლდათ, მეორე მხრივ კი აქ გამჯღვნებული მესიანისტური იდეა მოითხოვდა მკაცრ თავდასხმას საბჭოურ-იდეოლოგიური პოზიციიდან, მთელი მოთხოვობის გაქიაქებასაც და განსაკუთრებით იმ პასაჟის გაცამტვერებას, სადაც ეს მოლოდინი გამჭვირვალედ არეცლილიყო:

— ჩვენ, სამივე ძმამ, ვაჟ-სამანიშვილისაგან განსხვავებით, ფეხმძიმე ქალებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, — ჩვენის მონდომებით და რუდულებით, მზე-ჭაბუკი ჩამოყალიბდეს და დაიბადოს ეგებ.

მოთხოვობას ზღაპარს იმიტომ შეარქმევდა და ზღაპრულ მოტივებსაც იმიტომ დაესესხებოდა, მზეჭაბუკის სახება ისე რომ შემოეცურებინა თხოვობაში, ცენზურას არ ამოეშაბა, და გურამი კვლავ მიბრუნებოდა იმ მრნამსა თუ სწრაფვას, „მხიარულ ბორცვსა“ და „ჩემი ბუჭუტა, ჩვენ ტერეზაში“ ასე სახიერად გამოთქმულს.

კვლავ მოლოდინად დარჩენილიყო.

ჰა, თითქოს მოსულიყო უკვე მესია, ჯვარცმაც გამოეცადა ერთ სიუჟეტურ ქარგაში, გულგატებილობა — მეორეში... არადა, კვლავ მის დაბადებას მისჩერებოდა გურამ დოჩანაშვილი — ამჯერად ამ ვარიაციით ემჯობინებინა მესიანისტური რემენის გამჯღვნება ანუ ძველი „შეცდომის“ გამოსწორება, საკმაოდ შეეჭვებულსა და საკუთარი თავის მაყვედრებელს: რატომ ვიჩქარე, რა მრჯიდა „მხიარულ ბორცვის“ შექმნასო...

რას ჰქევა, ყურადღება რომ უნდა მიაქციო ფეხმძიმე ქალებსო, — განრისხდებოდა ოფიციოზი.

ჩემი მხრივ კი, მეთქენა-არ მეთქვა, მეთქვა-არ მეთქვა... ბოლოს მაინც შევბედავდი ერთ პასაჟზე: საჟურნალი ანაწყობის კითხვისას იქნებ შელეოდი და წაგეშალა-მეთქი.

ეს ის ადგილია, პერსონაჟი რომ ბობოქრობს მწერალზე, გრიშა ეკურადე — გურამ დოჩანაშვილზე: იმ შეჩვენებულმა აქაც არ მოგვაგნოს, რას მერჩიდა, შტერივით რომ დამაბზრიალა რაღაც სულელურ ხალხში! გააცინა მოცლილები ხომ, მაგ უპასუხისმგებლობამ, მაგან:

ნუთები და ცლეპი

— ერთხელ სოლოლაკში ანტიფხიზელი ვნახე!.. გამომივიდა სიტყვის ოსტატი!.. ხომ ამოვიდნენ მაგის თხეში!.. რა იცის მაგან მატარებელში სად გავიღოიძე!.. კანდიდატებზე ზემოთ ეგ ველარ ავა... სიმაღლეში რა ჭკუა ყრია!.. მე ვენაცვალე პატარ-პატარა პროფესორებს...

ელიზბარ ჯაველიძეს გადაკრავდა — იმსანად ეს ყველასათვის ადვილი ამოსაცნობი გახლდათ და ბევრი კიდეც კმაყოფილი დაარტყმდა ხელს მხარზე გურამს: ყოჩალ, კარგად მოუყოლეო, — რათა იმისაგან პირდაპირ ელიზბართან გარქარებულიყვნენ: რა უნდა, რას გერჩის, რაც დაუწერე, ყველაფერი სწორად დაუწერე, კიდევ უარესის ღირსიც იყო და დაინდეო.

ჰაიი — მწერალთა კავშირული ყოფა, მისი სახე, მისი ბუნება, მისი არსებობის საფუძვლთა საფუძველი.

მე ვერ მოვუწონებდი იმ ფრაზას — მწერლობისათვის ცნობილია და კარგადაც ცნობილი კრიტიკის საპასუხოდ არა მაინცდამაინც პოლემიკური სტატიის დაწერა, არამედ გამოპასუხება მხატვრულ ქმნილებაშივე — კლასიკური მაგალითი თუნდაც ჯონათან სვიფტის „ზღაპარი კასრზეა“ (იმასაც აკი ზღაპარი ჰქვია!), ერთსა და ორ პასატე რომ არ იკმარებდა ეს დიდებული შემოქმედი და სულაც აითრევდა კრიტიკოსს მთელი სიუჟეტის მანილზე... გურამსაც შეეძლო, ცხადია, პოლემიკური პასაჟები მოთხოვობაში ჩაერთო და თუნდაც გაეშალა, მაგრამ ეს ყოველივე ლიტერატურის ფარგალში უნდა მოქცეულიყო, რაოდენ მწვავეც უნდა ყოფილიყო. ეს ფრაზა კი სულ სხვა სტილისტიკიდან გახლდათ ნასესხები, იმჟმად ძალიანაც მოღურიდან, მაგრამ გურამს არ შეცვერდა.

— ანტიფხიზელი ხომ კარგად მოფიქრებული გამოთქმაო? — იქთ გადამიტანდა სიტყვას.

— კარგია, რატომაც არა, ეგ დარჩეს, რას უშლის, მაგრამ ის კი, გარეგნობას რომ ეხება...

— ვიფიქრებ... თუ გადავხარშე...

ეტყობა, ვერ გადახარშა.

თანაც, ერთი კრიტიკოსის შეხედულებად კი არ მიაჩნდა, არამედ გარკვეული წრისა და სულაც ცენტრალური კრიტიკის კულუარებზე ეჭვობდა, სკეროდა, საიდუმლო ხმით რომ ამცნეს: იქ დაიგეგმა ეს წერილი შენს და ბესიკ ხარანაულის წინააღმდეგ, თქვენი პოპულარობა და გავლენა და ეს ანტიკომუნისტური განწყობილება არ ეჭაშნიკებათ და კიდეც ამიტომ მოგაყოლეს ეს კრიტიკული თავდასხმა, თანაც „მნათობის“ ფურცლებიდან, სადაც ორივე მუშაობთ, ასე რომ არ ყოფილიყო, არჩილ სულაკაური უთუოდ მოერიდებოდა მის გამოქვეყნებას, ახლა კი თავსზემოთ ძალა არა ჰქონდათ.

არჩილს თავისი არგუმენტი მოემარჯვებინა: კრიტიკას ხელოვნურად ხომ არ ჩავასხობ, აგერ ელიზბარის იმ წერილმა როგორ გააცხოველა ჩვენი სამწერლო ყოფა და მეტად საინტერესო დისკუსია გამოიწვია.

ოტია პატკორია უურნალის რედაქციაში საჯაროდ განაცხადებდა, ეს მაშნი, კრიტიკოსთა თავყრილობა რომ მოეწვიათ, უურნალს ძალიან სჭირდება კრიტიკული წერილები და თქვენი თანაადგომის იმედი გვაქვსი: რა მოხდა მაინც ამისთანა, ბესიკმა შედარებით იოლად გადაიტანა, მაგრამ გურამმა, მგონი, იუმორის გრძნობა დაკარგაო.

მეც ვუიოლებდი: ვიდაც-ვიდაცების ჩაწერებებს მაინცდამაინც ნუ უჯერებ, მე კი ძალიან მიყვარს „ვა-

ტერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, მაგრამ ამ მოთხოვის მკითხველებში არაერთგვაროვანი შთაპეჭდილება და შეფასება რომ გამოიწვია, ზოგს ძალიან მოსწონს და ზოგსაც ძალიან არა, და მიაჩნიათ, რომ ენობრივი ექსპერიმენტებულია და ამ გზით სიარული გაუმართლებელია, ესეც ამკარაა, და მოსალოდნელია ელიზბარ ჯაველიძე — პირად შთაპეჭდლებასთან ერთად — მკითხველთა ამ წრის თვალსაზრისს გამოხატვდეს-მეთქი.

ოთარ ჩხეიძე სხვაგვარად გაუიოლებდა: ძალიანაც კარგია, სამწერლო ცხოვრების შუაგულებში რომ მოექეცით შენ და ბესიკი, სალაპარაკო, საკამათო გახდა თქვენი ნანერები, ახლა მათ ირგვლივ ტრიალებს საზოგადოებრივი აზრიო.

— თქვენ მიჩინეული ხართ კრიტიკას და... — პასუხობდა გურამ დოჩანაშვილი.

ის გაიცინებდა:

— სულ მიჩინეული ხომ არ ვიყავი, თანაც ნუ დაგავიწყდება, მაშინ კრიტიკული თავდასხმა ლამის ციხის კარზე მიგაგდებდა, ბეჭდვა რომ გიბრკოლდებოდა, ეს ხომ გარდუვალად. ახლა ხომ ის ვითარება აღარ არის, რაც უნდა იყოს, დისკუსია ლიტერატურის ფარგლებში ტრიალებს.

მერეა, ამ მოთხოვის განხილვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ მოეწყობოდა, ხალხით გადაჭედილ საქტო დარბაზში და ახალგაზრდა მწერალთა წრის თავმჯდომარე „ვატერ(პო)ლოოს“ ენობრივ-სტილურ ძებებს ოთარ ჩხეიძის მწერლურ მანერას დაუკავშირებდა თუ არა, დასძენდა: ამ ანტილიტერატურისაგან განსხვავებით გურამ დოჩანაშვილის სტილი საქმაოდ მომხიბლავია. გურამ უპასუხოდ არ დატოვებდა ამ გამონათქვამს: ახალგაზრდობას სჩვევების ასეთი შევეთრი აზრები, აი, თუნდაც მე ისეთ პოეტის არ ვაფასებდი, აქ ვერც გაგიმხელო, ვაითუ შთაპეჭდილება შეგეცვალოთ ჩემზე, ოთარ ჩხეიძეზე კი ერთს ვიტყვი, დადგება ამ დიდი მწერლის დრო, როდესაც შესაფერისად ჩაწვდებიან და დააფასებენ მის მხატვრულ სამყაროს.

საერთოდ, მასთან შეხვედრა თუ ცალკეულ თხზულებათა განხილვა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, საკამაოდ ხშირად და არაერთ დარბაზში იმართებოდა წლების მანძილზე, ლიტერატურულ სალონთა ერთი ყველაზე სასურველი სტუმარიც იყო და განსაკუთრებით კი მაშინ უნდა გენახათ ორმტრიალი და ხალხის მიწყეტება, როდესაც აკაკი ბაქრაძე გახლდათ მომხსენებელი, იმანად მისი პოპულარიაც უზმომ იყო და ნამდვილ მკითხველებსა თუ სხმებს უკეთესი თავშესაყარი არც ეგულებოდათ — აკაკი ბაქრაძე ლაპარაკობდა გურამ დოჩანაშვილის ჯერ რომანზე („სამოსელი პირველი“) და შემდეგ პიესაზე („ხორუმი ქართული ცეკვა“), ერთის შესახებ — საჯარო ბიბლიოთეკაში, მეორისა — მსახიობის სახლში.

ნამდვილი წიგნი ის არის, მკითხველს დამთავრებისთანავე რომ წამოაძხებინებს ვაჟას კვალობაზე: გულში მჭირს, გულში, რჯულძალობი, — ამ სიტყვებით დაიწყებდა რომანზე მსჯელიბას და ვრცელ, მოუწყინარ საუბარს სწორება ამ განცდით განმსჭვალავდა, „სამოსელი პირველიც“ რომ იწვევდა მკითხველებში ამგვარ აღტაცებას, ბოლო დროის ეს გამორჩეული, არაორდინარული ქმნილება.

მარტო ბოლო დროის? — ცოტა გაბუსხული გავიფიქ-

რებდი და... კვლავ შთავინთქმოდი ორატორული ხელოვნების ხიპერში.

პიესასაც მოინონებდა, და მძაფრ პუბლიცისტურ პასაჟებსაც იმ მიმოხილვისას უფრო მეტად ჩაურთავდა და მწერალს აგრძნობონებდა, კიდევ უფრო მკვეთრად შეიძლებოდა ეროვნული სულისკეთების გამოხატვაო.

რაკილი გურამ დორჩანაშვილი ეროვნული ხასიათის თავისებურებებს პიესაში უფრო მეტად უტრიალებდა, კრიტიკოსი ურჩევდა, ეს საშუალება ხელიდან არ გაეშვა და, თუკი გადამუშავებას მოინადინებდა, ამ კუთხით მეტი ეფიქრა.

რა უნდა კაკოს, ვერ გავიგეო, — იზა ორჯონიკიძეს საჯარო სიტყვა არ მოუთხოვია, თუმც შეხვედრის დასრულებისას ფოიეში რომ გამოვიშლებოდით, ისე ხმამაღლა მიაძახებდა და მერე ენაწყლიანადაც ალაპარაკდებოდა, ბარებს ცენაზე ასულიყო, — რას მოითხოვს შენგან, შესანიშნავი მწერალი კი ხარ, მაგრამ ბოლოს დაბოლოს გურამი და არა ილიაო... — და ისე თავმომწონედ მიმოხედავდა გარშემო, ყველას აგრძნობინებდა, ილიას თუ ეძებთ, ცოტა თვალი გაახილეთო.

გურამი სკოლის მოსწავლესავით იდგა და უსმენდა.

მე კი იმაზე მწყდებოდა გული, ამდენ საღამოს ვესწრებოდი და ვერცერობხელ ვერ გავზედე სიტყვის წარმოთქმა. ტრიბუნასაც მივეჩერებით თანდათან, საჯარო გამოსვლებაც, გურამის საღამოებზე კი ენაშებორკილი ვიჯექი და გუნებში აღთქმას ვდებდი: ეს ბოლო იყოს, ამის შემდეგ შეხვედრაზე კი უსათუოდ მეც მოვითხოვ სიტყვას-მეტქი. ლიტერატურული წერილების გამოქვეყნებასაც დავიწყებდი და, მანამდე რომ მეგონა, გურამის შემოქმედებაში ჩავეფლობოდი და დიდხას ვერც გავცდებოდი, თითქოს რაღაც მოჯადოებულ წრეში მოვაცეულიყოვი და საერთოდ ვერ დამტერა მასზე ვერაფერი.

მოჯადოებულ წრედ ითქმის, აბა, სხვას რას დაარქევ.

ყელამდე სავსე ხარ სათქმელით, ენის წვერზე გადგას და... ფრაგმენტულადაც ვერ მოგიბამს თავი, ნაკუნი რაა, ნაკუნიც ვერ გაგიმულავენებია.

და ვატყობდი, ნელ-ნელა როგორ ინავლებოდა ის ცეცხლი, რომელიც თითქოსდა მონოგრაფიისათვისაც კმარიდა, არამცთუ მისი ნამსხვრევებისათვის... ან ნამსხვრევები სად იყო, თორეტ!..

და გუნებაში რომ ვწონიდი სათაურებს, საბოლოოდ ნეტა რომელი მექანიზმინებინა — „მკათათვე“, „ჰენდელის კანონი“ თუ „დიადი ვერასოდეს“, და რაკილა დასაკარგავად სამივე მენანებოდა და გადავწყვეტდი, ერთს თუ საერთო სახელწოდებად გავიტანდი, ის ორი აუცილებლად ცალკეული თავებისათვის დამერქმია — ეს განსჯა თანდათან სასაკილოვდებოდა კიდეც და უუნარობის განცდასაც მიღრმავებდა.

მიდი და არჩიე დაუწერელი მონოგრაფიის სახელწოდებან... თავების სათაურებიც არასაგზით არ გამოგრჩეს.

„თავფარავნელი ჭაბუების“ გიორგი პაპა — ჯაჭვით შეკრული სიტყვების კაცი — იმ ხელნამგლიან, სატევრიან ხალხში უცნაურად თვალებგაელმებულიყო, ფიქრით სხვაგან წასული, დააბოტებდა ტყები, ყანაში, ფოთლებს სხვაგარად უმზერდა, საღამობით გახევდებოდა და რიდით ას-ცქეროდა ღრუბლებსა და ვარსკვლავებს, და უბრალო ბალაბულახი სხვებისთვის თუ არარაობა იყო, იმას უცნაურ,

სიამენარევ ტკივილსა ჰგვრიდა, და იმ ბუნდოვან, ძნელად გამოსათქმელ სიხარულსა თუ სევდას თავისი სიტყვა სჭირდებოდა, ოფლითა და წვალებით მისაგნები, სისხლჩა-საღვრული, ერთი, ერთადერთი...

ისეთი პორტრეტი წარმოისახებოდა, მწერლის მისეულ, დორჩანაშვილისეულ იდეალს რომ უახლოვდებოდა, მაგრამ თან გულსაც რომ რაღაც დააკლდებოდა, ვასიკო კეჭერა-ძეს კიდევ უფრო სრულყოფილად გამოათქმევნებდა და სულაც გამოაქანდაკებინებდა: მგელზე ამხედრებული ამა-ყი გლახა, არწივით მსარზე (ავი ისიც არ იწვროთნებოდა!)... მაგრამ ჯერ მაინც შეეჯერებინა გული გიორგა პაპად გა-მოხატული შემოქმედებითი წვისათვის, და მის სულში დაძ-რულ უცნაურ წაეადს დითირამბს რომ აღუვლენდა გურამ დორჩანაშვილი („სიტყვებს, ეიო, სიტყვებს... რა არ შეეძლოთ სიტყვებს, რას არ დაანგრევდნენ, რას არ ააშენებდნენ, რას არ უბოძებდნენ...“), აგვისტოს ხატიც როგორი პლასტიკუ-რობითა და ექსპრესით შემოცურდებოდა ათასფერადად აკიაფებულ ხილვებში:

— და გიორგა პაპაც იმ თავისი ბასრი წამგლით მეიდა და მეიდა, და ერთი წელინადიც ერთადერთ თვედ — მკა-თავედ იწელებოდა და მთელი მისი ცხოვრება მკათათვე იყო, იმის ლექსებსა მღერონდა ხალხი, სიტყვა ახედნინებდა იმ ციურ, ფაფარაშლილ რაშებს, ჩამოძენილს, შვიდგან შეკრულებს ლილითა მოვის პერანგებს უცვლიდა სიტყვა, სიტყვა მიაქროლებდა დათოვლილ მწვერვალებზე, ღრუბ-ლებზე ანანავებდა, მზიან დღეს აავდრებდა, ავდრებს — ამზიანებდა, ლოდებს მტვრდა ფუნიდა...

რა იყო მაინც ეს მკათათვედ გადაწელილი ცხოვრება, სიტყვის ემბაზში ამოვლებული.

იქ კი, „საქმეში“, ლუკა და მისი მეგობარი, ჩქარ-ჩქარად მეტსახელშერქმეული, რომ მიხვდებოდნენ, აუცილებელია ბევრი რად კარგის სწავლა იმათგან, ვინც ხელოვნების სხვა დარგს ეზიარაო, და ამ თვალით უკვიდებოდნენ ყოველგვარ სულიერ მონაპოვარს, ლუკა დაბეჯიოთებით მიიჩნევდა, რომ წერისას უთუოდ უნდა ხსომებოდა ყოველთვის ერთი კომპოზიტორი, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე აქეც ისეთი დი-დებული მუსიკალური ფრაზა, სხვა რომ ათასჯერ გაიმეო-რებდა, ის კი, მშვიდი, აუღელვებელი, ამ დიდებულ ფრაზას მხოლოდ ერთხელ უბოძებდა მსმენელს და... მერე დინჯად აუვლიდა გვერდს.

— ლუკას მიაჩნდა, რომ ეს იყო სილამაზისადმი ყველა-ზე ჯანსაღი, სხორი დამოკიდებულება — თავშეკავება, ალუფრთოვანებლობა — და თუმცა როიდ კომპოზიტორს იმაზე მაღლა აყენებდა, სხვა მაინც არავინ ეგულებოდა ისეთი, ვისაც ამდაგვარი შესანიშნავი კანონი ჰქონოდა, ამ კანონს „ჰენდელის კანონს“ ეძახდა.

და იმასაც შეამჩნევდა და უცნაურ კანონად და მერე კი კანონზომიერებად დაიდასტურებდა, რომ არცერთი დიდი რომანი ძახილის ნიშნითა და ზეანეული განწყობილებით არ მთავრდებოდა, რაღაც მათ შემოქმედთ კარგად მოქსე-ნებოდათ შორს, ყოველივეს მიღმა მიუღწეველი მწვერვა-ლის — „დიადი ვერასოდეს“ — არსებობა და ამიტომაც არ კადრულობდნენ საზეიმო, მგრგვინავი წინადადებით დამ-თავრებას თუნდაც ასეთი გრანდიოზული რომანებისა.

როგორია — წამებით და წეტარებით უნდა გევლო იქით, სადაც ვერასოდეს ახვიდოდი!.. დაგანაღვლიანებდა, აბა, რა იქნებოდა, ამ გარდუგალობის აღმოჩენა, და თუ

ნუთაბი და ცლეპი

ლუკასაც თავიდან მწარედ მოერეოდა დარდი და ნაღველი და კინალამ გასრესდა მისი სიმძიმე, მერე ისიც უნდა მიმხდარიყო, რომ თავისთავად ბედნიერებაა ასეთი მწვერვალის არსებობა...

და თუმც დიდად აფასებდა ალპინისტებს, ჯიუტსა და მამაც ხალხს, და ალპინიზმს — ღრუბელთა ჭვრეტას ზემოდან, საკუთარი თავის დიდებულ გამოცდას, საზოგათო სილამაზის მოსურვებასა და გამარჯვებას თანადაყოლილ შიშზე, მათდამი მაინც ერთგვარი თანაგრძნობით განწყობილიყო, რადგანაც ევერესტი, რას იზამდნენ, დაპყრობილი გახლდათ.

— ის კი, ის, „დიადი ვერასოდეს“, სწორედ ის იყო ხელოვნების მარადიული მუდმივობის მცველი — თვალუწვდენელი, უხილავი ქანდაკება, თვით მიქელანჯელოს დავითზე უსასრულობამდე მაღალი.

— დიადი ვერასოდეს, ვერასოდეს — აღფრთოვანებით ფიქრობს ლუკას სამოსელს შეფარებული გურამ დოჩანაშვილი, — ერთადერთი მწვერვალი, რომელთანაც შებმამართლა ღირს — ვერასოდეს ახვალ...

შენ კი... შენ გეტრიალებინა სათაურები და ყოფილიყავი ასე — შენს თავში ამოკეტილი, შესაფერისი ბილიკი ვერაფრისდიდებით რომ ვერ გეპოვნა შემორკალული სივრცის გასარღვევად.

მაინც როდედე?! როდემდე მაინც?!

მამაჩემს შევჩივლებდი: რა მემართება-მეთექი.

— ძალიან რომ გიყვარს, რაღაც განსაკუთრებულის თქმი გინდა, შენი აღტაცების სრულად და შთამბეჭდავად გამოხატვა და ეს განცდები გიშლის ხელს. ამიტომ ეცადე, რომ თუნდაც რაღაც დეტალით შემოიფარგლო და ყველაფრის ჩატევა არ მოინდომო ერთ გამოსვლაში თუ ერთ სტატიაში. გადაანაზილე შენი ნაფიქრი, თან ცოტა შორი-დან გამოხედე ყველაფერს და გაგიადვილდება.

ასე დაინერებოდა კრიტიკული ჩანახატი „სათუო ქართველობის სევდა“ — ნოველაზე „ძნელი“, და „სამოსელი პირველით“ შთაგონებული ესეი „დომენიკო“, რომელშიც პერსონაჟის ხასიათის უმთავრეს თავისებურებასაც განვმარტვდი და მწერლისა და ჩემი სულიერი ნათესაობის სა-თავესაც ამოვხსნიდი.

მგონი, როგორლაც გამოვცდი იმ დახმულ სივრცეს...

— შედევრია, — მეტყვის ნაირა გელაშვილი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის დერეფანში.

— როგორ?

ჰაიი, ვითომ ვერ გაიგე!

— ქართული კრიტიკული აზროვნების შედევრია, — გა-მიმეორებდა.

და კაბეზე რომ ვეშვებოდი, მეჩვენებოდა, რომ ზევით ზევით მივინევდი.

მოჯადობული წრე გაირღვეოდა.

და უკვე ჩევეულებრივი მოვლენა გახდებოდა ჩემს წერილებსა თუ მონოგრაფიებში, საჯარო თუ სატელევიზიო გა-მოსვლებში გურამ დოჩანაშვილის მხატვრულ სამყაროზე მსჯელობა, მის ნაირგვარად მოკიაფე წახნაგთა გამოხმობა, დამოწმება, შეფასება.

...სხვა რომ არაფერი, ორივეს სიყმანვილისდროინდელ ნარმოსახვას ეს ჩევეულო თამაში ასულდგმულებდა, ჩემსა-საც და გურამ დოჩანაშვილისასაც, სულიერ გზაზე ყარიბობის კარის გამხსნელი — სადღაციდან დაბრუნება.

III. მხიარული პორცვის უარაგება და მისტერია

მაპმუდ აალი მხოლოდ მოთხოვობის ბოლო ფურცლებზე უნდა გამოჩნდეს.

არადა, მთავარი გმირი სწორედ ისაა და მოთხოვობის სახელნოდებაც — „მხიარული პორცვი“ — მას ამიტომ უკავ-შირდება.

მხიარული ბორცვი, როგორც მაპმუდ აალის გოლგოთა.

და ასეთ დროს კიდევ უფრო მძაფრად აღიქმება ტრაგიკულის ეს კონტრასტი — მხიარული.

ტრაგიკულის ვითომ?

სცენა თავზარდამცემია, როდესაც ჭოკის წვერზე ჩა-მოკიდებულ მაპმუდ აალის ისრებითაც დაცხრილავენ, მაგრამ ეს ხომ ესქატოლოგის თავისებური გამოსხივებაა, გამჭვირვალე მინიშნება რაღაც დიდ გარდატეხაზე ქვეყნის სულიერებაში, უჩვეულო ფერისცვალებაზე, რამაც უნდა შემთხვერუნოს დაღუპვის კარზე მიმდგარი ქვეყნა და ამი-ერიდან ბუნებრივი მდინარების კალაპოტში მიუშვას მისი ცხოვრება.

ასე ჩნდება ტრაგიზმში დიდი იმედოვნებისა და რწმენის სათავე.

დაღვრილი სისხლი, სასიკეთოს მაცნედ გარდაქმნილი, დღესასწაულის შარავანდს აირეკლავს; და ის ბორცვიც, სადაც ის შემზარვი სცენა უნდა გათამაშდეს, მხიარულების სამოსელით ამიტომაც იმოსება.

კონტრასტში ღრმა აზრი დაფარულა, შთამაგონებელი, გამომაფიზლებელი, რაც უკე მოთხოვობის კომპოზიციური ჩარჩოს მიღმაა, თუმც პორიზონტზე მოლანდებით ილანდება და მკითხველიც ამიტომ ჭვრეტს შეუმცდარად.

მისი მოთავება დიდი ნუგეშითა და გარდამტეს ფერის-ცვალებაზე მინიშნებით თავისითავად გულისხმობს, ამაოდ რომ არ აღსრულებულა მაპმუდ აალი, ვინც მიზანმიმართულად მიისწრაფოდა მოწამებრივი სიკედილისაკენ.

მოთხოვობის სამოქმედო არეალი ისპაპაშია გადატანილი.

აქ უკვეა ჩანასახი იმ მხატვრული მეთოდისა, რომელ-საც გურამ დოჩანაშვილი მალე სულაც სისტემად აქცევდა რომანში „სამოსელი პირველი“ და კიდევ არაერთ მოთხოვობასაც შეურჩევდა გარეგნულ სამოსად გაუცხოების ილუ-ზიას — აქეთ იტალია თუ ესპანეთი, იქით ძველი შუმერი, ეგვიპტე თუ საბერძნეთი.

გარდა მხატვრული მეთოდისა, ამ არჩევანს ის დანიშნულებაც ჭერინდა, რომ ცენზურის საცეცებში უზიფათოდ გამჭვირვალე მინიშნებებსა და ქვეტექსტებს, მითუმეტეს, როდესაც დიქტატორულ გარემოს წარმოსახავი თავისი ყველა ხლართითა და დანაშრევით.

ამ მხრივ ყველაზე მკაფიო და შთამბეჭდავ საბუთად იმონმებენ გურამ დოჩანაშვილის რომანიდან კამორას აღ-ნერას — დამთრგუნველი სულითა და პერსონაჟთა მრა-გალფერვები გალერეით, იმ რღვევეებისა და გადაგვარების სურათებს, რომლის პროტოტიპის — საბჭოთა იმპერიის — შუაგულშიც მოვქცეულიყავით და უამრავ ნიშანდობლივ დეტალს ამიტომაც ვცნობდით ასეთი დაბეჯითებით — ყო-ფითი სინამდვილიდან გადატანილს არტისტულ თხრობაში.

„სამოსელი პირველის“ ამ ნაწილის ფონზე კი აშკარად დაიჩრდილა „მხიარული ბორცვი“.

თუთაში და ლეგი

მხატვრული ძალით ის არც არის „სამოსელი პირველის“ და მწერლის სხვა არაერთი მოთხრობის შესაძარი, მაგრამ პოლიტიკური სატირის თვალსაზრისით ისიც არანაკლებ მწვავეა.

დღეისდღის გადასახედიდან ის პოლიტიკურ პამფლეტად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოთხრობად, და არც გურამ დოჩანაშვილს უნდა მიაჩნდეს რაღაც გამორჩეულად თავის მხატვრულ სამყაროში, მაგრამ იყო დრო, როდესაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მის შექმნას და მოთხრობების მესამე კრებულის საერთო სახელწოდებადც სწორედ ამ ნიმუშის სათაური ამჯობინა — „მხიარული ბირცვი“.

იყო ასეთი დროც...

ისე მაჟმუდ აალი თუ მთავარი პერსონაჟია, ბოლო ფურცელებამდეც ხომ უნდა გამოჩენილიყო, ბოლოსდაბოლოს, გაელვებულიყო ერთი-ორჯერ მაინც?

წინა ნაწილი ექსპოზიციის კვალობაზე ზედმეტად ხომ არ არის გაჭიანურებული?

გურამ დოჩანაშვილის რანგის მწერლისათვის ყოვლად ადვილი გახლდათ მაჟმუდ აალი თავიდანვე გამოჰყოლოდა თხრობას, ფინალურ მონაკვეთში კი მკვეთრად გამოსულიყო ავანსცენაზე.

და თუ მხოლოდ ბოლოსუკენ გაახმიანა მისი სახელი და ერთბაშად მოაქცია მოვლენების შუაგულში, ეს ის მხატვრული ჩანაფიქრია, უეცრად რომ უნდა შემოაბრუნოს თხრობა და თავბრუდამხვევი სისწრაფითაც ააჩქაროს, რათა ამ ფონზე უფრო ცხადლივი იყოს პასუხი მარადიული შეკითხვისა:

— ვინ არის ბედნიერი?

მითუმეტეს, რომ ადამიანები კი არ ეძიებენ ამ საიდუმლოს ამოხსნას და წკვარამში კი არ ფართხალებენ მტანჯველი ძიებისას, არამედ სიმართლე ეკითხებოდა ჭეშმარიტებას — მოთხრობაში ორივე გაპერსონაჟებულა — და პასუხიც ამ შეუვალობის სიმაღლიდან უნდა გაცხადებულიყო.

თვით სიმართლეც, დიახ, თვით სიმართლეც დაბნეულა წუთისოფლის ხლართებსა და აბრუნდებში ჩაყურყუმელავებისას სამყაროს გარეგნული მოუწყობლობის, განუკითხაობისა და უსამართლობის მხილველი, და ისევ ჭეშმარიტების შეგონებაც უნდა მიახვედროს არსებობის უღრმეს კანონზომიერებას — ხედვის კუთხეს ყველაზე სწორი მიმართულებით რომ გადაგინაცვლებს და — ღრმა შეგონების წყალობით — სასორაკევთას აგარიდებს.

არადა, თითქოს ისეთსაც რას ეუბნება ჭეშმარიტება:

— ყველანი წავლენ, ერთი იცოდე, ეგენი ყველანი წავლენ და თუნდაც მთელი სიმდიდრე და ავლადიდება უზარმაზაზარ საფლავში ჩაიტანონ, მანიც ვერავინ ვერაფერს წაიღებს იმქვეწნად, ეგ ერთი იცოდე...

თურმე არც ბენ იჯნბალი უნდა იყოს ბედნიერი, აურაცხელი ქონების პატრონი, და არც არებ ხანი, გმირთაგმირად აღარებული და ტრიუმფით შემობრძანებული ისპაპანში, არადა, სინამდვილეში ერთი პროვინციელი ავაზაკი, და არც ბენ იჯნბალის ნაშერისა უნდა შეშურდეს ვინმეს, მისი ოქროსა და თვალმარგალიტის, რაკილა ბაგებობიდანვე მლიქვნელად ზრდიან.

და მაშ ბედნიერი ვინდაა?

ჭეშმარიტება უბრალოდ გამცნობს:

— ვინც რჩება.

და ვინ რჩება?

თურმე:

— ვინც უყვარდათ.

და თუ ვინ უყვარდათ, ჩაკითხვა ზედმეტიცაა, მაგრამ და ჭეშმარიტების ბაგემ გააცხადოს:

— მაჟმუდ აალი, მხიარულ ბირცვზე.

თურმე რამხელა მისია დაჲკისრებია ამ პირვენების მოვლინებას, რომ სამარადუამოდ უნდა აღიბეჭდოს ერის ცნობიერებაში და დღენადაგ აფხილებდეს და მოუწოდებდეს ადამიანებს ზნეობისა და სულიერების უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

მაინც ვინ არის მაჟმუდ აალი, ვისი ბიოგრაფია არც მოეხსენება მკითხველს და მარტოდენ ირიოდე ფსიქოლოგიური შერიცხვით ეცნობა მის პირვენულ ხასიათს?

განა კმარა ის ორიოდ შტრიხი?

მწერალს მიაჩნია, რომ სავსებით კმარა, თორემ შთამბეჭდავი ბიოგრაფიის შეთხზვას წინ რა დაუდგებოდა.

ბენ იჯნბალს თავისი სახელმოვანი მეგობარი უნდა ეწვიოს და აღტაცებულმა მასპინძელმა დიდებული სუფრის გაშლა ბრძანოს, მაგრამ უგუნდობოდ მყოფმა სტუმარმა ქუჩაში გავლა უნდა შესთავაზოს. ბენ იჯნბალმა ბედნიერი შემთხვევით უნდა ისარგებლოს და ვაჟიც გაიყოლიოს. ხალხი აღტაცებული უნდა შესცეკროდეს უძვირფასეს სამოში გამონენყობილ მოსეირნებას, არებ ხანი უმდრახად მიაბიჯებდეს და გზადაგზა ყვავილებს თუ ესვრიან, ვერც ამჩნევდეს, მაგრამ თანდათან სასამოვნოდ უნდა ჩაედგაროს გულში ესოდენ აშკარა პატივისცემა, თავიც ასწიოს და გუნებაზეც მოყიდეს, მაგრამ უეცრად გზაზე უცნაური სპარსელი უნდა შემოხვდეთ და სამივე გაახევოს.

ორიოდ ფრაზის შემდგომ კვლავ მეორდება, რომ ის სპარსელი უცნაურია.

მერე კვლავ უცნაურად უნდა შეირაცხოს.

თითქოს ჩვეულებრივი მოქალაქეა, არც არაფრით გამორჩეული, მაგრამ არამცთუ უფროსები, თვით ყმანვილიც იგრძნობს უცნობის აშკარა უპირატესობას, სახესა და სხეულზეც რომ აღბეჭდვია, განსაკუთრებით კი მისი სიმშვიდე და გულლიაობა აუგორიაქებთ სულს. ეს სწორედ ის თვისებებია, რაც ძალდაუტანებლად გამოაცალკევებს უცნობს ხალხის დუნდგოდან და პირვენებად წარმოადგენს, მკაფიო მრნამსისა და შეურყეველ მორალის ადამიანად, გაბატონებულ ყალბ ნორმებს რომ არაფრად აგდებს და რაღაც ახალი შეხედულებების დამკვიდრებას ცდილობს.

და უცნაურობაა, აპა, რა, როდესაც ძალმომრეობას ზედ ეხლები და — უთანასწორო შერკინებისას — მისი რკინის სალტერნიდან სულიერების გამოგლეჯას ლამობ.

თხრობაში უშუალოდ არსადაა აღნიშნული, მაგრამ მკითხველი ხელშესახებად გრძნობს, რომ ეს უცნაური სპარსელი, მაჟმუდ აალი, მოხეციალე ქადაგისათვის და აღტაცებული და საკუთრებული ნებით მდებნები იმ თავგანწირული აქტისა, რომელიც კადაგებაზე უკეთ შეაგონებს ადამიანებს, თუ რას გულისახმობს, რას ელტვის, რა მიზანი დაუსახავს ახალ დოქტრინას.

როგორც ყველა ფანატიკოსი, მაჟმუდ აალიც უშიშარია და ყველგან და ყოველთვის შეუძლია შეინარჩუნოს სიმშვიდე, მაგრამ ამჯერად მისი სიმშვიდე წინათგრძნობითაც

ნუთები და ცლეპი

განმსჭვალულა და მოსალოდნელი ტრაგიული აღსასრულითაც გასხივოსნებულა.

ის შეხვედრა, რაც თითქოს უნებლიერა, არადა, საბედის-ნერო ახალი მრნამსის ქადაგისათვის, სავსეპით კანონზომიერია და აუცილებელი ბედისწერის განჩინებით, ბედის-ნერისა, რომელსაც სურს, რომ მის მიერ შერჩეული პიროვნება დროულად აღამაღლოს და გმირად აქციოს.

თუ არ გაიწირა, გმირად როგორლა გარდაისახება?

ამიტომაცაა გარდუვალი შეხვედრა, რომლის დროსაც ერთმანეთის წინაშე უნდა წარდგნენ ყალბი გმირი და ნამდვილი გმირი. და თუმც ყალბმა, ცრუგმირმა ყოფით რეალობაშიც გამარჯვება უნდა იზეიმოს მაჟმუდ აალის პოლიტიკური დასმენით შაპის წინაშე, ჭეშმარიტებამ ხომ ერთხელ კიდევ უფრო დაგვიდასტუროს, თუ ვინ რჩება და ვინ ყოფილა მართლა ბედნიერი.

არებ ხანი ისე უნდა გააგულისოს უეცრად შემოყრილი თანამემამულის უცნაურობამ — ანუ სიმშვიდებ და გულლიაობამ — რომ ხანჯალზეც კი დაიდებს ხელს, მაგრამ იგრძნობას, რომ ასე, შეუაქალქმი დღისით, მზისით უდანაშაულო კაცის მოკვდა არ შეიძლება და მის დასასჯელად უმოკლეს გზას აირჩევს, როდესაც ჰკითხავს: შაპი თუ გიყვარს?

ფსიქოლოგიურად დამუხტული წამია.

მიუხედავად სული და სიცრიელისა, არებ ხანს იმხელა ეშმაკობა კი მოსდგამს, რომ ალლოთი ამიცინოს, ამ შინაგანი თავისუფლების კაცი შაპის მოყვარული არაფრისდიდებით არ იქნება. თავისი აზრით, გამოუვალ მდგომარეობაში ამიტომაც აგდებს — თუ წამიერად შიში დათრგუნავს და იტყვის, მიყვარს, როგორ არ მიყვარსო, მზისვის ეს ერთი სიკვდილის გათავება იქნება და ჩვეული სიმტკიცით ველარ გააგრძელებს თავის მოღვაწეობას; ალიარება კი, რომ შაპი მისთვის სულაც არ არის ამქვეყნიური სასწაული და მარადუჭენობი მზე და მაინცდამაინც არ ჩაჰქრის გულში, თვითმკვლელობის ტოლფასია, რადგანაც ასეთ სითამამეს არავინ აპატიებს.

მდგომარეობის ამ გამოუვალობას წამსვე აღიქვამს გაპერსონაჟებული სიმართლე და, აფორიაქებული და დაშინებული, ყურთან მივარდება უცნაურ სპარსელს და ჩასჩურჩულებს:

— თქვი, რომ გიყვარს, თქვი, რომ ძალიან გიყვარს, რა გენალულება.

თვით სიმართლეც მზადაა, სიცრუისაკენ მოუწოდოს, ოლონდაც იხსნას გარდუვალი აღსასრულისაგან.

მაგრამ თუ სწორედაც ხელსაყრელი შემთხვევა გივარდება ხელთ, რომ შენ იცნებასა და იდეალს მიუახლოვდე, შენი მისის დაგვირგინებას როგორ გაექცევი და მაჟმუდ აალის პასუხიც გადამწყვეტი ნაბიჯის მონამებრივი სიკვდილისაკენ: ვერაფერს გეტყვი, არსად მინახავსო.

მკითხველი ამ ფრაზით იმასაც გააცნობიერებს, რომ ეს უცნაური სპარსელი უდაბნოდან, უსიერობიდან სულაც პირველადაა ჩამოსული ქალაქში თავის ბედისწერასთან შესახვედრად.

მისი სიბრძნეც და ნებისყოფაც იქ გამოიტანჯა, მდუმარებაში, ჩამოიქნა, დაიხვენა, სრულყოფილად გაცნობიერდა და კიდეც ჩამოჰკრა უდაბნოდან სამოქალაქო ყოფაში შემობიჯების უამმაც.

აგრე, შაპის წინაშე მიუგვრიათ მაჟმუდ აალი, ვისაც

ვერ წარმოუდგენია მპრძანებელს აღმატებული ეპითეტებით მიმართოს, მათ შორის, თუნდ ყველაზე მსუბუქითაც: ყოვლადძლიერო.

არებ ხანის წაქეზებით შაპი მოჩვენებითი ალერსიანობით უნდა ჩაეკითხოს: გიყვარვარ თუ არაო? — და ის შეკავებული ღამილით რომ მიუგებს: არ მძულხარო, — განრისხებულმა შაპმა კვერთხი უნდა მოიქნიოს... და მაჟმუდ აალი ხელს რომ იტაცებს გაჩეხილი წარბზე, მერე კი დინჯად მოინტენდს თვალის უპეში ჩამდგარ სისხლს, ხელისგულზე დახედგის შემდეგ მპრძანებელს თვალებში შეაცერდება, ჩვეული ღამილით გაიღიმებს და ასე მიმართავს:

— მაინც არ მძულხარ.

ესეც მისი დოეტრინის გულისგული, ის უმთავრესი საყრდენი, რაზეც ამოშენებულა ხალხის სულიერი ფერისცვალებისათვის შექმნილი ახალი მოძღვრება.

ეს ხომ ის ზნეობრივი მრნამსია, რომელიც გურამ დოჩანაშევილს სიყრმიდანვე შეეთვისებინა ახალი აღთქმიდანაც და აკაკი წერეთლის პოეზიდანაც, იესო მაცხოვრის შეგონებათა პოეტურ ვარიაციას ამ ყალბში რომ მოაქცევდა: ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს! იგიც მიყვარს, ვინაც რომ მძულსო!

ყოფით რეალობაში ძნელზე ძნელი შექმნილიყო მტერთა და მოშურნე-მოძულეთა სიყვარული, ძალმომრეთა წინაშე უდრტვინველად ქედის მოღრება, ჯერ საერთოდაც და მითუმეტეს სახელმწიფოებრიობადაკარგულ ხალხში, გადაჯიშება-გადაგვარების საფრთხის შემყურებში... თავის მოტყუება არა ღირდა, მაგრამ ქრისტიანული მორალი და იდეალი კვლავაც გზს მანათობლად რჩებოდა და აკაკი წერეთლიც მაცხოვრის შეგონების თარგზე მოხდენილ სენტრისა თხზავდა, თურმე ყველაზე მახლობელს გურამ დოჩანაშევილის პერსონაჟისათვის, ვინც შეყვარებით ვერ შეიყვარებდა შაპსა თუ არებ ხანს, მაგრამ ის კი შეეძლო, რომ არ შეეძლებინა და ამით რაღაც ძარღვი უნუგეშოდ არ ჩაწყვეტილდა სულში.

სპარსელი ჰქია, მაგრამ ისეთი ხასიათი წარმოისახება, ქრისტეს სულის ნაურს რომ მოგვაგონებს, მის მიმდევარსა და მისებური აღსასრულისათვის მზადმყოფს, და ამიტომაც იმეორებს მისი აღსასრული გოლგოთის მისტერიას.

და უშუალოდ ამ ასოციაციის გამოხმობას მარტოდენ ჭოკის წევროკინაზე მიკრული, ათასგარად დაისრული სხეული კი არ ინგვეს, არამედ გაპერსონაჟებული სიმართლის მიერ ამ სურათის ბოლოს ჩაგდებული ვითომც ჩვეულებრივი ფრაზა, არადა, ყველაზე ზუსტი, მარჯვედ შერჩეული აკორდი:

— და მე, უსუსურს, გამზარებულს, ერთი წუგეში მაინც, მაინც მქონდა — ჰაერში მოკვდა!

„ჰაერში“ — ესეც ამაღლების გამჭვირვალე მეტაფორა, ზეცისაკენ სწრაფვის ნაშანდობლივი ხატი, რომლის შემოსაჭედადაც გურამ დოჩანაშევილი წმინდა სებასტიანეს აღსასრულის სურათსაც დაესხესხებოდა — აბა, პირდაპირ ხომ არ გამეორებდა იესოს ჯვარცმის სცენას.

თვალნათლივი ესაა — ამ წრეში ტრალებს მაჟმუდ აალიც, როგორც ამ დასის სრულუფლებიანი წევრი.

სრულუფლებიანი იმ მხრივაც, რომ არამარტო მრისხანე მონინააღმდეგეთა მიერ, არამედ ბრბოსგანაც უნდა გაინიროს, სასეიროდ რომ დაუგულებიათ მათ გამოსაფხიზე-ლებლად თავგენერირული პიროვნების ტანჯვა, და კიდეც.

თუთაში და ლეგი

შესჩერებიან მდაბალ სურვილ-მისწრაფებათა დასამებ-ლად, რათა სანახაობით ალფროთოვანებულნი კმაყოფილები დაუბრუნდნენ თავთავიაზო მყუდრო კერიას და ოჯახის წევრებს თავმომწონედ განუცხადონ: რა კარგია, ადამიანს გონიერება რომ გყოფნის და შენზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომასაც არ გააღიზიანებ და არ გამოიწვევ, მითუმეტეს, ხელისუფალსო.

თუმც ამ თავმომწონეობაში მოულოდნელად ეჭვიც უნდა შეიჭრას და ნეტარებაში ჩაძირული სული შეუჯიშდა-როთ.

ჯერ კი სეირის სანახავად მიიჩქარიან და წინასწარი ილოავენ ტუჩებს გულისშემძვრელი სანახაობის მოლო-დინში.

გაპერსონაჟებულმა სიმართლემ, ჯერ მაინც მიამიტმა, ვიდრე ჭუშმარიტება თანდათანობით რალაც-რალაცებს მი-ახვედრებდეს, არ უწყის ბრძოს რაობა და თვისებანი — სისხლის წყურვილი, სეირის მოთხოვნილება, მისთვის თავ-გადადებული პიროვნების უღვთოდ გამეტების ყოველწა-მიერი წადილი... და ამიტომაცა, რომ მოსეირებს სათითა-ოდ ჩამოუვლის, ყველას თვალებში ჩასცერის, წიავად ელამუნება, ეხვენება ხმლის გაშიშვლებას, ამბობისათვის აგულიანებს, მაგრამ დაჯერებით განა ვინ შეიძლება დაა-ჯეროს:

— არც კი გაუგიათ ჩემი, სეირის მოლოდინში ზოგი ხე-ლებსაც კი იფშენეტდა და კმაყოფილები იყვნენ. მე კი, უხი-ლავი და უხმო, უსუსური, ტანსაცმლის კალთას თუ ავუფ-რიალებდი მსუბუქებ ჩაცმულო, სხვა რა შემეძლო, გაცო-ფებული ვენარცხებოდი ქვასა და მუხლებს, მანც ჩემსას ვწურჩულებდა და შესმენის იმედი მთლად რომ გადამიწყ-და, დაკუნთულმა მუსიკოსებმა საზარელი კერენია ააბლავ-ლეს — შაპი გამოჩენდა.

პირველი ისარი მბრძანებელმა უნდა სტყორცნოს.

და მისი ეს მომწოდებულური სიტყვებიც გაისმას: ვისაც ვუყვარვარ, ყველამ ესროლოს.

და რა გასაკვირია, რომ ამ მონოდების შემდეგ აურაცხელი ისარი თუ გაფრინდება ჭოკის კენწეროზე ჩა-მოიდებული სხეულისაკენ.

მერეა, სიმართლეს სანუგეშოდ ესლა რჩება: ჰაერ-ში მოკვდაო!..

ბრძოს ფსიქოლოგიის ანალიტიკურ-მხატვრული შეს-წავლა და გააზრება პირველად ილია ჭავჭავაძეს ეცადა ქართულ სინამდვილეში და სწორედ სეირის მოყვარეთა და სახრიბელაზე ჩამოკიდებული ადამიანის სცენის ფონზე.

ეს ნოველა — „სარჩობელაზედ“ — თავისებური გარ-დამტენი აღმოჩნდებოდა თვითონ მწერლის მსოფლმხედ-ველობაში, რომელიც მანამდე ლიბერალური დოქტრინით განმსჭავალულიყო, ამიერიდან კი კონსერვატორული აზ-როვნებისაკენ გადაინაცვლებდა და ეს სულიერი შემობრუ-ნება თვალნათლივ აირეკლებოდა ამ ნოველაში, მსოფლიო ნოველისტების შედევრებსაც რომ არ დაუდებს ტოლს და მისი ხელახალი გადაეთხვა ერთხელ კიდევ გარნმუნებს, თუ რა დაუნანებლად გაეწირა ილია ჭავჭავაძეს ბელეტ-რისტის ამხელა ტალანტი ქვეყნის გადასარჩენდ, რაიღა ბედისწერას მაინცდამინც ამ არჩევნის წინაშე დაეყენე-ბინა.

პეტრეს, უბირ, გულალალ გლეხეაცს, თამაში და ჯამბა-ზობა ჰგონია კაცის ჩამოხრიბა საქვეყნოდ, ამდენი ხალ-

ხის თვალწინ, და ეს არამცო მანამდე, ვიდრე სეირისმოყ-ვარე ბრძოს ისიც გაპყვებოდეს მახათას მთისაკენ, არამედ მას შემდეგაც, რაც ჯალათი თავის სისხლიან საქმეს აღას-რულებს („იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვა-ლეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოპკიდეს, ფეხებს რომ იქ-ნევდა?.. მართულებს ვერ გაუკეთებდნენ თუ! მართულე-ბით თუნდ ლეკურსაც ათამაშებენ“).

მსხვერპლის აფართხალება ხალხს წამიერად განაბავ-და, მაგრამ სასჯელის აღსრულებისთანავე მხიარულად ალაზლანდარდებოდა და აყავანდებოდა კიდეც, მათი გრო-ვაც დაირღვეოდა, დაიშლებოდა და გაიშლებოდა მინდორ-ზე, და ყველა შინისაკენ გასწევდა საგსებით კმაყოფილი, რომ ეს სამარცხვინო და ამაზრზენი სცენა იხილა.

ილია ჭავჭავაძე არამარტო ბრძოს ფსიქიკას გაშიშვ-ლებდა და მწვავედაც წარმოსახავდა მის უკულმართ მო-რალს, არამედ მთელ საზოგადოებასაც დაადანამაულებდა იმ ჭაბუკის განწირვაში, მამინაცვლის ცოდვა რომ დაედო კისერზე, მაგრამ ეს ბრალი არ მოხდებოდა, ხალხისაგან გა-ნაპირებულად რომ არ ეგრძინო თავი ბავშვობიდანვე, ამო-ვარდინილად ცხოვრების მდინარებიდან და, სასოწარკვე-თილისათვის, ნერვებს არ ემტყუნა.

ბრძოს დარღვეული სახე აგვირგვინებდა საზოგადოე-ბის მიშლილ ზნეობას და უკვე ყველასათვის ათვალსაჩი-ნოებდა ყოფილი მოუწყობლობას.

თხზულებას „პატარა ამპავი“ რომ წაეწერებოდა, ეს მის უანრობრივ განსაზღვრებას გულისხმობდა, ნოველის შესატყვის... თუმც იმავდროულად სხვა შინაარსითაც დატვირთულა — „პატარა ამჯერად უნდა აღიქვათ სწო-რედაც „დიდად“ თავისი შინაგანი სიგრცითა და განზოგა-დებით.

აკაკი წერეთელი თუ ვაჟა-ფშაველა ძველ ამბავს ან ზღაპარს რასაც შეარქმევდნენ, გულისხმობდა, რომ სულ ახალ-ახალ ტკივილებს აშიშვლებდნენ.

ილიასაც იგივე ხერხი მოუმარჯვებია.

სხვა შემთხვევაში იქნებ კიდეც მოვრიდებოდით ამ ეპი-თეტისათვის ამ დანიშნულების მინიჭებას — პატარა რომ დიდზე მიგვანიშნებდა — მაგრამ ნოველის ფინალის ფონ-ზე, როდესაც მწერალი მოჩვენებითად ამართლებს პეტ-რეს, არადა, დაბეჯითებით ჩაგვაგონებს თვით ასეთ გუ-ლუბრკვილო, კეთილ პიროვნებათა ბრალეულობას ულ-მობლად განწირულ თვისტორმთა წინაშე, ის ეპითეტი სწო-რედაც იმ საპირისპირო შინაარსით გვევლინება.

მართალია პეტრე უნებურად, თავისი მიამიტობით აედევნა მახათას მთისაკენ დაძრულ ბრძოს, მაგრამ მისი სრულუფლებიანი ნანილი კი გახდა.

ესეც ბრძოს ბუნებაა, რომ მის გარსში თავს იყრიან არა-მარტო ბოროტი, უკეთესო ადამიანები, არამედ კეთილი, ღირსეული პიროვნებებანიც, რომელნიც წამიერად ჰყარგა-ვენ საკუთარ მეობას და, მასაში ათევეფილი, მის კანო-ნებსა და მოთხოვნებს ემორჩილებიან.

უსამართლო განონებს.

მდაბალ მოთხოვნებს.

ჩამოხრიბის სცენას რომ ძერწავდა, ილია ჭავჭავაძე ეგებ საკუთარ თავესაც ხედავდა გონების თვალით განწი-რული ჭაბუკის ადგილას, გული უგრძინებდა, ვინ იცის, მეც ასე სასეიროდ გადავიქცე და ჩემი ჯვარცმა გულგრილი ბრძოს თავშესაქცევი შეიქნას, ყაყანითა და ლაზლანდარო-

ბით რომ დაიშლებიან და ყველა კმაყოფილი დაუბრუნდებოდა თავთავის კერიას.

რა — არ არის მისგან მოსალოდნელი ასეთი წინასწარ-ჭვრეტა?

ნეტა გურამ დოჩანაშვილი ვიღას გულისხმობდა თუ შეპ-ყურებდა გონების თვალით? ზოგად ხსიათს ქმნიდა მაჟმუდ აალის სახით თუ ვიღაც შეერჩია პროტოტიპად, ან ისტორი-ული პიროვნება ანდა გარშემომყოფთაგან ვინმე... ისე ეს უფრო საფიქრებელია, თანამედროვე ჩაეფიქრებინა მაჟმუდ აალიდ, რადგანაც ასე რომ არ იყოს, არც დაისაჭიროებდა მოქმედების არეალის მანიცდამანც სპარსეთში გადატანას.

ასე არ გაფრთხოლდებოდა წინასწარვე, ვაითუ ცენზუ-რის საცეცებში გაიხსლართოო.

რაღა „ზღაპრის“, „ლეგენდის“, „ძველი ამბის“ მიწერა ქვესათაურად და რაღა მაჟმუდ აალის სპარსელობა!..

არა, მანც ვის გულისხმობდა, თუკი... თუკი მართლა ვინმე დაესახა პროტოტიპად?

სიმართლემ ეს მანც იცოდა, გაპერსონაუებულმა, მხო-ლოდნა იმის გარკვევა ენადა, თუ ვინ შეიძლება დარჩენი-ლიყო „სპარსელთა“ ცნობიერებაში იდეალად, და აგერ კი-დეც დაედასტურებინა თვით ჭეშმარიტებისაგან.

ვინ შეიძლება დარჩენილიყო და:

ვინც უყვარდათ.

ვინ უყვარდათ და:

მაჟმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე.

ეს „მხიარული“ ერთი შეხედვით მანც რა უცნაურად გაისმის, და მაჟმუდ აალიც ხომ უპირველესად უცნაურო-ბით იქცევდა ყურადღებას, და გურამ დოჩანაშვილის მხატ-ვრულ სამყაროში თუ რაიმეა თვალშისაცემი, სწორედ ეს უცნაურობა.

...ისე თვითონ გურამი ამგვარად ამჯობინებდა თქმას, თუკი დაისაჭიროებდა რომელიმე უურნალისტთან დიალო-გისას: ჩემს ნაწერებში ყველაზე საცნაური უცნაურობააო.

ან კიდევ უკეთესად, ცხადია.

* * *

საცნაური უცნაურობა... უცნაური საცნაურობა...

* * *

მოთხობაში „საქმე“ გურამ დოჩანაშვილი ამ დაკვირ-ვებას ლუკას მიანერს, თავის ალტერ ეგოს, არადა, პროზის ამ უცნაური კანონის ალმოჩენა მისია და მხოლოდ მისი, ჭეშმარიტი მწერლები რატომდაც უკანდახევას რომ ამჯო-ბინებენ და ფინალში ძახილის ნიშანსა და ზეანეულ გან-წყობილებას ერიდებიან... მათ შორის, იოანე წინასწარ-მეტყველოც...

და „მხიარული ბორცვის“ ფინალი ამიტომაც გარიდე-ბია ძახილის ნიშანსაც და ზეანეულ განწყობილებასაც და მართლაც დოჩანაშვილურად მთავრდება:

— იქ კი, ცაზე, უმრავი ვარსკვლავი ჩანდა, და მე, ვი-საც ღრუბლებს მიღმა ასვლა არ შემეძლო, ვინც მშვიდად შევცეროდი ჩემთვის გამოუცნობ, შორეულ კაშაშს და მხოლოდ ის მიკვირდა, მინიდან ასეთ ერთნაირ ციაგს რო-გორ დაარქვეს ადამიანებმა ისეთი განსხვავებული სახე-ლები, როგორიცაა მეტლე, ქალწული, ღრიანკალი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გივი ალხაზიშვილი

„...რომ ჩემ თავს გავცდი“...

ლექსი “დაბადების დღისთვის” ნუციკო დეკანოზიშვი-ლის შემოქმედებაში შესაღწევი გეზივითაა და, მიუხედა-ვად იმისა, რომ ეს თემა და სიტყვიერი ქსოვილი გან-მანყობას ამ ტექსტის ინტერპრეტაციისთვის, შეგნებუ-ლად ვამპობ უარს ასეთი ვარიაციის შექმნაზე, რადგან მესიერებაში წამოტივტივდა ფრაზა სუზენ სონტაგის უაღრესად საინტერესო ესეიდან: „როგორი უნდა იყოს კრიტიკა, რომ მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს ემსახუროს და მისი ადგილის უზრუნვაცია არ მოიწადინოს. “/სუზენ სონტაგი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“/

**ლმერთო, რამდენი გეძებე, ლმერთო —
დედაჩემის ნატიფი სახის ოვალი
რომ ტკივილისგან მოიქცა
და ჩიტმა შვებით ამოისტვინა ივნისის საღამო.
იმ დღიდან გეძებ...**

ეს ძებნა გახლავთ ამ ლექსის, არა მარტო ამ კონკრე-ტული ლექსის, არამედ მთელი მისი შემოქმედების სა-ფუძველი და დინამიკის განმსაზღვრელი. ავტორი ლმერთს ხედავს იქ, სადაც სიყვარული ჩნდება, და იქაც, სადაც მის კვალს კარგავს ან სიყალბედ აღიქვამს. ადამი-ანური ორჭოფობის, მუდმივი მერყეობის ხვედრია ნაჩვე-ნები ამ სტრიქონებში და ამ ხვედრით მინიჭებული დაუო-კებელი სწრაფვა ძიებისკენ.

**საშობიაროს სახლში რომ დაგინე
ძებნა და ფართოდგახელილი ლურჯი
თვალები შეგანათე,
გახსოვს?**

...

მერე თოთო ბავშვი იყავი ლმერთო...

...

მერე შენ კაცი იყავი, ლმერთო...

და ასე გრძელდება ეს ლექსი, ვიდრე ფინალში არ წა-მოცდება:

იცი, როგორ მიყვარხარ, ლმერთო?!

ნუმინოზური შეგრძნებებით გამსჭვალულია ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური ძიებანი, თუნდაც ასეთი სტრიქონით გამხელილი:

ჩიტმა ჩემი მარტოობა ამოუსტვინა...

მესიერება უნებლიერ მკარნახობს, როგორც მკრთალ

ალუზიას „შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი“, თუმცა ნიკო სამადაშვილის ეს სახე იმ პირველწელის ექია, ერთ-მა ჩემმა უფროსმა კოლეგამ რომ მიმანიშნა: „თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული...“ /ილია/.

ლექსების წაკითხვის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ნუციკო დეკანზიშვილი მერყეობს უმძლავრეს მა-უორულ იმპულსებსა და ამაოებას შორის, რაც მკვეთრად აისახება მის ლექსებში. უკიდურესად განსხვავებული ტონალობები ერთმანეთს სრულებითაც არ გამორიცხავს და მათი თანაარსებობა, მო-ნაცვლება საუცეოს პი-რობაა სწორხაზოვნების და-საძლევად, რაც ისედაც საგრ-ძნობია მის შემოქმედებაში. ასე რომ — მის ლექსებში გა-მოყვიფი ორი სახის დინე-ბას — ერთი, ამაოების შეგრძნებათა აღმსარებლობითი ნა-კადი, და მეორე, მზისადმი მიძლევილი საგალობლის ზეა-ნეული ტონალობა და აღმაფ-რენის ბუნებრივი სურვილი. მის ზოგიერთ ლექსში იგრძნობა მძაფრი გაკვირვების უნარი ისეთ მოვლენებთან მი-მართებით, რაც ყოველდღიუ-რად ხდება და როგორიცაა მზის ამოსვლა ან ჩასვლა ანდა სხვა ბუნებრივი მოვლენები, მასში რომ ისევ მძაფრ იმ-პულსებს ალძრავს, და ეს ხომ შინაგანად გადარჩენილი ბავ-შვერობის წიშანია, რაც ასე სჭირდება პოეტს ბუნებრივი გულწრფელობის მისაღწევად.

ამაოების განცდა განსხვავდება სასოწარკვეთისაგან, რადგან ამაოება უკეთესი მომავლის იმედია და თავის-თავში მუდამ გულისხმობს „ნალვლიან ოპტიმიზმს“, ხო-ლო სასოწარკვეთა იმედის ნასახსაც გამორიცხავს...

„თურდაც დაცინვით“ ირონიით გამსტვალული ლექ-სია, სადაც „ცოცხალი სიყვარული, პარკინსონით ავადმ-ყოფ ვნებად“ არის სახელდებული და ამ ირონიაში, რო-გორც წესი, ირეკლება ულრმესი სიმწარე.

რომ აქვე ვთხრიდით საფლავებს და აქვე ვმარხავდით ცოცხალ სიყვარულს, პარკინსონით ავადმყოფ ვწებას...

ვფიქრობ, ამ ორი სტრიქონიდან მკაფიოდ ჩანს არა მხოლოდ ირონია, არამედ ერთგვარი გროტა, თუ უფრო მეტი არა, ე.წ. „ცოცხალი სიყვარულის“, ანუ ვნების მი-მართ. ამ მეტაფორის // „ცოცხალ სიყვარულს, პარკინსო-ნით ავადმყოფ ვნებას..//“ მარტივი ფსიქოანალიზიც კი მიგვნიშნებს პარკინსონით დაავადებული სიყვარულის მიმართ არა მხოლოდ დამცინავ დამკიდებულებაზე, რაც ისედაც ზედაპირზეა, არამედ სამაგიეროს მიზღვის და ფარული სინანულის თანაარსებობაზე.

ასეთი კონტაციები ჩნდება მხოლოდ ნამდვილი პოეზი-ის კითხვისას, როცა ინტონაციებს ბუნებრივად ანანილებს შეგრძნებაგამოვლილი, შეგრძნების თანაარსი სემანტიკა.

დიურერის აზრით, მხატვრული ინდივიდუალობა ხე-ლოვნების ნაწარმოებს ყოველნაირი მატერიალურისაგან დამოუკიდებლად, ღვთაური მაღლის წყალობით ქმნის.

ლეონარდო და ვინჩი „მასტერულებს სურათში საკუთარი ინდივიდუალობის ცნობიერად შეტანისაგან თავის არი-დებას“ ურჩევს, რადგან „გონითი საგანი, რომელსაც შეგ-რძნება არ გაუვლია, ცარიელია, მას ჭეშმარიტების ნაცვ-ლად მხოლოდ გამონაგონის ნარმოშობა ძალუძეს.“

„გონითი საგანი, რომელ-საც შეგრძნება არ გაუვლია, ცარიელია“, რადგან ასეთი გო-ნითი საგანი არ არის ის, რასაც სახარება /პავლე მოციქული/ „სულიერ გონებას“ უწოდებს.

მარიტენის შეხედულე-ბით, პოეზია ღმერთისთვის ნებაყოფლობითი თვითშეწირ-ვაა, საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანაა.

სწორედ ამ თემას განავრ-ცობს ბორხესის უაღრესად საგულისხმო მოსაზრება ედ-გარ პოზე, რაც თითქოს მარი-ტენის შეხედულების ილუსტ-რაციაა.

„ნევროზი გამოადგა პოს ფანტასტიკური ნოველის უან-რის განახლებისას, შემსის გა-მოხატვის ლიტერატურული ხერხების გასამძაფრებლად. ასეც შეიძლება ითქვას: პოსი-ცოცხლეს შემოქმედებას სწირვდა მსხვერპლად. მან მოკვ-დავის ხვედრი სივდილისშემდგომ მომავალს ახაცვალა“.

სიკვდილისშემდგომ მომავალზე ნაკლებად ფიქრობს უმ-რავლესობა, სხვანი კი, უმცირესობა თავიანთ სიცოცხლეს უძღვნიან პოეზიას, მუდმივ ძიებაში სუფევენ და იღვნიან.

გინდა თუ არა, უნდა უთხრა სიცოცხლეს რაღაც, თუნდაც დაცინვით, თუნდაც რისით, როგორც ამ კაცმა, ყველა რეისზე რომ ახურავს უცვლელი შლაპა და ტუჩის კუთხეს ექაჩება ღიმილი მკაცრი.

და პარეზივით მორჩენილი სიმშვიდე ცალფა მყვება რიურაჟის სინანულად, რომ ჩემს თავს გავცდი...

ასე ცოცხლადაა დახატული „შლაპიანი კაცი“, თან კა-ცის პორტრეტს მოსდევეს სინანული — „რომ ჩემს თავს გავცდი...“ და ეს განძირულობის შეგძნება დროდადრო სახეცვლილად, სხვადასხვა კონტექსტში ჩნდება ცალკე-ულ ლექსებში, როგორც თანმდევი მელანქოლია, რაც ჩემთვის ძალიან ნაცნობა და სულაც არ არის უცხო.

საით წამოვიდე, ანდრია, საითვენ?

ჩემთვის ხომ მუდმივად ადრეა ცოლობა...

აქ ჩინდება შიდარითმა პროსოფიის ინერციით, როგორც მოულოდნელი მუსიკალური საფეხური და ბოლო სტროფის ორი სტრიქონი:

შენ არ ხარ! რად მყველრი, რომ ნლები გარბიან?

ჩემთვის სულ ქარია და ლამეც ადრეა...

ღამისა და ცოლობის იგივეობითი ნათლად იგრძნობა და იყვეთება რომ ცოლობა და ლამე ლირიკული გმირისთვის ყოველთვის ადრე.

„აღიარება მზის წეულში და ნერვებში, შიგნით, სხეულის ენით სწორების აღიარება“... /“ყველა სწორებაზე“ აკაკი/, „არსად დაგირგივარ — ეს მე აგიყვავდი მიწაზე ვენახად, მსვავდი და თვრებოდი.“ — ეს და სხვა სტრიქონები ექიმებია ყოფიერების, წუთებია ჩარჩენილი მესაიერებაში, უცარი იმპულსი რომ აღიძებს და ასულდგმულებს.

კლასიკიდან შორეული, მაგრამ საგრძნობი ალუზიები მის სხვა ლექსებშიც გვხვდება, როგორც ციტაციაზე მინიშნება.

საცვალი ამინდმა იცვალა სვენებით,

ქუხილით, და ხსენი

ძუძუში გამიშრა...

ჩვილი კი სველი და მშიერი ტიროდა...

/ნაწყენი თვალები/,,

და ვენახს სხლავდნენ და ნერვებზე შაშვები

ნამცეცებს კენკავლნენ,

ნისკარტზე ეკიდათ სულ ყველა პირობა...

ეს წერილობული სტრიქონები, დაშლილი სტროფიების ზიგზაგები, შეიძლითიებისა და პირობითი რითმების გამოსახილით, ირონიული „ნისკარტზე ეკიდათ“-ი და უცნაური დაბულობით, ახალ რიტმს რომ მისდევს, ისევ და ისევ განწირულობის ექია, ოლონდ სიმწარე ირონიდანაა ამოზრდილი.

„დეპრესია“ და „როესის სიყვარული“ გვერდიგვერდაა და განწირულობის შეგრძნება ერთში („დეპრესია“) აღმსარებლობითია, ხოლო მეორეში („როესის სიყვარული“) დიალოგია ძუენა ძალლთან და საიცრად თბილი ლექსია, მიუხედავად დაუნდობელი თვითირონიისა.

თავბრუსსვევებით აჭრელებულ საპყარ შუადლეს,

ასე ბარბაციო მიაცილებს საღამო სახლთან,

ლამეც ლოდინით შექმულია უკვე ყუამდე,

ან ლამპიონებს დაავინებდათ სინათლის გახდა.

ასე იხატება დეპრესიული დღის ყუამდე შექმული შუადლე. და ბოლო ორი სტრიქონი: „ქარმა მოხია გობელენი ძველი ქარგიდან, შენ სისხლიანი დაისივით თავდები აქვე“. ოდესაც, მეც მიყვარდა ამა თუ იმ სტრიქონის ზომაზე მეტად პედალირება. თუ ამ ორ სტრიქონს მუსიკალური ფრაზასავით დაგნერთ, თითქმის ყველა სიტყვას უნდა დავუსვათ მახვილის და სტაკატოს ნიშნები. ეს კი გვაუწყებს, რომ საგანგაშოა დეპრესიის მიზეზი და შედეგიც.

წუციკო დეკანოზიშვილის ლექსები ტრადიციული ლექსტრნყობის ფარგლებს ცდება და ქმნის ისეთ ფორმას, რასაც ვერბლანს უწოდებენ, თუმცა შიდა რითმების სიხშირე ზოგიერთ ლექსში უარყოფს ვერბლანის პირობით სტრუქტურას და უფრო ბესიკურის გადახალისება და განახლებაა, ოღონდ ფრაგმენტულად, მაგრამ შთაბეჭდილებისთვის ეს ფრაგმენტებიც კმარა, როგორც ერთგვარი ტენდენცია.

არაერთი კარგი ლექსი წავიკითხე ამ გამოუცემელ წიგნში და რადგან წარმოუდგენელია ყველა მათგანის არა თუ ანალიზი — ჩამოთვლაც კი, არ შემიძლია ორი სიტყვით არ შევეხო ლექსს, რომლის სათაურია „ძირები მანც“ (ადელის სინდრომი).

**თუ დამიჯერებ, — ერთად ვცხოვრობთ
(უხმოდ ჩავსახლდი).**

დილა ლამემდე შენიანად,

ლამე — დილამდე.

გნერ ჟამკარ — თავგზააპნეული,

ვყირია სახალხოდ:

ძირები მაინც დამისველე,

თავს ვერ ვიმაგრებ!

ამ ლექსის ექსპრესია მთლიანად უკონტროლო მონატრებისა და განუზომელი სიყვარულიდან გამოდის, ამიტომაც არის „ძირები მაინც“ შეუდარებლად დინამიური და მკითხველთა გულთამბყრელი“.

რას ვურჩევდი წუციკოს დეკანოზიშვილს?! თემატურ და, შესაბამისად, ფორმალისტურ მეტ მრავალფეროვნებას, განწირულობის შეგრძნების უფრო შეფარულად და მინიშნებით გამოხატვას, ზედმეტი პედალირების გარეშე, ამის უამრავი მაგალითი მისივე ლექსებშია, და ვერბლანში რითმების გამშვიათებას, რომ არ დარჩეს თვითმიზნური, მეტრული ინერციის შთაბეჭდილება.

დასასრულ, იმასაც ვიტყვა, რომ ინტერესით წავიკითხე მისი წიგნი „ამინდები ბის-ზე“ და მიმაჩნია, რომ მართლაც კარგი დებიუტია, მაგრამ რომელ ლექსებზეც დაიწერა ეს რეცენზია, ამ წიგნში არ არის დაბეჭდილი და ხელნაწერში გავეცანი.

პირველ კრებულსა და გამოუცემელ ხელნაწერს შორის არის მრავალი საერთო ნიშანი, თუმცა, ჩემი აზრით, ხელნაწერებმა მყაფიოდ წარმოაჩნია მისი შემოქმედებითი შესაძლებლობა — საგრძნობი შემოქმედებითი და სულიერი ზრდა.

ეს ავტორი უაღრესად პერსპექტიულია. ამ სიტყვაში — პერსპექტივა — ვგულისხმობ სიტყვიერი წვდომის გამორჩეულ შესაძლებლობას.

წუციკო დეკანოზიშვილის სახით გავიცანი მშვენიერი, კამერტონიგით მიყურადებული და დაყურსული, ინტონაციური გრადაციით და განსხვავებული პოეტიკით საყურადღებო, ჩემთვის სრულიად უცნობი ავტორი. რაც მთავარია, იგი მინერალების პოეტია, რასაც მე დიდ პატივს მივაგებ.

წუციკოს შეუძლია თავის ლექსებით წერის გუნდებაზე დააყენოს სხვა პოეტი, ეს კი ბევრს ნიშნავს და ამით ეველაფერი ვოქვა.

ნინო სადლობელაშვილი

ცხადისა და გამონაგონის შესახებ

ვინძმებ რომ შეძლოს და, ერთ ფიქრში მოაქციოს სინამდვილე და წარმოსახული, მერე გამალოს ეს ფიქრი და ხელით ნაქსოვი ფარდაგივით სამყაროს გადააფაროს, მერე ზევიდან დახედოს ისე ჩვეულებრივად, სე მშვიდად, როგორი სიმშვიდითაც აღჭურავს ხოლმე ადამიანს ყოველივე, რაც მოწესრიგებულია, რაშიც ჰარმონიაა – დიდი კანონი, – აი ის ვინმე უთუოდ რაღაც ზეიმის მსგავსს იგრძნობა.

რა ბევრი დღესასწაულიც ადამიანს დღეს აქვს (ადამიანური და არა ღვთაებრივი ან სახელმწიფოსგან დაკანონებული), და იმ მნირ დღესასწაულთა შორისაც ეს ერთი განუმეორებელია – იყო გმირი – ერთდროულად წიგნისაც და სინამდვილისაც.

მით უფრო, რომ ამ ორს იმთავითვე გარკვეული აქვს საზღვრებიც და კანონებიც. შენ კი, ადამიანი – რაღაც დიდი წესრიგის მონაწილე ხდება.

სწორედ ასეთი ფიქრები გაჩნდა, როცა რამდენიმე დღის წინათ, თბილისის გაუსაძლის სიცხეს გაქცეულები, სტეფანწმინდის მხარეს მივადექით და, იქნებოდა დღის 12 საათი, როცა გამოჩნდა სოფელი ყანობი, ბატონმა პაატა ჩხეიძემ კი ძალიან გულწრფელად განგიმარტა: აქ, ხომ გახსოვთ, ძიძია ცხოვრობდა, აი მოშორებით კი ფიჩიტაურები სახლობდნენ, ესაც თერგი – ალბათ ერთი ყველაზე „ლიტერატურულა“ მდინარე საქართველოში, აი მთები, სადაც ელგუჯა აფარებდა და თავს და, რომელიც დიდი ბატალიების მომსწრები არიან.

ეს ბატალიები კი, მკითხველო, წიგნში ხდება. თუმცა მთებიც და წიგნიც ისეთი ნამდვილია, რომ სრულიად შესაძლებელია, ყოველივე მართლა მომხდარიყო.

მოგვიანებით, ალექსანდრე ყაზბეგის მუზეუმში გამართულ შეხვედრაზე, როსტომ ჩხეიძემ სწორედ ამ ორ მოვლენაზე – მხატვრულისა და რეალურის შესახებ – ისაუპრა, რომელიც კარგა ხანია ერთ უანრად ჩამოყალიბდა მსოფლიო ლიტერატურაში და ასეც ჰქვია: მხატვრულ-დოკუმენტური პროზა.



თენცო ავსაჯანიშვილი, ნინო სადლობელაშვილი, ზვიად კვარაცხელია, როსტომ ჩხეიძე, ლია და ნარგიზ ფირანიშვილები, გელა ქუშიშვილი, ანი გელაშვილი, გოდერძი არაბული

სტეფანწმინდაშიც ამ შეხვედრაზე მოგვეჩერებოდა. ალექსანდრე ყაზბეგის მუზეუმში დიდი პატივით მიიწვია მწერალი რომანი როსტომ ჩხეიძე, ალექსანდრე ყაზბეგზე ბიოგრაფიული რომანისა (“ყაზბეგიანა”) და მრავალი სხვა მშვენიერი და ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ფასდაუდებელი წიგნის ავტორი. შეხვედრა ამ მონოგრაფიის განხილვაც გახლდათ, რომელსაც წიგნის მოყვარული მოხვევები, ჯუთადნ საგანგებოდ ამ დღისთვის გადმოსული არაბულები, თვითონაც ლამის ყველანი პოეტები და ლიტერატორები, უბრალოდ კარგი მკითხველები და სამყაროს მახსოვრობის მქონეტელები დაგესწრნენ.

შეხვედრის დაწყებამდე მუზეუმის (დირექტორი მზად ჩქარეული) თანამშრომელმა ლია ფირანიშვილმა ალექსანდრე ყაზბეგის ეზო-კარი და სახლი გულდაგულ დაგვათვალიერებინა. უბრელებელი, სასახლის მსგავსი თაღებიანი შენობა, რომელიც ოდესალაც ალბათ მეფის პალატივით ბრძყინავდა დარიალის ხეობაში და ციხე-ბურჯად ედგა საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭეს; ძველი წელთაღლიცხვის არქეოლოგიური ნიმუშები: მონეტები, სამკაული, ტანისამოსი – როგორც ნიმუშები უსსოვარი ისტორიისა; განსაკუთრებული ექსპონატები: ხევისბერის დრობა, რომელიც ყველაზე დრამატულ ეპიზოდებში გამოჰქონდათ თემის წინაშე, და ბეთოლემის კარიბჭე, ადამიანის ნახევარი სიმაღლის რკინის კარი, ვინ იცის რამდენი განდეგილის მიერ შეღებული, რამდენჯერ სქელი ჯაჭვით მტრისა და ავის წინაშე ჩარაზული..

კედლებზე – ალექსანდრე ყაზბეგის უამრავი პორტრეტი, სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული, და ასევე მრავალი ფოტო ვაჟა-ფშაველასი – ამ ორი დიდი მწერლის განსაკუთრებული ურთიერთსიყვარულის ნიშნად.

ეს ყველაფერი კი — ეს ურთიერთობანი, წვრილმან-მსხვილმან ეპიზოდები, მთელი საგა ალექსანდრე ყაზბეგის მშვითვარე ცხოვრებისა – როსტომ ჩხეიძეს თავის ბიოგრაფიულ რომანში აქვს აღნერილი. შეხვედრაზეც ბევრი ისაუბრა მან მხატვრულ-დოკუმენტურ უანრზე, მის თავისებურებებზე, იმაზე, თუ როგორ ერწყმის მწერლის ფიქრში ერთმანეთს სინამდვილე და გამონავონი, თუმცა ერთი დიდი კანონის წინაშე პირნათელი უნდა იყოს: რეალობის განცდა არაფრისდიდებით არ უნდა დაკარგოს. აღნიშნა, რომ საქართველოში ეს უანრი თანდათან პოტულარული ხდება, რაც ალბათ ძალიან ადამიანური თვისების – ცნობისწალის მიზეზითაცაა განპირობებული, თუმცა მწერლისგან ეგებ იმაზე მეტ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს, ვიდრე მხატვრული ნანარმოები.

ამ პოპულარობის დასტურად როსტომ ჩენიძემ საგანგებოდ იახლა თან სტეფანწმინდაში ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია, რომელიც ამ ქანრში ძალიან საინტერესოდ მუშაობს, მისი „ილია სამეგრელოში“ უკვე გახმაურებული მონოგრაფია და ზვიადის ნიჭირების, შრომის სიყვარულის, ღრმა ერუდიციის შემხედვარე, იმდანად უურებ მის მომავალსაც და ფიქრობ, რომ არამხოლოდ ამ ქანრს, არამედ ზოგადად ღიტერატურას ერთი ჩინებული სახელი შეემატა და, წინ კი — მისი მრავალი წელიწადი და მრავალი წიგნია. პირველ ყოვლისა მაინც ბიოგრაფიულ რომანს ველოდებით იონა მეუნარებია-ზე, მხატვრულ-დოკუმენტუ-რი ქანრის დიდ მოამაგებე.

სტუმრებს შორის გახლდათ პროფესიონალ პაატა ჩენიძე, რომელმაც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის პოპულარობაზე ისაუბრა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ეგრეთ წოდებული ყვითელი პრესის ასერიგად მოზღვავების, ჭარბი ინფორმაციულობის ეპოქაში, როცა თითქო „ყველამ ყველაფერი იცის“ და პატარ-პატარა ადამიანური ამბები ცნობლთა თუ სწობლთა შესახებ ყოველ სატელევიზიო თუ საჟურნალე ქრინი-კაში ისტერიული სისწრაფით ცხვება, ეს ქანრი კიდევ უფრო შეტანადა დასაფასებელი თავისი შეუვალი სიღრმის გამო, შემოქმედის ბუნებაში, მხატვრულისა და რეალურის ლაბირინ-თებში წვდომის გამო, ამიტომაც დასაფასებელია ყველა ის ავტორი, რომელმაც სცადა ბედი ამ ქანრში და შექმნა ახალი მატიანე, მემატიანის ფარული ღვანლითა და სინამდვილის სიყვარულით.

ძალიან საინტერესოდ ისაუბრა ქანრზეც და როსტომ ჩენიძის ღვანლზეც ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში ჟურნალისტმა ნინო ხოფერიამ. ეს მშვენიერი ქალბატონი თავისი საქმიანობითაც სწორედ ამ გზას ადგას ანუ ვიდეო-ფირზე ასახავს წარსულისა თუ თანამედროვე სამყაროს დოკუმენტურ რეალობას და კინოენით მოგვითხრობს ყოვლად ყოფით, ახლობელ ამბებზე...

საუბარში მასპინძლებიც ჩაერთნენ. ნოშრევან არა-ბულმა სიზუსტის შესახებ იყითხა: რომელი უფრო ზუსტად გადმოსცემს ეპოქას და გნებავთ ადამიანურ სინამდვილეს — მხატვრული ტექსტი თუ დოკუმენტური? როსტომ ჩენიძის პასუხი მარტივი იყო: ნიჭს გააჩნია.

ნიჭი კი ისეთი რამ არის, ხანდახან მხატვრულში, ანუ წარმოსახულში უფრო რეალურად გაგრძნობინებს თავს, ხან კი პირიქით, სინამდვილეს დაგიხატავს ისე, რომ გაოცდები: მეც ხომ ამის მონაწილე ვიყავი და რატომ ვერ დავინახეო.

ნიჭი ხომ ხილულიც არის და, ახლა იმ ნიჭზე ვიტყვი, იმ კარგი სტეფანწმინდური დღის მანძილზე უხვად რომ გვეხა-ვებოდა ჩვენი მშვენიერი მასპინძლების სახით. მე პირადად ასეთი ნატიფი მოხევები, ჩვენი უმინდესის გარდა, არსად მინახავს. ისეთი მოქრძალებით ეპურობოდნენ ყველაფერს:

სტუმარსაც და ნიგნსაც და მუზეუმსაც, ისე პოეტურად ხე-დავდნენ და ფიქრობდნენ, უფრო სწორად, უკვე ჰქონდათ ბევრ რამეზე ნაფიქრი და ეს მათ კეთილ, ნათელ სახეებზეც იყითხებოდა: ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა მასპინძელი, ვსი ინიციატივითაც შედგა ეს შეხედრა — ხელოვნებათმცოდნე ანი გელაშვილი, მუზიუმის თანამშრომლები — ლია ფირანიშვილი და ლიზი ჩქარიული, ლიტერატურის დიდი მოყარული, კეთილშობილი კაცი — გელა ქუშაძეილი, პოეტი თენგო ავსაჯანიშვილი, ნოშრევან და გოდერი არაბულები, ერთი მწერალი და მეორე პედაგოგი, იორამ ღუდუშაური (ახალი დროის მინდა და ოთარ ჩენიძის რომანის „თეთრი დათვი“ ერთ-ერთი პერსონაჟი), — და კიდევ ბევრი კარგი და გულისხმიერი ადამიანი, ვინც იქ იყო და ვისი ყოფნაც ყველაზე მეტად აცოცხლებდა თვითონ ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმს.

მუზიუმი კი, არც მეტი არც ნაკლები, პირით გერგე-ტის სამებისკენა მაბურობილი, სამების მიღმა მყინვარნერი წამომდგარა და, საერთოდაც, წარმოსადგენად იოლია, რა ხატებით ევგებოდა გული და გონება დაბადების წუთიდან ალექსანდრე ყაზბეგს. იმ არემარეს შემ-ხედვარეს ასეთი გულუბრყვილი (ხან ბრიყვული) აზრიც გაგრავას, რომ ასეთ ბუნებაში დაწერდა კაცი, აბა რას იზამდა.

თუმცა განგების ნების გარეშე ხომ, სულაც სამოთხეში რომ იჯდე, ერთ სიტყვასაც ვერ გამოსწორ თავს. ალექსანდრე ყაზბეგი ღვანებით იყო და, შეძლო.

ეზიში, უკვე გვარიანად აგრილებულზე, მის საფლავთან რომ ვიდექით და გარშემო კლდეებიდან ქვიშასავით თხლად ჩამოიცრა ნისლები, ერთი გაფიქრება ისაც გავიფიქრე: ნეტა ეხლა ნამდვილი ვარ თუ, მეც ვინმე მთხზავს-მეთქი. რაღა ვინმე, ამხელა საფლავთან ვიყავი და, თუნდაც ეს სულმანით — ალექსანდრე ყაზბეგი.

და, თუ მართლა ასე იქნებოდა, ალბათ დაწერდა, რომ ქალაქიდამ სტუმრები ჩამოიდნენ; მერე იმასაც დაწერდა, რომ ეს სტუმრები დიდხანს იდგნენ და უცქერდნენ დარიალის კარს, რომლიდანაც მრავალი საუკუნის ნინ შემოვიდა ჩვენთვის ერთი ყველაზე დიდ ბოროტებათაგანი და გველებავით შთანთქ ჩვენი თავისიუფლება; სულ წვრილ-წვრილად აღნერდა თოთოეული ჩვენგანის ფიქრსა და გულისძვრას, წუხილს და სატყივარს დღემდე მოუშორებელი ამ ბოროტების გამო, დღემდე ნაჯიჯანი და გემოდაკარგული ამ თავისუფლების გამო; დაწერდა და მიიტანდა სტამბაში. ასოთამწყობები კი ბოლო ფრაზებს შეუცვლიდნენ და ტექსტს ქვევით მიანერდნენ: გაგრძელება იქნება. და სხვა გზას აღარ დაუტოვებდნენ, გარდა იმისა, რომ გაეგრძელებინა მისებური ხელოვნებით — „ელგუჯას“ ხელნაწერის თავგადასავლისა არ იყოს.

გაგრძელება მართლაც იქნება — ნიგნშიც და ცხადშიც. ალექსანდრე ყაზბეგისთვის ამ გაგრძელებას უკვდავე-



იორამ ღუდუშაური, ზეიად კვარაცხელია, ნოშრევან არაბული

იოსებ ჭუმბურიძე

ხელი გავითნია ვაცე

ანუ ნაცოდი ხერხების გამოყენება საცეცირის პროცესში

უკრაინის სახელმწიფო სამსახურის პროტოკოლით მრავალ ასპექტს გულისხმობს ერთ-ერთ სახელმძღვანელოების ნაკლებობაა. დეფიციტი, გარკვეული და, შეამცირა ბოლო ხანს თარგმნილმა ლიტერატურამ, თუმცა, ზოგიერთი უცხოურ სახელმძღვანელო იმდენად უფრო მოხერხებული. მას შეუძლია გამოიყენოს გამოცდილება ახალ, არასტანდარტულ, გაუთვალისწინებელ პირობებშიც კი.

უკრაინის სახელმძღვანელოს პროგნონალიდან მოდის და წუნებული მხოლოდ მთარგმენტს ვერ დავამოალებთ. ამის თვალსაჩინო მაგალითი (ჯ.მ. პამილტონი, ჯ. კრიმსკი, „ჩატარებული პრეზიდენტი“) ერთ-ერთ პუბლიკაციაში განვიხილეთ („უკრაინისტური ძიებანი“, ტ. XII, გვ. 154-159), ამჯერად კი „ორიგინალურ“ ქართულ სახელმძღვანელოს შევეხით:

გიორგი ჩართოლანი. ტელერადიოუკურნალისტიკა. ნანილი I, ტელეუკურნალისტიკა. თბ. 2008.

სახელმძღვანელოს პირველი თავი, ზოგადად, უკრაინისტიკის რაობისა და უკრაინისტიკის პროფესიის არსის განსაზღვრას ეძღვნება. იქვეა წარმოდგენილი „პროფესიონალიზმის დონეები და კრიტიკულები“.

ცოტა საეჭვოა ამგვარი თავისა თუ ქვეთავის აუცილებლობა, მაგრამ მაინც უნდა გავეცნოთ.

ციტატა:

„ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებაში გამოყენების პროფესიონალიზმის სამ საფეხურს: საწყისი, საშუალო, უმაღლესი“ (გვ. 15).

ავტორი არ მიუთითებს, თუ ვინ გამოყოფს, მაგრამ მთავარი „დონეთა“ განმარტება-დახასიათებაა.

ციტატა:

„პროფესიონალიზმის საწყისი დონე — მოღვაწეობის ის საფეხურია, რომლის პროცესშიც გამოიყენება ნაცნობი ხერხები. საწყის დონეზე ხდება პროფესიული ჩვევების შექმნა. ჩვევა თავისთავად არის პრაქტიკული საშუალებების ერთობლიობა“ (იქვე).

გაიგეთ რაიმე? მიმდინარე, რას ნიშნავს „საფეხურის პროცესში ნაცნობი ხერხების გამოყენება?“ იქნებ, ის მაინც გაიგეთ, რა არის ჩვევა თავისთავად?

ამ „ცოდნით“ შეიარაღებულთ უკვე შეგვიძლია, „საშუალო დონეზე“ გადავინაცვლოთ:

„პროფესიონალიზმის საშუალო დონე — ეს არის ახალი ხერხების და მეთოდების დაუფლება. ამ ეტაპზე ადამიანი ხდება უფრო მოხერხებული. მას შეუძლია გამოიყენოს გამოცდილება ახალ, არასტანდარტულ, გაუთვალისწინებელ პირობებშიც კი“ (გვ. 17).

აქ კომენტარი ზედმეტია და ბარემ „უმაღლეს დონეზეც“ ავმაღლდეთ:

„პროფესიონალიზმის უმაღლესი დონე — ოსტატობაა. ეს არის საკუთარ მოღვაწეობაში უმაღლესი დაოსტატება და შემოქმედებითი პოტენციალის შენარჩუნება“ (იქვე).

კომენტარი აქაც ზედმეტია.

ვფიქრობ, დაკვირვებულ მკითხველს არ გაუჭირდება იმის განსაზღვრა, თუ პროფესიონალიზმის რომელ დონეზეც იმყოფება თავად ავტორი, თავისი „საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებაში“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტელეუკურნალისტის პრაქტიკული გამოცდილება აქვს, უთუოდ საშუალო დონეს უნდა მიყვაუთვოთ, ვინაიდან „ამ ეტაპზე ადამიანი ხდება უფრო მოხერხებული. მას შეუძლია გამოიყენოს გამოცდილება ახალ, არასტანდარტულ, გაუთვალისწინებელ პირობებშიც კი“.

ჩვენს შემოხვევაში — სამეცნიერო ასპარეზზე.

ეს — მოხერხებული გამოცდილების გათვალისწინებით, თორემ მეცნიერული აზროვნების დონით, საწყის ეტაპს ვერ გასცდება.

ამის გამო, გულინრფელად ვწუნვარ, მაგრამ ვერაფერს შევცვლი, რადგან ამ „დონეს“ მკაცრი წესები თვითონვე დაუდგინა:

„პროფესიული დაოსტატების საწყის ეტაპზე უურნალისტის უმთავრესი ინსტრუმენტებია: წიგნაკი, დღიური, დიქტოფონი, სატელეფონი წიგნაკი, კომპიუტერი“ (გვ. 15).

ეს კიდევ არაფერი, გაგრძელება ნახეთ:

„წიგნაკი სასურველია ორი სახის: პატარა, რომელსაც უურნალისტი გამოიყენებს უშუალოდ ადამიანებთან ურთიერთობის დროს და დიდი, რომელშიც ჩაწერს, მაგალითად, სატელეფონო საუბრებს. უმჯობესია სპირალზე აგებული წიგნაკი, რადგან უფრო ადვილია გადაფურცვლაც და არასაჭირო გვერდების მოშორებაც... დიქტოფონი უურნალისტის სჭირდება უშუალოდ ადამიანებთან საუბრის ჩასაწერად“ (იქვე).

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, რომ გითხრათ, გიორგი ჩართოლანის სახელმძღვანელო ვინმეს გამოადგება-მეთქი, დამიჯერებებთ?

მართლაც, რამდენად მოხერხებული უნდა გახდეს ადამიანი თავისი „საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებაში“, რომ ასეთი წიგნი დაწეროს და, თანაც, სახელმძღვანელო უწოდოს!

თუმცა, ამას მოხერხებული და დამიანებების ჩასაწერის შევერერება.

ციტატა:

„და მაინც, რა არის უურნალისტიკა... პროფესია, რომელიც არ განეკუთვნება უძველესი პროფესიების რიგს, მაგრამ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია და ყველაზე მაღალანაზღაურებადია მთელ მსოფლიოში“ (გვ. 10).

ვიდრე შევიტყობდეთ, რა არის უურნალისტიკა, აქ ორი კომენტარია საჭირო:

1. რადგან არსებობს ფრიად უსიამოვნო შედარება, რომლითაც, როცა დასტირდებათ, უურნალისტის პროფესიას „ამკობენ“, წინდახედული მკვლევარი უნდა მოერიდოს ამგვარ გამოთქმას: „არ განეკუთვნება უძველესი პროფესიების რიგს...“

2. ეტყობა, გ. ჩართოლანის საქართველო „მთელი მსოფლიოში“ ნაწილად არ მიაჩნია.

ახლა კი ის შევიტყოთ, რა არის უურნალისტიკა:

„უურნალისტიკა (ლათინური დღიური — დღიური) — ეს არის თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენა“ (იქვე).

რატომ მხოლოდ თანამედროვე ცხოვრების? ერთი საუკუნის წინათ ასე არ იყო?

კიდევ ერთი განმარტება:

„ჟურნალისტიკაში ტერმინი განსაზღვრავს ჟურნალისტების მოღვაწეობის სფეროს“ (გვ. 11).

გაიგეთ რაიმე?

ციტატა:

„ჟურნალისტიკის თეორია შეისწავლის ჟურნალისტური ნაწარმოებების განხრებს, სახეებს და ჟანრებს“ (გვ. 20).

ალბათ, დაგაინტერესებთ, რომელია „ჟურნალისტური ნაწარმოებების განხრები“.

თურმე, ეს „განხრები“ ყოფილა: გაზეთი, ჟურნალი, რადიო, ტელევიზია. დიას, ესენი ყოფილა „ჟურნალისტური ნაწარმოებების განხრები“, რომელთაც, თურმე, შეისწავლის ჟურნალისტიკის თეორია.

რაც შეეხება ინტერნეტს და საინფორმაციო სააგენტოებს, მათ მიმართ ავტორი, რატომლაც, სიმეაცრეს იჩენს და „ჟურნალისტური ნაწარმოებების განხრებს“ არ მიაკუთვნებს. დასაბუთება ასეთია: „მათი მუშაობის სპეციფიკა იმდენად ჰგავს გაზეთის, ტელევიზიის და რადიოს მუშავთა საქმიანობას, რომ ინფორმაციის გავრცელების ეს საშუალებები უნდა მივაკუთვნოთ მასმედიის თავისებურ ინფრასტრუქტურას, როგორც დამხმარე განყოფილებები“ (გვ. 21).

დღერთო მაღალო! ონლაინჟურნალისტიკის აღზევების ხანაში, ინტერნეტს რომ ასე დაჩაგრავენ, საინფორმაციო სააგენტოებს რა პირით და გამოვესარჩმოთ?

ძვირფასო მკითხველო, ღირს კი გაგრძელება ამ სახელმძღვანელოს უვარესობის დასამტკიცებლად, თუ არგუმენტები არასაკმარისია?

იქნება ავტორი ზოგადთეორიულ საკითხებში მოიკოჭლებს და კონკრეტულად თავის „განხრაში“ მეცნიერების მწვერვალებს? იპყრობს?

ვნახოთ:

„ტელემაუწყებლობის საინფორმაციო განხრა (აქაც განხრა?! — აგტ) გულისხმობს ახალი ამბების ინფორმაციას“ (გვ. 76).

როგორ მოგწონთ „ახალი ამბების ინფორმაცია?“

„განხრებში“ რაც ხდება, ხომ ვნახეთ, ჟანრებში კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა:

„რეპორტაჟი — ეს არის ჟურნალისტიკის ჟანრი, რომელიც ბეჭდურ და ელექტრონულ მედიას (გაზეთი, ჟურნალი, რადიო, ტელევიზია) აქციონებს იმ მოვლენის შესახებ, რომლის შემსრულებელი ანდა მონახილე არის თავად კორესპონდენტი“ (გვ. 104).

ღმერთია ძლიერო! მედიას ატყობინებს თუ აუდიტორიას?

ციტატა:

„სატელევიზიო ჟურნალის მრავალფეროვანი თემატიკის მიუხედავად, აუცილებელია იმგვარი ლერძის შექმნა, რაზეც აიგება ნებისმიერი ჟურნალი. ეს ლერძი იქმნება ავტორის მიერ, რომელიც ძირითადად წამყვანის ტექსტში ყალიბდება“ (გვ. 138).

ვინ ყალიბდება წამყვანის ტექსტში — ლერძი თუ ავტორი? აქ (და არა მხოლოდ აქ) შეუძლებელია, არ გაგასენდეს ილიასეული უკვდავი სარკაზმი: „ხელი გავიქნიე ფეხი“.

ციტატა:

„ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს ერთი გარემო-



ება, რომ საუბარი არ არის დაწერილი ტექსტის კითხვა“ (გვ. 158).

ჟურნალისტმა ეს მართლა უნდა გაითვალისწინოს!

გავაგრძელოთ?

რისთვისლა გავაგრძელოთ?

უარესი რადა უნდა ვნახოთ.

არადა, ვნახავთ.

აი, უარესი:

„დილის ტელემაუწყებლობა განსხვავდება იმის მიხედვით, არიან თუ არა ოჯახში ბავშვები“ (გვ. 177).

ეს უკვე საკმარისზე მეტია! მეტისმეტია!

კიდევ ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს:

ავტორი მეტად უცანურად ექცევა ჟურნალისტიკის მცირებულებაში საყველოთაოდ ცნობილ პოსტულატებს. „უძეველეს პროფესიაზე“ უკვე ვთქვით. აი, როგორ ინტერპრეტაციას აძლევს იგი ასევე ყველასათვის ნაცნობ დეპულებას: „ამიტომ უწოდებენ ტელევიზიას და მის საინფორმაციო სამსახურებს — „მეოთხე ხელისუფლებას“ (გვ. 173).

ნუთუ მართლა ამათ უწოდებენ?

ნუთუ ავტორმა ესეც არ იცის!?

და ამ წიგნს სახელმძღვანელო (?!) ჰქვია.

პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ: „რეკომენდებულია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ“.

დღეს კი ამ „სახელმძღვანელოს“ ავტორი იგანე ჯავახიშვილის სახელმძღვანელოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია!

ალბათ რა სიამაყით წარუდგენს ხოლმე საკუთარ სტუდენტებს საკუთარ სახელმძღვანელოს, საიდანაც გაიგებენ, რისთვის სტირდება ჟურნალისტის ბლოგნოტი ან დიქტოფონი(?)! და რატომ ჯობია ჩვეულებრივ ბლოგნოტს „სპირალზე აგებული წიგნაკი“(?!), სამაგიეროდ, ვერ გაიგებენ იმას, რასაც დიქტოფონზე (ჩამწერზე) გაბრიელ გარსია მარკესი ამბობს: „ჩამწერს ესმის, მაგრამ ვერ ისმენს, ნათევამს თუთიყუშშივით იმეორებს, მაგრამ ვერ აზროვნებს, ერთგულია, მავრამ არ გააჩნია გული, და საბოლოოდ, მისი ზუსტი ვერსიაც ვერ იქნება ისეთი სანდო, როგორიც იმ უწოდებლისტისა, რომელიც ყურადღებას აქცევს თანამოსაბრიოს ცოცხალ სიტყვებს“.

გ. ჩართოლანი და მისთანანი ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მას შემდეგ მივიღენ, რაც იქიდან ჟურნალისტიკის დარგის ორი ყველაზე თვალსაჩინო და ღირსეული მეცნიერი გაუშვეს. ერთს, ბატონ ნოდარ ტაბინეგის, ზოგადად, ქართული ჟურნალისტიკის მცირებების განვითარების საპატიო ტვირთი აწევს მხრებზე, მეორე, ბატონი ნიკო ლეონიძე, ტელეეურნალისტიკის მეცნიერული საფუძვლების ჩამოყალიბებას ემსახურება.

და ამ ორი შეუცვლელი პროფესორის შემცვლელებად მოვიდნენ ისინი, ვისაც წიგნი საერთოდ არ დაუწერიათ, ანდა, თუ დაუწერიათ, ასეთი, ამ წერილში რომ გაგაცანით.

თუმცა, ასეთის დაწერას, ისევ არდანერა სჯობს...

შეუძლებელია, არ შეგეცოდოს ჩვენი სათაყვანებელი თეთრი ტაძარი...

შოთა ბოსტანაშვილი

ორი

რეპლიკა/ცია

პირველი რეპლიკა რუბრიკის არჩევანიც არის, რომ კიდევ ერთი “უჩვეულო რაკურსით” დაგვანახოს ბატონ თამაზ ნატროშვილის, მართლაც უჩვეულო რაკურსით დანახული, არაჩვეულებრივი ტექსტი - “ჰაჯი-მურატი და კარმენი” (ჩვენი მწერლობა, 2010, 18), რომელიც თავის მხრივ ნარმოვგიდენს სხვა, ასევე არაჩვეულებრივ ტექსტებს. ასე რომ, თუ კიდევ ერთი მეტადანახვა შესდგა მეტად უჩვეულო მეტარაკურსით, ხედვის ადგილიც დადგინდება - მეტატოპოსი (აი, როგორ გავიმეტე).

ერთი დანახვით, სათაურიდანვე (მორიდანვე) შეატყობთ, რომ უჩვეულობასთან (გნებავთ, კონცეპტუალურ პარადოქსთან) გვაქვს საქმე და მისი ადგილი კულტურის ტერიტორიაზე გამოყოფილია ახალი პარადიგმების (ჯერ ისევ) გვერდით. ასეთია მაგალითად: ჰაჯი-ზის ვარდი პრუდონის ვაზაში. დიახ იგივე “ოპერიდან” არის ჰაჯი-მურატი და კარმენი; და არა მარტო იმიტომ, რომ **მრავალვერსი(ი)ანი** (აქ: ბევრი ვარიანტის მქონე და ბევრი გზის გამვლელი) ტექსტით ისინი ოპერაში ხვდებან ერთმანეთს; ან იმიტომ, რომ გადაენასკვნენ მათი თავისუფლებისმოყვარე სულის სიმძინი ბოლოებით; ანდა სიმბოლოებით, თავისუფლებას რომ გამოხატავენ; ან მათ მიერ გამოიწვეული აუიოტაქებით; არამედ **მონტაჟებით** და **რეპორტაჟებით**, რომელიც ტექსტის ავტორმა შემოგვთავაზა - ბატონმა თამაზმა - ასე ლამაზად.

პირველივე სამონტაჟო ბლოკი და რეპორტაჟი ჭორის აპოლოგიას ეთმობა, გნებავთ ჭორის დისკურსს და ევფონიურ თამაშებს - ჭორი/ჭირი, „...ჭირიანობაა და ჭირიანობა“ (ნ. ბარათაშვილის წერილიდან). ამ ბლოკში კიდევ სხვა **ჭრ-ს ელი**, აქ კიდევ სხვა **ჭრ იალებს**, ასე მაგალითად: ჭორა-ჭურაებით სავსე წიგნი; „...ქალაქის ჭრელა-ჭრულა მოსახლეობა“ (ხაზგასმა ჩემია - შ.ბ.); აქ საოცრად ჭრელი სიტუაციები და გაოცებამდე ჭრელი წერსონაჟებია, ასე - ოცამდე. ერთი სიტყვით აქ სუფესს სრული პოლიფონია, ანდა ჭრელოვამია. ეს მეორე დანახვა იყოს - ჭორი, როგორც ვერსია.

მესამე დანახვით შეუთავსებელთა შეთავსება - მტერ/მოყვარეობანას თამაში უნდა შევნიშონთ (იმპერია - გრიგოლ ორბელიანი - ჰაჯი-მურატი) და ისიც, რომ ღალატის ღიგინი პოლიტიკაში, სიყვარულში და ხელოვნებაში (აქ ღალატობენ: ჰაჯი-მურატი - შამილს, იმპერია - ჰაჯი-მურატს, კარმენი - მიჯნურს, კალატოზოვი - ისტორიას) ძველია, მაგრამ “ძვალია” თანამედროვე ღიგინერატურაში - ეს არის საზღვრების „ღრღნა“ უანებს შორის. იქნება აქეთერნაც გვაქეზებს ფაქტიად ჰაჯი-მურატიანი ტექსტი: სხვა თუ არა, უანრის „ღალატი“ აუცილებელიც კი არის.

სხვა დანახვები - სანახები

ჰაჯი-მურატის კრიტიკული წაკითხვები - დეკონსტრუქციები ნარმოდგენილია 4(+n) ვერსიად: 1. გაზეთ „კავ-

კაზის“ უურნალისტის ვერსია/რეპორტაჟი (ნანახის აღწერა); 2. ლევ ტოლსტიოს ვერსია/მოთხოვობა (სადაც უკვე უსმენენ ჯერ არდანერილ “კარმენს”); 3. მიხეილ კალატოზოვს ვერსია/სცენარი (და თანმდევი კრიტიკა არშემდგარი ფილმის გამო, სადაც მიმაკვდავი ჰაჯი-მურატი კარმენის პარტიას ღილინებს და ტირის); 4. თამაზ ნატროშვილის ვერსია/იმაგინაცია: „...ჰაჯი მურატი პარტერის პირველი რიგიდან სცენაზე რომ აგარდილოყო, ხმალში გამოეწვია ლოუაში მოკალათებული ვორონცოვი და შეუბრალებლად აეკუნა“; სხვა წარმოსახვით კი მომავალი ავტორი (ლ. ტოლსტიო) ზემოდან დაპყურებს (თეატრის ლოუიდან) მომავალი წიგნის მთავარი გმირს (ჰაჯი-მურატს). ი. ვერსიით კი ტექსტი კარს უდებს სხვა თამაშებს: “და ჰაჯი-მურატისთვის რომ გეკითხათ რა გინდოდა...?”; “ჰაჯი-მურატს წაკითხული რომ ჰქონოდა შექსპირი?...” პირს იბრუნებდა ჩვენგან ისევ, თუ პირში წყალს ჩაიგუბდა - ალიგსებოდა დიდი ომების ჟინით... და ასე შემდეგ (დ/იდიომების მთელი წყება). ეს ბოლოები ჩემი ვერსიებია, და რაც მთავარია, ყველა ერთად, მხოლოდ ტექსტებია ერთმანეთის შესახებ. აი, მე უკვე ჩავერთე თამაშებში და ასე თუ გავაგრძელებთ რამხელა სია გამოგვივა, მაგრამ ვერც სია უშველის, კარგი რომ არ იყოს ყოველი ვერსია, ჭორი და ლიცენცია, რომელსაც დამახინჯების ბრალდება დეკონსტრუქციამ ჩამოხსნა. იგივეა ინტერტექსტუალობაც, ასოციაციებიდან რომ მოდის. ასოცია არა, მაგრამ რამდენიმე ასეთი ნიმუშია კარმენიან ტექსტში - სოლუენიცინიანი, ბაირონიანი და ირონი(ი)ანიც მრავალი - ვალი პასტიშსაც რომ გადაუხადა. ერთი სიტყვით, ჰაჯური და კარმენული ტექსტი კარგია და კარლია ტექსტია. კიდევ შეიძლება შევაღოთ კარი, კიდევ შეიძლება გავხსნათ, მაგრამ როგორც იტყვიან ეს უკვე სხვა ტექსტების საქმეა - სხვა თამაში, ამაში კი რაც დაეტია, ის მოვათავსეთ.

P.S. (ანდა დასკვნა): ბატონი თამაზ ნატროშვილი მოდარაჟე კაცის თვალით (და “მკვდარი ავტორი” ნიღბით) სკრუპულოზურად იკვლევს და განსჯის, კვანძავს და სხნის კვანძებს, გვიხსნის და გვასხენებს... კვანძები კი არა ანძები გახსნა - გაშალა და ისტორიის პერსონაჟები (ზოგჯერ ბანძები) განძებად აქცია. მისი აქცია ტრანსლიაციაა, რუბრიკაა, არა მარტო ახალი რაკურსით, არამედ პრობლემა: “ახლა რა კურსით?“ დიახ, ამ კურსით, აქ ღალატი ბირინთიდან გამოსვლის სურვილი და ლიტერატურულობის ერთი ნანატრი პერსპექტივაა - **რეპლიკაცია** — მარშრუტით: ჭორი — ვერსია — დეკონსტრუქცია — თამაში, რომელშიც სტატიის ავტორი ჩაერთო და მკითხველიც აღძრა. თამაზ ნატროშვილის იპუსით საქმე გვაქვს ლამაზ და ნანატრი ტოპოსთან - სანახებთან, სადაც წყვილდებიან ანალიზი და პოეზია.

ქვემოთ ისევ პოეზიის შესახებ.

მეორე რეპლიკა ეხება სოფიე კვანტალიანის მომხიბლავ ლექსებს („ჩვენი მწერლობა“ 2010, №17) და მასთან დაკავშირებით უურნალის შემდეგ ნომერში გამოქვეყნებულ ეპისტოლესაც (თენიზ საბიაშვილი, „როდის არის „ეროტიკის დრო?“). ალბათ დამეთანხმებით, რომ ეპისტოლე კი არა მეფის ტოლიც კი ვერ მართავს ვერც ეროტიკას და ვერც პოეზიას, თუ მუნასბების ავტორი-

ვით "...ბუნებამც არ უშველა". უშვერად თქმა რა მოსატანია და სოფიკო კვანტალიანს სოფი/კლეოპას ნუ მოვთხოვთ, ნუ ვაწყენინებთ ბრწყინვალე პოეტს, ენაზღლიანს, მაღალი წყობისას, ალპათ მოწყვლადსაც (რადგან პოეტია), იქნებ მერწყულსაც - მე არ ვიცი ("ხეებს" კი ვიცნობ). ლექსს ცოდნა რათ უნდა "განა ვიცით, რა ევალება მზის სხივს, ცისკრის ვარსკელავს ანდა გაზაფხულის სიოს" (მ. ჭილაძე "სიცოცხლისათვის"). აქ კი იმდენი წყდაგროვდა, წყალივით მოედინება, ამიტომ ამ ტექსტმა ინება, რომ ის ყველა ქალპოეტს ეკუთვნოდეს სოფიკოს სახით

და სოფიკოს სახელით. ჩვენ კი ღმერთმა ძალა მოგვცეს სხვა ავ-კარგი გავარჩიოთ, ანდა პოეტი გავარჩიოთ ტრიბუნისაგან და ერთ სიმაღლეზე არ დაგვენოთ. სოფიკო კვანტალიანს კი სინათლის კვანტები ჰყოფნის, ყოფნის მუქიდან ყოფნის შუქისენ სასიარულოდ.

და კიდევ ერთი P.S. ეროტიკის დრო მუდამ არის, ადგილი კი - სოფიკოს მუნასიბებიც (სახელდახელოები). აბა წარმოვიდგინოთ, დინჯად და ფეხდაფეხს რომ მიჰყეს კაცი, რამზელა ხიბლის ლოდინია სოფიკოს სახვალიო ოპუს/ტოპოსი - მაგარი ადგილია, არც ისე ადვილია.

მერაბ გველესიანი

ეროტიკის დრო როდის არ არის!

■

სოფიკო კვანტალიანის ლექსებისა და თენიზ საბიაზვილის ეპისტოლის თაობაზე

კარგა ხანია ასეთი ორიგინალური არაფერი წამიკითხავს.

მაღლობა ბატონ თენგიზ საბიაზვილის — ფსიქოლოგს — სოფიკოს ლექსებზე პოლემიკის წამოწყებისათვის.

პოლემიკას ვამბობ, რადგან იმედი მაქვს, მისი და ჩემი ეპისტოლებით საქმე არ დამთავრდება.

დღეს სწორედ პოლემიკა საჭირო და დისკუსია სასურველი, პორნოგრაფიამ რომ არ ღრღნას ჩვენი მწერლობა.

ბატონმა თენგიზმა ალბათ განგებ ჩადო თავის წერილში წინააღმდეგობა „საკუთარ თავთან“. თავიდან ბრძანებს, თამამი ლექსებიან, დარწმუნებული ვარ, უფრო თამამებს რედაქტია არ გამოაქვეყნებდა. შესაძლოა, არც ამ ციკლის გამოაქვეყნება იყო გამართლებული, მაგრამ რადგან დაიბეჭდაო...

მაინცდამანც არ მომენტონაო...

მაინც რატომ არ მოეწონა?

ფრთხილად, თავშეკავებით არის დაწერილი.

არადა, თუ რამე არ უხდება ეროტიკას, ეს სიფრთხილე და თავშეკავებაა.

გამოდის, ურჩევს ისე წეროს, რომ „ჩვენმა მწერლობამ“ მას კარი გამოუკეტოს, ყვითელი პრესისაკენ გაგზავნოს იგიცა და მისი მკითხველიც.

ეს — რაც საქმის ფორმალურ მხარეს ხეება: დე, გამოუკეტოს, დე, იქთ გაგზავნოს, თუ უფრო თამამდ სჯობს წერა.

ოლონდ არ სჯობს: ამაზე მეტი სითამამე რა უნდა იყოს, სოფიკო ბოლომდევა გახსნილი. უბრალოდ, იგი ასე

წერს, სექსის ასეთი, ეროტიკული ხედვის გამოტანა მიაჩნია ლექსებში საჭიროდ და არა — სხვაგვარისა. იგი საკუთარი ხედვის პოეტია და არ ვურჩევ ჩემი ან სხვისი რჩევით შეიცვალოს ხედვა.

სხვაგვარადაც ვთქვათ: განა ყოველი პოეტი არ ფრთხილობს? არ წონის სიტყვას? და თუ ამას არ მიგიღებთ მხედველობაში, სოფიკო სულაც არ ფრთხილობს და სულაც არ ამეტებს თავშეკავებაში.

ბატონი საბიაზვილი ფსიქოლოგია და ალბათ უკეთ შეუძლია იმის ახსნა, რაც მისი წერილიდან ჩემთვის გაუგებარი დარჩა: უანრის კანონებს სოფიკო ბოლომდე არ იცავსო, თუ ეროტიკაა, იყოსო ეროტიკა! — ფრთაგაშლილი, ლალი, დაუოკებელი, მაგრამ არა სადაცმიშვებული.

მაგრამ რა არის ეროტიკა? ავტორის მიხედვით, ეს ის უსაზღვრო სამყაროა, რომელიც ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. როგორც კი ფანტაზიიდან ემპირიაზე გადავიდვართ, მაშინვე იშლება საზღვარი და იწყება პორნოგრაფია, უხამისბა, გათახსირება.

ვერ გავიგე კრიტერიუმი, რომლითაც ავტორი ეროტიკას მიჯნავს პორნოგრაფიისაგან, რადგან იგი წაწლობას ეროტიკის სფეროს აკუთვნებს. თუ ეს ასეა, მაშინ წაწლობა ფანტაზიის სფეროს კუთვნილება ყოფილა და ემპირიისა კი — არა.

ვფიქრობ, მთავარი აქ აღწერაა, აღწერის მეთოდია: წაწლობაც შეიძლება ნარმოვადგინოთ ეროტიკული კუთხით და სექსობრივი აქტიც, ისევე როგორც ერთიც და მეორეც — პორნოგრაფიული კუთხით.

სოფიკოს ლექსები სექსს აგვინერებას გვაწვდიან სრულიადაც არა „მყვირალა“, გამომწვევა, თუ გნებავთ — სრულიადაც არა აღმგზნები ფერებით. ეს სრულიადაც არაა ფანტაზია, წაწლობის ფარგლებს ხომ — სცილდება და სცილდება. მთავარი ისაა, ეს არ არის ნატურალისტური აღწერა, მკითხველის სექსუალურ გაშმაგებაზე გამიზნული. და მაინც, ემპირიაა.

მოვიტანოთ ორიოდ წნეარი: „და ნება დაგროვე გეცდუნებინე, რომ მეგრძნო კიდევ ერთხელ, ისაფერ ლელვს ზედმეტი სიტყბოსგან როგორ ეხსნება ჭრილობა“...

...ეროტიკული დატვირთვის სამკაულს, ნახატს, ქანდაკებას — საკუთარსა თუ საერთოს, — თქვენ უთუოდ თქვენი ცხოვრების თანამდევად თვლით.

მისი დრო ყოველთვის არის. პორნოგრაფიისა — არა.

ბატონი საბიაზვილიც ხომ წერს, ეროტიკა ქართულ ეთნიკურ ხასიათში არსებობსო, როგორც არქეტიპი.

მაია ჯალიაშვილი

ლექსის ფესტივალი

დალილა ბედიანიძეს დღეს გამორჩეული ხმა აქვს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსების ცნობა შეიძლება. იგი საზრდოობს ქართული პოეზიის ტრადიციებთ, ამიტომაც ხშირად გვაგონდება მისი სტრიქონების კითხვისას გალავატიონი, ტერციტი გრანელი, ანა კალანდაძე და სხვები, მაგრამ ეს მხოლოდ „ქართული მზერაა“, რადგან ერთი მმობლის, ქართული ენის, მიწის, რწმენის, კულტურის შეილები არიან.

„სიჩრუმეში მესმის ლექსის ფესტივა“ („უსათაურო“), — ნერს ერთ ლექსში დალილა ბედიანიძე და გხიბლავს ლექსის ამგარი გაპიროვნება, თუმცა მაშინვე ნამოტივტივდება ტიციან ტაბიძის მძღვანელი და ყოვლისმშთანთქმელი „ლექსი თვითონ მწერს“. ამით დალილას „ლექსის ფესტივა“ არ აკლდება სიცოცხლე და იდუმალება, პირიქით, ღრმა სინაზითა და სითბოთი იმოსება.

დალილა ბედიანიძეს (რომელსაც, ალბათ, ღვთის განგებით, ასეთი პოეტური სახელი შეურჩია მშობელმა) სჯერა პოეზიის ძალისა, იმისაც რომ უფალმა ამ ძალის ერთ მფარველად და პატრონად სწორედ ის აირჩია, გამოგზავნა ადამიანებთან, რათა „მათ სიყვარული ასწავლის“. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ის? იმიტომ, რომ სწორედ მას ესმის ლექსის ფეხის ხმა.

ამ ხმით მთელი სამყარო გაუდენთილი, მთავარია, ყურის მიგდება შეგეძლოს, იმიტომ, რომ ეს ხმა მოდის ყველაფრისებან, რაც ჩვენ გარშემოა, ღვთის „თითებით გამოძრნილი“ (ფსალმუნი) ვარსკვლავებიდან, მოშრიალე ზღვიდან, ნავიმარა სიზმრებიდან, დამფრთხალი ფიფქებიდან, დედისთვის ნამღერი იავნანიდან...

ეს ხმა მზერასაც დაგინმენდს და უხილავს დაგანახებს, აგრძნის სიცოცხლის საიდუმლოს, ამიტომაც ხედავს პოეტი, რომ ზღვამ „მედუზები გამორიყა, როგორც სიტყვები და სანაპიროს ქვიშას ლექსი ნააწერა“. ამ სტრიქონში მთელი სიცოცხლე, ყოფიერება გააზრებულია როგორც პოეზია, ყოველდღე, ყოველწამერად რომ იქმნება ყველგანგანფენილი შემოქმედის მიერ. ამან სახარება გამახსენა, ის ეპიზოდი, როდესაც განმარტოებული იესო ქრისტე ქვიშე რაღაცას ნერს, სწორედ ამ დროს მიდიან მასთან და ცოდვილი ქალის განკითხვის თაობაზე ეკითხებიან. არავინ იცის, რას ნერდა ამ დროს იესო, იქნებ ლექსებსაც... ასე სჯეროდა ქრისტიან მწერალს ჯიბრან ხალილ ჯიბრანს. ამ ლექსებს კითხულობს დალილა ბედიანიძეც და მერე ჩვენ, მკითხველებს გვითარგმანებს, რათა ყოველდღიური საზრუნავებით გამოცარიელებული, გაგულგრილებული და სითბოდაკარგული თვალები აგვივსოს მზითა და ქარით, ყანებითა და ლერწმებით, ამიტომაც აქვს განცდა პოეტს, რომ მისი ესმის

ზღვასაც და ქარსაც, რადგან მათ ენაზე ლაპარაკობს და სწორედ ამიტომაც არ ელევა სიტყვები, რადგან სათქმელს „მარილიანი კლდეები ლილინით კარნაზობენ“.

იგი ხედავს, ქარი როგორ გლეჯს ღრუბლის ბალიშებს, საიდანაც ფიფქები ბუმბულივით ცვივა, მაგრამ ეს გულუბრყვილი, ბავშვური წარმოსახვა, ახლა კი ფიფქები „ჭალარა მოხუცებს ჰგვანანა“, მათი სიცრიფანა, ლალი, მსუბუქი ფარფატის მიღმა დიდი ტკივილი ირეკლება და პოეტი ჭვრეტს: „სანამ მინაზე დაცემიან, მანამ ჭალარავდებიან სიკვდილის შიშით და მანამდე თეთრები კა არა, იასამნისფერები არიან“. ზღვა, წყალი — სიცოცხლის მშობლია, შესაქმეში ხომ ალნერილია, როგორ იქცეოდა სული წყალთა ზედა, ვიდრე სამყარო შეიქმნებოდა.

ამიტომაც გრძნობს პოეტი, რომ დედამისი ზღვაა და შობს მას, როგორც აფროდიტეს ქაფიდან, ეს მისტერია მარადიულია. სიცოცხლის ამ ულრმეს შრეებს შეიგრძნებოს პოეტი თავისი გაფაქიზებული მზერითა და სმენით და ამიტომაც უჯანყდება ჩვეულებრიობას („აჯანყება“). სურს, გაექცეს მომაბეზრებელ დაძინებასა და გაღვიძებას და მიესწრავის რაღაც მესამეს — ტერენტი გრანელივით. რაღაცას, რაც სიცოცხლისა და სიკვდილის, სიმშვიდისა და შტოთვის, ადამიანობის მიღმა: „და ვიყო მესამე ადამიანსა და უფალს შორის“. ამ მესამეზე თამამად ნერდნენ ილია, ვაჟა და აკაკი, რომელთაც გააზრებული ჰქინიდათ ამ მესამე ნაპირის რაობა: „შუაკაცი ვარ უბრალო, არც მინისა ვარ არც ცისა“ (აკაკი).

დალილა ბედიანიძეს სურს, სწორედ ამგვარი სწრაფვით გამოხატოს მიზანი, რათა გახდეს ღირსი, „პოეტის სახელისა“, რადგანაც ამეცვეყნად, როგორც ლადო ასათიანი ამბობდა, იმისთვის მოვიდა, რომ ლექსები ნეროს, რადგან სხვა რამე, ლექსების გარდა, ვერ შევლის მის ტკივილებს, რაკილა ერგო ბედად იყოს პოეტი, თავისი ცხოვრების საბედისწეროდ.

მეოთხელი კ შეძახილით — შენ პოეტი ხარ — გაამნევებს, მიანიჭებს ძალას, რომ გაიყვანოს იქ, სადაც „ადამიანსა და უფალს შორის“ გახლეჩილი იტანჯებიან. ესენი ჭეშმარიტი პოეტები არიან, თავიანთ „ფიქრის ჯვარზე გაკრული“ (პოლ ვალერი).

ამიტომაც ეს სწრაფვა მას აკეთილშობილებს. ეს არის არა ტკივილისაგან გაქცევა, არამედ სწორედ მისკენ ლტოლვა, რადგან მხოლოდ სისხლიანი ცრემლებით შექმნილი და ნასაზრდოები წყალუხვი მდინარიდან იბადებიან ლექსები, რომლებიც სულს შეძრავენ და რომელიმე ელიოზს, ნატვრის ხის ხილვაზე მეოცნებეს, გააბედნიერებენ და სველ ქვიშაზე „დვთის ნაფეხურებს“ ნააკითხებენ.

ამიტომაც დაცოცავენ დალილა ბედიანიძის სახეზე „ცრემლების ლოკოკონები“ და „ფიქრის ნიუარებს მიათრევენ“, დარდი — დიდი ობობა — ხარბად ისრუტავს მის სისხლს — მაგრამ მზე, მის პოეზიაშიც ყოვლის მიმტევებელი, დაადნობს ყველა ტკივილს, მის სულს „მტრედად“, ანგელოზად გადააჭევს, რათა ამბები ატაროს „ცასა და მიწას შორის“. სწორედ ეს გალექსილი „ამბებია“ მისი მშვინერი ლექსები.



დალილა ბედიანიძე

ინგა მილორავა

სუსთევა — ლექსი

□

ლანა ედიგარიძის პოეტური დაბიუტი

ჩვენი სამყარო სულ უფროდაუფრო ემსგავსება ბოსხის ტილოებს. ძნელი სათქმელია, მხოლოდ ინდივიდუალურია ეს განცდა, უფრო სწორად, განცდის სიმძაფრე, თუ ყველა ადამიანი, ასე სწრაფად, დროისკონვულსიების, აჩქარებული რიტმის, მჭახე ბეგერების, საკუთარი თავის როგორმე, რამენაირად დამკვიდრების პატივმოყვარე კრუნჩხვების შესაფერის რბოლაში ჩართული, იმავე სიმწვავით შეიგრძნობს სიმშვიდის მშვენიერების, ფერთა სიმწიფისა და სიტყვების მუსიკის გაფერმკრთალებას.

ალბათ ყველა თავისებურად, რადგან თითოეული ადამიანი მთელი სამყაროა, თავისი გალაქტიკებით, კოსმიური ქარიშხლებით, ამოფრქვეული და ჩამქრალი მზებით და, ბუნებრივია, თავისი დამოუკიდებელი წესი და რიგი, მზერა და ხედვის რაკურსი აქვს და ექნება, სანამ არ დასრულდება მისი არსებობა — თითოეული ადამიანის გაქრობა მთელი სამყაროს გაუჩინარების ტოლფასი ხდება ამრიგად.

ვერ უგებენ ხშირად ეს დამოუკიდებელი, დრო-სივრცის ჩარჩოებით შემოზღუდული უკიდეგანო სივრცეები ერთმანეთს, თუმცა შიგნით, სიღრმეში გრძნობენ, რომ მაინც ერთია საფუძველი, უნივერსალური და როცა ცალკეულის ამ საფუძვლისმიერთან შეხება ხდება, მაშინ იბადება ურთიერთგაცბა, შესაძლოა სულ მცირე ხნით, ზოგჯერ სულაც წამიერი, მაგრამ სიცოცხლესავით ფასეული. ყველაზე იოლად და ნათლად ეს შეხვედრა ხელოვნების, ადამიანის შემოქმედების, სულიერი ბორგვის შედეგად შექმნილის წიაღში ხერხდება. ფერების, ბეგერების, მუქის და ჩრდილის, სიტყვისა და გამიშვლებული ემოციების ზღაპრულ ქვეყანაში ვერ გაჩნდება პასუხებულებელი კითხვა, გაუგებარი ფიქრი, მიუღწეველი შეგრძნება, რადგან უნივერსალური, უფლისმიერი საერთო საყრდენი ყველაზე ადამიანს იღებს და აერთებს თავის თავში და იმდენს გადაუშლის და ისე დაანახვებს, რამდენსაც შესძლებს ჩასწვდეს და რამდენის ატანაც მას, როგორც განუმორებელს, ერთადერთს, ყველასგან განსხვავებულს შე-

უძლია და ეს ყოველი დამოუკიდებელი აღქმა თუ მისი ნივთიერად გამოხატული შედეგი უსაზღვროდ ლირებულია.

თუ ასეთი გამართიანებელი საძირკველი და მყარი ნიადაგი მოეძევებათ ადამიანებს, მაშინ საიდან ჩნდება გაუცხოება, შიში, ვერგაგება, სიცარიელე... არავინ იცის ალბათ ზუსტად, მაგრამ გუმანით შეიძლება იგრძნო, რომ სამყარო (ადამიანი — სამყაროები) თანდათან შორდება მშვენიერების მიღმურ საუფლოს, რომელსაც მოდერნისტული მწერლობა ზმანებისმიერად მოიხსენიებდა და მომხმარებლურ-ტექნიკატიულ ნაცრისფერ სივრცეში, რომელშიც პარადოქსულად ათასფერად ბრჭყვიალებს ფსევდოესთეტიკის „ნაცრისფერ სიჭრელე“ სულ უფრო

ცოტა ადგილი რჩება ნამდვილი ფერს, სუფთა ბეგერის, გრძნობიერ-აზრიანი სიტყვისთვის, რომელიც საფუძველთა საფუძველს, ადამიანობის საყრდენსა და შინაგანი ერთიანობის იმედს აახლოვებს ადამიანს. არადა ეს ისეთივე აუცილებელია, როგორც სუნთქვა. და როცა სუნთქვა ხდება ლექსი, იბადება მშვენიერება, ყოფიერების სევდა და ადამიანად ყოფნის სისაცსა.

ამგვარ განცდას აღძრავს ლანა ედიგარიძის ლექსები („ჩვენი მწერლობა“, 2010, №13). თვითონვე თქვა პატარა შესავალში: მხოლოდ მეპაჟრება, არ მე-ლექს-ება. მე ასე ვსუნთქავო.

მართალია, არ აჭარბებს, მისი ლექსები სიცოცხლის ერთგვარ დამოუკიდებელ სახედ წარმოსდგება, რომელიც ფეთქავს, სუნთქავს, სტკივა, ხან ელდისგან იკუმშება და ხანაც შვებით მიენდობა გრძნობათა ტალღებს ეს სიცოცხლე ლანა ედიბერიძის განუმეორებელ სამყაროში იშვა და საერთო საფუძვლის გარდაუვალი წესისა და კანონის მეშვეობით ანი გასაგები უნდა გახდეს სხვებისთვისაც, უფრო სწორად, ახლებურად დაიბადოს მათ სამყაროში და იქ თვალგახელილმა ახალ სიცოცხლეს ასწავლოს თავისებურად სუნთქვა (მაგრამ ვაი რომ ბევრი კარგავს ამგვარ შესაძლებლობას, ამ კონკრეტულ და სხვა მრავალ ათასობით, ათიათასობით შემთხვევაში, რადგან ალარაფერს კითხულობენ, ალარაფერს უცქერენ, ალარაფერს უსმენენ იმგვარს, რაც გამორჩენისა და ხეირის ჯოჯოხეთური მენამული ნათებით მოსილ სივრცეს არ შეეფერება და რაღა გასაკვირი იქნება, რომ მართლა ბოსხისეული გახდეს მალე ეს სამყარო).

ლანა ედიბერიძი და მისი ლექსები, რა თქმა უნდა, ვერც სამყაროს გადაარჩენს და ვერც საძირკველთან უცებ ვერავის დააბრუნებს, მაგრამ თავისი სიღრმითა და პოეტური სახეების შეგრძნებითა და გარკვეულნილად უკვე ფლობითაც იპყრობს ყურადღებას. პოეტი თვითონვაც გრძნობს, რომ ამპარტავნებისა და ზედმეტი თავდაჯერებულობისთვის არ მიუცია მისოვთის პოეტური ნიჭი განგებას. ის, რაც მხოლოდ მისია — პოეზია — არა გამჭ-



ვირვალე და უხილავი, არამედ ფერადი და ყველა ძარღვამდე საგრძნობი.

არა სხვასთან საზიარო. მხოლოდ ჩემი და საკუთარი — სინამდვილეში ერთი საფეხურია იმ კიბისა, რომელსაც საერთო საძირკულამდე ჩაჰყავს (თუ აპყავს?) ადამიანი და სულიერი თანაზიარობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შედეგი, როცა პოეტი მხოლოდ საკუთარს, უკიდურესად პირადულს, სულის ყველაზე დაფარულ შრეებში შემონახულს გამოიტანს მზის სინათლეზე და ასევე თვითმყოფადი ხერხებით სტრიქონების სისხლსა და ხორცს შემოახვევს გარს. ადამიანი თავისიად იღებს იმას, თვითონაც იმითი ინწყებს სუნთქვას, რაც მასკულტურასავით სხვის საზიაროდ არ შექმნილა, რასაც თავისი სახე და გზა აქვს. და ის, რასაც თავისი სახე აქვს, მერე აუცილებლად შეუშვებს მკითხველს თავის საჭყაროში და ისიც, ადამიანური ზეერთიანობის უფლებით წართმევს და მისაკუთრებს პოეტის სულის სიტყვებად ქცეულ ნაწილს. ეს კი შემოქმედის გამარჯვებაა.

ლანა ედიბერიძის ლექსები მშვიდად, აუჩქარებლად მიედინება მკითხველის გულისკენ. მზეზე ბელურები სხდებიან... ან იქნებ ლექსები? მაინც რაზეა ისინი? როგორც ყოველთვის, სიყვარულზე, იმედგაცრუებაზე. მელანქოლისა და სევდის ზედაპირული, მსუბუქი, გამჭვირვალე მონასმებით გამოსახულ ამბავს გვიყვება თუ რაღაც უფრო დაფარულს, მძიმესა და ზოგადს გადმიგვცემს? ძნელი სათქმელია, რას ექებს პოეტური სული ცხოვრების კიბეზე — უბრალოდ სიყვარულს თუ კოსმიური ერთობის შეგრძნებას. ეს ალბათ მხოლოდ მან იცის, თანაც, როგორც წესი, თვითონ შემოქმედიც ბოლომდევერ განმარტავს ხოლმე, საიდან, როგორ გაჩნდა შეგრძნება თუ პოეტური სახე. მან ხომ ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ საკუთარი გამოხატა და იმის იქით მიმალული უნივერსალურის გამოჩენა ხან დროზე, ხან გარემოებებსა და ხანაც სხვა ადამიანთან სულიერი თანხვედრის ხარისხზეა დამოკიდებული. პოეტმა თქვა:

**მე ისევ მიყვები კიბეს...
შორს ვარ... და თან მარტო...
როდის დამენევი?**

მისი სული უხმობს მას, ვინც უყვარს, ვინც ენატრება:

**მენატრები
შენი სიტყვები მენატრება...**

მაგრამ მარტივი ადამიანური შეგრძნების იქით პოეტური სულის მიერ ინტუიციით ნაგრძნობი სამყაროს მარადიულობა, მასთან ადამიანისა და სიცოცხლის ისეთი კავშირი იხატება, რომ მზის გულზე ფეხით გავლაც შეიძლება (ფეხით ან სულით, კაცმა რომ თქვას, მიკროსმოსის და მაკროკოსმოსის ამგვარი ერთიანობის შეგრძნების შემთხვევაში ეს სულერთია):

**მე აუცილებლად მივალ მზემდე... გავივლი
მის გულზე...
შიშველი ფეხის გულებით და თვალებში შენით...**

ირგვლივ კი ბელურებია, ფრთებისქვეშა თბილი ღინლით, ზევით მზე და ადამიანისთვის, თუნდაც მოლოდინით და მონატრებით დალლილისთვის, ბელურა, მზე, ზოდიაქის წრებრუნვა და მზის პიუპიტრზე დანერილი სიყვარულის მუსიკა ერთიანია, განუყოფელი და შეუძლებლობის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი, რადგან ის ისე შერწყმულია ამ იდუმალმონოლითთან, რომ ბელურებს შეუძლია სთხოვოს ერთი პეშვი მზე, სანაცვლოდ კი სიმღერებსა და ნაკვალევს დატოვებს მზეზე:

**სანაცვლოდ იმდენ წყვილ სიმღერას დავტოვებ,
რამდენიც
ნაკვალევი დარჩება მზეზე — ჩემი ნაკვალევი...
მერე დავპრუნდები უკან, ოლონდ ისე, რომ მზეს
ზურგსა არ შევაქცევ...**

როცა გულში სიყვარულია და სიტყვა სამყაროს უსაზღვროებაში ადამიანის ერთდროულად თან პირადულ, ბელურასავით პაწანინა, და თან მზესავით დიდ და მცხუნვარე გრძნობებს გამოხატავს, მაშინ მზეზე ბელურები სხდებიან და ამისი ბოლომდე დაჯერებაც შესაძლებელია — მეტაფორური პირობითობების გარეშე — წარმოსახვის უსაზღვროებაზე მინდობილის სითამამით.

საშინელი სიტყვაა დეპრესია. შემოეჩვია ჩვენს გარემოს და ჩვენს უყრებს.

წინა ეპოქების ნატიფი მელანქოლიურობისა და უხვი და მათვრი რომანტიკული შეგრძნებების დედამიწაზე არარეალიზებულობის ტრაგიკულ განცდას დალლილობის, გაუცხოების, უგრძნობელობის სიმწარით მოგვრილი დეპრესია ჩაენაცვლა. ადამიანი სასონარკვეთილებაში ვარდება არა იმიტომ, რომ ზემგრძნობიარეა, არამედ იმიტომ, რომ აღარც თვითონ და აღარც მის გარშემო მყოფები აღარაფერს გრძნობენ, გულის სილრმები კი მოხვერილება აქვთ გრძნობიერებისა. ლანა ედიბერიძის დეპრესია ფერებისგან დაცლილ, აზრდაშრეტილ სამყაროს ხატავს:

**უაზრო ლოდინი...
შავ-თეთრი სამყარო...
ცდილობ, რომ ლოგინის გარშემო დაყარო**

**წიგნები...
პირამდე სავსე და დალლილი
სხვების ტკივილებით...**

ამ მძიმე ატმოსფეროში უცებ იელვებს მიხვედრა საერთო საფუძვლის, ადამიანური არსის შინაგანი ერთიანობის და იმ კავშირის შესახებ, რომელიც ამ შემთხვევაში წიგნებით ხორციელდება, თუმცა აქაც ძნელია ყალბის და ნაღდის გარჩევა.

სევდით მოცული ადამიანი შეეცადა შვება ეპოვა დარდის ტალღებში სხვებთან შეერთებაში, მაგრამ მძიმე სულიერი განწყობა ამ შესაძლებლობასაც უსახურად წარმოუჩნდა:

პრიტიკა

სხვისას შეუხამო შენი დარღის ტონი...
იცი, რომ წიგნები ჯვარცმად გეგულება...
წიგნები...
სულ სხვების დარღის და ტკივილის
ჭრელი და ზარმაცი
უშნო კრებულები...

გაუცხოება და ვერმილება იმისა, რასაც შინაგანი ჰარმონის აღდგენა შეეძლო — სხვათა ნაგრძნობის — შედეგად საკუთარი თავის უარყოფას ინვეს და სარეშე დანახულ სახეს, თავის დატენილ, დაბნეულ მქანებაზე გეგულს. და მაშინ შემოდის ყულფი, როგორც მოგნება და ეშმაკი გადმოდის უცნობი პოეტის ნაცნობი სტროფიდან. მართალია, ნაცნობია ეს ყველაფერი, მრავალგზის ნაგრძნობი და შემდევ აღნერილი ნაცნობი თუ უცნობი პოეტების მიერ, მაგრამ ლექსი მხოლოდ მაშინაა შემდგარი, დასრულებული, მომრგვალებული და სიცოცხლით გამთბარი არსება, როდესაც მისი ავტორი ნაცნობი განცდის მხოლოდ მისეული რაკურსითა და სიმძაფრით გადმოცემას შეეძლება. ლანა ედიბერიძის ლექსის უაზრო ლოდინში, მღვრიე ფერებში, მღვრიე გაბრუებასა და ისევ ერთფეროვნად გაგრძელებულ დღეში, ულმობელი გამოფხილების შემდევ ყულფითან მიბრუებაში თანამედროვე პოეტის მიერ ნაგრძნობი და დანახულ შინაგანი და გარეგანი რეალობა ატონალური მუსიკის და კუპისტური ფერწერის მსგავს კუთხოვნი ბერებში, ფრაზებშია მოქცეული და თავისი ნამახული ბოლოებით სჭრის და სერავს სულს. იმედის ფერფლზე დგას ეს ლექსი.

ამ პოეტს მართლაც შეუძლია ინტიმური საყიდელთაოდ ისე გამოიტანოს, რომ ინდივიდუალური სიყრცის უხილავი ზღვარი არსად დაარღვიოს (არც თავისი და არც მკითხველის). ლექსში ასეც. სიყვარული იბადება აგვისტოს ხვატში, როცა ადამიანებს დასცექრის მთვარე — თითქოს კონა ციცინათელების. სიყვარულის გულში შემოსვლა, შეხება, სუნთქვა, ვნების მსუბუქი ნიავი, რომელიც ლექსის მთელ შიდასივრცეს გადუელის, ისევ სამყაროს ერთიანობის ნაცნობი განცდის რკალშია მოქცეული. მთვარე და მეორე ადამიანი ერთად შემოდის ლირიკული გმირის სულში. თვითონ და მთვარე კი თითქოს განუყოფელი არიან სურვილებსა და ფიქრებში:

გამაოცე...
აიცოცებს
კაბას მთვარე მუხლზე ზემოთ...
შენი ხელიც მხრებზე ისე ამაცოცდა,

როგორც...
რა ვქნა?!
უნდა გენდო?!

პოეტურ წარმოსახვას შეუძლია ისე დაუკავშიროს ორი სახე — ქალი და მთვარე ერთმანეთს. რომ როცა ზევით მიცოცავს კაბა ეს ან მთვარის კაბაა ან... ქალის, ან ორივესი ერთად. არავის ძალუძს ამ მთლიანობის დარღვევა და როცა გმირმა არ იცის, ენდოს თუ არა, მგონი უფრო იმაზე ფიქრობს, მაინც ვის არ უნდა ენდოს — კაცს, საკუთარ თავს თუ მთვარეს?

სიყვარულის სურვილით და მისი თანმდევი მარადიული ეჭვით შეპყრობილმა სულმა არ იცის ნაფერები ატამივით გაშროალდეს, თუ აპრილის ტყემლებივით აყვავილდეს. სიყვარულის შეგრძნებამ თბილ და მწიფე ფერებშიც პოვა გამოხატულება — ლეინისფერი მარგალიტის ბურთულებად ცვივა მძივები, საყვარელი ადამიანის (თითქმის უკეთ საყვარელის) მშვიდი ტუჩები კი არის მწიფე, გრილი ალუბლები ღრუბლიანში, იმას კი, ვისაც სურდა ჟყვარებოდა, და მისთვის, ვინც უყვარს ნათხოვარი სული, ნათხოვარი ხმა გაეთბო, ყვითელატმებმს სმონიარე მზერა აქეს და ამასაც უთმობს:

**დაგითმობდი
ყვითელატმებმს სმონიარე
მზერას ჩემსას — ღამის მთვარით განაშუქებს...**

ამ თბილ ფერებს, შინდისფერს, ალუბლისფერს, ატმისფერისკენ მიღრეკილ ყვითელს სიცივეს ჰუნენს მთვარის შუქი და ამაზფრებს განცდას, რომ ბედნიერება არ გამოვა, ბოლომდე ვერ შეინახება ეს სისავსის გრძნობა, რომელიც ამ მთვარის ვერცხლისფერ შუქში თითქმის იშვა. რატომ? ეს ყოველთვის იცოდა და იცის უძილობის დროს სარკმელში მოკამაცე მთვარემ, თუმცა ლირიკულ გმირს თავისი ახსნა აქვს და შედეგაც ლექსის საერთო ხავერდოვნებისა და სინატიფისათვის უჩვეულო ულმობელი პარდაპირობით წარმოადგენს ფინალში:

არ გამოვიდა?!
ჩანს, რომ არა!
გა გა ჩ უ ქ ე ! ! !

პოეტი სულ ზღვარზეა, სულ უხილავ სამანზე მერყეობს, რომელიც მიწიერსა და მიღმურს, რეალობაზე უფრო რეალურსა და თვალით ხილულ არასრულყოფილს შორის გადის. ის ექებს ცას — გახედე!.. სადღაც ცა უნდა იყოს... ცის მიღმა მაცხოვარს და ისე უბრალოდ, ისე უწვალებლად მიდის ჭეშმარიტებამდე, რომ უცებ შეიძლება ვერც შენიშნოს თვალმა, რომ მან უკვე ბოლომდე შეიგრძნო სამყაროს, ღმერთის, საკუთარი თავის, ზეციური და ადამიანური პოეზიის განუყოფელი და მარადიული ერთიანობა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამ სიბრძნეს-თან წილადან პოტურ განცდას იგი სიმარტივემდე დახვეწილი, სადა, მაგრამ ნატიფი სტრიქონებით გადმოსცემს:

**აქ ნამდვილია...
საღმერთო და საანგელოზო...
თორემ საადამიანო მეც მაქვს...
აქ, ჩემს ოთახში...
მე და ამ ჰაერს გვმაღლავს უკვე დიდი ხანია...**

**გამხმარი ბზის ტოტები ადიდებენ... მდუმარეა...
ფერმკრთალი...
თვალებში პოეზით სავსე სიმშვიდე უსვენია...
ნაკვენესი ხელისგულებიდან კი სისხლის მაგივრად ლექსები გადმოდის...**

ფრიდეშ კარინტი (1887-1938) მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი უნგრელი მწერალია. პროზაიკოსი და პოეტი, ფანტასტიკოსი და სატიროკოსი, ბრწყინვალე პარლიცისტი და პუბლიცისტი — ასეთად ნარმარენდა მას ლიტერატურული კრიტიკა.

მწერალმა 1936 წელს თავის ტვინის მძიმე ოპერაცია გადაიტანა. 1937 წელს დაწერა რომანი-ესე „მოგზაურობა ჩემი თავის ქალის გარშემო“ — ერთგვარი „რეპორტაჟი“ განცდილის შესახებ. ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

კარინტის თანამედროვე, შესანიშნავი უნგრელი პოეტი და ფილოლოგი მისაი ბაბიჩი წერდა: “ჩემთვის რომ ეთხოვათ, დამესახელებინა უნგრელი მწერალი, რომელსაც შეუძლია მიმართოს უშუალოდ ევროპელებს და დაელაპარაკოს ადმინისტრაციის პირდაპირ, მიუკერძობელი მსჯელობით ღრმა, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე — უყოფმად დავასახელებდი ფრიდეშ კარინტის“.

ეს სახელი ქართულ ენაზე პირველად გამოჩნდა, „ჩევენი მწერლობის“ წლევნიდელ მე-14 წლის შემდეგ, სადაც დაიბეჭდა მის ნოველა „ფიცი“, ორიგინალურად გააზრებული ბედისნერა ჩევენი მკითხველისათვის ასერიგად ცნობილი და საყვარელი პოეტის (გრიგოლ აბაშიძის დიდებული თარგმანების წყალობით) შანდორ პეტეფისა.

დასაბეჭდად გამზადებული გვაქვს მისი კიდევ ერთი ნოველა „კეისარი და აბუ კაირი“, და ისე ვატყობთ, რომ ჯემალ ინჯაა თანდათანობით ფრიდეშ კარინტის ნოველებს ცალკე კრებულადაც მოუყრის თავს.

ფრიდეშ კარინტი

ორი ნოველა

გარაპა

მესამე დღის მიწურულს დაემშვიდობა სამარის თაღებს და გზას გაუდგა. შავი კვამლი ასდიოდა ირგვლივ ნანგრევებს. და, აი, ძალზე გამომშრალი თხრილის ფსევრზე მან თვალი მოჰკრა ერთ-ერთს, პილატეს სახლის წინ „ბარაბას“ რომ ყვიროდა. კაცს გაშავებული ენა გამოეყო, მენამული ღრუბლებისკენ აეყრი სახე და ღრიალებდა.

ი გი გაჩერდა მის წინ ამ სიტყვებით:

— მე აქ ვარ.

კაცმა მას რომ შეხედა, ცრემლები გადმოლვარა და დაიბეჭდა:

— რაბი! რაბი!

და უთხრა მოძღვარმა მოკლედ:

— ნუ ტირი, ადექი და გამომყევი. მე ვბრუნდები იერუსალიმში, პილატეს უნდა ვეახლო სახლში და გამოვთხოვო ახალი კანონი ჩემთვის და ყველა თქვენგანისათვის, ვინც ბარაბა აირჩიეთ თქვენდა ჭირად.

გაჭირვებით წამოდგა უბედური, სამოსის კალთაზე ჩამოეკიდა.

— მოძღვარო! — ყვიროდა, ცრემლებს ყლაპავდა და სუნთქვა ეკვროდა, — მოგდევ, მოძღვარო! მასნავლე ხსნის გზა! მასნავლე, როგორ მოვიქცე! დამარიგე, რა ვთქა.

მან მშვიდად მიუგო:

— არაფერი, მარტი ის, რაც უნდა გეთქვა სამი დღის წინათ, როცა პილატე გეკითხებოდათ ტალანიდან: “ვისი გათავისუფლება გსურთ — მკვლელი ბარაბასი თუ ნაზარეველისა?!”

— იო, მე უშეულ! — იყვირა საცოდავმა და თმა დაიგლიჯა. — იო, მე შლეგმა „ბარაბა“ დავიძახე, — სახელი ჩემი დამღუბელისა.

და რქვა მოძღვარმა მშვიდად:

— არა უშევს-რა, წამომყევი ახლა პილატეს ბინისკენ, არაფერზე იფიქროდა არავის უყურო ჩემ გარდა. როცა განიშნებ, რაც ძალი და ღონე გაქვს, დაიძახე: “ნაზარეველი!“ დაიძახე ისე, თითქოს შენთვის თხოულობდე სახლის, შენი შვილების დაბრუნებას, მზის სინათლის დანახვას.

და იგი აედევნა მას.

და შეხვდა მათ მეორე უბედური, რომელსაც თურმე ბარაბამ წაართვა სახლი, ცოლ-შვილი, ხოლო თვით მას თვალები დასთარა.

მან იდნავ გადაუსვა

შუბლზე ხელი და უთხრა:

— ეს მე ვარ. წამომყევი იერუსალიმში და, როცა ხელს შეგახებ, დაიძახე: „ნაზარეველი!“ დაიძახე ისე, თითქოს შენთვის თხოულობდე სახლის, შენი შვილების დაბრუნებას, მზის სინათლის დანახვას.

და ისიც ქვითინით გაპყვა.

და შემოხვდათ კიდევ მავანი, ვისაც ხელ-ფეხი თოკით ჰქონდა გაკოტილი და ყელზეც ყულფი ეხვია, — ის ბარაბას ჩაეგდო გველ-ბაყაყით მობუბუყე აყროლებულ ჭაოში.

მან შეხსნა კვანძები და უთხრა:

— მე გიცნობ. შენ მგოსანი იყავი და სულის თავისუფალ ფრენას უმღერდი. გამომყევი და, როცა განიშნებ, დაიძახე: „ნაზარეველი!“ დაიძახე ისე, თითქოს ყვიროდე: „თავისუფლება! აზრის და სულის თავისუფლება!“

ის ქიშებს უკოცნიდა და ვედრებითლა შესცეკროდა, რამეთუ პირი ჯერაც ლამით ამოვსებოდა.

და გააგრძელეს გზა, აიჩინჩხლეს ბარაბასგან დაქცეული უშმრავი კოჭლი, დაგრდომილი და კეთროვანი. ისინი მერდზე მჯიდას იცემდნენ და ეხვენებოდნენ მანს, დროზე ენიშნებინა, რათა ეყვირათ „ნაზარეველი“, ეყვირათ ისე, როგორც „მშვიდობა! მშვიდობა და თანხმობა დედამიწაზე!“ სალამოხანს მიატანეს იერუსალიმში პილატეს სახლამდე.

პილატე ტალანში იჯდა და კაცისმევლელ ბარაბასთან იყოფდა ტრაპეზს. ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, გათქვირებულები, ლაპლაბა სახიანები, მაგარ ღვინოს წრუპავდნენ, ნუგბარს მიირთმევდნენ ოქროს ჭურჭლიდან, ბინდბუნდში ბზინავდა მათი ალისფერი მანტიები.

ხალხის წინ მიმავალმა ნაზარეველმა გასწია ტალანისაკენ, სამსჭვალებით დაჩიველეტილი ხელები მაღლა აღაპყრო და ხმადაბლა ამოთქვა:



— პასექის დღესასწაულს ჯერ არ გაუვლია, პილატე. კანონი და ადათი უფლებას განიჭებს, რომ ერთ-ერთი მსჯავრდებული გაათავისუფლონ ხალხის მოთხოვნით. ხალხმა ბარბა ირჩია, მე წილად მხვდა სიკვდილი, მაგრამ ახლა აღვდექი მკვდრეთით, რადგანაც ვხედავ: მათ არ უწყიან, რას სჩადიან. ესენი, ვინც მე მახლავან, უკვე სცონძები ბარაბას და ახალ კანონს ითხოვენ — ჰეითხე მათ ხელახლა, როგორც წესი და რიგია.

პილატე დაფიქრდა. მერე მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა გადახედა ბრძოს:

— მაშ, ასე, ვინ გავათავისუფლონ დღეს: ბარაბა თუ ნაზარეველი?

და მან მისცა მათ ნიშანი.

და ახმაურდა ბრძო ჭექა-ქუხილის მსგავსად. და ყვიროდნენ: „ბარაბა!“

და განცვიფრებულები შესცეკროდნენ ერთმანეთს, რადგანაც თვითეული ცალ-ცალკე ნაზარეველს გაიძახდა.

მოძღვარი გაფითრებულიყო. მოტრიალდა მათკენ და დააცეკრდა. თვითეული ცალ-ცალკე ნაცნობი იყო მისთვის, მაგრამ ამ უამრავი სახიდან ღამეულ



ანდრია მანგენია

ბინძუნებში იქმნებოდა ერთი სახე, ერთი ვეებერთელა თავი, და სახე იგი ავად და უსირცხვილოდ შესცინოდა მას პირდაპირ თვალებში. პირიდან მყრალი დუში გადმოსდიოდა, მოეწკურა სისხლიანი თვალები, ხორხიდან ამოსდიოდა ხრინნიანი ღორღლალი: „ბარაბა“, მსგავსი ძახილისა: „სიკვდილი! სიკვდილი! სიკვდილი!“

შემცბარმა პილატემ თვალები დახარა და მიუგო მას:

— აი, ხომ ხედავ...

მან თავი ჩალუნა, წყნარად აიარა კიბის საფეხურები და ჯალათს ხელები გაუწოდა შესაბოჭად.

პეატრიჩე

— დედა! დედა! ლუიჯი ხიდან ჩამოვარდა!

— დედაო ლეთისავ! თქვენ მე ბოლოს მომიღებთ!

ბიჩემ მოისროლა სპილენძის ბადია, რომელშიც ბარდას არჩევდა და ბალში ჩარჩინა. მსხლის ხებქვეშ ცრემლად იფრქვეოდა ბავშვი, საბედნიეროდ, მხოლოდ მუხლებგადატყავებული.

— დედაო ლეთისავ! ცოტაა შენთვის ტაკუნების განკეპლვა. წუთით არ მასვენებ. ხომ გითხრეს, ხეზე არ ახვიდორ! არა, ამას ვერ გადავიტან.

მოსთქვამდა და თან ჭისენ გარბოდა ჩვრის დასასველებლად. ბოლო დროს ცოტა შესუქდა და უკვე ქოშინებდა კიდეც, მაგრამ ვალალი არ შეუწყვეტია:

— არა, ვერ გადავიტან. რას ჩამოვეხეტეთ ლვთისგან მიტოვებულ ამ მიყრუბულ ადგილას. ვეაჯებოდი მამაშენს — დავრჩეთ-მეთქი ფლორენციაში! იმას, თურმე ნუ იტყვით, იქ სცხელა. მე რა — ვზივარ ახლა ცივ ოთახში უზრუნველად. თქვენგან აქ ზამთარშიც კი უფრო გავიხვითქები, ვიდრე იქ — ნებისმიერ სიცხეში.

ლუიჯი ფლოუკუნებდა. ჩიზარე თვალებს აფახულებდა და ეშმაცურად იცინოდა. გოგონა ჭის კიდეზე ჩამომჯდარიყო და დედის ქვითქვითს არანაირ ყურადღებას არ აქცევდა — მოვერცხლილ სარკეში იჭვრიტებოდა და თმას ისწორებდა ცხვირშეჭმუხნული.

— დადე სარკე! თვალებში ნუ მეჩხირები!

ბიჩემ ჩამუხლა და ბავშვს მუხლი გაუწმინდა.

— როგორ მოთხვრილხარ, სატანის ნაშიერო?! მარტა სადღა გადაიკარგა, რომ თვალს ვერ გადევნებთ. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი მეუნდა ვაეთო? მორჩა, გეყოფათ! დაბრუნდება მამათქვენი და ყველაფერს ჩავუკენჭავ. იმას ხომ მარტო თავისი სამუშაო ადარდებს.

— არა, მარტო ის არა — დუქანიც!

მეზობლად მცხოვრები ოსტატი მოხერხებულად დაყრდნობოდა ღობეს. კარგახანია ცბიერი გამომეტყველებით აკევირდებოდა ბუზღუნა ახალგაზრდა ქალის მოქმედებას.

— ისტატო ანსელმ! თურმე ყურს მიგდებდით!

— ყურს კი არ გიგდებ, ვდგავარ და გიცქერი, ლვთიშობელო!

— წადი აქედან, ძალიან ვარ გაავებული!

მაგრამ ქალს ხმა დაურბილდა. თმა შეისწორა და წამოდგა.

— შენ სავსებით მართალი ხარ! მე რომ შენნაირი ცოლი მყავდეს, დაგდებით დავეგდებოდი შინ მენალესავით. იმას კი შენენ რალაც არ მოუწევს გული, საქმები მოათვა და სალაპბოშია აყუდებული.

— კიდევ აქვს სავაჭრო გარიგებები მოსაგვარებელი!

— ჰომ, ააა! სტუდენტებსა და ჯარისკაცებთან ერთად — ვინც შეხვდება — მაგიდაზე აკაკუნებენ, პოლიტიკაზე მასლაათობენ. იქ ირევიან რაგინდარა გველფები და გიბელინები...

— ოჳ, გეყოფათ. ისედაც ყელამდე მაქვს საქმე. ამათი ჯგრო ჭუუზე შემლის ადამიანს.

ორივე გაყუჩდა.

— ლეთიშობელო, სასეირნოდ თუ გამოხვალ, მე გაგაცილებ ტბამდე. აგრილდა, მშვენიერი ამინდია.

სქელტუჩა ანსელმმა მოჩვენებით სილალით ჩაუკრა თვალი, თავაზიანად და მრავალმნიშვნელოვნად.

— კარგი, ბარდას რომ მოვრჩები.
ქალი გასცილდა თეძოების მსუბუქი რხევით.
უკვე ბინდდებოდა, როდესაც ტბას მიუახლოვდნენ ნე-
ლი რონინით. ცოტანით დავსხდეთო, ანსელმმა.

ბიჩე ბალახზე გაიშხლართა, იდაყვებზე დაყრდნობი-
ლი გასცექროდა წყალს. ანსელმი მზაკვრულად წკურავდა
თვალებს, რაღაცას ბურტყუნებდა, შეცტუნებული
ღრღნიდა ბალახის ღეროს.

— რა საუცხოო ღრუბელია! თანაბარი! თითქოს დიდი
კიბეა ცაზე... — წამოიძახა უეცრად ქალმა.

შეშინებული ანსელმი გაჩუმდა.

— შენ ხომ ცას არ უყურებ, — ხეპრულად წამოისრო-
ლა მან და ნერწყვი ჩაყლაპა სახაგმებრალმა.

— ჰო... წყალშია. დიდი კიბე... მაღლა კი ჭიშკარია, ჭიშ-
კარი უზარქაზარი ტაძრისა... ჭიშკარში მზეა, ქვემოთ ეშ-
ვება.

ქალი დადუმდა, ცნობისწადილმა წინ წასწია.

— ღვთიშობელო, რა მოგივიდა?

— არაფერი... ჩემს თავს ვუყურებ.

მეტი აღარა უთქვამს რა. მართლაცდა, როცა ღრუბ-
ლის ანარეკლს უცექროდა, იქ წამდვილად მისი საკუთარი
სახე გამოჩნდა... ჭიშკრის შუაში, ჩამავალი მზის სხივებ-
ზე... კიბის თავზე... თითქოს თვითონ იდგა კიბეზე და იქი-
დან ეშვებოდა ძირს...

რა საკვირველი და რა ლამაზი იყო... მზის ზურგზე...
დათოვლილი გორაკების მზერვალზე ციური ჭიშკარია,
იქ ადის ათასაფეხურიანი კიბე და იქ, ციურ ჭიშკარში
ლივლივებს იგი... დაბლა ჩამოდის... გრძელი, თეთრი სა-
მოსელით... თავზე შარავანდი ადგას... აქეთ-იქით ორი
თეთრი ფიგურაა... კიბის გარშემო კი ათასობით თეთრი
ღრუბელი... თეთრი მტრედი... თეთრი ფრთებით...
მთრთოლვარე ხელები ნელ-ნელა ინევენ მალლა... სად უნ-
და გადახდენდა ყოველივე ეს? გაახსენდა, მართლაც
იყო ასე, მაშინაც თითქოსდა ხედავდა თავის თავს, მაგ-
რამ არც ტბა ყოფილა... და არც სარკე...

ჰო, ჰო, რა თქმა უნდა! მოაგონდა! მრავალი წილის წი-
ნათ... ჯერ კიდევ ქალიშვილია... კეირა დილით გამოდის
ეკლესიოდან, თეთრი კაბა აცვია... ტაძრის კარს გასცდება
და კიბეზე ეშვება... ქვევით კი ამ ღროს იდგა, ჰო, კარგად
ახსოეს... ვიღაც სტუდენტი, ხმელ-ხმელი, აწონილი, ლარ-
თხა, აღფრთოვანებული სახით. გაუნძრევლად მდგარი,
თვალს არ აშორებდა მას... ისიც აიმღვრა... თავი ისე დაი-
ჭირა, თითქოს ყურადღებას არ აქცევდა... მაგრამ გაიგო-
ნა, როგორ დაუძახა ქუჩიდან სტუდენტს მეგობარმა:

— აღიგიერი! ფეხი იღრძე თუ რა არის? რამ გაგაშეშა?
გვაგვანდება!

ეს ჩავიდა დაბლა, უკანმიუხედავად, ლირსეულად თავ-
დაჭერილი, თუმცა ერთი სული ჰქონდა შეეტყო — ისევ იქ
იდგა თუ არა სტუდენტი, სახელად აღიგიერი.

ბიჩემ თვალები დახუჭა. მერე მოულოდნელად ზურგ-
ზე გადაწვა, თვალები არ გაუხელია, მაგრამ გალიმებული
გრძნობდა, როგორ მხდლურად და მოუხერხებლად უახ-
ლოვდებოდნენ მის ბაგებს ანსელმის სქელი ტუჩები.

თარგმნა
ჯემალ ინჯიამ

ნავალ ევსურეთში

ხევსურეთში არ ვარ ნამყოფი, მაგრამ ასე მგონია, ვი-
ყავი. გოგი ოჩიაურის „ანატორლები“ რომ წავიკითხე, მივ-
ხვდი, რამხელა ძალა აქვს მართალ სიტყვას. თითქოს მეც
იქ ვიყავი, სადაც ამ მოთხოვობაში აღნერილი ამბები ხდე-
ბოდა.

თუ არ ვცდები, გოგი იჩიაური მხატვარია. ასე გამი-
გია. ყოველ შემთხვევაში, მისი მოთხოვობა პირველად წა-
ვიკითხე, სხვა დროს არ შემხვედრია. თუმცა ამას რა მნიშ-
ვნელობა აქვს, ძალიან სამწერეს წანარმოებია, ისეა
დაწერილი, გეგონება მწერალიც იქვე ტრიალებს, დაძა-
ბული სიუჟეტის შუაგულში, პერსონაჟების გვერდით.

ან კიდევ, როგორი ენით არის დაწერილი! რამდენი უც-
ნობი და საინტერესო სიტყვაა. ხევსურულ კილოსაც იყე-
ნებს. ეტყობა, დღემდე მოჰყვება ბატონ გოგის მშობლიუ-
რი ხმები. არ მეგონა, თუ ხევსურული კილო ასეთი ლამაზი
მოსასმენი იყო. ახლა ვფიქრობ, მომავალ ზაფხულს აღდგე
და წავიდე ამ ლამაზ მხარეში, სადაც თურმე მარტო ტუ-
რისტები დადიან, რადგან სოფლები დაცარიელებულა და
ხევსურები აღარ ცხოვრობენ. ისე, მართლა საინტერესოა,
რატომ დაცარიელდა ხევსურეთი? მთის პირობები ვერ
აიტანა ხალხმა? არ მგონია. აი, ნახეთ აჭარა, მთაში ტევა
არ არის, იმდენი ხალხი ცხოვრობს. სახლები სადა აშენონ,
აღარ იციან. ხევსურეთს რა დაემართა, ვერ გამიგია. სად
წავიდა ეს ვაჟუაცი და სამშობლოს მოყვარული ხალხი, რა-
ტომ მიატოვეს თავიანთი კუთხე, რატომ არ ბრუნდებიან. ხომ
შეიძლება იმათ წასახლარზე სხვები დასახლდნენ და
მერე დამოუკიდებლობა მოითხოვონ მეზობლების წაქეზე-
ბით. მე რომ ხევსური ვიყო, გადავდებდი თავს და წავიდო-
დი, ნასაფლარს თუ არა, მამა-პაპის წასახლარს მაინც გა-
ვაცოცხლებდი. თუ ჩემიანს ვერ გავუღვიძებდი დაბრუნე-
ბის სურვილს, მტერს მაინც ავაღდებინებდი ხელს ამ მიწე-
ბის მითვისების ფიქრზე.

რა ლამაზი სახელები გვხვდება გოგი ოჩიაურის მოთხ-
რობაში: არდოტი, ხახაბო, მიცუს ჭალა, როშა, არხოტი,
ანატორი, შატილი, მათურის წყალი, შუაფხო... აღნერილი
ამბავიც ლამაზია, ხევსურეთიდან ბარში ჩამოსული აბაი
ბეთანიაში ბერად შედგება. ისიც სამწერესოა, რომ ხევ-
სურული ანატორი, მეგრული ანთარი და აფხაზური
აიათარი ერთი და იგივე ლვანება ყოფილა. სხვათა შორის,
როგორც გამიგია, საერთო წარმოშობა აქვს ისეთ ცნე-
ბებს, როგორებიცაა ქართული „ადგილის დედა“, მეგრუ-
ლი „ოდაბადე“ და აფხაზური „ადგილ-ანხუ“.

ვულოცავ მკითხველს გოგი ოჩიაურის ამ მშვენიერ
მოთხოვობას, რედაქციის ვთხოვ, კიდევ გამოაქვეყნოს ბა-
ტონი გოგის წასახლებები, მე კი რაღა დამრჩენია, გაი-
სად ავდგები და წავალ ხევსურეთში, მოვინახულებ ამ დი-
დებულ მხარეს. ანატორის აკლდამასაც ვნახავ.

კოჩა მოცეობილი
ბათუმი

ივანე ამირხანაშვილი

პილევ ერთი ნაბიჯი

ბაროკო ქართულ მწერლობაში — თემა, რომელიც ათეული წლებია თანმიმდევრულად ახორციელებს თვითაქტუალიზაციას და მგონი უკვე მიაღწია განვითარების იმ ფაზას, როცა მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების უარყოფა შეუძლებელი ხდება ცალმხრივი დაეჭვების შეშვებით.

ლიტერატურის ისტორიაში არსებობს ბევრი რამ, რაც სარწმუნოა ყველასთვის, მაგრამ არსებობს ისიც, რაც ყველასთვის არ არის სარწმუნო და მოითხოვს დასბუთებას.

თუმცა ლიტერატურის მცოდნეობა არც დიალექტიკა და არც რიტორიკა, რომ ინდუქციისა და სილოგიზმების დახმარებით გავიდეს ფონს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ მტკიცება უფრო მეტ საბაბს იძლევა სკეპტიციზმისათვის.

ამიტომ საჭიროა არა მტკიცება, არამედ ემპირიული მასალა. სწორედ ამ პრინციპით იკვლევს ავთენტური ქართული ბაროკოს საკითხს მათა ნაჭყებია, რომელიც ბოლო ხანს ხშირად აქვევნებდა კვალიფიციურ სტატიებს სამეცნიერო პერიოდიაში, ამჯერად კი წიგნის სახით შემოგვთავაზა თავისი პრობაროკოული დისკურსი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი, გადადგმული ქართული ბაროკოს ლეგიტიმაციისაკენ.

მათა ნაჭყებია, ქართული ბაროკოს საკითხები, რედაქტორი ვენერა კავთამაშვილი, რეცენზირებები ნინო მახათაძე და სიბილა გელაძე, „მერანი“, 2009 წელი.

ამ წიგნის წარითხება მოუწევს ყველას, ვინც ეთანხმება ან არ ეთანხმება ქართულ ლიტერატურაში ბაროკოს სტილის არსებობას. მოგვინეულ პასუხი გავცელ კითხვებს, რომელიც დაგროვდა კვლევის, ანალიზის, განსჯის პროცესში.

საიდნ, როგორ, რატომ? XVI-XVIII საუკუნეებში რა გზით უნდა შემოედნია ბაროკოს ესთეტიკას, როცა თითქმის არანაირი ურთიერთობა არ გვერნდა კულტურულ დასავლეთთან. კათოლიკური მისიებისა და ეფუმერული პოლიტიკური კავშირების დონეზე ეს არ მოხდებოდა. ძალიან შორს იყო ჩვენგან რომის ტაძარი „ილ ჯეზ“, რომლის არქიტექტურაში პირველად გამოჩნდა ბაროკოს ესთეტიკის ჩანასახები; ანდა ვის შეიძლებოდა დასიზმრებოდა მიქელანჯელოსა და ტინტორეტოს ბოლოდროინდელი შემოქმედება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მანერიზმს — ბაროკოს წინაპერიოდს; ნატურისა და ფორმის ნაცვლად ვის უნდა ეფიქრა სულასა და ემოციაზე; ვინ მოახერხებდა სერვანტესის, რაბლეს, შექსპირის, ტორკვატო ტასოს შემოქმედების გაცნობას; რას უნდა გაეჩინა ჩვენში ბაროკოს დუალისტური საწყისები — კომიკური და ამაღლებული, სანტიმენტალური და ტრაგიკული, მინიერი და სულიერი?

რთული კითხვებია. ამიტომაც არის, რომ საკითხი ღიად რჩება. თითქმის ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გორგი გაეჩილაძემ წამოჭრა პიპოთეზა, რომელსაც მალევე დაუჭირა მხარი ირაკლი კენჭოშვილმა. ახალი თაობის მკვლე-

ვართაგან ჯერჯერობით მხოლოდ მათა ნაჭყებიამ გაიზიარა წინამორბედთა თვალსაზრისი.

რა არის ამ წიგნის მთავარი ლირსება? უპირველეს ყოვლისა, მტკიცების არა იმპერატური, არამედ ემპირიული ხასიათი. მათა ნაჭყებიას იმდენი მაგალითი და ტიპოლოგიური პარალელი მოჰყავს, რომ აღარც კი სჭირდება მტკიცება-დასაბუთება. მოყვანილი მასალა ყველაფერს თვითონ ასაბუთებს, თანაც საკმაოდ საგულისხმოდ, საინტერესოდ, დამაჯერებლად.

მათა ნაჭყებიას მიერ არჩეული კვლევის პრინციპი იმითაც არის გამართლებული, რომ ქართულ-ევროპული ლიტერატურული შეხვედრები განხილულია ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით და ნაწევნება ის საფუძველი, რამაც განაპირობა მსგავსი მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური მრნამსის ჩამოყლობება.

მეცნიერებრივ ყურადღებას მიაქციებს იმ ფაქტს, რომ ბაროკოს სტილი ბაროკოს სკოლები სხვადასხვა ქვეყნაში დამოუკიდებლად გაჩნდა, როგორც აღმოჩენების საერთო კრიზისისა და ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების შედეგი.

ესე იგი, არა გავლენა, არამედ საერთო საფუძველი!

ჩემი აზრით, ეს არის ყველაზე მართებული გზა იმისათვის, რომ სწორ დასკვნებამდე მივიდეთ.

თუ ბაროკოს პერიოდის საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ჰუმანიზმის კრიზისი, ქაოსი, პესიმიზმი, ეს ყველაფერი არის XVI-XVIII საუკუნეების ქართლში. საყურადღებოა ისიც, რომ კორნელი კეკელიძის მიერ აღნერილი ამ პერიოდის შემოქმედებითი თავისებურებანი ემთხვევა ეროვნული ბაროკოს შინაარსს. ეს როგორც გრიგორიელის თეორიაზე დაყრდნობით, მათა ნაჭყებია გამოყოფს მაროკოს არსებით თავისებურებას — „დუალიზმს“, ურთიერთსაპირისპირ სუბსტანციების ორერთიანობას, რომელიც კარგად არის გამოკვეთილი თეიმურაზ პირველის, არჩლის, დავით გურამიშვილისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ცეცხლისტებისნის“ გაგრძელებათა ავტორების შემოქმედებაშიც. „სოფლის სამდურავისა“ და „გაბასახების“ ცნობილი მოტივები პირდაპირ ემთხვევა ბაროკოს ესთეტიკას.

ერთი სიტყვით, ისე არ არის საქმე, როგორც წარმოგვედგინა. როგორც ჩანს, ფეოდალური კრიზისის პერიოდში იდეები უფრო სწრაფად მოძრაობენ და გადაადგილდებიან, ვიდრე ადამიანები. იდეური კომუნიკაციები სუბლაც არ არის დამოკიდებული სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, ეს სხვა განზომილებაა, სხვა სინამდგილე, თანაც მოუხელთებელი და, ამავე დროს, მეტისმეტად საგნობრივიც.

ფაქტია, ბაროკოს სტილი არსებობს ქართულ ლიტერატურაში. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს მათა ნაჭყებიას წიგნი. მიუხედავად ამისა, ლიტერატურის მცოდნეობაში ჯერ არ ჩანს მზადება იმისათვის, რომ ეს აღმოჩენები შემოქმედება რა მოძრაობის შესრულებაზე; ნატურისა და ფორმის ნაცვლად ვის უნდა ეფიქრა სულასა და ემოციაზე; ვინ მოახერხებდა სერვანტესის, რაბლეს, შექსპირის, ტორკვატო ტასოს შემოქმედების გაცნობას; რას უნდა გაეჩინა ჩვენში ბაროკოს დუალისტური საწყისები — კომიკური და ამაღლებული, სანტიმენტალური და ტრაკული, მინიერი და სულიერი?

თუმცა პირველი სიტყვა საქმის პიონერებს ეკუთვნის, იმათ, ვინც დანერგებს ქართულ ბაროკოს იდეა.

მათა ნაჭყებია

ქართული გაროვნების საკითხები

* * *

ბესიკ ხარანულს რაში სჭირდება, თორემ ეს ჩვენი უნიჭო-უუნარო კალმოსნები მთელი სულითა და გულით რომ დაწაფებიან სკოლებშა და ბილნისტყვაობას, რა გა-საკვირია.

თვითმიზნურად რომ ახვავებენ, თორემ თავის ადგილას — მეტად იშვიათად და დიდი სიფრთხილითა და გემოვნებით — ერთსაც შეიძლება მიმართო და მეორესაც. არც დი-დი ლიტერატურა გადარჩენილა უამისოდ და არც ფოლკ-ლორი — უძველესი უამიდან დღევანდელობამდე. ბესიკ ხა-რანული ლექსებსა და პოემებში ყოველთვის ინარჩუნებდა ენობრივ სისტემაკეს, არსად არაფერი წაცდებოდა, მაგრამ პროზაში გადმოინაცვლებდა თუ არა, ამჯერად კი ვეღარ მოთოვავდა თავს და ავტობიოგ- რაფიულ რომანში უზომოდ და- ახვავებდა, თითქოს ტოლს არ უდებს პოსტმოდერნისტებად თვითგამოცხადებულ უმცროს- თაობელებსო.

ისე უზომოდაც არა, მაგრამ აქაც ბევრზილად შემაცბუნებ- ლად გადმოცყვებოდა, პოზი- სა და პროზის პირშესაყარზე შექმნილ ვეება თხზულებაში „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლე- ბისა და მეტაფორებისა“.

რაში სჭირდება, თორემ...

ისე ერთი-ორ ადგილას მართ- ლაც იმ სიფრთხილითა და გემოვ- ნებით იყენებს, არამცთუ ყურს მოგჭრის, მონწონებ კიდეც, დაუ- ფასებ შეფარულ იუმორს, რაც თხრობას ასერიგად ახალისებს. და არაფერ გაქვს საწინააღმდე- გო, თუკი ასეთი პასაური არაერთი შეგხვდება.

ვთქვათ და:

აკაკი შანიძე დროდადრო რომ ამოჟყოფს თავს თხრობა- ში ა.შ-ძის გამჭვირვალე დაქარაგმებით, ერთხელაც ასე:

— ა.შ-ძე დიდი მეცნიერი იყო ქართული ენისა, ზმაზე ამბობდა, ბრიყვა სტუდენტების შესასმენად — ისეთი მა- გარია, ვერ მოვხარე, ვერ მოვდრიკეო... იღიმებობდნენ სტუდენტები, ა.შ-ძეს კი ეგონა ზმაზე ფიქრობენო...

ეს ფრაზა / „ეგონა ზმაზე ფიქრობენო“ / დახვეწილი იუმორის ქრესტომათიაში შეგიძლია შეიტანო, ეს ჩვენი ვითომდაპოსტმოდერნისტები მის შორეულ მინამგნასაც რომ ვერასოდეს მიაღწევენ.

თუმც ეს ისე მოჟყვა სიტყვას, თორემ ამ პასაური პირველ ყოვლისა სოსო მახარაშეილი წამომაგონა, ის ეპიზოდი, ლექციის წასაკითხად რომ მიინვიეს ექსკურსიამდღლები- სათვის სასტუმრო „ივერიის“ საკონფერენციო დარბაზში.

ეტყობა, გადაწყვიტეს, ჩვენს გიდებს მეტი განათლება ესაჭიროებათ, ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიაში უფრო ღრმად გათვითცნობიერებაო. და ლექციების მთე- ლი კურსის მოსმენა დავავალეს და გრაფიკიც შეუდგინეს.

სოსოს ძეგლი ქართული მწერლობა უნდა გაეცნო მათ- თვის, შეკუმშულად, თუმც ზოგადი სურათი ხელშესახები გაეხადა.

ეს იყო და მისი საქმე.

უყვარდა თავისი პროფესია. ჯერ კიდევ მაშინ, როდე- საც ლექციებს არ კითხულობდა, აიყოლიებდა ივანე ამირხანაშვილს და „მცირე აკადემიაში“ (გორში, თერჯო- ლასა და ქობულეთში) დაინტერესდა პედაგოგობას. მერე გა- მოჩინდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი და სოსო მახარაშეილიც გახდებო- და მისი ერთ-ერთი მესაძირკვლე... იქიდან სიღალის ფი- ლიალში მოუწევდა გადანაცვლება და იქაც დაატყობდა სასკეთო კვალს...

ვეხუმრებოდით: ასე თუ გა- აგრძელე, არც ტაო-კლარჯეთის უნივერსიტეტის დაარსება მოხ- დება უშენოდო, — და ის კი საკ- მაოდ სერიოზულად ეკიდებოდა ამ მოსაზრებას, ხუმრობად სუ- ლაც არ ჩამოგვართმევდა: რა- ტომაც არა, და დიდი დროც არ უნდა გვაშორებდეს მისი ამოქ- მედებისაგან.

ჰედანტიზმი სჩევეოდა. დაწე- რით ეგებ ბევრიც არ დაუწერია, მაგრამ რაც მისი სახელით გა- მოქვეყნებულა — მონოგრაფი- აც „თეოფილე ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი“) და ცალკეული სამეცნიერო ნარ- კვევებიც — უაღრესად სანდოა, ძირისძირობამდე დაზუსტებუ- ლი და გარანდული.

არ იყო მომწყვდეული მხო- ლოდ თავისი სპეციალის ჩარჩოებში და ამიტომაცაა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლიც რომ შეიქნებოდა და მისი ახალციხური და სიღანალური წაკადების ერთი სულისჩამდგმელთაგანი, მრავალი თავყრილობის სული და გული... და სოლომონ დოდაშეილის სულის მოსახსეინებელი პანაშვიდების უწყ- ვეტობის შემანარჩუნებელიც.

სხვა თუ ზედაპირულად მოეკიდებოდა ექსკურსიამ- ძლოლთა წინაშე გამოსვლას, უმეტესწილად ახალგაზრდა ქალებისაგან შემდგარ აუდიტორიასთან, და გაკვალული „ბაგაზით“ მიასაბაბაზებოდა ლექციებს, სოსო მახარაშვი- ლი საგანგებოდ მოემზადებოდა და შეარჩევდა ისეთ თე- მებს, კველაზე მნიშვნელოვნად რაც ესახებოდა...

ეგაა, საქმემოთავებული ივანე ამირხანაშვილს შეს- ჩივლებდა: რა დაემართათ, არ ვიცი, სახიდან ღიმილი არ მოშორებიათ, ვატყობდი, მე მერიდებოდნენ, თორემ სი- ცილ-კისისასაც ასტერდნენ. ბოლოს მაინც ვერ შეიკავეს თავი, როდესაც ვთხოვე, შეკითხვები ხომ არ გაქვთ-მეთ- ქი. ლექცია რომ დავასრულე და დარბაზიდან გამოვედი, გულდასმით დავითვალიერე ტანსაცმელი — ან დალაქა- ვებული ხომ არ მქონდა, ან ღილი აწყვეტილი... თითქოს

არაფერი და მაშ რა დაემართათ, მე იქ სასაცილო არაფერი მითქვამსო.

ივანე გაოცებით აინურავს მხრებს, რა კიღა მეგობრის გარეგნობა სრულ წესრიგშია... და უეცრად ჩაეკითხება:

— ვისზე ელაპარაკე?

— ვისზე აღარ... განსაკუთრებით გიორგი შეყენებულზე, დაწვრილებით განვუმარტებ მისი ანდერძი.

— და სულ „გიორგი შეყენებული, გიორგი შეყენებული“ გაიძახოდი?

— აბა, რა უნდა მექნა?

— ბოლოს კი ჰეითხე, გიორგი შეყენებულზე დამატებით ხომ არაფრის შეტყუბობა გსურთო?

— ასე იყო, მერე რა... შენ ხომ მაინც იცი, ჩემო ივანე, ეს ამხელა მოღვაწე უსამართლოდა მიჩქმალული. მარტო ძეელი ქართული ოსტერატურის მევლევარებმა რომ იციან, არა კმარა, ბევრს უნდა გავაგებინოთ, რაც შეიძლება პოპულარული გაქხადოთ. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ

დავამტკიციდო მისი სახელი ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში და ბარემ აღარ გადავდე.

ივანე იცინის.

— ახლა შენც კიდევ, — წყრება სოსო.

— შენს გადაწყვეტილებას კი მივესალმები და გვერდშიც ამოგიდებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინო, საიდან, რომელი გარემოდან დაიწყო ამ სახელის დამკიდრება!?

— რა მნიშვნელობა აქეს... აუდიტორია აუდიტორია!

— აგერ თუ აუდიტორია აუდიტორია...

სოსო არ ყოფილა მიამიტი, არც იუმორი და გოგების სიმახვილე ჰკლები, მაგრამ ხომ მოგვსვლია ყველას, რაღაც ჩამოგვეფარება უეცრად და ისეთ რაიმეს ვეღარ ვიგებთ, რასაც სხვა დროს სხვისაგან გავიოცებდით.

...თუმც სოსო მახარშვილისა რა გვიკვირს, აკი აკაკი შანიძესაც ეგონა, ეს მოლიმარი სტუდენტები, ეტყობა, ქართული ზმინის სიმაგრესა და სიმტკიცეზე ფიქრობენ.

* * *

ტარიელ ჭანტურია ჩანანერების ციკლის / „დინოზავრიდან დიზაინამდე“/ ერთ პასაუში ქებით იხსენიებს ასი ლექსის სერიასაც და მის თაოსანსაც — კახმეგ კუდავას, იდეასაც უწონებს და მის შესრულებასაც და თავის აღტაცებას ამ მოხდენილ მახვილისტების ჩანურავს:

— უკვდავება უკუდავებოდნენი მისაღწევია!

ისლა დაგვრჩენია, სავსებით გავიზიაროთ ეს აღტაცება და ჩვენი მხრივ დავძინოთ, რომ კახმეგ კუდავას მთელი ოჯახი — თავისი სამი განშტოებითა და, მოსალოდნელია, თანდათან კიდევ ბევრად მეტითაც — ქმნის ქვეყნის კულტურისათვის თავდადების მთამბეჭდავ სურათს.

სწორედ ასეთ ოჯახთა ერთობლიობა განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სამომავლო გზებს.

ციდალი მასალა ექნება ხელთ კუდავების ოჯახის ღვიძლის შემფასებელ მკვლევარს, საყრდენი და საფუძველი კი მათი მრავალმხრივი მოღვაწეობისა მაინც გამომცემლობებია: „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ — ქართული პოლიგრაფიისა და უკრნალისტიკის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, საქართველოს წარსულისა და თანამედროვეობის მიღწევათა და მონაპოვართა კანთიელად წარმომჩენი... მიჩქმალულის, დაკარგულის მიმგნები და აღმდგენელი...

ასი ლექსის სერია ერთი მომხიბლავი ნაკადია, ამ გამომცემლობათა სულიერი სიმაღლის დამადასტურებელი.

ნობელიანტთა სერიაც არანაკლებ მომხიბლავია და

ნარმატებული, არანაკლებ დინამიკური და შორს გაჭრილი.

და კახმეგ კუდავა ხანდახან ნაიხუმრებს კიდეც: ნუთუ ნობელის პრემიის ასეთი პროპაგანდასათვის მაინც არ მეკუთვნის ნობელის პრემიაო?!

ზაურ ბოლქვაძე რომ ცოცხალი იყოს, არამარტო მიანიჭებდა ამ ჯილდოს, მშვენიერ იუმორისტულ ლექსისაც გაუშანდალებდა ამ გადაწყვეტილების დასტურად.

ისე ბატონი კახმეგი თავს იმით „იმშვიდებს“, ნობელის პრემია თუ არ მერგუნა, ნოლელის პრემიის ლაურეატი ხომ მაინც ვარო.

ეს სადაური რა ჯილდოა?..

ის მდინარეა, მის სოფელსაც რომ ჩამოუდის, და თითქოს მის შემხედვარეს დაედო თავის დროზე ფიცი: თავს არ დავზოგავ ჩემი ქვეყნისათვის.

და ახლა პირნათელია იმ მდინარის წინაშე, გარეშე კაცს პატარადაც რომ შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ მისთვის უკიდეგანოა, და მის ტალღებში კვლავაც ისე შეიძლება გაეხვეს, როგორც ოდესლაც, როდესაც ის ყოველივე, რასაც დღეს მისი სახელი ჰქვია, მარტოდენ გაბედულ იცნებებში კრთიდა და ლივლივებდა.

...უკვდავება უკუდავებოდნელი მისაღწევიაო, — გვიძევითებს ტარიელ ჭანტურია იმ შეხედულებას, რასაც ისედაც მიღმხვდარვართ, მაგრამ ასეთ სხარტ ფორმულად ვერ ჩამოგვეყალიბებია.

ნობელისა თუ არა, ნობელისა მაინცო, — შემოგვცინის ამ ფრთიანი ფრაზის მთავარი პერსონაჟი... და გვამხებს და გვაგულიანებს...



მხატვარი კარლო ფაჩულია

იმ დღესაც ჩვეულებრივი ჩვეულებრივი დღე იდგა. თავის დროზე (ვაჟ დრონი, დრონი!) უაორისად პოპულარული ქარ-

თული უურნალის რედაქციაში ავტორები დასტა-დასტად მო-
დიოდნენ და ქართული მწერლიბის ღვანძმოსილი მეტრები
მოთმინებით უხსნიდებ მათი ოპუსების ავ-კარგს. შესვენები-
სას (მხოლოდ შესვენებისას!), როგორც წესი, ჭალრაკის თამაში
გაჩადდა. ამასობაში მომსვლელიც და წამსვლელიც უურნალის
მთავარ რედაქტორს ულოცვედა მორიგ გამარჯვებას — ამას
შენგანაზ კი არ მოგელოდით!

ეს იყო და ეს, ჩანს, ვერავონ ხვდებოდა, რომ ისტორიული წეუთები დამდგარიყო რედაქციის ჩვეულებრივა და ლამის რუტინულ ცხოვრებაში, რომ დაზერა ლექსი, რომელსაც კარგახანი ეღლოდა ქართული პოეზიის საგანძბურო, რომ პანია სარკმლიდან უკვდავების სიი შემოქრილიყო რედაქციის უღმ-ლამი აპრტამენტის ბში.

პოეტ-რედაქტორს სახეზე თვალ-ნათლივ ეწერა, რომ სადღაც სხვა-გან იმყოფებოდა. გულგრილად უს-მერნდ დითირამბებს და თითქოს არც ესმოდა. სად იყო, სად ქროდა მისი გონიერა?

კონიცხვა, ეგებ ალმოდეულულ ვარ-
შავაში ეძებდა ცოცხალ ირჩნა სხრ-
ტლაბეს, დაგვიანებული კომპლიმენ-
ტი რომ მიეღვინა ვარდისფორად
აფეთქებული ქალწულისათვის, რო-
მელიც კონებ ზბრძენას თუ ლეხთან
პირველი პაემანის ნაცვლად სიკვ-
ლითან პარამანზე მიეჭურებით.

თექვნიშვილი წლის ქართველი გოგო, რომელსაც თვალით არ უნახავს თავისი დაკარგული სამშობლო, თავს სწირავს მეორე სამშობლოდ ქცეული პოლონებთი-სათვის, გრძინალური პასტერნაკის სიტყვით, განკდებისა და ქმე-დებათა მსაჯების გამო, საქართველოს რომ ემოკვრება.

ვინ იცის, სად ტრიალებდა პოტის ფიქრი და ზმანება.
მეორე დღეს ლამის მთელი წერა-კითხვის მცოდნე საზოგა-
დოება სასოებით იმეორებდა: საქართველოვ, შენ ვინ მოგცა
შვილი დასა კარგავი.

რომელი პრემია, რომელი ორდენი, რომელი „ვრცელია“ თუ „ამერიკის ხმა“ შეეღრძობოდა იმ სიხარულს, როდესაც ლამის მთელი ქვეყანა უჭირდებოდ, უღვინოდ, უსიტყვოდ, მაგრამ მთელი სულითა და გულით ადღვერდებოდა პოეტის. ხემირბა საქმია, ნარმილება ისეთი ფრთისანი აფორიზმი, რომელიც, საუკუნეთა მანძილზე, ალბათ ათასებს მოლანდებათ, მაგრამ ასე ლაკონიურად, ასე მოხდენილად და ურუანტელის მომგვრულად არავის სუტვებაში. სწორედ ასეთ ნაოძამიში იგიყოან ხოლმი — ბებოორო უბრალობათ

အေဒီ ၁၉၅၀ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငံတွင် ပေါ်လေသူများ ပေါ်လေသူများ ဖြစ်ပါသည်။

და ეს სტრიქონები ამიერიდან გაუტოლდება ყველაზე ელ-
ვარე აფორიზმებს, ოდესმე რომ უთქამთ ჩვენში. მან სამარა-
დისო ბინა დაიდო იქ, სადაც დაბინავებულა: სხვა საქართვე-
ლო სად არის... ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო... მამულო საყ-
ვარელო, შენ როსლა აყვავდები... იას, ბნელს ხევში მოსულსა...
(არაან ბათახჩი ღო თხეშიშვილი)

კვერცხის გამოყენებულ პოეტის აღარ დაუხანებია და იმავე სალამოს, მუხლწამის მიერ მომავას რომ მორჩინენ, სახელდახელო პურმა-რიოდ იყენება.

მთავარი რედაქტორის ლექსმა განსაკუთრებით მოხიბდა ჟურნალის მთავარი კორექტორი, რომელიც გატაცებული იყო

პარეალური დაგენერაცია

ისტორიით, ოღონდ არც ალექ-
სანდრე მაკედონელი აინტერე-
სებდა და არც ნაპოლეონ ბონა-
პარტე, თქვენ წარმოიდგინეთ,

არც გიორგი სააკაძე და არც ვახტანგ გორგაბალი. მოდი და ნუ გაგეცინება, მისი გატაცების ერთადეგროთ საგანი იყო ვარშვაის აჟანყება (1944 წლის აგვისტო-სექტემბერი).

და ახლა საკმაოდ შექეიფიანებული გულწრფელად დაღვერ-
ძელებს მთავარ რედაქტორს. უმტკიცებს, რომ ვარშავის აჯან-
ყება, რომელიც მონანილეობდა მისი ლექსის გმირი — თექს-
მეტი წლის ირინა სხიორტლაძე, თამამად შეიძლება ჩაითვალოს
XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის მშენებად და სიამაყედ, ვი-
ნაიდან პოლონელი ახალგაზრდების გააფთორებული ბრძოლა
შინნაკეთი ხელყუმბარებითა და ნაალაფარი ავტომატებით გერ-
მანილთა ტანკებისა და არტილერიის წინააღმდეგ უპრაგეტონ-

ტო და სწორუპოვარი მოვლენაა
კაცობრიობის ისტორიაში.

„უამბობს, რომ „არმია კრაიო-
ვას“ სახელგანთქმული მოიერიშე
რაზმი „პარასოლი“ (ქართულად —
ქლოგა), რომელშიც მეტავშირედ
იპრძოდა ირინა, მთელი თვე ანარ-
მოებდა სისხლისმღვრელ ბრძო-
ლებს ვარშავაზე გრიბანელთა მთა-
ვარი დარტყმის მიმართულებით და
ამ ბრძოლებში დაიღუპა პარასო-
ლელთა 80 (თოხოვისი) პროცენტი;
რომ სწორედ „პარასოლი“ რაზე-
ლებმა ჯერ კიდევ ვარშავის ავან-
უდებამდე გამოიჩინეს თავი, როდე-
საც 1944 წლის 1 თებერვალს დღი-
სით, მზისით, იმდევნებად გაისტუმ-
აპოსა და პოლიციის შეფი — ესესის
ჭშერა. ეს იყო შერისძიება ვარშავის

ესოდენ ვრცელი ისტორიული კომენტარი არაფერში სჭირდებოდა უამისოდაც მშვინიერ ლექსს და ამიტომაც ჩაბაზზღუნა ვითომდა შეცძინებულომ ჰოგეტმა: ბარე მშენ დაგანერაო!

ମାଗରାଦ ମତାଵାରି ର୍କ୍ଷଦାକ୍ଷରଣିରେ ନିରନ୍ତରାନିମ ବ୍ୟାପ ଶ୍ରୀହର୍ମରା ମତାଵାରି କୋର୍ଟର୍କ୍ଷେତ୍ରରେ ଦା ଅଲ୍ଲା କୁର୍ତ୍ତିଶ୍ରେଷ୍ଠ ତାପଦାଶଭିତ୍ତି କ୍ଷେତ୍ରିକ୍ ମନ୍ଦିରଙ୍କିଲ୍ଲେ ଖାମୋଟିତଥାଳା : ଲୋପତି, କୃତ୍ତମନ୍ଦିର, ତ୍ରିବୀ, ଲକ୍ଷ୍ମୀମିଶ୍ର, ଉନ୍ନା ଓ ସମ୍ବନ୍ଧିତ ମନ୍ଦିରଙ୍କିଲ୍ଲେ ଅମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠମୁଖ୍ୟ ତୁରମ୍ଭେ ମେବଲୋଟ କୃତ୍ତମନ୍ଦିର ଧାରନିକ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରାଚୀବାଲ୍ଲୀ, ବେନ୍ଦରର୍ଜ ଓ ଏ ମର୍ମମେତ୍ରରାନି ଗଲେଲାଟାଟା, ଯତାଲୀଗିଲେଗିଲେ ଶାପତ୍ତିଶବ୍ଦୀ, ରମେଶ୍ବରିପ କୁର୍ତ୍ତିଶ୍ରେଷ୍ଠା ପ୍ରେକ୍ଷଳମନ୍ଦିରଭୂଲୀ ଆଶ୍ରମମହିଳାଙ୍କିଲୀଙ୍କ ମିରବନ୍ଦା ଶାନ୍ଦାରମିତା ତ୍ୟକ୍ତିଗ୍ରଦ୍ଧେଷ୍ଟିପାଇଁ, ଶ୍ଵେତମନ୍ଦିରମାତ୍ରାଙ୍କ ଗ୍ରେନ୍-ରାଲ୍ସ ମିରବନ୍ଦା ଫେର ଅବତ୍ରମାତ୍ରିକ ମତେଲ୍ଲ ଜ୍ଞାନି ମିରୁଷ୍ଵା — ପରିଲନ୍ଗିତା ଅଧିକାରୀ ତ୍ରିଭୁବନିଶା ଓ ତାଙ୍କିରିଲେ ଶାଖାଗ୍ରହିତାଙ୍କ.

ମେତାବାର କୁର୍ରାକ୍ଷେତ୍ରରେ, ଅଲ୍ପାବ୍ଦ ମଧ୍ୟ ଯାଏନ୍ତିରୁ କାହାରୁ କାହାରୁ କାହାରୁ କାହାରୁ

გულიდნ ამოხეთქილი შეგონება: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შველა დასკარგავი“ ხომ იმასაც ნიშნავდა, რომ არ უნდა გამეტო ილა — ტყიისათვის, გაუა — მათხოვრული ცხოვრებისათვის, ფიროსმანი — აბუჩად აგდებისათვის, სტალინი — სალაპიდან ამოთხრისათვის.

ამუნათებდა სამშობლოს : ისინი ხომ შენი ღვიძლი შვილები არანა, შენი ძუძუ უწოდათ, ყოველი მათგანი შენი მსგავსი და შენი ხატია, ძე უცდომელიც და ძე ცთომილიც, შენ გააჩინე ისინი და შენვა უნდა დატიროო!

...ბარემ შენ დაგნერაო, ბუზლუნებდა ვითომდა შეცუნებული პოეტი, ვისაც უფალმა, ლექსისა და იუმორის ნიჭთან ერთად, არტისტობის ნიჭიკ დაანთლო.

საიდან ამდენი ფული?

ლუის მერკადერი, ლევ ტროცკის მკვლელის — რამონ მერკადერის უმცროსი ძმა, ერთ მშვენიერ დღეს, მიიწვიეს ესპანეთის ტელევიზიაში, რათა მონანილეობა მიეღო სპეციალურ გადაცემაში, რომელსაც ერქვა: „რამონ მერკადერი — დანამაული და სასჯელი“.

ლუის მერკადერს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა წიგნი, სადაც მოგვითხრობს „საუკუნის მკვლელობის“ ამბავს და ამდიდრებს მას ახალი ფაქტოლოგიური მასალით. ესაა რამონის კერძო წერილები, უმცროსი ძმის საუბრები მასთან მექსიკის საპყრობილოდან განთავისუფლების შემდევ და სხვ.

„ამ წიგნს ვწერ იმისათვის, რათა ობიექტურად მოგითხროთ ჩემი ძმის რამონის შესახებ და, ამგარად, გავაბათილო მისი სახელის ირგვლივ დახვავებული სიცრუუ“, — ასე ინყებს ლუისი თავის ოჯახურ ქრონიკას.

რამონს, სხვათა შორის, უთქვაშს უმცროსი ძმისთვის: „ნუ გავიწყდება, რომ ყოველივე ეს ხდება 1940 წელს. უკვე მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი და ცხადი იყო, რომ ჰიტლერი, დღეს თუ ხვალ, თავს დაესხმოდა საპქოთა კავშირს. უკვე დაპყრობილი ჰქონდა დანია, ჰოლანდია, ბელგია. ლავალის მეოხებით უკვე ოკუპირებული იყო ნახევარი საფრანგეთი, კვისლინგის მეოხებით — ნორვეგია. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტროცკი მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის კონსულთან მეხიკოში და აშკარად აპირებდა კვისლინგის როლის შესრულებას, როდესაც ფაშისტური ჯარები შეიიქრებოდნენ საბჭოთა კავშირში. ახლა ისიც ვიკითხოთ, საიდან ჰქონდა ამდენი ფული ტროცკის? აბა თავად განსაჯე: ნამდვილ ციხე-სიმაგრეში ბინადრობდა, ეს კი იაფი როდი დაუჯდებოდა. ტყვია-მფრექვევებითა და შაშხანებით შეიარაღებული რცდაშვიდი მცველი ჰყავდა. დიახ, გერმანიის კონსული აძლევდა საამისო სახსრებს. ყოველ ხუთშაბათს, როცა სახლში რჩებოდა ტროცკის ყველაზე ახლობელ პირთა მცირერიცხვანი ჯგუფი, მოდიოდა ხოლმე გერმანელი კონსული და ინყებოდა მრავალსათაო მოლაპარაკებანი“.

ლევ ტროცკის სამტომიანი ბიოგრაფიის ავტორის ისააკ დოიჩერის გადმოცემით, ერთი ცნობილი ამერიკული უურნალის რედაქტორი არნემუნებდა მას, რომ ტროცკის ფული გამოჰქონდა ამერიკულ ბანები არსებული დიდი ანგავშიდან, რომელიც გახსნილი იყო ლენინისა და ტროცკის სახელზე რუსეთს სამოქალაქო ომის დროს იმ შემთხვევისათვის, თუკი ბოლშევიკები დამარცხდებოდნენ და მოუწევდათ ბრძო-

ლის განახლება საზღვარგარეთიდან. ავტორი შეინიშნავს: საინტერესო ამბავია, მაგრამ

სინამდვილეს არ შეესაბამება.

დოიჩერის წიგნის კომენტატორი პროფ. ნ. ვასეცი ესება სამშობლოდან განდევნილი ტროცკის ცხოვრების მატერიალურ მხარესაც და, რამონ მერკადერისა არ იყოს, გაოცებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ტროცკი საკმაო ფულუნებით ცხოვრობდა, ათიოდე პირად მდივანსა და მრავალრიცხვან დაცვას ინახავდა, რეგულარულად გამოსცემდა „ოპოზიციის ბიულეტენს“ პარიზში და კიდევ რამდენიმე გაზეთს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

მართლაც საიდან ამდენი ფული?

ნუთუ გერმანიის სადაზვერვო სამსახური, ჰიტლერისგან საიდუმლოდ, აფინანსებდა ტროცკის, როგორც გვარნენდებს რამონ მერკადერი?

ზემოხსენებული ვასეცი გვამცნობს, რომ მოსკოვის ცენტრალურ პარტარქებიში, ტროცკის ფონდში, თურმე მოიპოვება საკმაოდ გატენილი საქალალდე, სადაც ჩადებულია დოკუმენტთა ასლები „ტროცკის საქმისა“, რომელსაც 1916 წლიდან 30-ანი წლების დამლევამდე ადგენდა საფრანგეთის არმის გენერალი. ვასეცის უკვირს, ეს მასალა მოსკოვის პარტარქები საიდან მოხვდაო?

ცნობისმოყვარე პროფესორს ამ საქალალდეში უნახავს ფრანგულენვან ცნობათა ასლები იმ ფულის შესახებ, რომელთაც ტროცკი იღებდა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. ასე მაგალითად, დანიიდან მხოლოდ ექვსი თვეს შაბილზე (1932 წელს) გადარიცხულია: 17 მაისს — 600 დოლარი, 30 ივნისს — 1750 დოლარი, 19 ივლისს — 2200 დოლარი და 10 000 ფრანგული ფრანკი, 30 ივლისს — 1800 გირვანქა სტერლინგი, 11 აგვისტოს — 3000 დოლარი, 15 სექტემბერს — 1600 დოლარი (დღევანდელი მქლე დოლარი არ გეონოთ, დამის იცველ უფრო ჯანიანი იყო).

შეიცხადება ხოლმე, მგზებარე ანტისემიტი ჰიტლერი წარმოშობით ებრაელ ტროცკის ერთ გროშსაც არ უწყალობებდა, მაგრამ საყვალითაოდ ცნობილია ჰიტლერის უპირველეს დამქმების გერმანიის სიტყვები, როდესაც მის ერთ ბობორი ხელქვეითს ებრაული სისხლი აღმოჩინეს. დიახ, გერინგმა მაშინ ამდენად განაცხადა: ჩემს სამინისტროში (აფაციის უწყებას განაგება) ჩემი გადასაწყვეტია, ვინ არის ებრაელი და ვინ არა.

იგივეს იტყოდა, ალბათ, ფიურერიც.

ეროვნა

უკვე მეორე წელია ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის მსარდაჭერით სექტემბრის თვეში თვეში მიართება „ცისფერყანელთა დღე“. ცისფერი ორდენის წევრობი, მათი შემოქმედება ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, მაგრამ ქუთაისში გამორჩეული არანიშნავენ ამდენად დღესასწაულს, წინა წლებში ამ თარიღთან დაკავშირებულ გამოიცა წერილი იყო ლენინისა და ტროცკის სახელზე რუსეთს სამოქალაქო ომის დროს იმ შემთხვევებისათვის, თუკი ბოლშევიკები დამარცხდებოდნენ და მოუწევდათ ბრძო-

ტური აკვანი და ამიტომაც დაწესდა ერთი დღე წელიწადში, დღე ცისფერყანელების, როცა არამართა პატივს მივაგებთ მათ სხვნას, არმედ ვისენებთ და ვანალიზებთ მათ შემოქმედებას. სიტყვით გამოვიდნენ: როსტომ ჩელიძე, მაისა ჯალილშვილი, ელგუჯა თავერიძე, ქალაქ ქუთაისის მერი გორგავი თევდორაძე, პოეტი და ექიმი მერაბ კვიცარიძე... მათ ისაუბრეს სანდრო ცირკებიზე, მის გამორჩეულ მინატურებზე, ტრაგიკულ ბედზე და იმ შეუპოვრობაზე, რასაც ეს შემოქმედი იმ ძნელ ყოფაში იჩენდა.

სალამის მუნიციპალიტეტი გაიმართა პოეზიის სადამო, რომელშიც თბილისიდან და მთელი საქართველოდან მინვეული ახალგაზრდა პოეტები მონაწილეობდნენ: მარაბა წიკლაური, კატო ჯავახიშვილი, ნუკრი ბერეთელი, ეკა ბაქრაძე, ბელა ჩეკურიძე, გიორგი არაბული, ნინო ქოქიაძე, თამარ გაბრიშვილი, გიორგი გაბაიძე, რომი აბუსელიძე, გენრი დოლიძე, აჩი ბერიძე, ცირა ყურაშვილი, ნანა გასვიანი, ბელა უჩაძე.